

GEORGICA

SCRIPTORUM BYZANTINORUM EXCERPTA

AD GEORGIAM PERTINENTIA

Tomus II

Procopium Vaesariensen Iustiniani Novellas Ioannem Lydum continens

Textum graecum cum versuine geirgica edidit et commentariis instruxit

SIM. KAUCHTSCHISCHVILI

Sumptibus Societatis Georgicae Historica et Ethnographicae

გეორგიკა

ბიზანტიელი მწერლების ცნობები

საქართველოს შესახებ

ტომი მეორე

პროკოპი კესარიელი იუსტინიანე იოანე ლიდე

ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და განმარტებები დაურთო

სიმონ ყაუხჩიშვილმა

საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა

ვუძღვნი
პროფესორ
ივანე ჯავახიშვილს

შინაარსი

წინასიტყვაობა	8
პროკოპი კესარიელი	11
De bello vandalico	16
მდინარე ფაზისი 16. – ფარსმან კოლხის შვილიშვილები 16.	
De bello persico	17
ფარსმან კოლხი 17. – კასპიის კარები 18. – დავა ლაზიკის გარშემო 20. – იბერია და გურგენ მეფე. ლაზების ყოფა-ცხოვრება 91. – ჭანების ტომი 25. – კასპიის კარების დაცვის საკითხი 29. – 532 წლის უვადო ზავი 31. – ხოსროს ლაშქრობა კოლხიდაში 33. – ბიზანტიის პოლიტიკისათვის არმენიაში, ჭანეთსა და ლაზეთში 34. – გადასახადი კასპიის კარების დაცვისათვის 43. – ბიზანტიის ეკონომიური პოლიტიკისათვის ლაზეთში (ვაჭრობის მონოპოლია) 45. – ქალაქი პეტრა 54. – დვინი და იბერთა აღებ-მიცემობა 60. – პერანი და მისი რაზმები 61. – ხუთწლიანი დროებითი ზავი (545 წ.) 63. – ბრძოლა პეტრას გარშემო 69.	
De bello gothico	89
ჭანეთისა და ლაზეთის აღწერა 89. – აბაზგები და მათი მეზობლები. აბაზგების გაქრისტიანება 99. – გუთები-ტეტრაქსიტები 107. – ევქსინის პონტო 108. – მდინარე ფაზისი 108. – სპარსეთისა და ლაზიკეს ურთიერთობა ხოსროს დროს 113. – ბრძოლა ლაზ-ბიზანტიელებსა და სპარსელებს შორის იპპისის ნაპირას 550 წელს 116. – აფხაზთა განდგომა 124. – აფშილების განდგომა. 131. – ბრძოლა პეტრასთან 550 წელს 134. – სპარსელების ლაშქრობა არქეოპოლისის წინააღმდეგ. სკანდე, შორაპანი და ვარდციხე 150. – ბრძოლა არქეოპოლისთან 157. – ქუთაისი 163. – მეორე ხუთწლიანი ზავი 166. – ლაზ თეოფობის განდგომა და უქიმერიონის დაპყრობა სპარსელთა მიერ 168. – სპარსელების დამარცხება ლაზიკეში 552 წელს 176. – პაკური პერანის ძე 180.	
De aedificiis	182
ჭანეთი 182. – ლაზიკე 188. – იბერთა და ლაზთა მონასტრები 192. – მდინარე ფაზისი 192.	
Anecdota	193
სპარსელები ლაზიკეში 193.	
იუსტინიანეს ნოველები	196
იოანე ლიდე	200
კოლხეთი-ლაზიკე 200. – კასპიის კარები და ვირაპარახი 201. – სკვითები კოლხეთში 204.	
საძიებლები	205

წინასიტყვაობა

ქართული მეცნიერების ზრდა-განვითარებამ ქართველთმეტყველების დარგში წამოაყენა საკითხი იმ ცნობების გამოქვეყნების შესახებ, რომლებიც უხვად არის გაბნეული მსოფლიო ლიტერატურის ძეგლებში და რომლებიც შეეხება საქართველოს ძველ ისტორიას. ამ ცნობათა შორის პირველი ადგილი უჭირავს ბერძენი და რომაელი მწერლების ცნობებს, რომელთა ერთი ნაწილი – სახელდობრ, კლასიკური პერიოდის მწერლობაში დაცული ცნობები – უკვე გამოქვეყნებულია აკადემიკოს ვ. ლ ა ტ ი შ ე ვ ი ს მიერ (Scythica et Caucasica I, II).

ამ ათი წლის წინათ გადავწყვიტეთ დაგვემუშავებინა ბიზანტიურ მწერლობაში დაცული ცნობები საქართველოს შესახებ. მასალების წინასწარმა ამოკრეფამ და განხილვამ დაგვარწმუნა იმაში, რომ აღნიშნული ცნობები უფრო მიზანშეწონილი იქნება გამოქვეყნდეს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და გამოცემის ბოლოში დაერთოს დაწვრილებითი საძიებლები, რათა ამ ცნობების გამომყენებელ მკვლევარს საშუალება ჰქონდეს სწრაფად იპოვოს მისთვის საჭირო ყოველგვარი მასალა. მის შემდეგ, რაც ყველა მასალა იქნა წინასწარ გადასინჯული, გამოირკვა რომ ბიზანტიელ მწერალთა ცნობების გამოქვეყნებას დასჭირდება ხუთი ტომი: პ ი რ ვ ე ლ ი ტომი შეიცავს IV – V საუკუნეთა ცნობებს, მ ე ო რ ე და მ ე ს ა მ ე VI საუკუნისას, მ ე ო თ ხ ე VII – X სს., ხოლო მ ე ხ უ თ ე XI – XV საუკუნეებისას.

ვინაიდან IV – V საუკუნეთა მწერლები ნაწილობრივ უკვე შევიდნენ ვ. ლ ა ტ ი შ ე ვ ი ს გამოცემაში და, მაშასადამე, უკვე ხელმისაწვდომნი არიან – თუმცა არა სრულად – მკვლევართათვის, ამიტომ ჩვენ გადავწყვიტეთ პირველ რიგში გამოგვექვეყნებინა VI საუკუნის მწერალთა ცნობები, რომელთა ერთი ნაწილიც წარმოდგენილია წინამდებარე, მეორე, ტომში*.

*) VI საუკუნის დანარჩენ მწერალთა ცნობების შემცველი მ ე ს ა მ ე ტომი უკვე დამზადებულია ჩვენ მიერ შოთა რუსთაველის სახ. ინსტიტუტის ისტორიის სექციის დავალებით და გადაცემული აქვს უნივერსიტეტის გამომცემლობას 1935 წელს გამოსაცემად.

ამ ტომში მოთავსებული მასალა ნაწილ–ნაწილ ქვეყნდება „საქართველოს მუზეუმის მოამბეში“ (ტომები VI, VII, VIII), ხოლო პარალელურად, ცალკე პაგინაციით, იბეჭდებოდა მცირეოდენი ტირაჟით საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების საფასურით 1931 – 1934 წლების განმავლობაში.

ს. ყაუხჩიშვილი

ტფილისი,
1934 წლის 1 ნოემბერი

პროკოპი კესარიელი

ბიზანტიელ მწერალთა შორის, რომელთაც დაუცავთ ცნობები საქართველოს და მისი მეზობელი ქვეყნების შესახებ და რომელთა თხზულებებიც ჩვენამდე მოღწეულა, პროკოპი კესარიელი წარმოადგენს ყველაზე უფრო მდიდარ მასალას.

ბიოგრაფიული ცნობები პროკოპის შესახებ მეტად მცირეა. მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ ისევ მის თხზულებათაგან თუ ვგებულობთ რასმე¹; სხვათა ცნობები (მაგ., ისტორიკოსების მენანდრესი და აგათიასი და ლექსიკოგრაფ სვიდასი) გაკვრით და მოკლედ (ორიოდე სიტყვით) ახასიათებენ პროკოპის, როგორც ისტორიკოსს.

პროკოპი დაიბადა პალესტინის კესარიაში 490 წლის მახლობლად. ის წარჩინებულთა წოდებას უნდა ჰკუთვნებოდა, რაც იქიდან ჩანს, რომ იგი თავის თხზულებებში განსაკუთრებულის ყურადღებით იხსენიებს ამ წოდებას. თავის სამშობლო ქალაქში მას იურიდიკული განათლება მიუღია და დაუსრულებია იგი მახლობელ ბეირუთში, სადაც ცნობილი სკოლა იყო სამართლის მეცნიერებისა, რის შემდეგაც სამოღვაწეოდ კოსტანტინეპოლში გამგზავრებულა.

527 წელს ჩვენ მას უკვე დიდ თანამდებობაზე ვხედავთ: იუსტინიანე კეისარმა ის იურიდიკულ მრჩეველად მიუჩინა ველიზარის, რომელიც ჯერ როგორც სარდალი და *dux Mesopotamiae*, ხოლო შემდეგ როგორც *magister militum per Orientem* სპარსეთის ფრონტებზე აწარმოებდა საომარ ოპერაციებს. მასთან დაპყო მან 531 წლამდე (ამ წელს გადააყენეს ველიზარი). 533 წელს ის იმავე თანამდებობაზე მიჰყვება ველიზარის აფრიკაში, სადაც ის რჩება ველი-

1) ეს ცნობები თავმოყრილი აქვს Dr. Felix Dahn, *Procopius von Caesarea. Ein Beitrag zur Völkerwanderung des sinkeden Römerthums*. Berlin 1865. გვ. 12 – 31.

ზარის გაწვევის შემდეგაც, ხოლო 535 წელს ის მისდევს ველიზარის გუთებთან ბრძოლაში და აქ რჩება 540 წლამდე. 541 წელს ველიზარი ისევ სპარსეთის ფრონტზეა და მასთან ერთად პროკოპიც უნდა გამგზავრებულიყო.

პროკოპი კესარიელი მარტო იურიდიკული მრჩეველი (consiliarius) არ ყოფილა ველიზარისთვის. მის თხზულებებში არა ერთი შემთხვევაა დასახელებული, როდესაც ის უშუალოდ იღებს მონაწილეობას საომარ ოპერაციებში. მაგალითად, ის აწარმოებს სამხედრო დაზვერვას (BV I 14), ნეაპოლში ტვირთავს ხომალდებს ხორბლით და ხუთასი ჯარისკაცით (BC II 4) და სხვ... ქვემოთ მოყვანილი ტექსტებიდანაც დარწმუნდება ადამიანი, რომ საომარი ოპერაციების ასე დაწვრილებით აღმწერი (BP II 17; II 29 და სხვ.) მარტოდენ მრჩეველი იურისტი კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ გამჭრიახი სამხედრო პირიც.

ველიზარისთან ერთად ბიზანტიის საომარ ოპერაციებში მონაწილეობის მიღება გარდამწყვეტი მნიშვნელობისა იყო პროკოპის მომავალი მოღვაწეობისათვის. ამ ლაშქრობათა დროს ის დაწვრილებით ეცნობოდა როგორც საომარი ოპერაციების ტერიტორიას და მისი მცხოვრებლების ყოფა-ცხოვრებას, ისე ბიზანტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკის იდეალ კუნჭულებს. სახელმწიფო ცხოვრებაში ასეთი უშუალო მონაწილეობის შედეგად მივიღეთ ჩვენ მისი თხზულებები, რომლებიც სამ ჯგუფად განიყოფება.

ა) Π ο λ ε μ ι κ ά. ეს ითვლება პროკოპი კესარიელის ძირითად თხზულებად; იგი ეხება იმ ომების აღწერას, რომელთაც აწარმოებდა ბიზანტია (იუსტინიანეს დროს) სამ ფრონტზე – სპარსელებთან, ვანდალებთან და გუთებთან და შედგება რვა წიგნისაგან (Ἱστορικὸν ἐν βίβλοις ὀκτώ: P h o t. 63). ხელნაწერებში ამ თხზულების ჩვეულებრივი სათაურია: Προκ πίου Καισαρέως ἱστοριῶν... ἢ μεν-τίρα... ეს თხზულება დაწყებულია პროკოპის მიერ 543 – 545 წლებში, 550 წელს უკვე მზად იყო 7 წიგნი. 554 წელს პროკოპიმ დაუმატა მერვე. ფრონტების მიხედვით წიგნები ასეა განრიგებული:

I – II. De bello persico I – II (... ἱστοριῶν περσικῶν).

III – IV. De bello vandamico I – II (... τῶν περσικῶν τρίτον, τέταρτον; მეოთხე წიგნს 0 ხელნაწერში აწერია τὸ δ' οὐ/λυσικὸν Β' οὐν – შეიცავს ვანდალებთან წარმოებული ომის ამბებს.

V – VII. De bello gothico I – III (... τῶν γερθικῶν πολέμων... ἐν τέσσαρσι τόμοις διορημένῃ) – ეხება გუთებთან ბრძოლას.

VIII. De bello gothico IV. ასეა აღნიშნული ეს წიგნი გამოცემებში, ხელნაწერი K-ც მას, როგორც გუთების შესახები წიგნების მომდევნოს, აღნიშნავს Πρ. καισ. ἱστοριῶν γιθικῶν τετάρτη. მაგრამ ეს სინამდვილეს არ შეეფერება. ამ წიგნში მოცემულია ცნობები ყველა ფრონტის შესახებ, ამიტომაც არის, რომ თითონ პროკოპი ამ უკანასკნელ წიგნს ποι-κίλη-ს უწოდებს.

პროკოპის ეს, იუსტინიანეს დროინდელი ომების შესახები, თხზულება სამართლიანად არის მიჩნეული საუკეთესო წყაროდ ბიზანტიის (და საქართველოს) VI საუკუნის პირველი ნახევრის ისტორიისათვის. იქ, როგორც ამბობს ისტორიკოსი აგათია, ზედმიწევნით არის აღწერილი მეტი წილი იუსტინიანეს დროინდელი ამბებისა (Hist. Gr. Min. II 137), მაგრამ პროკოპის „ომების“ ისტორია არ იყო მარტო ფაქტების გადმოცემა. ის ხომ გაცნობილი იყო ყველა იმ ადგილებს, სადაც საომარი ოპერაციები წარმოებდა და იძლევა ხოლმე ამბის უკეთესად გასაშუქებლად დაწვრილებითს გეოგრაფიულსა და ეთნოგრაფიულს აღწერებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ პროკოპი ისეთი კუთხეების აღწერასაც გვაძლევს, სადაც თითონ არა ჩანს რომ ყოფილიყო, კერძოდ ეს შეეხება, ჩვენის აზრით, ლაზეთის აღწერას. როგორც ეს ქვევით თავთავის ადგილას აღნიშნული იქნება, პროკოპის ხანდახან ისე აქვს აღრეული ამ კუთხის შესახები გეოგრაფიული ცნობები, რომ ის, საფიქრებელია, პირადად ლაზეთში არ უნდა იყოს ნამყოფი ¹. მაგრამ არც ისეა წარმოსადგენი, რომ ის მხოლოდ ზეპირად გადმონაცემს ემყარებოდა. ასეთი შემთხვევებიც არის, რომ ის გაგონილს გადმოგვცემს, მაგრამ მისი აღწერილობანი (კუთხის ვითარების, საომარი ოპერაციების მსვლელობისა და სხვათა), როგორც ეს ნათლად ჩანს თხრობის ხასიათის მიხედვით, უმთავრესად იმ ოფიციალურ მოხსენებებს ემყარება, რომლებიც ადგილებიდან მოსდიოდა სამხედრო შტაბს, სადაც თვით პროკოპიც იმყოფებოდა. გარდა ამისა მის განკარგულებაში იქნებოდა სამეფო საგანძურებში დაცული ოფიციალური დოკუმენტები, რომლებიც მისთვის, როგორც – ასე ვთქვათ – სამეფო კარის ოფიციალური ისტორიკოსისთვის, მუდამ ხელმისაწვდომი იყო.

როგორც ოფიციალური ისტორიკოსი, პროკოპი, რასაკვირველვითა, გარკვეულს, იუსტინიანეს მთავრობის სასარგებლო ხაზს ატა-

¹) რომ ის მოსაზღვრე არმენიაში ყოფილა, ამას თითონვე აღნიშნავს (BP I 17).

რებს თავის თხზულებაში, და მის მიერ მონათხრობის გაცხრილვა, ცხადია, აუცილებელია ყოველ კერძო შემთხვევაში. განსაკუთრებით ახასიათებს პროკოპის, როგორც ოფიციალურ ისტორიკოსს, მისი მეორე თხზულება.

ბ) Περὶ κτισμάτων (De aedificiis «შენობათა შესახებ»), რომელიც დაწერილია 560 წელს და ექვსი წიგნისაგან შედგება (მისი სრული სათაურია: προκίριος ρήτορος τῶν Καισαρέας περὶ τῶν τῶν δεσπότην Ἰουστινιανῶν κτισμάτων). აქ ჩანს გადამეტებული ქება იუსტინიანესი. და ეს თავისთავადაც ცხადია: მას ეს შრომა ხომ შეკვეთილი ჰქონდა, მას ნაკარნახევი ჰქონდა ხოტბა შეესხა იუსტინიანესთვის იმ შენობათა აგებისთვის, რომელთაც მთავრობამ უამრავი თანხები დაახარჯა. მიუხედავად ამისა ამ თხზულებას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს თავის აღწერილობითს ნაწილში. ის წარმოადგენს ძვირფას წყაროს გეოგრაფიული, ტოპოგრაფიული და ეკონომიური ხასიათის ცნობებისათვის.

სულ სხვა ხასიათისაა პროკოპი კესარიელის შესამე ნაშრომი, ე. წ. „საიდუმლო ისტორია“.

გ) Ἄεξις. ჯერ კიდევ სვიდას მიხედვით იყო ცნობილი, რომ „ომების“ წიგნის გარდა ამგვარივე ამბებისათვის პროკოპის «სხვა წიგნიც დაეწერა, ეგრეთწოდებული ანეკდოტა» (Προκίριος). ამ ნაშრომში – იმავე სვიდას მოწმობით – იუსტინიანეს და მისი მეუღლის, თეოდორას და, საზოგადოდ, მთავრობის პოლიტიკის მაგებას ჰქონია ადგილი, მაგრამ, თუ რას წარმოადგენდა ეს თხზულება თავისი შინაარსით, არავინ იცოდა. მხოლოდ 1623 წელს აეხადა ფარდა ამ საიდუმლოებას, როდესაც ნ. ალემანოვი აღმოაჩინა იგი ვატიკანის ბიბლიოთეკაში. ამ თხზულებაში გამოხატული აზრები იმდენად ეწინააღმდეგება პროკოპის მიერ სხვა ნაშრომებში გამოთქმულ აზრებს, იმდენად მძაფრი არის აქ მთავრობის პოლიტიკის კრიტიკა, – იმ მთავრობის, რომელსაც სხვაგან პროკოპი ქება-დიდებათ ხსენიებს, – რომ დიდხანს მეცნიერთ შორის დავა იყო ამ თხზულების ავტორკუთვნილობის საკითხის გარშემო. დღეს კი, ამ თხზულების შესწავლის შემდეგ როგორც შინაარსის ისე ენის მხრით, დამტკიცებულია, რომ იგი პროკოპის კალამს ეკუთვნის და დაწერილია მის მიერ 550 წლის მახლობელ ხანში, ე. ი. იმავე ხანში, როდესაც ის „ომების“ წიგნს ამთავრებდა. ირკვევა, მამასადამე, რომ ოფიციალური ისტორიის პარალელურად პროკოპი სწერდა არაოფიციალური «საიდუმლო» ისტორიას, რომელიც მას არ გამოუქვეყნებია

(ἀνέκδοτα), ვინაიდან მისი გამოქვეყნება ავტორს მთავრობის რისხვას დაატეხდა თავს. მიზეზი პროკოპის ამგვარი ოპოზიციონერობისა უნდა ვეძიოთ იმ საზოგადოებრივ დაჯგუფებაში, რომელსაც ადგილი უნდა ჰქონოდა იუსტინიანეს მთავრობის პოლიტიკასთან დაკავშირებით. ამ მხრით ბიზანტიის ისტორიის ეს პერიოდი, სამწუხაროდ, შესწავლილი არ არის, მაგრამ წყაროების მითითებანი იმის შესახებ, რომ იუსტინიანე ებრძოდა მიწისმფლობელ არისტოკრატებს, და ის გარემოება რომ პროკოპი, როგორც ზემოთ იყო მოხსენებული, სწორედ ამ წოდების წარმომადგენელი იყო, გვაფიქრებინებს, რომ «საიდუმლო ისტორიის» ავტორი ამ თავის თხზულებაში მთავრობის პოლიტიკისადმი ოპოზიციურად განწყობილი ფენების იდეოლოგია.

ჩვენს განკარგულებაში იყო პროკოპი კესარიელის თხზულებათა შემდეგი გამოცემანი და თარგმანები:

H a u r y Jacobus, Procopii Caesariensis opera omnia. I – III. Lipsiae 1905 – 1913.

D I n d o r f i u s Guilelmus, Procopius (=Corpus Scriptorum Historiae Byzantinae) I – III. Bonnae 1833 – 1838.

D e w i n g H. B. Procopius (with an english translation) in seven volumes. I – V, London 1914 – 1928.

C o m p a r e t t i Domenico, Le Inedite, libro nono delle istorie di Procopio di Cesarea. Testo greco emendato sui manoscritti con traduzione italiana [edizione postuma licenziata da Domenica B a s s i]. Roma 1928.

D e - B o o r Carolus, Excerpta de legationibus (Excerpta Historica iussu Imp. Consrantini Pophyrogeniti confecta) I II-Berolini 1903.

S t r I t t e r J. G. Memoriae Populorum.... Tomus IV. Petropoli 1779.

D I e t e r I c h Karl, Byzantınische Quellen zur Lander – und Volkerkunde, I – II. Leipzig 1912.

C o u s I n, Histoire de Constantinople, depuis la regne de l’Ancien Jusin jusqu’ la fin de l’Empire: I – II, Paris 685.

Д е с т у н и с Спиридон (комментарий Гавр. Дестуниса Прокопия Кесарийского История воин Римлян с Персамн, ван-дилами и готами: а) История воин Римлян с Персами. кн. I – II. СПб 1876 – 188; б) История воин с вандилами. кн I. СПб 1891.

C o s t e D. Prokop. Vandalenkrieg, Lpz. 1885.

C o s t e, D. Prokop. Gothenkrieg (= Die Geschichtsschreiber der Deutschen Vorzeit Bd. 7). Lpz. 1922.

DE BELLO VANDAUCO.

ჩვენ მიერ დაბეჭდილ ბერძნულ ტექსტს საფუძვლად უდევს
ჰ ა უ რ ი ს გამოცემა.

DE BELLO VANDALICO.

მდინარე ფაზისი.

Κατὰ δὲ τὴν τῆς Ἀσίας μοῖραν,
εἶη δ' ἂν ἐκ Καλχηδόνος ἐς ποτα-
μὸν Φάσιον, ἐξ ἑσέων ἐκ Κόλχων
κάτεισιν ἐς τὸν Πόντον, ἀγύεται
τεσσαράκοντα ἑβδὸς ἡμερῶν (H a u-
ry I 309, 12—15)

I 1. აზიური ნაწილის გასწვრივ გზას კალქედონიდან მდინარე ფაზისადმე, რომელიც კოლხების ქვეყანაში მომდინარეობს და პონტოში ჩადის, გაივლის კაცი ორმოც დღეში ¹.

ფარსმან კოლხის შვილიშვილები.

539/40 წელს იუსტინიანემ აფრიკის საქმების გაძლოლა (ვან-დალებთან ბრძოლის დროს) სარდალ სოლომონს ჩააბარა.

Στρατεύμαά τε αὐτῷ παρασχόμενος καὶ ἄρχοντας ἄλλους τε καὶ ῥουφίνον καὶ Λεόντιον, τοὺς Ζαύνα τῆς Φαρσεμάνου (Haury I 508, 7—10).

II 19. და მისცა მას თავის განკარგულებაში ჯარი და სარდლები, მათ შორის რუფინე და ლეონტი, ფარესმანის ² ძის ზავნას შვილები.

Ἐνταῦθα ῥουφίνος τε καὶ Λεόντιος, οἱ Ζαύνα τοῦ Φαρσεμάνου, ἔργα ἐπεδείξαντο ἐς τοὺς πολεμίστας ἀρετῆς ἀξία (Haury I 515, 10—12)

II 20. აქ რუფინემ და ლეონტიმ ვაჟკაცობის ღირსი საქმეები გამოაჩინეს მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში.

¹) შდ. BC IV 5: «ევქსინის პონტოს მარჯვენა მხარეზე რომ იარო, კალქედონიდან ვიდრე მდინარე ფაზისამდე, ორმოცდათორმეტი დღის სავალი გზაა მსუბუქად შეიარაღებული კაცისთვის» (Haury, II 509, 1 – 13; იხ. ქვევით გვ. 108).

²) ეს ის ფარსმანია, კოლხი, რომელსაც პროკოპი იხსენიებს BP I 8 (იხ. ქვევით გვ. 17 და შენიშვნა იქვე).

DE BELLO PERSICO ¹.

ფარსმან კოლხი.

[ანასტასი მეფემ რომ გაიგო სპარსელების მიერ ქალაქ ამიდას გარემოცვის შესახებ, გაგზავნა ჯარი რომლის სტრატეგოსებად დაყენებულ იქმნენ: არეობინდე, კელერი, პატრიკი და იპატი. ამ ოთხ სტრატეგოსთან იმყოფებოდენ: იუსტინე, პატრიკიოლე ვიტალიანი-თურთ, გოდიდისკლე და ბესსა, და ფ ა რ ე ს მ ა ნ ი:]

...καὶ Φαρσακῆς Κόλχας μὲν γένους, διαφερόντως δὲ ἀγαθὸς τὰ πῶλεμα (Haury I 37, 4-6).

I 8... და ფარესმანე, წარმოშობით კოლხი, განსაკუთრებით სახელგანთქმული სამხედრო საქმეებში ².

1) ამ თხზულების პირველი წიგნის IV თავში მოთხრობილია პეროზის შესახებ, რომელიც დაიღუპა ჰუნებთან (ეფთალიტებთან) ბრძოლის დროს უკანასკნელთა მიერ მოწყობილი თხრილის წყალობით. სიკვდილის წინ პეროზს მოუხსნია მარჯვენა ყურიდან მ ა რ გ ა ლ ი ტ ი და გადაუგდია. ეს მარგალიტი იშვიათი სიდიდისა და საფასურის ყოფილა. ხელნაწერებში (XIV საუკუნისა) ამ ადგილას შენიშვნაა:

περὶ μαργάρου ὃν λέγουσιν ὅτι [βήρες τῆ τῆς φεομύτρως εἰκόνη ἀναθεῖναι τῆσιν τὸν μάργαρον P ხელნაწერი—XIV საუკ.]. ἔλκε.ν δὲ ///γ δάδεκα (ἔξῃ.α β' P) καὶ ἀληθῶς λέγουσιν ὡς καὶ τινες τῶν ἡμετέρων ἑωράκασ.ν. εἶτε δὲ ἐκεῖνας ἔστ.ν ὁ ἑρώμενος γῦν (γῦν აკლია P-ს.) εἶ.μ' ἕτερος ἀκριβῶς οὐκ ἐπίσταμαι (εἶ.μ' ἕτερος ὁ γινώσκω P) (Haury I p. XXIII),

ესე იგი: «იბერები ამბობენ, რომ მათ ეს მარგალიტი ღვთისმშობლის ხატს მიუძღვნეს, იწონის კი თორმეტ ეგზავიონს და ჭეშმარიტადაც ამბობენ, როგორც ეს ზოგიერთებმა ჩვენთანაგან ნახეს. ხოლო სწორედ ის არის აწ ხილული თუ სხვა, ეს მე დანამდვილებით არ ვიცი» („ეგზავიონ“ ს ო ფ ო კ ლ ე ს ლექსიკონის განმარტებით უნკის მეექვსედს უდრის, ხოლო ს ვ ი დ ა თ ი ს. v. statêr «სტატერი – ოთხგრამიანი ნომიზმა: ეგზავიონიცა და ზიგიონიც»).

ეს შენიშვნა მოიპოვება პროკოპი კესარიელის თხზულებათა ჩვენამდე მოღწეულ ორივე (y და z) ჯგუფის ხელნაწერებში, რაც ცხადია იმას ჰმოწმობს, რომ ეს შენიშვნა X-არქტიპსაც ჰქონდა.

²) თ ე ო ფ ა ნ ე ჟამთააღმწერელიც (5997 ე. ი. 503/4 წლის ქვეშ) ამავე ბრძოლაში მონაწილედ იხსენიებს ფარსმანს: «და ფ ა რ ი ზ მ ა ნ ე წარმოშობით ლაზი» (Theophanis Chronographia rec. C. De Boor I 146). ხოლო პროკოპი 539/40 წლისათვის მოგვითხრობს: იუსტინემ აფრიკის საქმეების გაძლოლა ვანდალებთან ბრძოლის დროს სარდალ სოლომონს ჩააბარა «და მისცა მას თავის განკარგულებაში ჯარი და სარდლები, მათ შორის რუფინე და ლეონტი, ფ ა რ ე ზ მ ა ნ ე ს მის ზავნას (ზანნას) შვილები... აქ რუფინემ და

კასპიის კარები.

Τὸ Κιλίκιον ὄρος ὁ Ταῦρος ἀμεί-
βει μὲν τὰ πρῶτα Καππαδοκίας τε
καὶ Ἀρμενίας καὶ τῶν Περσῶν
μενίων κελουμένων τὴν γῆν, ἔτι
μέντοι Ἀλβανούς τε καὶ Ἰβήρας¹,
καὶ ὅσα ἄλλα ἔθνη ἀντιοισιέ τε
καὶ Πέρσας κατ' ἴκτα τινεῖς φησὶν
ταί. ἐξικνεῖται γὰρ ἐς χώραν πολ-
λήν, πρὸνται δὲ αἰεὶ τὸ ὄρος τοῦ-
τα ἐς μέγα τι χροῖον εὐρύας τε
καὶ ἕψους δείξει. ὑπερβάντι δὲ
τοὺς Ἰβήρων ὄρους ἀτραπίς τις
ἔστιν ἐν στενοχωρίᾳ πολλῇ, ἐπι

I 10. კილიკიელთა მთა ტავრი
გადის ჯერ კაპადოკიელთა, არმე-
ნიელთა და ეგრეთწოდებულ პერ-
სარმენიელთა ქვეყნებზე, შემდეგ
უკვე ალბანთა და იბერთა და იმ
დანარჩენ ტომთა, თვითთავდთა და
სპარსელების ქვეშევრდომთა, რო-
მელნიც აქ ცხოვრობენ. ის გაშლი-
ლია დიდს მანძილზე, ხოლო, რაც
უფრო წინ მიდიხარ, ეს მთა უფ-
რო დიდად იშლება სიგანეზეც და
სიმაღლეზეც. იბერთა საზღვრებს
რომ გადახვალ, ვიწრობში ერ-

ლონტიმ, ფარეზმანეს ძის ზავნას შვილებმა, ვაჟკაცობის ღირსი საქმეები გამოაჩი-
ნეს მტრის წინააღმდეგ ბოძოლაში» (H a u r y I 508 და 515).

ამავე ფარსმანზე უფრო დაწვრილებით სწერს ზ ა ქ ა რ ი ა რ ე ტ ო რ ი:
სპარსთა მეფე კავადი «მოვიდა ჯარით რომაელების წინააღმდეგ. ესენი გაიქცენ
მისგან და დასტოვეს თავიანთი კარები და განძეულობა, რომელიც თან ჰქონდათ:
არეობინდე გაიქცა ჰარზამის ციხიდან, იპატი, პატრიკი და სხვები ტელლ-ქასრა-
დან. მათ ბევრი ცხენი და ცხენოსანი დაჰკარგეს, რომლებიც კლდეებიდან გადმო-
ეშვენ, დაიმსხვრენ, დაიხოცენ ან დაიჭრენ. მხოლოდ ერთმა მამაცმა მეომარმა
ფ ა რ ე მ ა ნ ე მ (Hamilton: „Farzman, a warlike man“; Ahrens-Krüger: „ein
gewisser Kriegsmann Pharezmân) რამდენჯერმე გაიმარჯვა ბრძოლაში, შეიქმნა
სახელოვანი და სპარსელებს შიშის ზარი დასცა; მისი სახელი მათ აშინებდა, მისი
საქმეები ანადგურებდა მათ და ასუსტებდა მათ რიცხვს, მის წინაშე ისინი მხდა-
ლობდენ და მარცხდებოდენ. ბოლოს, ეს მოვიდა ხუთასი ცხენოსნით ამიდაში,
დაუდარაჯდა სპარსელებს, რომლებიც სოფლებში გადიოდენ, ზოგიერთი მათგანი
მოკლა და წაართვა მათ საქონელი, რომელიც თან მოჰყავდათ, და ცხენებიც». ვინ-
მე გადდანას მოხერხებულობის წყალობით ფარეზმანე გამოიტყუებს ქალაქიდან
სპარსელთა სარდალს გლონს ჯარითურთ და ამოჟლეტს მათ. სარდალის მოკვლის
გამო სპარსელებმა დაატყვევეს მცხოვრებნი და ქალაქში საშინელი შიმშილობა ჩა-
მოვარდა. ბოლოს «ქალაქში მოვიდა ფარეზმანე და იქ დარჩენილ, ძალამიხდილ
სპარსელებთან ხელშეკრულება დადვა.... ფარეზმანე დარჩა ქალაქში და მართავდა
მცხოვრებლებს და ქვეყანას» (A h e r e n s - K r ü g e r, Die sogenannte Kirchen-
geschichte des Zacharias Rhe or. Leipzig 1899, S. 112 – 115; H a m i l t o n -
B r o o k s, The syriac chronicle known as that pf Zachariah of Mitylene,
London 1899, 161 – 163).

¹) Ἰβήρας G (აქაც და ქვემოთაც).

σταδίων πεντήκοντα ἐξικνουμένη. αὕτη δὲ ἡ ἀτραπὸς ἐς ἀπότομόν τινα καὶ θλάς ἀβατον τελευτᾷ χῶρον. διόδος γὰρ ἐνδεμία τὸ λοιπὸν φαίνεται, πλὴν γε δὴ ὅτι ὡσπερ τινὰ χειροποιήτων πύλων ἐνταυθι ἡ φύσις ἐξεύρεν, ἡ Κασπία ἐκ πύλων ἐκλήθη. τὸ δὲ ἐνθένδε πεδίον τέ ἐστιν ἰσπύλατα καὶ ἑδῶτων πολλῶν ἀτεχνῶς ἐμπλεα, καὶ χώρα πολλῆ ἰσπύλατος τε καὶ ἄλλως ἰσπύλα. ἐν δὲ τὰ Οὐννων ἔθνη σχεδὸν τι ἀπαντα ἴθρυται ἀχρη ἐς τὴν Μακῶν διήκοντα λίμνην. οὗτοι ἦν μὲν διὰ τῆς πύλωνος ἡς ἀρτι ἐμνήσθη ἰσίων ἐς τὰ Περσῶν τε καὶ Ῥωμαίων ἔθνη, ἀχρη φέσει τε τοῖς ἰσπύλοις ἰσίοις καὶ περιόδοι τινὲς ὑδάτι χρώμενοι οὐδὲ κρημνῶσιν ἐντυχόντες χωρίσις, ὅτι μὴ τοῖς πεντήκοντα σταδίοις ἐκαίνοις, ὡσπερ εἰς τοὺς Ἰσθμίου ἕρσις, ὡσπερ ἐρρήθη, διήκουσιν. ἐπ' ἄλλας δὲ τινὰς ἐξόδους ἰόντες πόνω τε πολλῶ παραγίνονται καὶ ἰσπύλοις οὐκ ἐπι χρεῖσθαι τοῖς αὐτοῖς ἔχοντες. περιόδοις τε γὰρ αὐτοῖς περιμέναι πολλὰς ἐπάναγκες καὶ ταύτας κρημνῶσιν. ὅπερ ἐπειδὴ ὁ Φιλίππου Ἀλέξανδρος κατενόησε, πύλας τε ἐν χώρῳ ἐτεκνήσατο τῶ εἰρημένῳ καὶ φυλακτήριον κατεστήσατο. ὃ δὲ ἄλλοι¹ τε πολλοὶ προϊόντος χρόνου ἔσχον καὶ Ἀμβρα-

თი ბილიკი შეგხვდება, ორმოცდაათი სტადიონის მანძილზე გაჭიმული. ეს ბილიკი ერთს ციცაბო და სრულიად გაუვალ ადგილს მიადგება: არავითარი გასავალი აქ აღარ ჩანს, ის-ღა არის მხოლოდ, რომ ბუნებას აქ გაუკეთებია თითქოს ხელქმნილი კარი, რომელსაც ძველითგანვე კასპიის კარი ჰქვია. ამის იქით არის გაშლილი ველები, წყლით მდიდარი ხელოვნური რწყვის გარეშე – და მიწები, ცხენთსამოვი და სხვათა შორის, სწორი იქ თითქმის მთლიანად მხოლოდ ჰუნთა ტომები დამკვიდრებულან ვიდრე მეოტის ტბამდე. როდესაც ესენი სპარსელთა და რომაელთა ადგილებში მოდიან იმ კარით, რომელზეაც ეხლახან მოგახსენებდით, ისინი წმინდა ჯიშის ცხენებით მოდიან ისე, რომ არავითარ გარემოვლას არ საჭიროებენ და არც დაქანებულ ადგილებს ხვდებიან, გარდა იმ ორმოცდაათი სტადიონისა, რომლითაც მოაღწევენ იბერიის საზღვრებს, როგორც ეს უკვე ითქვა. სხვა რომელიმე გასავლებით რომ წამოვიდენ, მრავალი დაბრკოლება შეხვდებათ და ვერც იმ ცხენებს გამოიყენებენ, რომელიც მათ ჰყავთ. ვინაიდან მათ დასჭირდებათ მრავალ ადგილას გარემოვლა, ისიც დაქანებულ ადგილებში, რადგან ალექსანდრემ, ფილი-

¹) სტრ. 29 – 33 (ὅπερ -- ἄλλοι) კოსტანტინეს ექსცერპტებში იკითხება ასე: ὅτι κατὰ τὰς κασπίας καλουμένας πύλας ὁ φιλίππου ἀλέξανδρος πύλας τεκνηγμένως φυλακτήριον κατεστήσατο. ὃ δὲ ἄλλοι: (Excerpta de legationibus, ed. C. de Boor II 490).

ζούκης, Οὐγγος μὲν γένος, Ῥωμαί-
 ρις δὲ καὶ Ἀναστασίῳ βασιλεῖ φί-
 λος. αὐτός Ἀμβραζούκης ἐπειδὴ ἔς
 τε γῆρας ἀφῆκτο βαθὺ καὶ τελευ-
 τᾶν ἔμελλε, πέμψας παρὰ τὸν Ἀνα-
 στάσιον, χρήματά οἱ δοῦναι ἵκει,
 ἐφ' ᾧ τὸ τε φυλακτήριον καὶ πύ-
 λας τᾶς Κασπίας ἐνδῶσει Ῥωμαί-
 οισ. βασιλεὺς δὲ Ἀναστάσιος (δρᾶν
 γὰρ ἀνεπισκέπτως οὐδὲν οὔτε ἡ-
 στατο οὔτε εἰῶθει) λογισάμενος
 ὅτι οἱ στρατιώτας ἐνταῦθα ἐκτρέ-
 φειν¹ ἀδύνατα ἦν ἐν χωρίῳ ἐρήμῳ
 τε ἀγαθῶν ἀπάντων καὶ σὺδαμῆ
 ἐν γειτόνων ἔχοντι ἔθνος Ῥωμαί-
 οισ κατήκασον, χάριν μὲν τῷ ἀν-
 θρώπῳ τῆς ἐς αὐτὸν εὐνοίας πολ-
 λὴν ἠμολόγει, τὸ δὲ ἔργον τούτο
 οὐδὲν λέγω προσέειπο. Ἀμβραζού-
 κης μὲν οὖν οὐ πολλῶ ὑστερον
 ἐτελεύτη νόσῳ, Καβιάδης δὲ βια-
 σάμενος τὴν αὐτοῦ παιδᾶς τὰς πύ-
 λας ἔσχεν (Haugy I 45—47).

პეს ძემ, ეს იცოდა, მან ხსენებულ
 ადგილას კარები ააგო და სიმაგრე
 აღმართა. ეს სიმაგრე დროთა გან-
 მავლობაში ბევრს ეჭირა და ამბა-
 ზუკისაც, შთამომავლობით ჰუნნს,
 რომაელებისა და ანასტასი მეფის
 მეგობარს. როდესაც ეს ამბაზუკი
 ღრმა სიბერეში შევიდა და სიკვ-
 დილს უახლოვდებოდა, შეუთვალა
 ანასტასის ფული მიეცა მისთვის და
 ის გადასცემდა რომაელებს სიმა-
 გრეს და კასპიის კარებს. ხოლო
 ანასტასი მეფე (მას ხომ მოუფიქ-
 რებლად რისამე გაკეთება არც შე-
 ეძლო და არც ჩვეული იყო) მივი-
 და იმ დასკვნამდე, რომ მისთვის
 შეუძლებელი იქნებოდა ჯარისკა-
 ცების შენახვა იქ, ყოველგვარ სი-
 კეთეს მოკლებულ ადგილას, სა-
 დაც მეზობლად არ მოიპოვებოდა
 რომაელთა ქვეშევრდომი ტომები,
 და მადლობა უძღვნა იმ კაცს
 (ე. ი. ამბაზუკის) მისდამი უაღრესი

კეთილგანწყობილებისათვის, ხოლო თვით საქმე უყურადღებოთ და-
 სტოვა. დიდი ხანი არ გასულა მის შემდეგ და ამბაზუკი გარდაიცვა-
 ლა ავადმყოფობისაგან, ხოლო კავადმა სძლია იმის შვილებს და კა-
 რები დაიპყრა².

დავა ლაზიკის გარშემო.

[კავადი სთხოვს იუსტინეს იშვილოს მისი ძე ხოსრო, უკანასკნე-
 ლის მომავალი მდგომარეობის განმტკიცების მიზნით. იუსტინე კი,
 კვესტორ პროკლეს რჩევით, ამის თანხმობას არ იძლევა და უთვლის
 კავადს, რომ ის გამოგზავნის თავის წარმომადგენლებს სპარსელებთან
 ზავის შესაკრავად და ხოსროს საკითხის მოსაგვარებლად. მოლაპარა-

¹) ἐκτρέφειν *VG*.

²) «კასპიის კარები» მოხსენებული აქვს პროკოპის ქვემოთაც (BP I, 12, 22;
 II, 10; BG IV, 3).

კვამც სპარსელებსა და რომაელებს შორის მალე დაიწყო ერთ ადგილას, ორივე ქვეყნის საზღვარზე, და მასში მონაწილეობა მიიღეს: რომაელების მხრით – იპატიმ, პატრიკიმ და რუფინემ ¹; სპარსელების მხრით – სეოსმა და მევლიმ.]

Πολλοὶ μὲν σὺν καὶ ἄλλοι λόγοι πρὸς ἀμφοτέρων ὑπὲρ τῶν ἐν σφίσι διαφόρων ἐλέγοντο, καὶ γῆν δὲ τὴν Κολχίδαν, ἣ νῦν Ἀαζιὰ καὶ ἐπικαλεῖται, Σεοσης ἔλεγε Περσῶν κατήκοον το ἀνέκαθεν ὄνσαν βίασαμένους λόγῳ σὺθενὶ Ῥωμαίους ἔχειν. ταῦτα Ῥωμαῖοι ἀκούσαντες δεινὰ ἐποιούοντο, εἰ καὶ Ἀαζιὰ πρὸς Περσῶν ἀντιλέγοιτο...

Μετὰ δὲ Μεβδόης μὲν τὸν Σεόσην διέβηκε Καβδόη, ὡς δὴ ἔξεπίτηδες, σὺν οἱ ἐπιτεταγμένον πρὸς τῷ δεσπότου, τὸν Ἀαζιῆς λόγον προθεῖη, τὴν εἰρήνην ἐκκρούσαν Ἰπατίῳ τε καινελογησάμενος πρότερον... (Haugy I 53, 16—54, 12).

I 11. ბევრი სხვადასხვანაირი სიტყვები უთხრეს ერთმანეთს მათ შორის არსებულ უთანხმოებათა შესახებ და სეოსმა თქვა, რომ კოლხიდა, რომელსაც ეხლა ლაზიკე ეწოდება, ძველითგანვე რომ სპარსელთა ქვეშევრდომი იყო, რომაელებს ძალით უჭირავთ; უსამართლოდ. რომაელები აღშფოთებით ისმენდენ ამას, სპარსელები რომ ლაზიკესაც ეცილებოდენ.....

შემდეგში მევლიმ დააბეზდა სეოსი კავადთან, თითქოს მას განზრახ, ისე რომ დესპოტისაგან ეს დავალებული არ ჰქონია, ლაპარაკი დაეწყო ლაზიკეზე, რომ გაეჭიანურებინა ზავის საქმე, თითქოს ის წინასწარ ყოფილიყოს შეთანხმებული იპატისთან.

იბერია და გურგენ მეფე. ლაზების ყოფა-ცხოვრება.

Εὐθύς δὲ Καβδόης, καίπερ ἐν σπουδῇ ἔχων ἐσβλήην τινα ἐξ τῶν Ῥωμαίων ποιείσθαι τὴν γῆν, σὺδραμῇ ἵσχυσεν, ἐπεὶ αὐτῷ ἐναντίωμα τοιόνδε ξυνηέχθη γενέσθαι. Ἰβήρης, εἰ ἐν τῇ Ἀσίᾳ οἰκοῦσι, πρὸς αὐταῖς που ταῖς Κασπίαις ἴδρυνται πύλαις, αἵπερ αὐταῖς εἶσι πρὸς βορρᾶν ἀνεμῶν. καὶ

I 12... თუმცა კავადს განზრახვა ჰქონდა რამენაირად შეჭრილიყო რომაელთა მიწაწყალში, მაგრამ მან ეს მაშინვე ვერ მოახერხა, რადგან მას შემდეგი დაბრკოლება შეხვდა. იბერები, რომელნიც აზოში ცხოვრობენ, დამკვიდრებულან სადღაც კასპიის კარებთან, რომელიც მათგან ჩრდილოეთით არის.

¹) ზ ა ქ ა რ ი ა რ ე ტ ო რ ი ს ცნობით ამ მოლაპარაკებაში ბიზანტიელების მხრით მონაწილეობა მიიღეს იპატიმ და «მოხუცმა ფ ა რ ე ზ მ ა ნ ე მ» (Ahrens-Krüger, 157).

αὐτῶν ἐν ἀριστερᾷ μὲν ἐχομένη
 πρὸς τὰς ἡλίους δυσμὰς Δαξικὴ
 ἐστίν, ἐν δεξιᾷ δὲ πρὸς ἀνίσχοντα
 ἡλίον τὰ Περσῶν ἔθνη. οὗτος ὁ
 λεῶς Χριστιανὸί τε εἰσι καὶ τὰ
 νόμιμα τῆς δόξης φυλάσσουσι
 ταύτης πάντων μάλιστα ἀνθ-
 ρῶπων ὧν ἡμεῖς ἴσμεν, κατή-
 κει: μέντοι ἐκ παλαιῶν τοῦ Περ-
 σῶν βασιλείως τυγχάνουσιν ὄντας
 τότε δὲ αὐτοὺς ἰθεὺς Καβάδης
 ἐς τὰ νόμιμα τῆς αὐτοῦ δόξης
 βιάζεσθαι. καὶ αὐτῶν¹ τῇ βασιλεῖ
 Γουργένῃ ἐπέστελλε τὰ τε ἄλλα
 ποιεῖν ἢ Πέρσαι νομίζουσι καὶ
 τοὺς νεκροὺς τῆ γῆ ὡς ἤμισα
 κρύπτειν, ἀλλ' ὄρνισί τε ῥίπτειν
 καὶ κυσὶν ἀπκντας. διὸ δὲ Γουρ-
 γένης προσχωρεῖν Ἰουστίνῳ βασι-
 λεῖ ἰθεὺς τὰ τε πιστὰ ἡξίου λα-
 βεῖν, ὡς οὐποτε Ἰβηρας κατα-
 προήσονται Πέρσαις Ῥωμαῖοι. ὁ
 δὲ ταῦτά τε αὐτῷ ξὺν προθυμίᾳ
 πλελλῇ ἐδίδου καὶ Πρόβον τὸν Ἀνα-
 στασίου τοῦ βεβασιλευκότος ἀδελ-
 φίδου, ἀνδρα πατρίκιον, ξὺν πολ-
 λοις ἐς Βόσπορον ἐπεμψεν, ἐφ' ἣ
 στρατεύμα ὄντων χρήμασιν ἀνα-
 πείσας Ἰβηροὺς πέμψῃ ἐς ξυμμα-
 χίαν. ἐστὶ δὲ πόλις ἐπίθλασσίᾳ ἢ
 Βόσπορος, ἐν ἀριστερᾷ μὲν ἐσ-
 πλένεται τὸν Εὐξείνου κελύμενον
 πόντον, Δερσῶνος δὲ πέλειας, ἢ γῆς
 τῆς Ῥωμαίων ἐσχάτη ἐστίν, ὁδῶ

მათ მარცხნივ კი დასავლეთით მდებარეობს ლაზიკე, ხოლო მარჯვნივ, აღმოსავლეთით, ცხოვრობენ სპარსელთა ტომები. ისინი (იბერები) ქრისტიანენი არიან და ამ სარწმუნოების წესებს ყველა იმათზე უკეთ იცავენ, რომელთაც ჩვენ ვიცნობთ, ხოლო ძველითგანვე სპარსელთა მეფის ქვეშევრდომნი გამხდარან. მაშინ კავადს უნდოდა ძალით მოექცია ისინი თავისი სარწმუნოების წესებზე და მათ მეფეს გურგენს შეუთვალა სხვა რამეშიაც ისე მოქცეულიყო, როგორც სპარსელებში იყო მიღებული, და მიცვალებულებიც მიწაში კი არ დაემარხა, არამედ ყველა მიცვალებული ფრინველებისა და ძაღლებისა გადაეგდო. ამიტომ გურგენმა მოინდომა იუსტინე მეფის მხარეს გადასულიყო და პირობა მიელო, რომ რომაელები არასდროს სპარსელების ხელში არ ჩააგდებდნენ იბერებს. იმნაც (ე. ი. იუსტინემ) მას დიდის სიამოვნებით მისცა ეს დაპირება და ბოსპორში გაგზავნა დიდძალი ფულით პრობე, გარდაცვალებული ანასტასის ძმისწული, პატრიკოსი, რათა ჰუნების ჯარი ფულის საშუალებით დაეყოლიებინა და იბერთა დასახმარებლად გაეგზავნა. ბოსპორი ზღვის ნაპირა ქალაქია, ეგრეთწოდებულ ევქსინის პონტში რომ

¹) აქიდან დაწყებული კონსტანტინეს ექსცერპტებში იკითხება ასე:

... ὅτι ὁ τῶν Περσῶν βασιλεὺς ἐπέστελλε τὴν Ἰβηροὺς τὰ νόμιμα τῆς αὐτοῦ πολιτείας τηρεῖν, διὸ γουργένης ὁ βασιλεὺς αὐτῶν προσχωρεῖν..... (Excerpta de leg. II 492).

διέχουσα ἡμερῶν εἶκασιν. ὧν δὲ
τὰ ἐν μέσῳ ἀπαντα Οὐνοὶ ἔχου-
σιν, οἱ δὲ Βασπορίται αὐτόνομοι
μὲν τὸ παλαιὸν ᾤκουν, Ἰουστινῶ
δὲ βασιλεῖ ἑναγχος προσχωρεῖν
ἔγνωσαν. ἐπεὶ δὲ Πρόβος ἐνθῆνδε
ἄπρακτος ἀνεχώρησε, Πέτρον στρα-
τηγὸν σὺν Οὐνοῦ τισὶν ἐς Λαζι-
κίαν βασιλεὺς ἐπεμψε Γουργένη
οση δὴναμὲς ξυμραχίσοντα. ἐν
τούτῳ δὲ Καβάδης στρατεύμα
λόγου πολλοῦ ἄξιον ἐπὶ τῆ Γουρ-
γένην καὶ Ἰβήρας ἐπεμψε καὶ
στρατηγὸν ἄνδρα Πέρσην, εὐαρί-
ζην μὲν τὸ ἀξίωμα, Βόην δὲ ὄνομα.
ὁ τε Γουργένης ἐλάσσαν ὁφθαλ-
μῶν φέρειν τὴν Περσῶν ἐφοδόν, ἐπεὶ
οἱ τὰ ἐκ Ῥωμαίων εὐχὴν ἔχον ἦν,
ξὺν Ἰβήρων τῆς λογίμοις ἀπασιν
ἐς Λαζικήν ἔφυγε, τὴν τε γυναῖ-
κα καὶ τοὺς παῖδας ξὺν τῆς ἀδελ-
φῆς ἐπαγόμενος, ὧν δὲ Περσῶν ὁ
προσβύτατος¹ ἦν. ἐν δὲ τῆς Λαζι-
κῆς ὁρίαις γενόμενοι ἔμεινον ταῖς
τῆ δυσχωρίαις φραζόμενοι τοὺς πο-
λεμῆσιν ἐφίσταντο. Πέρσαι δὲ αὐ-
τοῖς ἐπισπόμενοι οὐδὲν ὅ τι καὶ λόγου
ἄξιον ἐπρασσόν, τὴν πρᾶγματις σφίσι
διὰ τῆς δυσχωρίαις ἀνίστασθαι.

შედიხარ - მარცხნივ, ხოლო ქალაქ ქერსონს, რომელიც არის რომაელთა მიწაწყლის უკანასკნელი ადგილი, ოცი დღის სავალ გზაზეა დაშორებული. მათ შუა მდებარე მთელი ადგილი ჰუნებს უჭირავთ. ბოსპორიტები კი ძველად თვითთავადად ცხოვრობდენ, ხოლო დიდი ხანი არ არის, რაც იუსტინე მეფეს მიეკედლენ. რადგან პრობე იქიდან უშედეგოთ დაბრუნდა, მეფემ პეტრე სტრატეგოსი გაგზავნა ლაზიკეში რამდენიმე ჰუნნითურთ, რომ ის დახმარებოდა გურგენს, რამდენადაც შესაძლებელი იყო. ამავე დროს კავადმაც დიდძალი ჯარი გაგზავნა გურგენისა და იბერების წინააღმდეგ და სარდალი ვინმე სპარსელი, უარიზის პატივის მქონე, სახელად ვოი. გურგენმა რომ დაინახა, რომ ის სუსტია სპარსელთა იერიშის ატანისათვის, რადგან რომაელების მიერ გამოგზავნილი დამხმარე ძალები საკმაო არ იყო, ლაზიკეში გაიქცა იბერთა ყველა დიდებულებითურთ და თან წაიყვანა ცოლი, შვილები და ძმები, რომელთაგან უხუცესი იყო პერანი². ლაზიკის საზღვრებში რომ

¹) πρεβυτερος P.

²) ბერძნული ტექსტის მიხედვით მსაზღვრელი წინადადება «რომელთაგან უხუცესი იყო პერანი» შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც «ძმებს», ისე «შვილებს». დესტუნიამ წინადადებას «შვილებს» აკუთვნებს (მაშასადამე, პერანი გურგენის უფროსი ძე ყოფილა) და თავის აზრს ისტორიული მიდგომითაც ასაბუთებს: „сведения о старшинстве между детьми царскими в делах о престолонаследии стоят на первом плане“ (გვ. 145, შენ. 9). პროფ. ივ. ჯავახიშვილის მიერ დამტკიცებული დებულებით როგორც დასავლეთს ისე აღმოსავლეთ საქართველოში I – VI საუკუნეებში მეფობის უფლების მემკვიდრეობის წესრიგი პირდაპირი კი არ არის, არამედ ეს უფლება უფროსობით გადადის მთელი

Ἐπειτα δὲ οἱ τε Ἰβηρῆς ἐξ
 Βυζάντιον παρεγένοντο καὶ Πέτ-
 ρος ἐξ βασιλέα μεταπειπιτος ἡλθι,
 καὶ τὸ λοιπὸν βασιλεὺς Λαζῶν ἐν
 βουλομένους ξυμφυλάσσειν τὴν χώ-
 ρην ἡξίου, στρατεύμα' τε καὶ Εὐ-
 ρηναῖον ἄρχοντα πέμψας. ἔστι δὲ
 φρούριον ἐν Λαζῶν δὴ εὐμὸς εἰ-
 σιόντι ἐκ τῶν Ἰβηρῶν ἑρώων, ὧν
 φυλακὴ τῆς ἐπιχωρίους ἐκ παλαιῶν
 ἐπιμελήσῃ ἦν, καίπερ ταλαιπωρία
 πολλῆν ἔχοιένοις, ἐπεὶ οὔτε σίτες
 ἐνταῦθα οὔτε οἶνος οὔτε ἄλλο τι
 ἀγνῶτον γίνεται. σὺ μὴν οὐδέ τι
 ἐτέρωθεν ἐσκαμίζεσθαι διὰ τὴν
 στενοχωρίαν εἶναι τὸ ἐστίν, οὐ μὴ
 φερόντων ἀπορώπων. ἐλπίμοις¹ μέντοι

მოვიდენ, აი გაჩერდენ და, ძნელ-
 გასავლელი ადგილებით დაცულნი,
 იგერიებდენ მტერს. სპარსელები კი
 დაედევნენ მათ, მაგრამ მაინცა-და-
 მაინც ვერაფერი დააკლეს, რად-
 გან საქმეს აფერხებდა ძნელგასა-
 ვლელი ადგილები.

შემდეგ იბერები ბიზანტიონში
 ჩავიდენ, პეტრეც მოვიდა, მეფის
 მიერ გამოწვეული. სხვათა შორის,
 რადგან ლაზებს არ სურდათ თა-
 ვისი ქვეყნის თანადაცვა, მეფემ
 გადაწყვიტა გაეგზავნა ჯარი და
 სარდალი ირენე. იბერიის საზღვ-
 რებიდან რომ შედიხარ, იქვეა ლა-
 ზების მიწაწყალზე ორი სიმაგრე,
 რომელთა დაცვა ძველითგანვე ად-

სამეფო საგვარეულოს ამა თუ იმ წევრზე (ქართული სამართლის ისტორია I, 180.
 ტფილისი 1928). და ჩვენ ვფიქრობთ, რომ პროკოპი კესარიელის მიზანიც იყო,
 აღენიშნა ის «უხუცესი» შვილი თუ ძმა გურგენისა, რომელიც მეფობის უფლების
 კანონიერ მემკვიდრედ ითვლებოდა.

იმავე პერანის იხსენიებს პროკოპი რამდენჯერმე BP II, 24, 25, 26,
 27 28, BG I, 5, 23 19, 29; III 6, 27, IV; 26: პ. ი ნ გ ო რ ო ყ ვ ა მიუ-
 თითებს ბოლნისის წარწერის «ფრანე ერისთავსა»-ს და ფიქრობს, რომ ეს პრო-
 კოპი კესარიელის «პერანი» უნდა იყოს (იხ ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართული
 პალეოგრაფია, 179, შენ. 2), მაგრამ ამ წარწერის გამოქვეყნებულ ტექსტში იკით-
 ხება «მე ფარნ//////// (შდ. ა. შ ა ნ ი ძ ე: ტფ. უნ. მოამბე II 279).

¹) ამ მარცვლეულს იხსენიებს პროკოპი მეორე შემთხვევაშიც (BC
 IV 13), სადაც აღნიშნავს, რომ სკანდასა და შორაპანში ჩაყენებულმა ბერძენთა
 ჯარმა ვერ აიტანა «ელვმოსით» კვება, რადგან იგი მისთვის უჩვეულო იყო.
 დ ე უ ბ უ ა ს გაგებით ეს მარცვლეული „ლომი“ უნდა ყოფილიყო, და ქართულ
 საისტორიო მწერლობაშიც ასეთი გაგება დამკვიდრდა (იხ. მაგ., ალ. ჭ ყ ო ნ ი ა,
 ისტორიული ნარკვევი, 336, ტფილისი 1890; დ. ბ ა ქ რ ა ძ ე, ისტორია საქართვე-
 ლოსი, 179, ტფილისი 1889).

სიტყვა ελωμος ბერძნულში იშვიათად იხმარება, მისი ეტიმოლოგიაც გა-
 მოურკვეველია. Etymologicum Magnum იძლევა ასეთ განმარტებას:

Ἐλωμος — σπέρμα τι β' ἐφ' ὧν-
 τες οἱ Λακωνεὺς ἴσθιον. Ἀριστο-
 φάνης Νησοῖς. παρὰ τὸ ἐλωρ. ἔλω-
 მოς· χαίρει γὰρ ἐν ἡρώσῃ τ' ἰσῖς
 καὶ ἐν ἐλεσι φέρεσθαι (ხ ი ლ ბ უ რ-
 გ ი ს გამოცემა, სვეტი 302).

ელვმოს – ერთნაირი მარცვლეულია,
 რომელსაც ლაკონელები ხარშავენ და ისე
 სჭამენ. არისტოფანე «კუნძულებში». ჰე-
 ლოს-ისაგან ელვმოს; ის ხომ სისველის
 შემცველ ადგილებსა და ჭაობებში ხარობს.

τισιν ἐνταῦθα γιγνομένοις ἐπισημ-
νον σφίσιν οἱ Λαῶσι ἀποδείξην ἰσχυρῶν.
τούτους ἐξαναστήσας ἐνθίνδε βρασι-
λεύς τους φρουρούς, στρατιώτας
Ῥωμαίους ἐκέλευεν ἐπὶ τῇ φυλα-
κῇ τῶν φρουρῶν καθίστασθαι.
οἷς δὲ κατ' ἀρχάς μὲν ἐπιτίθειν
μύλις Λαῶσι ἔφερον, ὕστερον δὲ
αὐτοὶ τε πρὸς τὴν ἰσχυρίαν ἀπ-
εῖπον καὶ Ῥωμαῖσι τὰ φρούρια
ταῦτα ἐξέλιπον, οἷς τε Πέρσαι πύ-
νη αὐτὰ εὐθὺς ἔσχον. ταῦτα μὲν
ἐν Λαζαῖς γέγονε (Hauriy I 55-
58).

გილობრივი მცხოვრებლების სა-
ზღვრუნავს შეადგენდა¹, თუმცა მათ
ბევრი ნაკლებობის გადატანა უბ-
დებოდათ, რადგან იქ არ მოდის
არც ხორბალი, არც ღვინო, არც
სხვა რამ სიკეთე. სხვა ადგილიდან
რისამე შემოზიდვა, ვიწრობების
წყალობით, შეიძლება მხოლოდ
ისე, თუ კაცები თვითონ მოიტა-
ნენ. მაინც რადგან იქ რამოდე-
ნადმე ქვრიმა მოდიოდა, ლაზები
ახერხებდნენ, ჩვეულებისამებრ, თა-
ვის გამოკვებას. მეფემ გამოიყვანა
იქიდან ეს მცველები და რომაელ

ჯარისკაცებს უბრძანა სიმაგრეების სადარაჯოზე დამდგარიყვნენ. თავ-
დაპირველად მათ ლაზები აწოდებდნენ ძლივს-ძლივობით საჭირო
სურსათს, მაგრამ შემდეგ მათ უარი განაცხადეს ამ სამსახურზე და
რომაელებმა ეს სიმაგრეები დატოვეს; ისინი ხელთ იგდეს სპარსე-
ლებმა სრულიად გაურჯელად. აი, ეს მოხდა ლაზების ქვეყანაში.

ჭანების ტომი.

Τότε καὶ Περσῶν χωρία ἐν Περ-
σαιμενίσις Ῥωμαῖοι ἔσχον φρου-
ρίων τε τὸ Βῶλον καὶ τὸ Φαράγγ-
γιον καλοῦμενον, ὅθεν δὲ τὸν
χρυσὸν Πέρσαι ὀρύσσοιτες βασιλ.εἰ
φέρουσιν. ἐτύγγανον δὲ καὶ ὀλίγη
πρότερον καταστρεψάμενοι τὸ Τζα-

I 15. მაშინ რომაელებმა დაი-
ჭირეს სპარსელთა ადგილები პერ-
სარმენიელთა ქვეყანაში; სიმაგრე
ბოლონი და ეგრეთწოდებული ფა-
რანგიონი, სადაც სპარსელები ოქ-
როს თხრიან და მეფესთან მიაქვთ.
ცოტა ხნის წინათ მოხდა, რომ

«ჰელოს»-ისაგან (ნიშნავს „ჭაობს“) «ელუმოს»-ის წარმოებას მრავალი ფო-
ნეტიკურ-მორფოლოგიური მოსაზრება ელობება წინ და ამდენად ეს ეტიმოლო-
გია მიუღებელია. დანარჩენი განმარტება კი საკმაო მასალას იძლევა ჩვენი მარ-
ცვლეულის რაობის გამოსარკვევად. პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი ს გამოკვლევით
(საქართველოს ეკონომიური ისტორია, 366 – 368, ტფილისი 1930) ეს მარცვლე-
ული, რომელსაც თანამედროვე ბერძნულ-ლათინური ლექსიკონები panicum itali-
cum-ად („ფეტვი“) განმარტავენ, ქ ვ რ ი მ ა უ ნ და იყოს.

¹) ლაპარაკია სვანდასა და სარაპანისზე, რომელთა შესახებ დაწვრილებით
მოგვითხრობს პროკოპი BP II, 29; BC, IV, 13, 16; იგივე ციხე-სიმაგრეები იხსე-
ნიება 562 წლის მოლაპარაკების დროს, როდესაც ბიზანტიის რწმუნებული პეტრე
პატრიკიოსი და ხოსრო დავობენ სვანეთის შესახებ: «და კვლავ იდავეს სვანეთის
შესახებ. მეფემ (ხოსრომ) თქვა: როდესაც მე დავიჭირე Σκάνδεις (var.: Σκένδεις)
და Σάραπα და ლაზიკე, თქვენ არ გითქვამთ, რომ მაშინ სვანეთი თქვენ ქვეშევრ-
დომთა რიცხვში გყავდათ» (მ ე ნ ა ნ დ რ ე, ფრგ. 11: Hist.Gr. Minores, II 30 ed.
D i n d o r f i u s, Excerpta de legationibus, I, 186, ed. C. de B o o r).

νικόν ἔθνος, οἷ ἐν γῆ τῇ Ῥω-
 μαίων αὐτίνομοι ἐκ παλαιῶν ἰδ-
 ρυντο ἅπερ αὐτίκα ὄντι. να ἐπρά-
 χθη τρόπον λελέξεται. ἐκ τῶν
 Ἑρμενίας χωρίων ἐς Περσαρμενί-
 αν ἰόντι ἐν δεξιᾷ μὲν ὁ Ταυρός
 ἔστιν, ἐς τε Ἰβηρίαν καὶ τὰ ἐκεί-
 νη ἔθνη διήκων, ὡσπερ μοι ὀλί-
 γω ἐμπροσθεν εἰρήται, ἐν ἀριστε-
 ρᾷ δὲ κατάντης μὲν ἐπὶ πλείστον
 αἰεὶ προϊούσα ἡ ἑδὸς γίνεται, καὶ
 ὄρη ἀποκρέματα. λίαν ἀπότομα
 νεφέλαις τε καὶ χιύσι κεκαλυμμέ-
 να τίν πάντα αἰῶνα, ἐνθεν ἐξίῶν
 ποταμὸς Φάσις φέρεται ἐς γῆν
 τιν Κολχίδα. ταυτῆ τὸ ἐξ ἀρχῆς
 βάρβαροι, τὸ Ἑρμανικὸν ἔθνος, οὐ-
 δενὸς κατήκοοι: φηγντο, Σάνοι¹ ἐν
 τοῖς ἀνω χρόνοις καλούμενοι, λη-
 σταις μὲν γρώμενοι: ἐς τοὺς πε-
 ρισίους Ῥωμαίους, διαίταν δὲ
 σκληρὰν ὑπερφυῶς ἔχοντες καὶ
 τοῖς φαρμακοῖς αἰεὶ ἀποζῶντες. οὐ γάρ
 τ. ἐς βρώσιν αὐτοῖς ἀγαθὴν ἡ γῆ
 ἔφερε: διὸ δὴ αὐτοῖς χρύσιον τακ-
 τὸν ἀνά πᾶν ἔτος ὁ Ῥωμαίων βα-
 σιλεὺς ἔπεμπεν, ἐφ' ᾧ δὴ μῆπο-
 τε ληίσονται τὰ ἐκεῖνη χωρία. οἱ
 δὲ καὶ ὄρους τοὺς σφίσι πατρί-
 ουσ ὑπὲρ τούτων ὀμνῶντες καὶ τὰ
 ἑρωμοσμένα ἐν ἀλογίᾳ ποιούμε-
 νοι: ἀπροσδόκητοί τε ἐμπίπτοντες
 ἐκ τοῦ ἐπὶ πλείστον ἐκακουργοῦν
 οὐκ Ἑρμενίους² μόνον, ἀλλὰ καὶ
 τοὺς αὐτῶν ἔχομένους Ῥωμαίους
 μέχρι ἐς θάλασσαν δ. ὀλίγου τε

მათ დაიმორჩილეს ჭანების ტომი
 რომელნიც, თვითთავადნი, ძველით-
 განვე დამკვიდრებულან რომაელთა
 მიწაწყალზე. თუ რანაირად მოხდა
 ეს, ეხლავე იქნება ნათქვამი.

არმენიის ადგილებიდან პერსარ-
 მენიაში რომ მიდიხარ, მარჯვნივ
 არის ტავრი, მიმავალი იბერიაში
 და იქ მოსახლე ხალხებამდე, რო-
 გორც ეს მე ცოტა ზემოთ ვთქვი;
 ხოლო მარცხნივ მეტად დაქანე-
 ბული, დიდ მანძილზე გაჭიმული
 გზა არის, და აღმართულია მეტად
 ციცაბო და მუდამ ნისლითა და
 თოვლით დაფარული მთები, საი-
 დანაც გამოდის მდინარე ფაზისი
 და მიდის კოლხეთის ქვეყნისაკენ.
 აქ მოსახლეობდა ჭანების ტომი,
 თავიდანვე ბარბაროსები, რომელ-
 ნიც არავის ქვეშევრდომები არ
 არიან, წინა ხანებში სანებად წოდე-
 ბულნი, ირგვლივ მოსახლე რომა-
 ელების მმარცველნი, რომელნიც
 უაღრესად მკაცრ ცხოვრებას ეწე-
 ოდენ და მუდამ ქურდობით ირ-
 ჩენდენ თავს. მიწა ხომ მათ არა-
 ფერს აძლევდა სარჩოდ. ამიტომაც
 იყო, რომ რომაელთა მეფე ყოველ-
 წლიურად მათ ოქროს განსაზ-
 ღვრულ რაოდენობას უგზავნიდა
 რათა მათ აღარასდროს არ გაე-
 ძარცვათ ის ადგილები. ისინიც
 იძლეოდენ ამაზე მათში მიღებულ
 მამაკაპულ ფიცს, მაგრამ შემდეგ
 ფიცს ივიწყებდენ და თავს ესხმო-
 დენ, მეტნაწილად მოულოდნელად,

და აწიოკებდენ არა მარტო არმენიელებს, არამედ რომაელებსაც,
 რომელნიც ვიდრე ზღვამდე მათი მეზობლები იყვნენ; ცოტა ხნის

1) სოῦνοι V. 2) ἄρμενίους G.

τήν ἔφοδον πεποικημένοι εὐθύς ἐπ' οἴκου ἀπεκομίζοντο, καὶ Ῥωμαίων ἴσως ἐντυχόντες στρατῶ ἴσπαντο μὲν τῇ μάχῃ, ἀλώσιμοι δὲ παντάπασιν οὐκ ἐγίνοντο χωρίων ἰσχυῖ. μάχῃ τοίνυν ὁ Σίπτας αὐτοὺς πρὸ τοῦδε τοῦ πολέμου νικήσας, ἐπαγωγὰ τε πολλὰ ἐς αὐτοὺς εἰπὼν τε καὶ πράξας, προσποιήσασθαι παντελῶς ἰσχυσε. τήν τε γὰρ δ.α.ταν ἐπὶ τὸ ἡμερώτερον μεταβαλόντες, ἐς καταλόγους αὐτοὺς Ῥωμαϊκοὺς ἐσεγράψαντο καὶ τὸ λοιπὸν ζῆν τῇ ἄλλῃ Ῥωμαίων στρατῶ ἐπὶ τοὺς πολέμους ἐξίτασι. τήν τε δόξαν ἐπὶ τὸ εὐσεβέστερον μετέθεντο, ἅπαντες χριστιανοὶ γεγεννημένοι. τὰ μὲν οὖν ἀμφὶ τοῖς Τζάνοις ταύτῃ πη ἔσχεν.

Ἰπερβάντι δὲ τὰ αὐτῶν ὄρια φάραγξ ἐστὶ βαθεῖα τε καὶ λίαν κρημνώδης, μέχρι ἐς τὰ Καυκάσια ὄρη διέκουςα. ἐνταῦθα χωρία τε πολυανθρωπώτατά ἐστι καὶ ἄμπελός τε καὶ ἡ ἄλλη ὄπωρα διαρκῶς φύεται. καὶ μέχρι μὲν ἐς τριῶν ἡμερῶν ὄδον μάλιστα Ῥωμαίοις ἡ φάραγξ αὕτη ἵπποτελής τυγχάνει οὖσα, τὸ δὲ ἐνθὲν δὲ οἱ Περσαρμενίαν ὄροι ἐκδέχονται, οὐδὲ καὶ τὸ τοῦ χρυσοῦ μεταλλῶν ἐστίν, ὡς Καρχαδου δόν.

შემდეგ, თავდასხმას რომ მოათავებდენ, ისინი მაშინვე შინ ბრუნდებოდენ და თუ ვინიციობაა ისინი რომაელთა ჯარს შეემთხვეოდენ, ბრძოლაში მარცხდებოდენ. ხოლო, მათი ადგილების სიმტკიცის გამო, მთლიანად მათი დამორჩილება არ ხერხდებოდა. სიტტამ, მაინც ბრძოლაში დაამარცხა ისინი ჯერ კიდევ ამ ომამდე ¹, და იმით, რომ მომხიბლველად ელაპარაკებოდა და ეპყრობოდა მათ, მან სრულიად შესძლო მათი გადმობირება: მკაცრი ცხოვრება უფრო ჩვილზე შესცვალეს და ეწერებოდენ რომაულ რაზმებში და ამიერიდან რომაელთა ჯართან ერთად მტრების წინააღმდეგ ილაშქრებდენ. სარწმუნოებაც უფრო სანდომიერზე გამოიცვალეს, ყველანი ქრისტიანები გახდნენ. ასეთი იყო საქმის ვითარება ჭანებში.

მათ საზღვრებს რომ გადახვალ, ხევი არის, ღრმა და მეტად დაქანებული, რომელიც კავკასიის მთებამდეა გაჭიმული. აქ ადგილები ძალიან მჭიდროდ არის დასახლებული და ვენახი და სხვა ხეხილიც საკმოდ ხარობს, დაახლოვებით სამი დღის სავალი გზის მანძილამდე ეს ხევი რომაელების ხელშია, იმის შემდეგ კი პერსარმენიელთა

¹) ჭანების დამორჩილება უნდა მომხდარიყო 528 – 535 წლებში. იუსტინიანეს მიერ 528/9 წელს ინიშნება სიტტა magister militum per Armeniam, ხოლო 535 წელს ჭანეთი უკვე ბიზანტიელების ქვეშევრდომია, რაც მტკიცდება იუსტინიანეს ნოველით, რომელიც 535 წლით თარიღდება. აქ, სახელდობრ, ნათქვამია: ლაზების ქვეყანას «მოსდევს ჭანთა მიწა-წყალი, რომელიც ჩვენ დროს იქმნა დაპყრობილი რომაელების მიერ» (ც ა ხ ა რ ი ე-ლ ი ნ გ ე ნ თ ა ლ ი ს გამ. I 192).

τος ἐπετρέπειε τῶν τις ἐπιχωρίων Συμεώνης ὄνομα. οὗτος ὁ Συμεώνης ἐπειδὴ ἀμφοτέρους ἐς τὸν πόλεμον ἀμύζοντας εἶδε, Καβάδην τῆς τῶν χρημάτων προσόδου ἰποστέρειν ἔγνω. διὸ δι' αὐτὸν τε καὶ τὸ Φαράγγιον Ῥωμαῖοις ἐνδοῦς σὺδετέροις τὸν ἐκ τοῦ μετέλλου χρυσὸν ἀποφέρειν ἤξιον. Ῥωμαῖοι μὲν γὰρ σὺδὲν ἔπραττον, ἀποχρῆν σφίσι. ἠγούμενοι ἀπολωλέναι τοῖς πολεμίοις τ.γ. ἐνθὲνδε φορὰν, Πέρσαι δὲ οὐχ οἶοί τε ἦσαν ἀκόντων Ῥωμαίων τοῖς ταύτη φηγμένοις ἀντιστατοῦσθαι τῆς διαχωρίας βιάζεσθαι (Haurv 177-79).

საზღვრები იწყება, სადაც ოქროს მადანი არის, რომელსაც განაგებს, კავადის გადაწყვეტილებით, ერთი ადგილობრივთაგანი, სახელად სიმეონი. როდესაც ამ სიმეონმა დაინახა, რომ ორივე მხარე ბრძოლაში იყო გართული, გადაწყვიტა მოესპო კავადისათვის შემოსავალი, ამიტომ, თავისი თავი და ფარანგიონი რომ რომაელებს ჩააბარა, არც ერთისათვის არ სურდა მადნის ოქროს მიცემა, რომაელები არაფერს ერჩოდენ, მათ თავისთვის ისიც დამაკმაყოფილებლად მიაჩნდათ, რომ მტრისთვის დაკარგული იყო მადნის შემოსავალი; ხოლო სპარსელები უძლურნი იყ-

ნენ – რომაელების სურვილის წინააღმდეგ ძალა დაეტანებინათ იქაური მცხოვრებლებისათვის, რადგან ამას ძნელსავალი ადგილებიც აფერხებდა ¹.

თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდა იუსტინიანეს მთავრობა ჭანეთის დამორჩილებას, უფრო ნათლად ჩანს 535 წლის სხვა ნოველით (Nov. 1: იგივე გამოცემა 17 – 18). ჭანეთის შესახებ უფრო დაწვრილებით პროკოპი მოგვითხრობს ქვემოთ De aedificiis III 6.

¹) ჭანეთის აღწერილობის შემცველი ეს XV თავი იწყება იმ ბრძოლის ამბებით, რომელიც 530 წელს მოხდა რომაული არმენიის მიწაწყალზე.

Καβάδης δὲ ἄλλο στρατεύμα ἐξ Ἀρμενίαν τῆν Ῥωμαίων κατήκοον ἔπεμψε. τὸ δὲ στρατεύμα τ.θ.τ. Περσαρμενίων τε καὶ Σού[α]νιτών ἦσαν. εἰ δὲ Ἄλανις εἶσιν ἄριστοι. Οὐγγοὶ τε αὐτοῖς εἰ Σάβειροι καλόμενοι τρισχίλιοι ἦσαν. μαχηώτατον ἔθ.ς (Haurv I 74).

ხოლო კავადმა მეორე ჯარი გაგზავნა რომაელთა ქვეშევრდომ არმენიაში. ეს ჯარი შესდგებოდა პერსარმენიელთაგან და აგრეთვე ს უ | ა | ნ თ ა გ ა ნ, რომელნიც ალანთა მეზობლად ცხოვრობენ. მათთან იყვნენ ჰუნნებიც, საბირებად წოდებულნი, სამი ათასი კაცი, მეტად მამაცი ხალხი.

ჩვენ მიერ ხაზგასმული სიტყვა «ს უ | ა | ნ თ ა გ ა ნ» პროკოპის ყველა ხელნაწერში იკითხება. ჯერ კიდევ Muralt, Essai de Chronologie Byzantine 150, ჰგულისხმობდა აქ „სვანებს“, ხოლო გ. დ. ე. ს. ტ. უ. ნ. ის. ი (გვ. 180 – 182) მიუთითებს, მოსე ხორენელი ს მიხედვით, VI საუკუნეში არარატის აღმოსავლეთით მოსახლე „სვნიელებზე“. დესტუნისს შეუძლებლად მიაჩნია აქ „სვა-

კასპიის კარების დაცვის საკითხი.

[დარასთან სპარსელების დამარცხების შემდეგ, ბიზანტიელები (რუფინეს პირით) და სპარსელები (თვით კავადი) მოლაპარაკებას აწარმოებენ ზავის შესახებ. კავადი ეუბნება:]

„Ὁ παῖ Σιλβανού, μηδαιῶς ἀντιστρέφειν τὰς αἰτίας πειρῶν, πάντων ἐξεπιστάμενος μάλιστα ταρχῆς ἀπάσης αἰσιωτάτους γεγεῖναι τοὺς Ῥωμαίους ἡμῶς. πύλας γὰρ τὰς Κασπίας ἡμεῖς ἔσχομεν ἐπὶ τῇ Περσῶν τε καὶ Ῥωμαίων ἀγαθῶν βιασάμενοι: τοὺς ἐκείνη βαρβάρους, ἐπεὶ Ἀναστασιος ὁ Ῥωμαίων αὐτοκράτωρ, ὡς πού καὶ αὐτὸς οἶσθα, παρὲν αὐτὰς χρ.μασ.ν ὠνεισίθαι, οὐκ ἔθελεν, ὥπως μὴ στρατεύμα εἰς πάντα τὴν αἰῶνα ἐνταῦθα ἔχων χρέματα μεγάλα ὑπὲρ ἀμφοτέρων

I 16 „ნუ ცდილობ, სილვანეს ძევ, დანაშაულის შებრუნებას, როდესაც ყველაზე უკეთ იცი, რომ მთელი არევდარევის მიზეზი თქვენ ხართ, რომაელები. ჩვენ ვსძლიეთ იქ მცხოვრებ ბარბაროსებს და დავიჭირეთ კასპიის კარები სპარსელთა და რომაელთა სასიკეთოდ, რადგან ანასტასიმ, რომაელთა ავტოკრატორმა, როგორც ეს შენ თვითონაც იცი, მათი (ე. ი. კარების) ყიდვა ფულით, თუმცა ეს შესაძლებელი იყო, არ მოისურვა, რათა იქ მუდმივი ჯარის ყოლით იძულებული არ ყოფილიყო დიდი

ნები“ იგულისხმებოდენ, რადგან სვანები ბიზანტიის ქვეშევრდომნი იყვნენ და სპარსელებმა ისინი შემდეგ დაიპყრესო. ჩვენის აზრით, არ შეიძლება იმის თქმა, თითქოს სვანები ამ დროს მტკიცედ იცავდენ ბიზანტიის ორიენტაციას. მთელი VI საუკუნის განმავლობაში ბიზანტიასა და სპარსეთს შორის დავა სწარმოებს სვანეთის გარშემო და შეუძლებელია ჩვენ ეს ბრძოლა ისე წარმოვიდგინოთ, თითქოს სვანები მას გულხელდაკრეფილნი უცქეროდენ. პირიქით, სვანეთის მოსახლეობა, როგორც ეს ნათლად ჩანს მ ე ნ ა ნ დ რ ე ს ფრაგმენტებიდან, აქტიური მონაწილეა ამ ბრძოლისა, და ეს მონაწილეობა, რასაკვირველია, ერთსულოვანი არაა: ერთი ნაწილი ბიზანტიის ორიენტაციისაა, ხოლო მეორე – სპარსეთისა. ამას უნდა მიეწერებოდეს ის გაბედული სიტყვები, რომელთაც წარმოსთქვამს სპარსელთა წარმომადგენელი ჯ ი ი 562 წლის საზავო მოლაპარაკების დროს: «სვანები თვითთავადნი იყვნენ და არასდროს კოლხების ძალაუფლებას არ ექვემდებარებოდენ»-ო (მ ე ნ ა ნ დ რ ე, ფრგ.11, Hist. Gr. Min. II 19)

რომ პროკოპის ზემომოყვანილ ნაწყვეტში სვანები უნდა იგულისხმებოდენ და არა „სვნიელები“, ამას ჰმოწმობს ის გარემოებაც, რომ ისინი ალანთა მეზობლებად არიან მოხსენებულნი. ასეთი გეოგრაფიული განსაზღვრა სწორედ სვანებს შეეფერება და არა „სვნიელებს“. დასასრულ, ფორმა Σουανίται კანონიერი წარმოებაა Σουανία-დან. მართალია, ჩვეულებრივ ბიზანტიელები ხმარობენ Σουανοი, მაგრამ ასეთი ფორმა პროკოპის არსად არ უხმარია (შდ. Ernst S t e i n: RE III A, s. v. Sittas, 405, 42. Stuttgart 1927).

προεσιθαι ἀναγκάζηται. ἐξ ἐκείνου τε ἡμεῖς στρατιάν τοσαύτην τὸ πλῆθος ἐνταῦθα καταστησάμενοι καὶ ἐς τὸν παρόντα χρόνον ἐκτρέφοντες δεδῶκαμεν ὑμῖν τὴν γε κατὰ τοὺς ἐκείνη βάρβάρους μέρος ἀδῆστον τὴν χώραν οἰκεῖν, ξὺν πολλῇ ἀπραγμοσύνη τὰ ὑμέτερα αὐτῶν ἔχουσιν. ὥσπερ δὲ οὐχ ἱκανὸν ὑμῖν τοῦτ' ἔγε, καὶ πῶς-μεγάλην Δάραις ἐπιτείχισμα Πέρσαις πεποιήσθη, καίπερ διαρρήθην ἐν ταῖς σπονδαῖς ἀπειρημένον, ὥσπερ Ἀνατόλιος πρὸς Πέρσαις ἔθετο· καὶ ἀπ' αὐτοῦ θυοῖν στρατοπέδιον ἀνάγκη πῖνοις τε καὶ θαπίνῃ κεκακῶσθαι τὰ Περσῶν πράγματα, τὸ μὲν, ὅπως μὴ Μασσαγέται τὴν ἀμφοτέρων γῆν ἄγειν τε καὶ φέρειν ἀδεδῶς δυναῶνται, τὸ δὲ, ὅπως ἂν τὰς ὑμέτερας ἐπιδρομὰς ἀναστέλλοιμεν. ὑπὲρ ὧν ἐναγχος μεμφομένων ἡμῶν, θυοῖν τε τὸ ἕτερον ἀξιοῦντων παρ' ἡμῶν γίνεσθαι, ἢ ἐξ ἀμφοτέρων τὸν ἐς πύλας τὰς Κασπίας στρατὸν στέλλεσθαι, ἢ πόλιν Δάραις καταλῦεσθαι, τῶν μὲν λεγομένων τὴν μάλιστα οὐ προσείσθη, καθὼς δὲ μείζονι κρατύνασθαι τὴν ἐς Πέρσαις ἐπιβουλήν ἐγνωτε, εἴ τι μεμνήμεθα τῆς ἐν Μίνδουσι οἰκοδομίας· καὶ νῦν δὲ Ῥωμαίοις ἐλετὰ μὲν τὰ τῆς εἰρήνης, αἰρετὰ δὲ τὰ ἔπλα, ἢ τὰ δίκαια πρὸς ἡμᾶς τιθεμένοις, ἢ ἀπ' ἐναντίας αὐτῶν ἰούσιν. οὐ γὰρ τὰ ἔπλα καταθήσονται πρότε-

ფული გაელო ორივე მხარის გულისთვის. ჩვენ რომ იქ იმ დროიდან ჩაყენებული გყვავს დიდძალი ჯარი და ვინახავთ იმას დღევანდლამდე, ამით თქვენ სამუალებამოგეცით გქონოდათ მიწაწყალი, იქ მოსახლე ბარბაროსების მხრით აწიოკებისაგან უზრუნველყოფილი; თქვენი საქმეები ამიტომ დიდს ზრუნვას თქვენგან არ მოითხოვდენ. მაგრამ ეს თითქოს საკმარისი არ იყო თქვენთვის და ააგეთ ქალაქი დარა, როგორც სპარსელების წინააღმდეგ მიმართული სიმაგრე, თუმცა ეს გარკვევით იყო აკრძალული იმ საზავო ხელშეკრულებით, რომელიც ანატოლიმ დასდო სპარსელებთან. ამის გამო უცილობლად დაზარალდა სპარსელთა საქმეები ორ ბანაკად ბრძოლითა და ხარჯებით; ერთი ბანაკი გაშლილი იყო ჩვენ მიერ, რათა მასაგეტებს არ შესძლებოდათ ორივე (ე. ი. ჩვენი და თქვენი) მხარის მიწაწყლის უშიშრად აოხრება; ხოლო მეორე, რათა თქვენი იერიშები მოგვეგერიებინა. როდესაც ჩვენ ამას წინათ გისაყვედურებდით და ვფიქრობდით, რომ ორში ერთი ყოფილიყო თქვენი მხრით გაკეთებული: ან ორივე (ჩვენის და თქვენის) მხრით გაგზავნილიყო ჯარი კასპიის კარებში, ან ქალაქი დარა ყოფილიყო დანგრეული, თქვენ ყურად არ იღეთ ნათქვამი და განიზრახეთ უფრო მეტის სიბოროტის ჩადენით გაგემლიერებინათ სპარსელების წინააღმდეგ მიმართუ-

ρον Πέρσαι, πρὶν δὴ αὐτοῖς Ῥωμαῖοι ἢ τὰς πύλας δικαίως τε καὶ ὀρθῶς ἔσυμφυλάξουσιν, ἢ πόλιν Δάρρα; καταλίσσοισι“ (Haury I 80-81)

წავიდე. სპარსელები მანამდე არ დაჰყრიან იარაღს, სანამ რომაელები ან კარებს მათთან ერთად არ დაიცავენ, რაც სამართლიანი და სწორი იქნებოდა, ან ქალაქ დარას არ დაანგრევენ“.

532 წლის „უვალო“ ზავი.

[531 წლის ბოლოს ზიზანტიის ელჩები (ერმოგენე, რუფინე, ალექსანდრე და თომა) ტიგრის ნაპირებთან საზავო მოლაპარაკებას აწარმოებენ ხოსროსთან].

. . . , Χοσρόης. . . τὴν μὲν εἰρήνην πέρας οὐκ ἔχουσαν θέκα καὶ ἑκατὸν κεντηναρίων ἠμιλόγει πρὸς αὐτοὺς φήσεσθαι, ἐφ’ ᾧ δὴ ὁ τῶν ἐν Μεσοποταμίᾳ στρατιωτῶν ἀρχων μηκέτι ἐν Δάρρα τὸ λοιπὸν εἴη, ἀλλ’ ἐν Κωνσταντινῇ τὸν ἅπαντα χρόνον διαγένοιτο, ἥπερ καὶ τὸ παλαιὸν εἶθιστο· φρούρια δὲ τὰ ἐν Ἀσσυρίᾳ οὐκ ἔφη ἀποδῶσειν, καίπερ αὐτὸς τὸ τε Φαράγγιον¹ καὶ Βῶλον τὸ φρούριον δικαίως πρὸς Ῥωμαίων ἀπολαβεῖν. ἔλκει δὲ λίτρας τὸ κεντηνάριον ἑκατὸν, ἀφ’ οὗ δὴ καὶ ὠνόμασται. κέντον γὰρ τὰ ἑκατὸν καλοῦσι Ῥωμαῖοι. τοῦτο δὲ αἱ διδοσθαι τὸ χρυσίον ἡξίου, ὡς μήτε πόλιν Δάρρα Ῥωμαῖοι καθελεῖν ἀναγκάζωνται μήτε φυλακτηρίου τοῦ ἐν πύλαις Κασπίαις μεταλαχεῖν Πέρσαις. οἱ μὲντοι πρέσβεις τὰ μὲν ἄλλα ἐπηγγου, τὰ δὲ φρούρια ἐγδιδόναι οὐκ ἔφα-

ლი მზაკვრობა; ჩვენ კიდევ გვახსოვს მინდუის სიმაგრის აშენება. ეხლა რომაელებმა უნდა ან ზავი მიიღონ, ან ომი ირჩიონ, ან სამართლიანი მოგვიზღონ ან ამის წინააღმდეგ

I 22. ხოსრო თანახმა კი იყო ას ათ კენდინარად უვალო ზავი დაედვა მათთან იმ პირობით, რომ მესოპოტამიის ჯარის სარდალი დარაში კი აღარ დარჩებოდა, არამედ კონსტანტინეში იქნებოდა მუდამ, როგორც ის ძველადვე იყო ჩვეული; მაგრამ ისიც უთხრა, რომ ლაზიკის სიმაგრეებს არ დაუბრუნებდა, თუმცა თვითონ კანონიერად თვლიდა რომაელებისაგან უკან მიეღო ფარანგიონი და ბოლონის სიმაგრე. კენდინარი კი ას ლიტრას იწონის, რითაც აიხსნება მისი სახელი: κέντον¹ ხომ რომაელები ასს ეძახიან. მისთვის ამ ოქროს მიცემას ის მოითხოვდა, რათა არც ქალაქ დარას დანგრევა დასჭირვებოდათ რომაელებს, არც კასპიის კარების დაცვაში მონაწილეობის მიღება სპარსელებთან ერთად. ელჩები სხვა ყველაფერში დაეთანხმენ, ხოლო სიმაგრეების ჩაბარება შეუძლებლად სცნეს, თუ

¹) φάραγγι H.

σκον οἱοί τε εἶναι, ἦν μὴ βασι-
λέως ἀμφ' αὐτοῖς πύθωνται πρό-
τερον. ἔδοξε τοίνυν Ῥουφίνῳ μὲν
ὑπὲρ τούτων ἐς ἰσζάντιον στέλλε-
σθαι, τοὺς δὲ ἄλλους, εἰς αὐτὸς
ἐπανίη, μένειν. καὶ χρόνος ἡμε-
ρῶν ἑβδομήκοντα Ῥουφίνῳ ξυνέ-
κειτο ἐς τὴν ἀφίξιν. ἐπεὶ δὲ ὁ
Ῥουφίνος ἐς Βυζάντιον ἀφικόμε-
νος βασιλεῖ ἀπήγγελλεν, ὅσα Χο-
σρόη ἀμφὶ τῆ εἰρήνῃ δοκούντα
εἶη, ἐκέλευσε βασιλεὺς κατὰ ταῦ-
τα σφίσι τὴν εἰρήνῃ ξυνίστα-
σθαι.

Ἄλλ' ἐν τούτῳ φήμη τις οὐκ
ἀληθῆς ἦκουσα ἐς τὰ Περσῶν
τῆ βασιλέα Ἰουστινιανὸν ἡγγελ-
λεν ὀργισθέντα Ῥουφίνον κτείνειν.
οἷς δὲ Χοσρόης ξυνταραχθεὶς τε
καὶ θυμῷ πολλῇ ἰδίῃ ἐχόμενος
τῷ παντὶ στρατῷ ἐπὶ Ῥωμαίους
ἦει. Ῥουφίνος δὲ οἱ μεταξὺ ἐπ-
ανήκων ἐνέτυχε πόλεως Νισβιδος
ὁ μακρὰν ἀπῆθεν. διὸ δὲ αὐτοί
τε ἐν τῇ πόλει ταῦτ' ἐγένοντο
καί, ἐπεὶ τὴν εἰρήνῃ βεβαιοῦν
ἔμελλον, τὰ χρήματα οἱ πρέσβεις
ἐγκαθῆθα ἐκόμιζον. ἀλλ' Ἰουστι-
νιανῷ βασιλεῖ τὰ Λαζικῆς φρού-
ρια ξηχεχωρηκῶς μετέμελεν ἤδη,
γράμματά τε ἀντικρὺ ἀπολέγον-
τα τοῖς πρέσβειν ἔγραψε, μηδα-
μῶς αὐτὰ πρῖν εἶσθαι. Πέροαις. διὸ
δὲ Χοσρόης τὰς σπονδὰς φέσθαι
ἐκέλευε ἡξίου. οἱ τε γοῦν
πρέσβεις ξὺν τοῖς χρήμασιν ἐς
Δάρσας ἦλθον καὶ ὁ Περσῶν στρα-
τὸς ὀπίσω ἀπήλαυσε.

წინასწარ არ გაიგებდენ მეფის
აზრის ამის შესახებ. კიდევაც გა-
დასწყვიტეს რუფინე გაეგზავნათ
ამის გამო ბიზანტიონში, სხვები კი
დარჩენილიყვნენ, ვიდრე ის და-
ბრუნდებოდა. და სამოცდაათი
დღის ვადა დაუდევს რუფინეს
მგზავრობისათვის. როცა რუფინე
ბიზანტიონში მოვიდა და მეფეს
მოახსენა, თუ რა პირობებს აყე-
ნებდა ხოსრო ზავის შესახებ, მე-
ფემ უბრძანა ზავი დადებული ყო-
ფილიყო ამ პირობებით.

მაგრამ ამ დროს სპარსელთა ქვე-
ყანაში ხმები მოვიდა, სიმართლეს
მოკლებული, რომელიც იუწყებო-
და, იუსტინიანე მეფემ, გაჯავრე-
ბულმა, რუფინე მოაკლევინაო. ამ
ხმებით შემფოთებული და მეტად
დანადვლიანებული ხოსრო მთელი
თავისი ჯარით რომაელების წინა-
აღმდეგ გაემართა. მაგრამ ქალაქ
ნიზიზინის მახლობლად მას შეხვ-
და რუფინე, რომელიც ამასობაში
უკვე ბრუნდებოდა. ამიტომ ისინი
ამ ქალაქში დარჩენ და, როდესაც
ზავის დადებას აპირებდენ, ელჩებ-
მა იქ ფულიც მოიტანეს. მაგრამ
იუსტინიანე მეფე უკვე ნანობდა,
რომ დაუთმო ლაზიკის სიმაგრეები
და ელჩებს სწერდა ამის პირდაპირ
უარყოფელ წერილებს, არას გზით
არ მისცეთ ისინი სპარსელებსო.
ამიტომ ხოსროს აღარ სურდა
ხელშეკრულების დადება..... და
ელჩები ფულითურთ დარაში მო-
ვიდენ და სპარსელთა ჯარიც უკან
დაბრუნდა.

... χρόνῳ δὲ οὖν πολλῷ ὕστερον Ῥουφίνος τε αὐτὸς καὶ Ἐρμολογένης ἀνθὶς παρὰ Χοσρόην ἐπέπεμποντο, ἕς τε τὰς σπονδὰς ἀντικα ἀλλήλοις ξυνέβησαν, ἐφ' ᾧ ἑκάτεροι ἀπ.δ.ώσουσιν ἑσα δὴ ἀμφοτέροι χωρία ἐν τῆδε τῇ πελάμῳ ἀλλήλους ἀφείλοντο, καὶ μηκέτι στρατιωτῶν τις ἀρχὴ ἐν Δάρας εἶη· τοῖς τε Ἰβήρσιν ἐδόξοκεν ἐν γνώμῃ εἶναι ἢ μένειν αὐτοῖς ἐν Βυζαντίῳ, ἢ ἐς σφῶν τὴν πατριᾶν ἐπανιέναι. ἦσαν δὲ πολλοὶ καὶ οἱ μένοντες καὶ οἱ ἐπανιόντες ἐς τὰ πάτρια ἡβη¹. οὕτω τοῖσιν τὴν τε ἀπέραντον καλουμένην εἰρήνην ἐσπέισαντο, ἕκτιν ἡδὴ ἔτος τὴν βασιλείαν Ἰουστινιανοῦ ἔχοντες, καὶ Ῥωμαῖσι μὲν τὸ τε Φαράγγιον² καὶ Βῶλον τὸ φρούριον ἔξιν τοῖς χρήμασι Πέρσαις ἔδωσαν, Πέρσαις δὲ Ῥωμαῖσι τὰ Λαζικῆς φρούρια (Hauriy I 115—117).

... ცოტა ხნის შემდეგ იგივე რუფინე და ერმოგენე კვლავ იქნენ გამოგზავნილი ხოსროსთან; ეხლა კი შეთანხმდნენ ერთმანერთთან საზავო პირობებში, სახელდობრ, რომ ორივე მხარე დააბრუნებდა იმ ადგილებს, რომელიც ამ ომში მათ ერთმანერთს წაართვეს, და ჯარის არც ერთი სარდალი აღარ იქნებოდა დარაში; იბერებს-კი ნება მიეცათ მოქცეულიყვნენ როგორც უნდოდათ: ან დარჩენილიყვნენ იქვე, ბიზანტიონში, ან დაბრუნებულიყვნენ თავიანთ სამშობლოში. ბევრი იყო, რომელიც დარჩა, ბევრი კიდევ დაბრუნდა სამშობლო ქვეყანაში. ამ გვარად დადვეს ეგრეთწოდებული უვადო ზავი, მეექვსე წელს იუსტინიანეს მეფობისა³. რომაელებმა მისცეს სპარსელებს ფარანგიონი და ბოლონის სიმაგრე, და თან ფულიც⁴, ხოლო სპარსელებმა რომაელებს – ლაზიკის სიმაგრეები.

ხოსროს ლაშქრობა კოლხიდაში.

[ხოსროს წინააღმდეგ შეთქმულებას აწყობენ სპარსელი დიდებულები, რომელთაც სურთ მისი ნახევარ-ძმის, ზამის ძის, კავადის გამეფება. ხოსროს განკარგულებით სიკვდილით იქმნა დასჯილი შეთქმულების ყველა მონაწილე. გადარჩა მხოლოდ კავადი, რომელიც

¹) ἦσαν – ἡβη გამოტოვებულია H. ²) φαλάγγιον H.

²) ე. ი. იმ წელს, რომელიც 532 წლის 1 აპრილიდან იწყებოდა. თუმცა იუსტინიანე 527 წლის 1 აგვისტოს ავიდა ტახტზე, მაგრამ ის თავისი მეფობის წლებს ითვლიდა დღიდან თავისი თანაკეისრობისა (527 წლის 1 აპრილიდან).

⁴) ას ათი კენდინარი, როგორც ამას ხოსრო მოითხოვდა. 110 კენდინარი, ანუ 11 ათასი ლიტრა ოქრო, უდრის დაახლოვებით ხუთ მილიონ ოქროს მანეთს.

დამალა – ისე, რომ ხოსრომ ვერ გააგო – მისმა გამზრდელმა ქანარანგმა ადერგულუნვადმა].

Χρόνῳ δὲ ὑστερον ὁ μὲν Χοσροῦς ἐξ γῆν τὴν Κολχίδα¹ στρατῶν μεγάλῃ ἐσέβαλλεν, ὡς μοι ἐν τοῖς ἐπισφην λόγοις γεγράφεται: (Haury I 120,7-9).

[ამ ლაშქრობის დროს გაიგო ხოსრომ ქანარანგის შვილის, ვარამისაგან კავადის თავგადასავალის შესახებ, აღინთო შურისძიებით ქანარანგისადმი და]

... ἡγίκα ἐκ γῆς τῆς Κολχίδος² ἐπ' οἴκου ἀναχωρεῖν ἔμελλε, γράφει τῶν χαναρὰγγῶν τοῖσιν ὅτι δὴ αὐτῶν βεβουλημένα εἶη παντὶ τῶν στρατῶν ἐξ γῆν τὴν Ῥωμαίων ἐσβαλλεῖν (Haury I 120,18-21).

[და უბრძანებდა მას გამოცხადებულიყო მასთან პირადად ზოგიერთი, ლაშქრობასთან დაკავშირებული, საკითხების შესახებ მოსალაპარაკებლად. ნამდვილად კი ხოსროს განზრახვა ჰქონდა ის მოეკვლევინებინა].

I 23. შემდეგ ხოსრო დიდი ჯარითურთ შეიჭრა კოლხიდაში, როგორც ეს ჩემ მიერ აღწერილი იქნება შემდეგ მოთხრობებში³.

... როდესაც დააპირა კოლხიდიდან შინ დაბრუნება, მისწერა იმ ქანარანგს, რომ მან გადასწყვიტა მთელი ჯარით რომაელთა მიწაწყალში შეჭრილიყო.

ბიზანტიის პოლიტიკისათვის არმენიაში, ჭანეთსა და ლაზეთში.

Συμεῶνης ἐκεῖνος, ὁ τὸ Φαράγγειν Ῥωμαίοις ἐνδοῦς, Ἰουστινιανὸν βασιλέα πείθει, ὅτι τὸν πλέμισσ ἀκμάζοντος, κῶμαις αὐτὸν τισὶν ἀνδρῶν Ἀρμενίων⁴ δωρήσασθαι. κῆριός τε τῶν χαρίων γενόμενος πρὸς τῶν αὐτὰ πάλαι κεκτημένων ἐξ ἐπιβουλής μνήσκει. ἐξείργασμένου δὲ τὸν κακὸν οἶ τὸν φόνου ἀρχηγοὶ⁵ φερίουσι ἐς τὰ Περσῶν ἥθη. ἀδελφῶν δὲ ἦστην δύο

II 3. იმ სიმეონმა, რომელმაც რომაელებს ფარანგიონი ჩააბარა, იუსტინიანე მეფე დაიყოლია, ჯერ კიდევ მაშინ როდესაც ომი იყო გაჩაღებული, ეჩუქებინა მისთვის არმენიელ მფლობელთა ზოგიერთი სოფელი. ამ სოფლებს რომ დაეუფლა, ის მოკლულ იქმნა მათი წინანდელი მფლობელების მზაკვრობით. ამ ბოროტმოქმედების ჩადენის შემდეგ მკვლელობის მომ-

¹) კოლχίδα G. ²) კოლχიდოს G.

³) ეს ლაშქრობა აღწერილია პროკოპის მიერ ქვევით BP II 17.

⁴) არმენიონ VG (აქაც და ქვევითაც), ⁵) ἀρχηγοί P, ἀτύουρ-γοί VG.

Περὸς τοῦ παιδὸς βασιλέως τε ταῦ-
 τα ἀκούσας τὰς τε κώμας Ἀμα-
 ζάσπη παραδίδωσι τῷ Συμεῶνου
 ἀδελφίδῃ καὶ ἄρχοντα κατεστή-
 σατο Ἀρμενίαις αὐτόν. τοῦτον
 τὸν Ἀμαζάσπη, προΐόντως τοῦ
 χρόνου, Ἰουστινιανῷ βασιλεῖ τῶν
 τις ἐπισηδεῖων διέββαλεν, Ἀκά-
 κιος ὄνομα, κακουργεῖν τε ἐς Ἀρ-
 μενίους καὶ βιάσασθαι Πέρσαις
 ἐγδέναι Θεοδοσιούπλιν τε καὶ
 ἄλλα ἄλλα πλίσματα. ταῦτα εἶ-
 πὼν γινώμη βασιλέως Ἀκάκιος
 τὸν Ἀμαζάσπη θνήθῃ ἔκτεινε,
 καὶ τὴν Ἀρμενίων ἀρχὴν δόντος
 βασιλέως ἔσχεν αὐτός. πονηρὸς
 δὲ ὢν φύσει ἔσχε καὶ ὁ τι τὰ
 τῆς ψυχῆς ἤθη ἐνδείξειται. γέγο-
 νεν οὖν ἐς τοὺς ἀρχαίους αἰῶ-
 νατος ἀνθρώπων ἀπάντων. τὰ τε
 γὰρ χρήματα ἐλήϊζεν αὐθεν-
 λόγῳ καὶ φόρῳ αὐτοῖς ἀπαγα-
 γῆν εὐπίτε εὐσαν ἐς κεντηγάρια
 τέσσαρα ἑτάξεν. Ἀρμένιοι δὲ (φέ-
 ρειν γὰρ οὐκέτι αὐτὸν οἶον τε-
 ῖσαν) κτείνουσι τε ξυμφορήσαν-
 τες τὸν Ἀκάκιον καὶ ἐς τὸ Φαραγ-
 γίαν καταφεύγουσι.

წყობნი გაიქცენ სპარსელთა ქვე-
 ყანაში. ესენი იყვნენ ორნი ძმანი,
 პეროზის შვილნი. ეს რომ მეფემ
 გაიგო, ის სოფლები ამაზასპეს გა-
 დასცა, სიმეონის ძმისწულს, და
 არმენიელთა არქონტად დააყენა
 იგი. ეს ამაზასპე, შემდეგ ხანებში,
 იუსტინიანე მეფესთან დააბეზდა
 იმისმა ერთმა მახლობელთაგანმა,
 სახელდობრ აკაკიმ; არმენიელებს ცუ-
 დად ეპყრობა და სპარსელებს უნ-
 და გადასცეს თეოდოსიუპოლი და
 ზოგიერთი სხვა სიმაგრეებიცო. ეს
 მოახსენა აკაკიმ და მეფის ნებისა-
 მებრ ვერაგულად მოაკვლევინა ამა-
 ზასპე და არმენია თვითონ იგდო
 ხელთ: მეფემ მას მისცა საგამგეოდ.
 ხოლო აკაკი ბუნებით ბოროტი კა-
 ცი იყო და ეხლა მიეცა საშუალება
 გამოემყლავნებინა თავისი ხასიათი;
 ქვეშევრდომთა მიმართ ის მართ-
 ლაც რომ ყველაზე უფრო მკაცრი
 აღმოჩნდა: სრულიად უსამართლოდ
 ართმევდა მათ ქონებას და დაად-
 ვა მათ ისეთი სახარკო გადასახა-
 დი, როგორც არასდროს არ ყო-
 ფილა, დაახლოვებით ოთხი კენდი-
 ნარი. არმენიელებმაც (ვინაიდან

მათ უკვე აღარ შეეძლოთ მოეთმინათ აგი) შეთქმულება მოაწყვეს და
 მოკლეს აკაკი და გაიქცენ ფარანგიონში ¹.

¹) ფარანგიონს იხსენიებს პროკოპი რამდენჯერმე (BP I 15, 22; II 29;
 BC IV 13) და ყოველთვის „ბოლონის სიმაგრესთან“ დაკავშირებით. ამ ცნობე-
 ბით ბოლონის ციხე და ფარანგიონი პერსარმენიაში მდებარეობენ (BP I 15) ჭა-
 ნეთის მეზობლად იმ მიდამოებში, სადაც მდინარე ბოასის სათავეა (BP II 29).
 ფარანგიონი ცნობილია ოქროს-მადნებით და ამიტომ გასაგებია, რომ მის დასა-
 ცავად ამ ადგილის მფლობელთ ციხე (ბოლონი) აუგიათ. გასაგებია ისიც, რომ ბი-
 ზანტიელი სარდლის სიტტას ერთ-ერთ დანიშნულებას შეადგენს ამ ადგილის და-
 პყრობა. სიტტა თავისი ნაცადი პოლიტიკით, სხვადასხვა სიკეთის დაპირებით (კე-

Διὸ δὴ Σίτταν ἐπ' αὐτῆς ἐκ
 Βυζαντίας βασιλεὺς ἐπέμψεν. ἐν-
 ταῦθα γὰρ ὁ Σίττα δι. τριβεν,
 ἐπειδὴ Ῥωμαῖνος ἐγένοντο αἱ πρὸς
 Πέρσας σπ. νδαι. ἃς δὴ ἐς Ἀρ-
 μενί. ἡς ἐλθὼν τὰ μὲν πρῶτα ἐς
 τὸν π. λεμ. ν. ἄκνηρῶς ἦει, π. ἰασ-
 σεῖν μέντοι καὶ ἐπὶ τὰ π. ὅτε. α

ამის გამო მეფემ მათ წინააღმდეგ სიტტა გაგზავნა ბიზანტიონიდან. სიტტა ხომ აქ იყო, მის შემდეგ რაც რომაელებმა ზავი შეკრეს სპარსელებთან. ამრიგად, ის მოვიდა არმენიელთა ქვეყანაში: პირველ ხანებში ის შეუდგა ომს საკმაოდ მოშვებულად; ის ცდი-

რდოდ, ოქროს-მადნით სარგებლობის უფლების მინიჭებით), მიიმხრობს ფარანგიონის მმართველს სიმეონს 531 წ.) და ოქროს მადნებს ბიზანტიის ტერიტორიას შემოუერთებს (BP I 15). თუ რა დიდ მნიშვნელობას აძლევდენ ბოლონ-ფარანგიონის საკითხს მებრძოლი მხარეები, იქიდან ჩანს, რომ 532 წლის საზავო მოლაპარაკების დროს ეს საკითხი ერთი უმთავრესთაგანია: სპარსელები არასგზით არ თმობენ ამ ადგილებს და კიდევაც მიაღწევენ იმას, რომ ბიზანტიელები დაუბრუნებენ მათ ფარანგიონსა და ბოლონის სიმაგრეს (BP I 22; იხ. ზემოთ გვ. 33). პროკოპის გარდა ბიზანტიელებისა და სპარსელების ამ სადავო საკითხს ეხება აგრეთვე ჟამთააღმწერელი მ ა ლ ა ლ ა; მისი გადმოცემით კავადმა «უარყო საზავო ხელშეკრულების დადება, მიზეზად მოიყვანა ოდესღაც ანასტასი მეფის დროს აღმოჩენილი ოქროს-მადნები, რომელიც რომაელების ხელში იყო; წინათ ხომ ეს მთები სპარსელთა ძალაუფლების ქვეშ იყო; ეს ოქროსმადნიანი მთები მდებარეობს რომაული არმენიისა და პერსარმენიის საზღვრებს შუა, როგორც ამბობენ ამ საქმის მცოდნენი...» (Ioannis Malalae Chronographia, rec. Dindorfius, Bonnae 1831, გვ. 455 – 456). მართალია, სახელი მოყვანილი არაა, მაგრამ ცხადია იმ სადავო, ოქროს-მადნის შემცველ, ადგილზეა ლაპარაკი, რომელსაც პროკოპი ფარანგიონს უწოდებს. თუ, სახელდობრ, რომელი ადგილია ეს, ამის თქმა ძნელია. დ ე ს ტ უ ნ ი ს ს მოჰყავს ძველ მკვლევართა აზრი ფარანგიონის და ისპირის, აგრეთვე ფარანგიონის და არკნას იგივეობის შესახებ და არ ეთანხმება მათ (გვ. 188 – 192); თუ რა აზრისაა თვითონ, არა ჩანს. ნ ა დ ო ნ ც ი ს აზრით ფარანგიონი იგივეა, რაც სომხ. „სპერ“, კლასიკ. „სისპირის“, ხოლო თვით სიტყვა სპარსულ „ფარჰანგ“-იდან წარმოშობილად მიაჩნია: нам кажется, что оно ничто иное, как персид. farhang, арм. *հրահանգ* в значении обработка, завод, рудник (Н. А. Д о н ц, Армения в эпоху Юстиниана гв. 25 – 96). ნ. ადონცი მართალია, როდესაც ამბობს, რომ პროკოპის გამოთქმა «ეგრეთწოდებული ფარანგიონი» (BP I 15) მიგვითითებს იმაზე, რომ აქ არაბერძნულ, ადგილობრივ სახელთან უნდა გვეკონდეს საქმე; მაგრამ, ვინაიდან – როგორც მ ა ლ ა ლ ა ს ტექსტიდან ჩანს – ბიზანტიელებისა და სპარსელების ეს სადავო ადგილი «ოქროსმადნიანი მთები» იყო, შეიძლება ვიფიქროთ, რომ «ფარანგიონი» ამ მთების სახელს გადმოგვცემდეს და «პერანგის» მთებს უდრიდეს. ამ სახელწოდების მთები ხომ რამდენიმეა დაცული კავკასიის მთათა სისტემაში. ერთი, მაგალითად, ჩრდილოეთით იმერეთ-ოსეთს შუა, ხოლო მეორე სამხრეთით აჭარაში. და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ჭანეთის მეზობლად მდებარე, ოქროს მადნების შემცველი და პერსარმენიისა და რომაული არმენიის მოსაზღვრე მთა „პერანგის“ სახელს ატარებდა.

ἤθη ἀντικαθίσταναι τὸς ἀνθρώ-
 πους ἠπειγέτο, πείθειν βασιλέα
 ὑποσχόμενος ἀφείναι αὐτοῖς τὴν
 καινὴν τοῦ φόρου ἀπαγωγὴν. ἐπεὶ
 δὲ αὐτὸν βασιλεὺς τῆς μελλήσεως
 πολλὰ ὀνειδίζων ἐκάκιζεν, ἠγγέ-
 νος ταῖς Ἀθολίου διαβουλαῖς τοῦ
 Ἀκακίου παιδός, ἐνταῦθα ἰδὼς ὁ
 Σίττας τὰ ἐς τὴν ξυμβολὴν ἐξήγ-
 ῆσετο. πρῶτον μὲν οὖν ὑποσχέ-
 σεσι πολλῶν ἀγαθῶν ἀναπειθεῖν
 τε καὶ ἐταιρίχεσθαι αὐτῶν ἰτινας
 ἐνεχείρησεν, ὥπως αὐτῶν ῥάων τε
 καὶ ἀπειρωτέρων ἢ ἐς τοὺς λιμοὺς
 ἐπικράτησις γένοιτο. καὶ οἱ τὸ τῶν
 Ἀσπετιανῶν¹ καλούμενων γένος,
 μέγα τε ὄν καὶ πηλὸν ἀνθρώπων,
 προσχῶρειν ἤθελε. πέμψαντές τε
 παρὰ τὸν Σίτταν ἐν γράμμασιν
 ἐδέοντο διδόναι τὰ πιστὰ σφίσι,
 ὅτι δὴ, ἦν ἐν τῷ ἔργῳ τοὺς ὁμο-
 γενεῖς ἀπελιπόντες ἤξωσιν ἐς τὴν
 Ῥωμαίων παρτάξιν, κακῶν πην-
 τάπασιν ἀπαθεῖς μείνωσι, τὰ σφέ-
 τερα αὐτῶν ἔχοντες. ὁ δὲ αὐτοῖς
 ἔσμενος τε γράψας ἐν βιβλιδίῳ,
 καθάπερ ἐδέοντο, τὰ πιστὰ ἔδωκε,
 καὶ τὸ γράμμα κατασημηνάμενος
 ἐς αὐτοὺς ἔπεμψε. φαρσῶν τε ὡς
 οἱ αὐτῶν ἀμαχητὶ τοῦ πελέμου
 κρατῆσει, τῷ παντὶ στρατῷ ἐς

ლოზდა დაემშვიდებინა ხალხი და
 დაებრუნებინა ისინი მათ ძველ
 სამკვიდრებელში და ამიტომ ჰპირ-
 დებოდა მათ მეფის დაყოლიებას
 იმაზე, რომ მას მოეხსნა მათთვის
 ახალი სახარკო გამოსაღები. ხოლო
 ვინაიდან მეფე, აკაკის ძის ადო-
 ლის დაბეზლებით, ძალიან უტყვედა
 მას და უსაყვედურებდა სინელისა-
 თვის, მაშინ უკვე სიტტა მოემზა-
 და შეტყვესათვის, ჯერ მან სცადა
 ბევრნაირი სიკეთის დაპირებით
 დაეყოლიებინა და მიემხრო ზოგი-
 ერთი მათგანი (ე. ი. ანმენიელთა-
 განი), რათა მას უფრო ადვილად
 და გაუჭირვებლად დაეძლია და-
 ნარჩენები. და მართლაც, ეგრეთ-
 წოდებულ ასპეტთანთა გვარი, ძლი-
 ერი და მრავალრიცხოვანი, მოწადი-
 ნებული იყო მიმხრობოდა მას. მათ
 მოციქულები გაუგზავნეს სიტტას და
 მოითხოვდნ მისგან წერილობით
 მიეცა იმის პირობა, რომ, თუ ისი-
 ნი ბრძოლის დროს დასტოვებდნ
 თავიანთ ნათესავეებს და რომაელ-
 თა ბანაკში მივიდოდნ, მათ სრუ-
 ლიად არავითარი ვნება არ შეხ-
 ვდებოდათ და თავიანთი საკუთრე-
 ბაც შერჩებოდათ. სიტტამაც სია-
 მოვნებით მისწერა წიგნი², სადაც
 დაუდვა მათ პირობა, როგორც ისი-

¹) ἀπειτιανῶν P. ხელნაწერი P ამ სიტყვაში ჩვეულებრივ უსიგმო ფორ-
 მას იცავს.

²) გაურკვეველია გამოთქმა γράψας ἐν βιβλιδίῳ. სიტყვა «ბიბლიდიოს»
 ჩვეულებრივ თქმაში ნიშნავს „წიგნაკს“, „წერილს“; მაგრამ იხმარება აგრეთვე მა-
 სალისა და წერილის ფორმის გამოსახატავად და აღნიშნავს „პაპირუსს“, „პა-
 პირუსის გრაფილს“ (Th. B I r t. Das antike Buchwesen, Brl. 1892, გვ. 21 და
 482), ასე რომ ჩვენი ადგილი შეიძლება ნიშნავდეს: „მისწერა პაპირუსის გრაფილზე“.

χαρίων Οὐναχάλακων ἦει, ἔνθα
 τῶν Ἀρμενίων ἐστρατοπεδεσθῆαι
 ξυμβῆαινε. τῆς δὲ πινι οἱ τὸ
 βιβλίον ἔχοντες ἑτέρα ἰόντες ὁδοῖ
 Ἀσπετιανοῖς ἐντυχεῖν σὺν βασιλῆϊ ἰσ-
 χυσαν. μοῖρα μέντοι τοῦ Ῥωμαίων
 στρατοῦ ὀλίγοις τισὶν αὐτῶν ἐντυ-
 χόντες, οὐκ εἰδότες τε τὰ ξυγχεί-
 μενα, ὡς πολεμίους ἐχρήσαντο.
 καὶ αὐτὸς Σίττας ἐν σπηλαίῳ που
 παιδᾶς τε αὐτῶν καὶ γυναικῆς λα-
 βῶν ἔκτεινεν, ἢ τὸ γεγονός ἐν
 ξυνοίῃς ἢ δι' ὀργῆς Ἀσπετιανούς
 ἔχων, ἔτι οἱ καθ' ἑαυτὸν
 σὺν προσεχώρουν (Haurgy I 153-
 156).

ნი მოითხოვდენ, დაბეჭდა წერილი და გაუგზავნა მათ. გათამამებული იმით, რომ მათი შემწეობით უბრძოლველად გაიმარჯვებდა ამ ომში, ის მთელი თავისი ჯარით სოფელ ინოქალაკონ-ისკენ¹ გაემართა, სადაც არმენიელები იყვნენ დაბანაკებულნი. მაგრამ რაღაც შემთხვევით წიგნის წამლებნი სხვა გზით წასულიყვნენ და ასპეტანებს ვერსად შეხვდნენ. ზოგიერთ მათგანს კი რომაელთა ჯარის ერთი ნაწილი შეეხება და, რადგან ამათ არ იცოდნენ იმ შეთანხმების შესახებ, მოეპყრენ მათ როგორც მტრებს. და თვითონ სიტტამაც ერთს მღვიმე-

ში იხელთა მათი ბავშვები და ცოლები და ამოჟლიტა ისინი, ან იმიტომ რომ ვერ გარკვეულიყო მომხდარ ამბავში, ან იმიტომ რომ გაჯავრებული იყო ასპეტანებზე, რადგან ისინი მიუხედედად შეთანხმებისა არ მიემხრენ მას.

[ამ ბრძოლაში დაეცა სიტტა. მის ადგილას ბიზანტიის მთავრობამ დანიშნა ბუზე (Βουζης), რომელიც იმავე ხერხებს მიმართავს, როგორც სიტტა: ერთის მხრით ის ელაპარაკება არმენიელებს კვისართან მორიგების შესახებ, ხოლო მეორეს მხრით ვერაგულად ეპყრობა მათ. მან მოაკვლევინა არმენიელთა ერთ-ერთი წინამძღოლი არსაკიდი იოანნე].

. . . καὶ ἀπ' αὐτοῦ οὕτε τινα ἐλ-
 πίδα ἐς Ῥωμαίους Ἀρμένιοι ξυμβά-
 σεως πέρι τὸ λοιπὸν ἔχοντες οὕτε
 βασιλέα τῆς πόλεως ὑπεραίρειν

... და ამის შემდეგ არმენიელები, რომელთაც უკვე აღარც იმედი ჰქონდათ რომ რომაელებს მოურიგდებოდნენ ამიერიდან და არც და-

¹) ამ სახელწოდების ადგილი სხვაგან არსად იხსენიება. ეს სიტყვა ადგილობრივი უნდა იყოს და არა ბერძნული. საფიქრებელია, რომ ის „ინოქალაკონ“-ის შერყვნილი ფორმა. იყოს, სადაც „ი“ დედრობითი სქესის ართრონს წარმოადგენს (რ) ხოლო „ინოქალაკონ“ ერთ-ერთი იმ „ნაქალაქე“-თაგანია, რომელიც ასე მრავლად მოიპოვება იმ ტერიტორიის მიდამოებში, სადაც საომარი ოპერაციები სწარმოებდა VI საუკუნეში (ერთ-ერთი ასეთი ნაქალაქევი მოხსენებული აქვს ლეონტი მროველსაც: «ესე ყოველნი შეკრიბნა ფარნავაზ და მიეგება ნ ა ქ ა-ლ ა ქ ე ვ ს ა თანა არტანისასა», მ-მ დედ. ვარ. გვ. 19).

εἶσι τε ὄντες παρὰ τὸν Περσῶν
 βασιλέα ἡλιθίον, Πασσάκου σφίσι
 ἡγουμένους, δραστηρίου ἀνδρός. ὅν
 τότε οἱ πρῶτοι Χοσρόη ἐξ ἑσίων
 ἐλθόντες ἐλεξάν τιάδε „Εἶσι
 μὲν ἡμῶν πολλοὶ Ἄρσακίδαι, ὃ
 θέσπισται, ἐκείνου Ἄρσακου ἀπό-
 γονοι, ὃς δὴ οὔτε τῆς Πάρθων
 βασιλείας ἀλλότριος ἐτύχχανεν ὢν,
 ἡγίκα ὑπὸ Πάρθους ἔκειτο τὰ
 Περσῶν πράγματα, καὶ βασιλεὺς
 ἐπιφανῆς γέγονε τῶν κατ’ αὐτὸν
 ὀδυνῶς ἦσσαν. πάρεσμεν δὲ τα-
 νὸν εἰς ὑμᾶς ἀπαντες δοῦλί τε
 καὶ δραπέται γεγενημένοι, οἱ
 ἐκείνοι μὲντοι, ἀλλ’ ἡναγκασμέ-
 νοι ὡς μάλιστα, τῇ μὲν φαινομέ-
 νῃ ὑπὸ τῆς Ῥωμαίων ἀρχῆς, τῇ
 δὲ ἀληθεῖ λόγῳ ὑπὸ σῆς, ὃ βα-
 σιλεῦ, γνώμη. εἰπερ ὁ τὴν ἰσχὺν
 τοῖς ἀδικεῖν βουλομένοις διδοὺς αὐ-
 τῶς ἂν φέροιτο καὶ τὴν αἰτίαν
 τῶν ἔργων δικαίως. εἰρήσεται δὲ
 μικρὸν ἀνωθεὶ ἕπως δὴ ἅπανι
 παρακαλοῦσθαι τοῖς πεπραγμένοις
 θυγήσεται. Ἄρσακης γὰρ ὁ τῶν
 προγόνων τῶν ἡμετέρων βασιλεὺς
 ἵστατος ἐξέστη τῆς ἀρχῆς τῆς
 αὐτοῦ Θεοδοσίῳ τῷ Ῥωμαίων ἀν-
 τικράτορι ἕκῳν γε εἶναι, ἐφ’ ἣ
 δὴ ἀπχντες οἱ κατὰ γένος αὐτοῦ
 μέλλοντες πάντα τὸν αἰῶνα προσ-
 ἴκειν τὰ τε ἄλλα βιοτεύσουσι κατ’
 ἐξουσίαν καὶ φόρου ὑποτελεῖς ὑ-
 δαμῆ ἔσονται. καὶ διεπιστάμεθα τὰ

ლა შესწევდათ ომში გაემარჯვნათ
 მეფეზე, სპარსელთა მეფესთან მო-
 ვიდენ; მათ მეთაურობდა ბასსაკე,
 მოხერხებული კაცი. როდესაც
 უწარჩინებულესნი მათგან ხოსროს
 წარუდგენ, მათ თქვეს შემდეგი:
 „მრავალი ჩვენთაგან, ბატონო, არ-
 საკიდები არიან, იმ არსაკის შთა-
 მომავალნი, რომელიც არც პარ-
 თელთა სამეფო ხელისუფლებისა-
 თვის იყო უცხო, როდესაც სპარ-
 სეთი პართელებს ექვემდებარებო-
 და, და რომელიც ბრწყინვალე მე-
 ფე იყო და თავისი დროის არც
 ერთ მეფეს არ ჩამოუვარდებოდა.
 ეხლა კი ვდგევართ თქვენს წინაშე
 ყველანი მონებად და ლტოლვი-
 ლებად ქცეულნი, მაგრამ არა ჩვე-
 ნი ნებით, არამედ უადრესად იძუ-
 ლებულნი, ერთის შეხედვით, რო-
 ძაელთა მართველობით, ნამდვილად
 კი, მეფევ, შენი წყალობით, თუ,
 მართლაც, ის, ვინც უსამართლოდ
 მოქცევის მსურველთ ზურგს უმა-
 გრებს, ოვით არის ნამდვილად ამ
 უსამართლო საქმეებში დამნაშავე.
 გაიმბობთ ცოტა შორიდან, რათა
 შესძლოთ ყველა მომხდარ ამბავს
 კვალდაკვალ მისდიოთ. არსაკმა ხომ,
 ჩვენი წინაპრების უკანასკნელმა მე-
 ფემ, თავისი საგამგებლო რომაელ-
 თა ავტოკრატორს თეოდოსისს გა-
 დასცა თვისი ნებით იმ პირობით,
 რომ მომავალში მუდამ ყველა ის,
 ვინც არსაკის გვარისა იქნებოდა,

თავისუფლად იცხოვრებდა საზოგადოდ და, კერძოდ, არასდროს ხარკს
 არ გაიღებდა. და ამ შეთანხმებას ჩვენ ვიცავდით მანამდე, სანამ

ξυγκείμενα, ἕως ἡμεῖς ταύτας πεποι-
 ησθε τὰς διαβολῆων σπονδάς, ἀς ἐν ἡ-
 κοινόν τινα θλipsis καλῶν τις, οἰδέ-
 μεθα, οὐκ ἂν ἀμάρτοι. φίλων τε γὰρ
 καὶ πολεμίων τὸ ἐντεῦθεν ἀφροντισ-
 τήτας ἅπαντα ξυγέχεε τε καὶ ξυγετά-
 ρχεε τὰ ἀνθρώπεια ὁ σὸς, ἢ βασιλεῦ,
 τῆ λόγι μὲν φίλος, ἔργῳ δὲ δυσμε-
 νής. ὑπερ καὶ αὐτὸς οὐκ εἰς μα-
 κράν εἰση, ἐπειδὴν τάχιστα τοῦς
 ἑ. παρῶν οἶός τε ἢ παντάπασι
 καταστρέψασθαι. τί γὰρ τῶν πρό-
 τερον ἀπειρημένων οὐκ ἔπραξεν;
 ἢ τί οὐκ ἐκίνησε τῶν ἐν καθεσ-
 τῶτων; οὐχ ἦμῖν μὲν φόρου ἀπα-
 γωγὴν ἔταξεν οὐ πρότερον οὐσαν,
 καὶ Τζάνους¹ τοῦς δμῶρους ἡμῖν
 αὐτονόμους ἔντας δεδωλωται, τῆ
 δὲ βασιλεῖ τῶν ἀθλίων Λαζῶν
 ἀρχοντα Ῥωμαίων ἐπέστησε πρᾶγ-
 μα οὔτε τῆ φύσει τῶν πραγμάτων
 ἑμφαίνον οὔτε λόγι βᾶδων ἐρ-
 ρηγεύεσθαι, οὐ Βοσπυρίταις μὲν
 τῆς Οὐγγῶν κατηκόους στρατη-
 γοῦς ἐπεμψε καὶ τῆν πόλιν προσ-
 επιήσαστο οὐδὲν αὐτῆ προσήκον,
 ὁμαιχμίαν δὲ πεποιήται πρὸς τὰς
 τῶν Αἰθιοπῶν ἀρχάς, ὧν καὶ
 ἀνήκοι τὸ πᾶσαν Ῥωμαῖοι
 ἐτίγγανον ὄντες; ἀλλὰ καὶ Ὀμη-
 ρῶν περιβέβληται καὶ τὸν φοι-
 κῶνα προστίθησι τῆ Ῥωμαίων ἀρ-
 χῆ. ἀφίμεν γὰρ λέγειν τὰ Λιβύων
 τε καὶ Ἰταλῶν πάθη. ἢ γῆ τὸν
 ἀνθρώπων ἐν χωρεῖ ἑμφασα· μι-
 κρόν ἐστιν αὐτῶ πάντων ὁμοῦ τῶν

თქვენ იმ ცნობილ ზავს არ შეჰკ-
 რავდით, რომელსაც – ვფიქრობთ
 შეიძლება ადამიანმა სრულიად
 შეუცდომლად საყოველთაო უზე-
 დურება უწოდოს. ამ ზავის შეკვ-
 რის დროიდან მოკიდებული ხომ
 მეგობრებსაც და მტრებსაც აბუჩად
 იგდებდა, შლიდა და რევდა ქვეყ-
 წნის საქმეებს ის, ვინც სიტყვით
 შენი კეთილმსურველია, მეფევ, ნამ-
 დვილად კი ბოროტმზრახველი. ამას
 შენ თითონაც გაიგებ სულ მალე,
 როგორც კი ის შესძლებს დასავ-
 ლეთის ხალხთა სრულიად დამორ-
 ჩილებას. რა არ ჩაიდინა მან ისე-
 თი, რაც წინათ აკრძალული იყო?
 ან რამდენი კარგი მოწყობილი სა-
 ქმე არ დაანგრია მან? განა იმან
 არ დაგვადვა ჩვენ სახარკო გამო-
 საღები, რასაც წინათ ადგილი არ
 ჰქონია, და ჩვენი მოსაზღვრე, წი-
 ნათ თვითთავადი ჭანები არ და-
 იმორჩილა, ხოლო საცოდავ ლაზ-
 თა მეფეს რომელი სარდალი
 არ ჩაუყენა? ეს საქმე არც მოვლე-
 ნათა ბუნებას შეეფერება, არც სი-
 ტყვით აიხსნება ადვილად. განა
 მან ბოსპორიტებს, ჰუნთა ქვეშე-
 ვრდომებს, სტრატეგოსები არ გა-
 უგზავნა და არ მიითვისა ეს ქა-
 ლაქი, რომელთანაც მას არაფერი
 ხელი არ ჰქონდა, ხოლო ეთიო-
 პელთა სამეფოებთან, რომელთა
 შესახებაც რომაელებს სრულიად
 არაფერი სმენიათ, სამხედრო კავ-
 შირი არ შეკრა? გარდა ამისა ის
 ხელს ადებს ჰომერიტთა ქვეყანას

¹) τζάνουος G.

ἀνθρώπων κρατεῖν. ὁ δὲ καὶ τὸν ἀ-
 νήρα περισκοπεῖ καὶ τοὺς ὑπὲρ τὸν
 ὠκεανὸν διερευνᾷται: μυχοὺς, ἀλ-
 λην ἀντὶ τινὰ οἰκουμένην περι-
 ποιῆσθαι βουλόμενος. τί οὖν ἔτι,
 ὦ βασιλεῦ, μέλλεις ¹⁾; τί δὲ τὴν κά-
 κιστα ἀπολούμενην εἰρήνην αἰσ-
 χύνῃ, ὅπως δηλαδὴ σε ἰσχυρῆν
 πειρήσεται; βρῶσιν τῶν ἄλλων
 ἀπάντων; εἰ μὲν ἐστὶ σοι βουλο-
 μένῳ μαθεῖν ὁποῖός τις ἂν Ἰου-
 στινιανὸς ἕς τοὺς αὐτῆρ εἰκιντας
 γένοιτο, ἐγγύθην σοι τὸ παράδει-
 γμα παρ' ἡμῶν τε αὐτῶν ἐστὶ
 καὶ τῶν τάλαιπύρων Λαζῶν. εἰ
 δέ, ὅπως ποτὲ εἴωθα τοῖς τε ἀγ-
 γῶσι καὶ οὐδ' ὅτι οὖν ἡδικοῦσσι
 χρῆσθαι, Πανδύλου τε καὶ Γού-
 θου καὶ Μαυρουσίους διαλογίζου.
 τὸ τε δὴ κερφάλιον οὕτω λέλεχ-
 ται. οὐκ Ἄλαμτύνδαρον μὲν ἐν
 σπόνδαῖς τὸν σπν, ἢ κρᾶτιστε
 βασιλεῦ, ὄσῳ ἀπάτη τε περι-
 ελθεῖν καὶ βασιλεία, ἀποστῆσαι
 τῆς σῆς ἔργον πεποιήται, (ὄν-
 νους ²⁾ δὲ τοὺς οὐδαμῶθεν αὐτῆρ
 γνωρίμους ἐπὶ τοῖς σοῖς ἔναγχος
 ἐταίριζεσθαι πράγμασιν ἐν σπου-
 δῇ ἔσχε; καίτοι πράξις ἀποπωτέρα
 ταύτης οὐ γέγονεν ἐκ τοῦ παντός
 χρόνου. ἐπειδὴ γὰρ ἤσθητο, οἶμαι,
 εἰς πέρας αὐτῆρ σπν οὕτω ἀφίξε-
 σθαι τὴν τῶν ἐσπερίων κατα-
 στραφῆν, τοὺς ἑβῶν ἤδη μετελ-
 θεῖν ἡμῶς ἐγκεχεῖρηκεν, ἐπεὶ καὶ
 μόνον ἀπολέλειπται αὐτῆρ ἐς ἀγῶνα
 τὸ Περσῶν κράτος. ἡ μὲν οὖν εἰρή-

და მეწამულ ზღვასაც და ფინი-
 კონსაც უერთებს რომაელთა სამე-
 ლოზელოს. აღარას ვამბობთ ლი-
 ბიელთა და იტალიელთა უბედუ-
 რებაზე. ამ კაცს მთელი დედამი-
 წაც ვეღარ იტევს; მისთვის ისიც
 ცოტაა, რომ ერთად ფლოს მთელი
 მსოფლიო. ის ეთერსაც შეჰყურებს
 და ოკეანეს იქით ეძებს იღუმალ
 საყუდლებს, სადაც უნდა შექმნას
 თავისთვის მეორე სამყარო. რაღას
 აყოვნებ, მეფე? რაღას გერიდება
 ამ უაღრესად მაცნებელი ზავის?
 ალბათ იმიტომ, რომ შენ უკანას-
 კნელ ლუკმად გახდე? თუ შენ
 გსურს გაიგო, თუ როგორია იუ-
 სტინიანე იმათ მიმართ, ვინც მას
 უთმობს, შენთვის უახლოესი მაგა-
 ლითი იქნება მოცემული თვით ჩვენ-
 გან და საბრალო ლაზებისაგან;
 ხოლო თუ გსურს გაიგო, თუ რო-
 გორ ეპყრობა ხოლმე ის ჩვეუ-
 ლებრივ იმათაც, ვინც მას არ
 იცნობს და ვინც მას არაფერში
 უსამართლოდ არ მოქცევია, მია-
 ყურე ვანდილებს, გუთებს და მა-
 ვრუსიებს. მაგრამ უმთავრესი ჯერ
 კიდევ არ თქმულა. განა იმან ზო-
 მები არ მიიღო იმისათვის, რომ
 ზავის დროს მოტყუებით მიემხრო
 ალამუნდარი, შენი მონა, მეფევ,
 და ჩამოეშორებინა ის შენი სამე-
 ფოსათვის? განა იმან ამას წინათ
 არ სცადა შენი საქმეების საწი-
 ნაადმდეგოდ დაკავშირებოდა ჰუნ-
 ნებს, რომელთანაც მას მანამდე სა-
 ქმე არ ჰქონია? მართლაც რომ არ

¹⁾ μέλεις P. ²⁾ οὐννους P.

νη τὸ ἐκείνου μέρος ἦδη σοι λέλυται, καὶ οπιονδαῖς αὐτὸς πέρας ταῖς ἀπεράντοις ἐπέθηκε. λύουσι γὰρ τὴν εἰρήνην οὐχ οἱ ἂν ἐν θπλοῖς γένοιτο πρῶτοι, ἀλλ' οἱ ἂν ἐπιβουλεύοντες ἐν σπονδαῖς τοῖς πέλας ἀλαῖεν. τὸ γὰρ ἔγκλημα τῷ ἐγκεχειρηκότι, καὶν ἀπὴ τὸ κατορθοῦν, πέπρακται. ἔπη ποτὲ δὲ ὁ πόλεμος χωρήσει παντὶ που θήλον. οὐ γὰρ οἱ τὰς αἰτίας τῆς πολέμου παρασχόμενοι ἀλλ' οἱ τοὺς παρασχόμενους αὐτὰς ἀμυνόμενοι, κρατεῖν δεῖ τῶν πολεμίων εἰσθῆσιν. οὐ μὴν οὐδὲ ἐξ ἀντιπάλου ἡμῶν τῆς δυνάμεως ὁ ἀγών ἔσται. Ῥωμαίοις γὰρ τῶν τε στρατιωτῶν πλείστους πρὸς ταῖς τῆς οἰκουμένης ἐσχαιαῖς ξυμβαίνει εἶναι καὶ θασὶν στρατηγοῖν, ὅπερ αὐτοῖς ἦσαν, τὸν ἕτερον μὲν Σίτταν κτείναντες ἦκομεν, Βελισάριον δὲ οὐποτε Ἰουστινιανὸς τὸ λοιπὸν θφεται. οὐπερ ἐκεῖνος ὀλιγορήσας μεμένηκε πρὸς ταῖς ἡλίαις θασμαῖς, αὐτὸς ἔχων τὸ Ἰταλῶν κράτος. ὣστε σοι ἐπὶ τοῖς πολεμίοις ἴοντι ἀπαντήσῃ τῶν πάντων οὐδεὶς, ἔξεις δὲ καὶ ἡμᾶς εὐνοίᾳ, τε, ὡς τὸ εἶκός, καὶ χαρίων ἐμπειρία πολλῇ τῷ σὸν στρατῷ ἐξήγουμένους“ (Hauryl 158—162).

ახსოვს უამთა ვითარებას ამაზე უფრო უმსგავსო საქმე. როგორც კი, ვფიქრობ მე, მან შეატყო, რომ დასავლელთა დაპყრობა თითქმის დასასრულს უახლოვდებოდა, უკვე ხელი მიჰყო აღმოსავლელთა, ესე იგი თქვენს დევნას, ვინაიდან მხოლოდ სპარსელთა სახელმწიფო დარჩა მას დასაპყრობი. ამრიგად, მისგნით ზავი უკვე დარღვეულია შენტვის და უვადო ზავს მან დაუდვა ვადა. ზავს ხომ ის არ არღვევს, ვინც პირველი აისხამს იარაღს, არამედ ის, ვინც ზავის დროს იქნება შემჩნეული მეზობლების წინააღმდეგ ბოროტმზრახველობაში; ვინაიდან დანაშაული ჩადენილად ეთვლება მის განმზრახველს, თუნდაც მან მისი შესრულება ვერ შესძლოს. ხოლო თუ რით გათავდება ომი, ეს ყველასთვის ცხადია. ჩვეულებრივ ხომ მუდამ იმარჯვებს მოწინააღმდეგეზე არა ომისათვის საბაზის მიმცემი, არამედ ის, ვინც საბაზის მიმცემს იგერიებს. კიდევ მეტიც: ეს ბრძოლა არ იქნება ჩვენთვის თანაბარი მხარეთა ძალეობით; ჯარის მეტი წილი ხომ რომაელებს მსოფლიოს შორეულ კიდევებში ჰყავთ, და ორი სტრატეგოსიდან, რომელნიც მათ საუკეთესონი ჰყავდათ, ერთი – სიტტა

ჩვენ ეხლახან მოვკალით, ხოლო მეორეს – ველისარის ვეღარ იხილავს ამიერიდან იუსტინიანე. მან უგულუბელყო ეს უკანასკნელი, დარჩა დასავლეთში და თითონ იგდო ხელთ იტალიელთა სახელმწიფო. ასე რომ, თუ შენ მტრის წინააღმდეგ გაილაშქრებ, არავითარი წინააღმდეგობა არ შეგხვდება, ჩვენი სახით კი გეყოლება ისეთები, რომელნიც გაუძღვებიან შენს ჯარს კეთილი განწყობილებით, როგორც შეგვფერის, და ადგილების კარგი ცოდნით აღჭურვილნი“.

გადასახადი კასპიის კარების დაცვისათვის.

[ანტიოქიის აღების შემდეგ (540 წელს) ხოსროს წარუდგენ ბიზანტიელი ელჩები, რომლებიც აღნიშნავენ, რომ ხოსრომ დაარღვია 532 წელს დადებული ზავი და სთხოვდენ მას შეეწყვიტა თავისი თავდასხმები. ხოსრო ამის საპასუხოდ მოითხოვს დიდძალ ფულს და აღნიშნავს, რომ]

Δεῖν τοῖσιν Ῥωμαῖοις τακτὸν
τι φέρειν ἐπέτειον Πέρσαις. „Ὅντω
γὰρ αὐτοῖς“ ἔφη „τιν ἐξήρην
Πέρσαι βέβαιον ἕξουσι, τὰς τε
Κασπίας αὐτοῖς φυλάσσοιτες πύλας
καὶ οὐκέτι αὐτοῖς ἀχθόμενοι διὰ
πύλων Δάρδας, ἢ πᾶρ ἅν ἔμμεταισι

II 10. საჭიროა, ამრიგად, რომაელებმა აძლიონ სპარსელებს ყოველწლიური გადასახადი, „ვინაიდან, თქმა მან, ამნაირად სპარსელები მათ მტკიცე ზავს შეუნარჩუნებენ, თვითონ დაიცავენ კასპიის კარებს¹ და აღარ გაჰკიცხავენ მათ

¹⁾ **კასპიის კარები**, ბიზანტიელი ისტორიკოსების ცნობებით, შეიქმნა საბაზი ბიზანტია-სპარსეთის სამხედრო ოპერაციების განახლებისა VI საუკუნის დასაწყისში. ვინაიდან კავკასიის მთის გადაღმა დამკვიდრებული ტომები ამ კარებით შემოდიოდენ სპარსელთა და ბიზანტიელთა ადგილებში (BP I 10), მათი დაცვა ორივე სახელმწიფოს ინტერესს შეადგენდა. ბიზანტიასა და სპარსეთს შორის 368 წელს დადებული ხელშეკრულებით ორივე სახელმწიფო საერთო ხარჯით (κοινὰ δαπάναις) იცავს ამ შემოსავალ კარებს, ხოლო როდესაც ბიზანტიელები V საუკუნეში მთელ თავის რესურსებს დასავლეთისა და ჩრდილოეთის ფრონტებზე გადაისვრიან, კავკასიის ჩრდილოეთიდან ხსენებული შემოსავლით მოზღვავებული ტომების მოგერიება მთლიანად სპარსელებს აწევს: ისინი საკუთარი ხარჯით ინახავენ კასპიის კარებთან ჩაყენებულ სადარაჯო რაზმებს (I o a n n i s L y d i de magistratibus populi romani III 52; ed. R. Wuensch Lp. 1903, p.

140 – 141). შემდეგ მეფე კავადი კატეგორიულად მოითხოვს ანასტასი კეისრისაგან დათქმული ფულადი გადასახადის გაღებას და, როდესაც ბიზანტიელები ფულის გადახდაზე უარს ამბობენ, იწყებს ლაშქრობას (502 წელს) ბიზანტიის წინააღმდეგ. და ეს ომია რომ მთელი VI საუკუნის მანძილზე გრძელდება (K. C ü t e r b o c k, Byzanz und Persien, Brl. 1906, გვ. 38) და როდესაც საომარი ოპერაციების განმავლობაში საზავო მოლაპარაკება იმართება, ერთ-ერთ საკითხად კასპიის კარების სადარაჯო რაზმების შესანახად გასაღები თანხების საკითხიც დგას.

ბიზანტიელი მწერლებიდან ბევრი იხსენიებს „კასპიის კარებს“ (მაგ., პრისკე პანიელი, პროკოპი, აგათია, იოანე ლიდე, მენანდრე); იხსენიებენ მათ ადრინდელი მწერლებიც (სტრაბონი, პლინი). მაგრამ ამ სახელწოდებით ყოველთვის ერთიდაიგივე «კარები» არ იგულისხმება; ჩრდილო-კავკასიიდან გადმოსავალი კარებისათვის არსებობს სხვადასხვა სახელწოდება: Caspiae portae, Caucasiae p., Albaniae p., Sarmaticae p. და სხვ. «ალბანიის კარები» ყოველთვის ეწოდება დ ა რ უ ბ ა ნ დ ი ს კარს; «კავკასიის კარებით» და «სარმატიის კ.» აგრეთვე ყოველთვის აღნიშნება დ ა რ ი ა ლ ი ს კარი. რაც შეეხება «კ ა ს პ ი ს კარებს», წყაროები ამით ხან დარიალს ჰგულისხმობენ, ხან დარუბანდს: ჯერ კიდევ პ ლ ი ნ ი

καὶ αὐτοὶ ἐς αἶψα ἔσσονται“. „Ὅντι-
 οὖν“ οἱ πρέσβεις ἔφρασαν „ἵππε-
 λειὲς Πέρσαι βούλονται Ῥωμαίους
 ἐς φόρου ἀπαγωγῆν ἔχειν“. „Ὅντι,
 ἀλλὰ στρατιώταις οἰκείους“ ὁ Χο-
 σρόης εἶπεν „ἔξουσι πὸ λοιπὸν
 Πέρσαι Ῥωμαῖοι, μισθὸν τῆς ἵπ-
 σουργίας αὐτοῖς χορηγοῦντες ῥητόν·
 ἐπεὶ καὶ Ὀννῶν τισὶ καὶ Σαρακη-
 νοῖς ἐπέτει·ν χορηγεῖτε χρυσόν,
 σὺ φόρου αὐτῆς ἵππελεῖς ὄντες,
 ἀλλ’ ἔπως ἀδῆατον γῆν τὴν ἵμε-
 τέρην φυλάξασιν ἐς τὸν πάντεσσι
 αἰῶνα“ (Haury I 197, 2-15).

ქალაქ დარას გამო, რის ნაცვლა-
 დაც ისინი სამუდამოდ ჯამაგირში
 იქნებიან“. ელჩებმა უთხრეს: „მა-
 შასადამე, სპარსელებს ჰსურთ, რო-
 მაელები ჰყავდეთ ქვეშევრომ მო-
 ხარკეებად“. „არა – უპასუხა ხოს-
 რომ – სხვათა შორის, ეს ისე გამო-
 ვა, რომ სპარსელები საკუთარ ჯა-
 რისკაცებად ეყოლებათ რომაელებს,
 რომლებიც მათ დათქმულ ჯამაგირს
 მისცემენ“. როდესაც ზოგიერთ
 ჰუნებსაც და სარკინოზებს ყო-
 ველწლიურად ფულს აძლევთ, მა-
 თი მოხარკეები კი არა ხართ, არა-

მედ ამას შვრებით იმ მიზნით, რომ მათ თქვენი მიწაწყალი სამუ-
 დამოდ შეგინახონ აუოხრებელი“.

აღნიშნავდა, «კასპიის კარებად» სახელსდებენ იმ კარებს, რომელიც. «კავკასიის
 კარები» (=დარიალი) არისო (Nat. hist. VI 30). ტ ა ც ი ტ ე ერთ ადგილას «კას-
 პიისად» თვლის დარიალს (ann. VI, 33), ხოლო მეორე ადგილას (hist. I 6) – და-
 რუბანდს; ასევე ნაირნაირი მნიშვნელობით აქვთ სხვებსაც ნახმარი ეს სახელი-
 შესაძლებელია, ამ არევის მიზეზი იყოს ის დებულება, რომელიც თავის დროზე
 გეოგრაფოს ერატოსტოხს ეწეოდა: «ერატოსტენე ამბობს, რომ კავ-
 კასს ადგილობრივი მცხოვრებლების მიერ კასპიონ-ი ეწოდება, შეიძლება კასპი-
 ბისაგან დაერქვა ეს»-ო (5(Strabo XI, 15, 60. Meineke II. 698). შეიძლება ერატოს-
 ტოსტენეს აზრი შემდგარი იყოს, როგორც ამას მარკუს ანტონინუსი
 (Caucasica, Fasc. 6,1 გვ. 30), მაგრამ სტრაბონის ეს ცნობა გასაგებად ხდის
 «კავკასიის» ნაცვლად «კასპიის» ხმარებას ბერძენ და რომაელ მწერალთა მიერ.

ამგვარად, წყაროების გამოყენებისას, ყოველთვის საჭიროა წინასწარ იქნეს
 გამორკვეული, თუ რომელ კარებს ჰგულისხმობს ესა თუ ის ავტორი «კასპიის
 კარებად». დამაფიქრებელია, მაგალითად, პრისკეპანიელის შემდეგი
 ცნობა: სარაგურები სპარსელების წინააღმდეგ გამოლაშქრებისას «ჯერ მოადგენ
 კასპიის კარებს, ხოლო როდესაც დაინახეს, რომ აქ სპარსელი დარაჯნი იყ-
 ვნენ ჩაყენებული, მიმართეს სხვა გზას, რომლითაც იბერიაში მოვიდნენ, მოაო-
 ხრეს ის და სომეხთა სოფლებიც მოარბიეს, ასე რომ სპარსელებს... შეეშინდათ ამ
 შემოსევის და ელჩები გაუგზავნეს რომაელებს და თხოვედნ მათ ან ფული მოეცათ
 მათთვის ან კაცები Ἰουροειπαάχ-ის სიმაგრის დასაცავად» (Excerpta de leg.,
 ed. de B o o r II 588; Hist. Gr. Min., ed. D I n d o r f I u s I 346), როგორც ვხე-
 დავთ ჰუნები ჯერ «კასპიის კარებით» წამოსულან, ხოლო შემდეგ მეორე გზის-
 თვის მიუმართავთ, სადაც ციხე ყოფილა აგებული (მაგრამ იმ დროს ცუდად და-
 ცული), და ამ მეორე გზით იბერიაში შემოსულან. მაშასადამე, ჩრდილოეთიდან
 იბერიაში შემოსასვლელი ეს მეორე გზა იყო (დარიალი), და არა «კასპიის კარე-
 ბი». იგივე ავტორი მეორე ადგილას ამბობს: სპარსთა ელჩები მოითხოვდენ «რათა

ბიზანტიის ეკონომიური პოლიტიკისათვის ლაზეთში (ვაჭრობის მონოპოლია).

Ἐν τούτῳ δὲ ὁ Χοσρόης ἐπὶ Κοιλχίδα τὸν στρατὸν ἤγε, Λαζῶν αὐτὸν ἐπαγομένων ἐξ αἰτίας ταιῶσδε. Λαζοὶ τὰ μὲν πρῶτα γῆν τὴν Κοιλχίδα ᾤκουν, Ῥωμαίων κατήκοοι ὄντες, οὐ μὲντοι ἐς φόρου ἀπαγωγῆν, οὐδὲ τι ἄλλο ἐπαγγέλλουσιν αὐταῖς ἐπικλοῦντες, πλὴν γε δῆσει, ἐπειδὴν αὐτοῖς ὁ βασιλεὺς τελευτήσῃ,

II 15. ამ დროს ხოსრომ კოლხიდის წინააღმდეგ წაიყვანა ჯარი; ლაზებმა მოიხმეს იგი შემდეგი მიზეზის გამო. ლაზები თავდაპირველად კოლხიდის ქვეყანაში მოსახლეობდენ და რომაელთა ქვეშევრდომნი იყვნენ, ხოლო არც ხარკს იხდიდენ, არც სხვა რამეში ემორჩილებოდენ მათ გარდა იმისა, რომ

რომაელებს ან ფულის გაღებით ეზრუნათ Ἰουροειπαάχ -ის სიმაგრეზე, რომელიც კასპიის კარებთან მდებარეობს, ან ჯარი გაეგზავნათ. მის დასაცავად» (იქვე II 586). ამ მეორე ცნობით ციხე თვით კასპიის კარებშია; ესე იგი, «კასპიის კარები» პრისკეს ცნობით, ერთ შემთხვევაში დარიალის კარია, მეორე შემთხვევაში კი სხვა (დარუბანდის). პროფ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი პრისკეს ამ ცნობას ასე გადმოგვცემს „სარაგურები ...კასპიის კარს მოადგენ. მაგრამ ეს ადგილი მათ გამაგრებული დახვდათ... და სხვა გზით, ი ვ რ ი ს ხ ე ო ბ ა ზ ე, საქართველოსა და სომხეთს შემოესივნენ... სპარსელებმა ბიზანტიელებს კაცები მიუგზავნეს და სთხოვეს: ან ფულით ან ჯარით დაგვეხმარეთ, რომ ი ვ რ ი ს ხ ე ო ბ ა გავამაგროთ და ჰუნნები შევიკავოთ“ (ქარ. ერის ისტორია I³, 210). ივ. ჯავახიშვილს, ცხადია პრისკეს კასპიის კარი დარიალის კარად მიაჩნია და ამის შემდეგ იბერიაში შემოსასვლელი „ს ხ ვ ა გ ზ ა“ პრისკე პანიელისა არ შეიძლება დარიალის გზა იყოს. და ასეთ სხვა გზად მას მიაჩნია ი ვ რ ი ს ხ ე ო ბ ა, ალბათ, იმიტომ რომ პრისკეს მოხსენებული აქვს «იუროიპაახ». ჩვენ ზემოთ დავინახეთ, რომ პრისკეს ამ ფრაგმენტში კასპიის კარად დარუბანდი იგულისხმება, ხოლო „სხვა გზა“ დარიალის კარია, რაც შეეხება «იუროიპაახ»-ს, ის არ შეიძლება ივრის ხეობას ნიშნავდეს, ვინაიდან პრისკეს ორსავე ფრაგმენტში ის ციხე-სიმაგრედ არის მოხსენებული. გაცილებით უკეთ აქვს დაცული ამ ციხის სახელწოდება VI საუკუნის ავტორს ი ო ა ნ ე ლ ი დ ე ს. ის ორჯერ იხსენიებს მას; მისი სიტყვით კასპიის კარებთან ბარბაროსთა შემოსევების საწინააღმდეგოდ სპარსელებმა ააგეს ციხე, რომელსაც საკუთარ ენაზე «ვირაპარახ»-ს ეძახდენ: οἱ Πέρσαι ἔσχον ἀνάγκην, οἷα προσεχέτεροι ταῖς τῶν βαρβάρων ἐφόδοις, ἀντοικοδομεῖν φρούριον ἐκεῖ, Βιραπαράχ πατρίδας αὐτὸ καλέσατες (I o a n n i s L y d I de magistratibus III 51, 52, 53). ამის შემდეგ გასაგებია პრისკე პანიელის მათ მოყვანილი ფორმა, სახელდობრ: Ἰουροειπαάχ < Ουροειπαάχ < Βιραπαράχ. რაც შეეხება ამ სიტყვის მნიშვნელობას, ის, როგორც ტ ო მ ა შ ე კ ი ამბობს, სომხურ სახელწოდებას უნდა წარმოადგენდეს და ნიშნავდეს „იბერთა საფარს“ (RE III, 489).

პროკოპი კესარიელი «კასპიის კარებით» ყოველთვის დარიალის კარს ჰგულისხმობს. მეორე, დარუბანდის კარს ის უწოდებს Τζისპ (იხ. ქვევით BC IV 3 და იქვე ჩვენი შენიშვნა).

ξυμβολα τῆς ἀρχῆς τῆ διαδεξα-
 μένῃ τὴν βασιλείαν ὁ Ῥωμαίων
 βασιλεὺς ἐπεμπε. τὰ δὲ τῆς χώ-
 ρας ὄρια ξὺν ταῖς ἀρχομένοις ἐς
 τὸ ἀκριβὲς διεφύλασσαν ὅπως δὴ μὴ
 Οὐνοὶ πολέμοι ἐξ ὄρους τοῦ Καυ-
 κάσου, ὁμόρου σφίσιν ὄντας, ὁ δὲ
 Λαζικῆς παρεύμενοι ἐσβάλλωσιν
 ἐς γῆν τὴν Ῥωμαίων. ἐφύλασσαν
 δὲ οὔτε αὐτοὶ χρήματα ἢ στρα-
 τιὰν πρὸς Ῥωμαίων δεχόμενοι
 οὔτε Ῥωμαῖοις πῆ ξυστρατεύοντες,
 ἐπὶ ἐμπόρια δὲ τῆ κατὰ θάλασσαν
 πρὸς Ῥωμαίους αἰεὶ τοὺς ἐν
 πόντῳ φηκίμενους ἐργαζόμενοι.
 αὐτοὶ μὲν γὰρ οὔτε ἄλλας οὔτε
 σίτων οὔτε ἄλλο τι ἀγαθὸν ἔχου-
 σι, δέριραι δὲ καὶ βύρσας καὶ
 ἀνδράποδα παρεχόμενοι τὰ σφίσιν
 ἐπιτήδεια ἐκομίζοντα. ἐπειδὴ δὲ
 τὰ ἀμφὶ Γουργένοι τῆ Ἰβήρων
 βασιλεὶ γενέσθαι: ξυνέπεσεν, ὥσ-
 περ μοι ἐν τοῖς ἐμπροσθιν λόγοις
 ἐρρήθη, στρατιῶται Ῥωμαίων
 ἐπιχωριάζειν Λαζοὺς ἤρξαντο, οἷς
 δὴ οἱ βάρβαροι οὔτοι ἠχθόντα,
 καὶ πάντων μάλιστα Πέτρῳ τῆ
 στρατηγῆ, ἐπηρεάζειν τοὺς ἐντυ-
 χάνουσιν εὐπειτῶς ἔχοντι. ὁ δὲ
 Πέτρος οὗτος ὄρμητο μὲν ἐξ Ἀρ-
 ζανηνῆς, ἢ ἐκτὸς Νυμφίου ποτα-
 μοῦ ἔστι, Περσῶν κατήκοος ἐκ
 παλαιῶν ἡμῶν, πρὸς Ἰουστίνου δὲ
 βασιλέως ἔτι παῖς ὢν ἡνδραπό-
 διστο, ἡγήνα Ἰουστίνου μετὰ τὴν
 Ἀμιδῆς ἀλωσιν ξὺν τῆ Κέλερος
 στρατῷ ἐσέβαλλεν ἐς τὴν Περ-

როდესაც მათ მეფე მოუკვდებოდა,
 რომელთა მეფე უგზავნიდა სამეფო
 ტახტის მემკვიდრეს ძალაუფლების
 სიმბოლოს. ის ზედმიწევნით იცა-
 ვდა თავის ქვეშევრდომებთან ერ-
 თად ამ ქვეყნის საზღვრებს, რათა
 მტრულად განწყობილი ჰყუნები,
 მათი (ლაზების) მოსაზღვრე კავკა-
 სის მთიდან ლაზიკეზე გამოვლით
 რომელთა მიწაწყალში არ შემო-
 ქრილიყვენ. ისინი მტკიცედ იცავ-
 დენ იმათ, ისე, რომ არც ფულს
 ლებულობდენ რომაელებისაგან,
 არც ჯარს, და არც ლაშქრობდენ
 რომაელებთან ერთად, – რა სახი-
 თაც არ უნდა ყოფილიყო ეს –
 და მუდამ აწარმოებდენ პონტოში
 მცხოვრებ რომაელებთან საზღვაო
 ვაჭრობას. თვით მათ არც მარი-
 ლი ჰქონდათ, არც ხორბალი, არც
 სხვა რამე სიკეთე; ისინი მხოლოდ
 აწვდიდენ ტყავსაფარებს, ტყავებს
 და მონებს და თავისთვის საჭირო
 საგნებს იძენდენ. როდესაც მოხდა
 გურგენ, იბერთა მეფის წყალობით
 შემთხვეული ამბავი, როგორც ეს
 ზემოთ იყო ჩემ მიერ მოხსენებული ¹,
 ლაზებთან დაიწყეს ჩადგომა რომა-
 ელთა ჯარისკაცებმა, რომლებითაც
 ის ბარბაროსები შეწუხებული იყ-
 ვნენ, და პირველ ყოვლისა შეწუხე-
 ბული იყვნენ პეტრე სტრატეგოსით,
 რომელიც ადვილად ექცეოდა ხოლ-
 მე მათ უდიერად. ეს პეტრე შთა-
 მომავლობით იყო არზანენიდან,
 რომელიც მდინარე ნიმფის იქით
 არის და ძველითგანვე სპარსელთა

¹) ეს ამბავი. მოთხრობილია BP I 12 (იხ. ზემოთ გვ. 21 შდდ.).

σὼν γῆν. φιλοῦνθροπίᾳ δὲ πολλῇ
 χρωμένους τοὺς κακῆμένους ἐς αὐτόν
 ἐξ γραμματιστῶν ἐφοίτησε. καί
 τὰ μὲν πρῶτα Ἰουστίνου γραμμα-
 τεὺς γέγονεν, ἐπεὶ δὲ Ἀναστα-
 σίου τετελευτηκότας Ἰουστίνος τὴν
 βασιλείαν παρέλαβε Ῥωμαίων, ὁ
 Πέτρος στρατηγὸς γεγὼνὼς ἐξ τε
 φιλοχρηματίαν εἶπερ τις ἄλλος
 ἐξώκειλε καὶ ἀβελτερίᾳ πολλῇ ἐξ
 ἀπαντας ἐχρητο.

Ἔσπερον δὲ βασιλεὺς Ἰουστινι-
 αῖνος ἄλλους τε ἐξ Ἀαζικῆν ἀρχον-
 τας ἐπεμψε καὶ Ἰωάννην, ὃν
 Ἰζιβὸν ἐκάλουν, ἀνδρα ἐξ ἀφανῶν
 μὲν καὶ ἀδόξων ἀρχὴν γεγονότα,
 ἐξ στρατηγίαν δὲ ἀναβεβηκότα
 κατ' ἄλλο οὐδὲν ἢ ὅτι πονηρό-
 τητός τε ἦν ἀνθρώπων ἀπάντων
 καὶ πόρους χρημάτων ἀδίκους
 ἰκανώτατος ἐξευρεῖν. ὃς δὲ ἅπαν-
 τα ἔσφηλέ τε καὶ συνεπάραξε τὰ
 Ῥωμαίων τε καὶ Ἀαζῶν πράγμα-
 τα, οὗτος καὶ βασιλεῖα Ἰουστινι-
 αῖνον πόλιν ἀνέπεισεν ἐπιθλασσίαν,
 Πέτραν ὄνομα, ἐν Ἀαζίᾳ δεξιμα-
 σίται· ἐνταῦθ' αὖτε ὡσπερ ἐν ἀχρο-
 πόλει κηθόμενος ἦγγε τε καὶ ἔφερε
 τὰ Ἀαζῶν πράγματα. τοὺς τε γὰρ
 ἄλλας καὶ ἕσα ἄλλα φερτῶς Ἀαζοῖς
 ἀναγκαστὰ ἐδῶκει εἶναι, ὡσέτι φέ-
 ρειν ἐς γῆν τὴν Κολχίδα τοῖς
 ἐμπόροις ἐξῆν, ἢ ἄλλο τι¹ ἐνθένδε
 ὠνεῖσθαι, ἀλλ' ἐν Πέτρα² ζῆστησά-

ქვეშევრდომია; ის ჯერ კიდევ ბავ-
 შობისას ტყვედ იქმნა წამოყვანი-
 ლი მეფე იუსტინეს მიერ, როდე-
 საც იუსტინე ამიდის ალების შემდეგ
 კელერის ჯარითურთ შეიჭრა სპარ-
 სელთა მიწაწყალში. რადგან ბატო-
 ნი მას დიდის კაცთმოყვარეობით
 ეპყრობოდა, მან დაიწყო გრამატი-
 ტულ სკოლაში სიარული. და თავდა-
 პირველად ის გახდა იუსტინეს მწე-
 რალი. ხოლო, როდესაც ანასტასის
 გარდაცვალების შემდეგ იუსტინემ
 რომაელთა სამეფო მიიღო, პეტრე
 სტრატეგოსად დაინიშნა; ის ვერ-
 ცხლის-მოყვარეობაში ჩავარდა –
 როგორც არც ერთი სხვა – და მე-
 ტად უდიერად ეპყრობოდა ყველას.
 ხოლო შემდეგ იუსტინიანემ სხვა
 მთავრები გააგზავნა ლაზიკეში,
 მათ შონის იოანეც, რომელსაც
 ციხეს უწოდებდენ, კაცი არაწარ-
 ჩინებულთა და არასახელოვანთა
 შთამომოვალი, რომელმაც სტრა-
 ტეგოსობამდე მიაღწია სხვა არა-
 ფრით, გარდა იმისა რომ ყველა-
 ზე უფრო საზიზღარი იყო და ყვე-
 ლაზე უფრო მოხერხებული ფულის
 საშოვნელად უსამართლო საშუა-
 ლებათა გამოგონებაში. ის იყო,
 რომ რომაელთა და ლაზთა ყველა
 საქმეები გაამრუდა და არივდარია.
 მანვე დააჯერა მეფე იუსტინი-
 ანე ლაზების ქვეყანაში ზღვისპი-
 რა ქალაქი აეშენებინა, სახელად

1) ἄλλο P. ἄλλοσι G. ἄλλοσι ჰ ა უ რ ი ს კონიექტურა. დ ე ს ტ ე ფ ა-
 ბ ი (Byz. Zeit. 14, 641) უპირატესობას აძლევს G ხელნაწერის კითხვას, რასაც
 შემდეგ ჰაურიც იზიარებს (იხ. პროკოპის გამოცემის III. 391).

2) Πέτρα] πέτραიც. უკანასკნელ ფორმას იძლევა ყველა ხელნაწერი, პირ-

μενος τὸ δὴ καλούμενον μονοπω-
 λιον αὐτὸς κάπηλός τε καὶ ξυμπάσης
 τῆς περι ταῦτα ἐργασίας ἐπιστάτης
 ἐγίγνετο, ἅπαντα ὠνομένους τε
 καὶ ἀποδιδόμενος Ἡρόλχοις, οὐκ
 ἤπερ εἶμιστο, ἀλλ' ἤπερ ἐξήν. ἅμα
 δὲ καὶ ἄλλως οἱ βάρβαροι ἤχθοντο
 ἐπιχωριάζοντι αὐτοῖς οὐκ εἰσὼς
 πρότερον τῆ Ῥωμαίων στρατῆ. ἃ
 δὴ οὐκέτι φέρειν οἱοί τε ὄντες
 Πέρσαις τε καὶ Χοσρόη προσχω-
 ρεῖν ἔγνωσαν, πρέσβεις τε ἀντίκα
 ταῦτα διαπραξομένους κρύφα Ῥω-
 μαίων παρ' αὐτὸν ἐπεμψαν. εἰς
 δὴ εἶρησε τὰ πιστὰ πρὸς Χοσρόην
 λαβόντων, οἱ γὰρ εἰσπτε Λαζοῖς
 ἄκοντας ἐκδώσει Ῥωμαίοις, οὕτω
 δὴ αὐτὸν ξὺν τῆ Περσῶν στρατῆ
 ἐς τὴν χώραν ἐπαγαγέσθαι.

პეტრა. იქ იჯდა ის, ვითარცა
 აკროპოლისში, და სძარცვავდა
 ლაზთა ქონებას. ვაჭრებს ხომ უკ-
 ვე ნება აღარ ჰქონდათ კოლხიდა-
 ში შეეტანათ მარილი და სხვა სა-
 ქონელი, რაც ლაზებისთვის აუცი-
 ლებლად საჭიროა, არც აქიდან
 შეეძლოთ რამე ეყიდინებინათ, არა-
 მედ მან (ე. ი. იოანნემ) შემოიღო
 ეგრეთწოდებული მონოპოლი და
 თვით გარდაიქცა მეწვრიმალედ
 და მთელი, ამ საგნებით ვაჭრობის
 ზედამდგომად: ყველაფერს ჰყიდუ-
 ლობდა და აწვდიდა კოლხებს არა
 ისე, როგორც ეს ჩვეულებრივ იყო,
 არამედ ისე, როგორც ეს მის მიერ
 ნებადართული იყო. გარდა ამისა
 ბარბაროსები იმითაც იყვნენ უკმა-
 ყოფილონი, რომ მათ რომაელთა

ჯარი ჩაუყენეს, რასაც წინათ ადგილი არ ჰქონია. რადგან ამის ატა-
 ნა აღარ შეეძლოთ, განიზრახეს მიმხრობოდენ სპარსელებს და ხოს-
 როს; მაშინვე რომაელების ჩუმი ელჩებიც გააგზავნეს მათთან ამის
 მოსაგვარებლად. მათ დააბარეს, რათა ხოსრო, მის შემდეგ რაც მი-
 ილებდენ მისგან იმის პირობას, რომ ის არადროს არ მისცემდა
 ლაზებს – მათი ნების წინააღმდეგ – რომაელების ხელში, მოსულიყო
 მათს ქიოყანაში სპარსელთა ჯარითურთ.

Ἐφικόμενοι τοίνυν ἐς Πέρσας
 οἱ πρέσβεις καὶ Χοσρόη λάθρα ἐς
 ᾧψιν ἐλθόντες ἔλεξαν τοιαύτως „Εἰ-
 τινὰς καὶ ἄλλους ἐκ τῶν παντὸς
 χρόνου τῶν μὲν οἰκείων ἀποστάν-
 τας ὄντινα δὴ τρόπον, ἀνδράσι δὲ
 τὸ παράπαν ἀγνώσι προσκεχωρη-
 κότητας οὐ δέον ἀνθὶς εἰς πεισίσσα
 ἢ τύχη ὡς μάλιστα ἀσμένους ἐπι-

როგორც კი ელჩები მოვიდნენ
 სპარსთა ქვეყანაში და ფარულად
 წარუდგენ ხოსროს, მიმართეს მას
 შემდეგი სიტყვით ¹: „თუ მთელი
 ამ ხნის განმავლობაში შეგხვედრია
 ისეთები, რომელნიც რაღაც-ნაი-
 რად თავისიანთაგან გადამდგარან
 და სრულიად უცხო ხალხს მიჰყედ-
 ლებიან – რასაც ადგილი არ უნდა

ველი მოცემულია კ ო შ ე ლ ი ს მიერ მის, 1607 წელს დაბეჭდილ პროკოპის
 თხზულებათა გამოცემაში.

¹) ლაზების ამ სიტყვაზე მიუთითებს პროკოპი წინათვე (BP II 2), როდესაც

ταὺς πρὶν ἐπανήγαγεν ἐπιτηδεῖους
 ταιούτους δὴ τινὰς καὶ Λαζούς, ὧν
 μέγιστε βασιλεῦ, νόμιζε εἶναι.
 Κόλχοι¹ γὰρ Πέρσαις σύμμαχοι
 τὸ ἀνέκαθεν ὄντες πολλά τε εἰρ-
 γάσαντο αὐτοὺς ἀγαθὰ καὶ αὐτ. ἰ
 ἔπαθον· ὧν δὴ ἐν γράμμασι μνη-
 μεῖα πολλά ἡμεῖς τε ἔχομεν καὶ
 τοῖς βασιλεῖσι τοῖς σοῖς ἐς τὸ παρὸν
 διασώζεται. χρόνῳ δὲ ὕστερον τοῖς
 ἡμετέροις προγόνοις τετύχηκεν
 εἶτε παρ' ἡμῶν ἀμεληθεῖσιν εἶτε
 ἄλλοις του ἕνεκα (οὐ γὰρ ἔχομεν
 τι σφῆδες περὶ τούτων εἰδέναι)
 Ῥωμαίοις ἐνσπόνδοις γενέσθαι.
 καὶ γὰρ ἡμεῖς τε καὶ ὁ Λαζικῆς
 βασιλεὺς δίδομεν Πέρσαις ἡμᾶς
 τε αὐτοὺς καὶ γῆν τὴν ἡμετέραν
 ὅτι βούλοισθε χρῆσθαι. δεόμεθα
 δὲ ἡμῶν ὄντως σκοπεῖσθαι περὶ
 ἡμῶν. εἰ μὲν οὐδὲν πρὸς Ῥω-
 μαίων πεπονθότες δεῖνόν, ἀλλ'
 ἀγνωμοσύνη ἔχομενοι κεχωρήκα-
 μεν εἰς ἡμᾶς, τῆδε ἡμῶν εὐθύς
 ἀποσεῖσασθε τὴν ἰκετείαν, οὐδὲ
 ἡμῖν ποτε πιστοὺς ἔσεσθαι Κόλ-
 χους² οἰόμενοι (φιλικῶς γὰρ διαλε-
 λυμένης ὁ τρόπος τῆς μετ' ἐκεί-
 νην πρὸς ἑτέρους καμισταμένης
 ἔλεγχος γίγνεται)· εἰ δὲ λόγῳ μὲν

ჰქონოდა – და კეთილად შეტრია-
 ლებულ ბედს ისინი კვლავ თავი-
 სიანებისთვის დაუბრუნებია უფრო
 მეტად დაკმაყოფილებულნი, – ირ-
 წმუნე დიდებულო მეფე, რომ ასე-
 თები ლაზებიც არიან. კოლხები
 ხომ ძველითგანვე სპარსელების
 მოკავშირეები იყვნენ და ბევრი
 სიკეთე უყვეს მათ და თვითონაც
 განიცადეს მათგან; ამის წერილო-
 ბითი საბუთები მრავალი გვაქვს
 ჩვენ და შენს სამეფო საგანძურე-
 ზში ეხლაც არის დაცული, ხოლო
 შემდეგ ხანებში ჩვენს წინაპრებს
 მოუხდათ რომაელებთან კავშირის
 შეკვრა – მოხდა კი ის ან თქვენი
 უზრუნველობით იმათზე, ან სხვა
 მიზეზის გამო (ჩვენ ამის შე-
 სახებ დანამდვილებით არაფერი
 ვიცით). ეხლა-კი ჩვენ და ლაზი-
 კის მეფე გაძლევთ სპარსელებს
 უფლებას გამოგვიყენოთ ჩვენ და
 ჩვენი ქვეყანა ისე, როგორც თქვენ
 გსურთ. ხოლო გთხოვთ თქვენ გან-
 საჯოთ ჩვენ შესახებ შემდეგნაირად:
 თუ ჩვენ რომაელებისაგან არავი-
 თარი უბედურება არ განგვიც-
 დია, არამედ უვიცობით შეპყრო-
 ბილნი გადმოვდივართ თქვენკენ,
 უმაღვე უკუაგდეთ ჩვენი თხოვნა

გუთ უიტტიგისის ელჩები დაარწმუნებენ ხოსროს, რომ სპარსეთის ინტერესებისა-
 თვისვე საჭიროა დაარღვიოს ზავი ბიზანტიელებთან, პროკოპი დასძენს;

ο δὴ καὶ ἐς τοὺς Ἀρμενίων τε καὶ
 Λαζῶν λόγους ἐλίγῳ ὕστερον ἔδρα-
 σεν ἅπερ μοι ἀντίκα μάλα λελέ-
 ξεται (Hauriy I 153 12—14)

ასევე მოიქცა იგი (ე. ი. ხოსრო) ცოტა
 ხნის შემდეგ არმენიელთა და ლაზთა სიტ-
 ყვების დროს, რაც ჩემ მიერ მოთხოვნილი
 იქნება ეხლავე.

¹) კოლχοί VG. ²) კოლχούς VG.

საქართველოს მუზეუმის მოამბე, VI.

φίλοι Ῥωμαίων, ἔργα ἴδ' ἀνδρά-
 πιστα γεγονότε· πιστά, ἔργα πεπύ-
 θαμεν πρὸς τῶν ἐφ' ἡμῖν τετυ-
 ραννηκίτων ἀνάσσει, δεξασθε μὲν
 ἡμᾶς τοῖς πρῶσι θεξυμιάχους, κτή-
 σασθε δὲ δεύλους εἰς φίλοις ἔχρησ-
 θε, ποιήσατε δὲ τυραννίδα πικ-
 ρὰν οὕτως μὲν ἐν γειτόνων¹ ἐγγυ-
 γερμέλην, τῆς δικαιοσύνης ἀξια
 πράσσοντες, ἣν πεποισθέντες ἀεὶ
 πάτριον Πέρσαις. εὖ γὰρ ὁ μη-
 δὲν αὐτὸς ἀδικῶν δίκαιος, εἰ μὴ
 καὶ τοῖς ἐφ' ἑτέρων ἀδικουμένους
 ἔχων ἐν ἐξουσίᾳ ῥέσθαι πέφικεν.
 ἔνια δὲ εἰπεῖν ὧν τετυμνηκίτων
 οἱ κατάρται· Ῥωμαῖοι καὶ ἡμῶν
 ἀξιοι. τῶ μὲν γὰρ ἡμετέρω βα-
 σιλεῖ τὸ στήμα μόνον τῆς βασι-
 λείας ἀπολιπόντες αὐτοὶ τὴν ἐξου-
 σίαν ἐπὶ τῶν ἔργων ἀφῆρηται,
 καὶ κάθηται βασιλεὺς ἐν ὑπηρέτου
 μίρᾳ, τὸν ἐπιτάττοντα στρατηγὸν
 δεδωκώς· στρατιᾶς δὲ ἡμῖν ἐπέστη-
 σαν πλῆθος, οὐχ ὅπως τὴν χώραν
 ἀπὸ τῶν ἐνοχλοῦντων φρουρήσουσιν
 (εὖ γὰρ οὐδέ τις τῶν δούλων ἡμᾶς
 πλὴν γε δὴ Ῥωμαίων ἠνώχλησεν),
 ἀλλ' ὅπως ἡμᾶς ὡσπερ ἐν δεσ-
 μωτηρίῳ καθείρξαντες κίριοι τῶν
 ἡμετέρων γενήσονται. λογισάμενοι
 δὲ στυγερῶς ποιήσασθαι τὴν
 τῶν ἡμῖν ὑπαρχόντων ἀφαίρεσιν,
 ὅρα, ὦ βασιλεῦ, ἐς ἑπίαν τινὰ
 ἐν τῶν ἡλίθων· τῶν ἐπιτηδείων
 ἃ μὲν περιττὰ παρ' ἐκείνους εἶναι
 τετύχηκεν, ἀναγκάζουσιν οὐχ

თქვენ, რომელნიც იფიქრებთ, რომ
 კოლხები არც თქვენი ერთგული
 იქნებიან ოდესმე (ვინაიდან დარ-
 ღვეული მეგობრობის მაგალითი
 ამის შემდეგ სხვებთან დადგენილი
 მეგობრობის საზომად შეიქმნება).
 ხოლო თუ ჩვენ რომაელების მეგო-
 ბრები ვიყავით სიტყვით, საქმი-
 თი ერთგული მონები, და ჩვენი
 მიმძლავრებლებისაგან უწმინდური
 საქმეები განვიცადეთ, მიგვიღეთ
 ჩვენ, წინანდელი მოკავშირეები:
 გაიჩინეთ მონებად ისინი, ვინც
 თქვენ მეგობრებად გყავდათ; შეი-
 ზიზღეთ მწარე მიმძლავრება, თქვენ
 მეზობლად რომ აღმართულა ჩვენ-
 ზე, და თქვენ იქმთ სამართლი-
 ანობის ღირსეულ საქმეს, რომელ-
 ზე ზრუნვაც მუდამ მამაპაპეული
 წესი იყო სპარსელებში. უსამართ-
 ლოდ არ მომქცევი ხომ არ ჩაი-
 თვლება სამართლიან ადამიანად,
 თუ ის სხვების მიერ ჩაგრულებს არ
 დაიცავს ხოლმე, როდესაც ეს
 მის ხელთ არის. საჭიროა ითქვას
 ზოგიერთი რამ, რაც ჩაიდინეს
 ჩვენ წინააღმდეგ წყეულმა რომა-
 ელებმა. ჩვენს, მეფეს ხომ მეფო-
 ბის მხოლოდ გარეგნული ნიშნე-
 ბი დაუტოვეს, ხოლო ძალაუფლება
 საქმეებში თვითონ მიითვისეს; მე-
 ფეც მოსამსახურის ბედში იმყოფე-
 ბა და განმკარგულებელი სტრატე-
 გოსის ეშინიან. უამრავი ჯარიც
 ჩავვიყენეს, მაგრამ არა იმიტომ რომ
 დაიცვან ქვეყანა შემწუხებელთა-

¹) ἐν γειτόνων V, ἐγγειτόνων G, ἐκ γειτόνων P.

ἐχόντας ὠνεῖσθαι Λαζούς, ἕσα δὲ αὐτοῖς χρησιμώτατα φέρειν Λαζική πέφυκεν, οἷδε ἀξιῶσι δῆθεν τῷ λόγῳ παρ' ἡμῶν πρίασθαι, τιμῆς ἐκπέρωθι γνώμη τῶν κρατούντων ὀριζομένης. οὕτω τε ἔξιν τοῖς ἀναγκάσις ἅπαν ἀφαιροῦνται τὸ χρυσίον ἡμᾶς, ὀνόματι μὲν τῷ τῆς ἐμπορίας εὐπρεπεῖ χρώμενοι, ἔργῳ δὲ ἡμᾶς ὡς ἐνι μάλιστα βιαζόμενοι. ἐφέστηκέ τε ἡμῖν ἀρχῶν κάπηλος, τὴν ἡμετέραν ἀπορίαν ἐργασίαν τινα τῆ τῆς ἀρχῆς ἐξουσία πεποιημένους. ἡ μὲν οὖν τῆς ἀποστάσεως αἰτία τοιαύτη τις οὖσα τὸ δίκαιον ἐφ' ἐχυσῆς ἔχει· ἕσα δὲ ἡμῖν αὐτοῖς ἕξυμφορα ἔσται, δεχομένοις τὴν Λαζῶν δέησιν, αὐτίκα ἐροῦμεν. τῆ Περσῶν ἀρχῇ βασιλείαν ἀρχαιοτάτην προσήσεται, μηχανόμενον τε ἀπ' αὐτῆς ἐξετε τὸ τῆς ἡγεμονίας ἀξίωμα, μετεῖναι δὲ τῆς Ῥωμαίων θαλάσσης ἡμῖν διὰ τῆς ἡμετέρας ἕξιμῆσεται χώρας, ἐν ἣ πλοῖά σοι, ὦ βασιλεῦ, γυπαηγουμένῳ βατὸν οὐδενὶ πόνῳ τὸ ἐν Ἰουλιαντῆ πηλάτιον ἔσται. μετὰ τῶν γὰρ ἐναντίωμά οὐδὲν ἔσται.

გან (მოსაზღვრეებიდან სხვა ხომ არავინ გვაწუხებდა ჩვენ, გარდა რომაელებისა), არამედ რათა დავემწყვდით ჩვენ როგორც სადილეგომი და ჩვენს ქონებას დაჰპატრონებოდენ. იმ აზრით რომ უფრო სწრაფად მოეხდინათ ჩვენი ქონების მითვისება, აი, მეფევ, რანაირ დასკვნამდე მივიდენ: რაც-კი საჭირო საგნებიდან მათთვის ზედმეტი აღმოჩნდება, მის ყიდვას აიძულებენ ლაზებს, მათი ნების წინააღმდეგ; ხოლო, რაც მათთვის საჭირო საგნებიდან ლაზიკეს შეუძლია მისცეს, ისინი ფიქრობენ, რასაკვირველია, მათ შესყიდვას ჩვენგან მხოლოდ სიტყვით, რადგან ფასი თვითეულ შემთხვევაში წესდება მმართველთა აზრისა და მიხვედით. ამნაირად, საჭირო საგნებთან ერთად ისინი გვართმევენ მთელ ოქროსაც, და უწოდებენ ამას ვაჭრობის კეთილშობილ სახელს, საქმით კი ისინი გვმძღავრობენ, რაც შეიძლება უფრო მეტად. ჩვენ გვიყენია მთავარი მეწვრიძალე, რომელიც ჩვენს სიღარიბეს, ძალაუფლების წყალობით, მოგების საშუალებად ხდის¹. აი,

¹) ეს ადგილი ლაზთა სიტყვისა, ისევე როგორც პროკოპის მიერ ზემოთ (გვ. 47 – 48) გადმოცემული ცნობა იოანე ციბეს სავაჭრო პოლიტიკის შესახებ ლაზეთში, ეხება ბიზანტიის VI საუკუნის ისტორიის ძირითად საკითხს. ლაზეთში იუსტინიანეს მიერ დანიშნულმა იოანე ციბემ შემოიღო ე. წ. მონოპოლი: ლაზეთში საქონელი თვითონ შეჰქონდა და ჰყიდდა (მაგ. მარილს), საექსპორტო საქონელსაც თვითონ იძენდა მტკიცე, მის მიერ დაწესებულ ფასებში. რადგან იოანე «ყველაფერს ჰყიდულობდა და აწვდიდა კოლხებს არა ისე, როგორც ეს ჩვეულებრივ იყო, არამედ ისე, როგორც ეს მის მიერ ნებადართული იყო», ცხადია, ის ლაზების თვალში ჩვეულებრივი მიმძღავრებელი და მეწვრიძალე იყო, რომლის მთავარ მიზანს ფულის შოვნა და გამდიდრება შეადგენდა. მაგრამ აქ, რასაკვირველია, გაცილებით უფრო რთული ამბავია მოთხრობილი, ვიდრე ეს ლაზებს წარმოედგინა.

προσδείη δ' ἄν τις ὧς λαὶ ληϊζῶ-
 θαι τοὺς ἑμόρους βερβάρους τῆν
 Ῥωμαίων γῆν ἀνά πᾶν ἔτος ἐφ'
 ἑμῖν κείσεται. ἕρσει γάρ τοις
 Καυκασίοις ἐπιτείχισμα μέχρι
 τοῦδε γεγονέναι τῆν Λαζῶν χώ-
 ραν πάντως που καὶ ἡμεῖς ἕνεπι-
 στασθε. ἡγούμενου τοίνυν τοῦ δι-
 κείου, πρόβουτος δὲ τοῦ ξυμφέ-
 ροντος, τὸ μὴ οὐχὶ τοὺς λόγους
 πρόσέσθαι οὐδεμιᾶς ἂν εὐβουλίας
 οὐδέμειθα εἶναι“. τοσαῦτα μὲν οἱ
 πρέσβεις εἶπον.

Χοσρόης δὲ τοις λόγοις ἤσθεις
 ἀμύγειν τε Λαζοῖς ἀπολόγησε καὶ
 τῶν πρέσβων ἐπαυθάνετο εἰ οἱ
 στρατῶν μεγάλην ἐς γῆν τῆν Κολ-
 χιδνᾶ ἰέναι θύνατᾶ εἶη. πολλῶν

ასეთია მიზეზი ჩვენი განდგომისა და მისი გამართლება მასშივეა. იმ სარგებლობის შესახებ, რომელიც გექნებათ თქვენ ლაზთაგან, თუ მათ თხოვნას შეიწყნარებთ, ეხლავე მოგახსენებთ. სპარსელთა ძალას თქვენ შეჰმატებთ უძველეს სამეფოს და მისი საშულებით თქვენი ჰეგემონიის ღირსება გადიდებული იქნება, ხოლო ჩვენი ქვეყნის გზით რომაელთა ზღვას დაუკავშირდებით. აქ თუ ხომალდებს ააგებ, მეფევ, არავითარ სიძნელეს არ წარმოადგენს, რომ ბიზანტიონის პალატს მიაღწიო. გზაზე ხომ არავითარი წინააღმდეგობა არ შეგხვდება. უნდა დაუმატოთ ისიც, რომ თქვენზე იქნება დამოკიდებული, რომ

 კაცი, რომლებიც, რაც შეიძლება
 უფრო მტკიცედ, დაიცავდნ იმ ვი-
 წრობს, რომელიც მდინარე ფასისის
 იქით იყო, ხოლო ალყა არავითარ
 შემთხვევაში არ მოეხსნა, სანამ ისი-
 ნი პეტრას და იქ მყოფ სპარსელებს
 არ დაიპყრობდნ. თვითონ-კი კოლ-
 ხების მთელი ჯარით ლაზიკის საზ-
 ღვრებისაკენ წავიდა, რათა მთე-
 ლი ძალღონით დაეცვა იქ მყოფი
 ვიწრობი. კარგა ხნის წინათ მან
 კავშირში ჩაითრია ალანები და

¹) καίτοι D I n d o r f] καὶ τι P. – ²) Κολχῶν VG. – ³) აქიდან და-
 წყებული კონსტანტინეს ექსცერპტებში (W) სწერის: ἐπὶ Γουβάζῃ δὲ Λαζῶν
 βασιλεῦς Ἀλανοὺς καὶ Σαβείρους ἐς ξυμμαχίαν ἐπηγάγετο, οἵπερ...

γῆσαν κεντηγαρίων οὐχ ὅσον ἀδῆαιτον Λαζοῖς ξυμφυλάξειν τὴν γῆν, ἀλλὰ καὶ Ἰβηρίαν εὐτῶ καταστίσεισθαι ἀνδρῶν ἔρημον ὡς μηδὲ Πέρσαις ἐνθίνδε τὸ λοιπὸν ἰέναι δυνατὰ ἔσεσθαι. ταῦτά τε σφ.σι τὰ χρήματα βασιλέα Ἰουβάζης ὑπέσχετο δώσειν. αὐτὸς μὲν οὖν ἀνενεγκὼν ἐς βασιλέα Ἰουστινιανὸν τὰ ξυγκείμενα τοῖς τε βαρβάροις τὰ χρήματα ταῦτα ἰκέτευσέ μπειν καὶ Λαζοῖς ἄγαν κεκακωμένοις παραψυχὴν προσέσθαι τινά. ἔφασκε δὲ καὶ οἱ αὐτῶ τὸ δημόσιον τὰς συντάξεις ὀφείλειν ἐν:αυτῶν δέκα, ἐπεὶ ἐν τοῖς σιλευντιαρίοις ἐν παλατίῳ τασσόμενος οὐδὲν κεκομισμένος ἐνθίνδε εἶη, ἐξ οὗ δὴ ἐς γῆν τὴν Κολχίδα Χοσρόης ἦλθε¹. βασιλεὺς δὲ Ἰουστινιανὸς ἐπιτελέσειν μὲν εἰνεοεῖτο τὴν αἴτησιν, ἐπιγενομένης δὲ οἱ ἀσχολίας τινὸς οὐκ ἔπεμψε τῷ καθήκοντι κρίνῃ τὰ χρήματα. Ἰουβάζης μὲν οὖν ταῦτα ἐποίηε.

Δαγισθαῖος δὲ (ἦν γὰρ τῆς νεανίας: πόλε: ὄν: τε διενεγκεῖν Μηδικὸν οὐδὲν ἀξιοχρεῖος) τοῖς πλεροῦσιν οὐκ ἐπιτηδείως ἐχρήτη. δέον οὖν ἀμέλει το πλεῖστ.ν τοῦ στρατοῦ ἐς τὸν στενωπὸν στείλαι, τάχα δ' ἂν που καὶ αὐτὸν τῇ ἔργῳ το:τῃ παραγενέσθαι, ἐς ἑκατὸν ἀνδρας, ὡσπερ τι πάρεργον διαχειρίζων, ἔπεμψε μόνους: αὐτο: δὲ Πέτρῳ π.λιουρχῶν παντὶ

საბირები, რომლებმაც აღუთქვეს სამ კენდინარად არა თუ აუოხრებლად დაეცვათ ლაზებისათვის მათი მიწაწყალი, არამედ იბერიაც ისე გაეუკაცურებიათ, რომ სპარსელებს ამიერიდან აღარ შესძლებოდათ უკვე იქ მისვლა. გუბაზი დაჰპირდა, რომ მეფე მათ მისცემდა ამ ფულს, თვითონ კი აცნობა იუსტინიანე მეფეს ამ პირობების შესახებ და სთხოვდა გამოეგზავნა ბარბაროსებისათვის ეს ფული და მეტად განადგურებულ ლაზთათვის წარეცა რაიმე ნუგეში. ის ამბობდა, რომ ხაზინას თვითონ მისი მართებს ათი წლის სარგო, რადგან თუმცა იგი პალატის სილენტიარებში ჩანიშნეს, მაგრამ მას არაფერი მიუღია იქიდან, მის შემდეგ რაც ხოსრო კოლხიდაში მოვიდა. იუსტინიანე მეფე ფიქრობდა დაეკმაყოფილებია ეს თხოვნა, მაგრამ რაღაც მისი მოუცლელობის გამო არ გაუგზავნა ფული სათანადო დროს. აი, ეს ქმნა გუბაზმა.

დაგისტემ კი ვერ გამოიყენა არსებული პირობები, როგორც საჭირო იყო (ის ხომ ახალგაზრდა იყო და სრულებით არ ჰქონდა უნარი მიდებთან ომისთვის გაემლო). თუმცა, ცხადია, საჭირო იყო მეტი წილი ჯარისა ვიწრობში გეგზავნა და, სადაც სამართალია, თვითონაც მიეღო ამ საქმეში მონაწილეობა, მაგრამ მან მხოლოდ ას კაცამდე გაგზავნა, თით-

¹) ἦλθε] ἐσήλθε W.

τῷ στρατῷ¹ εὐδὲν ἦνυσε, καίπερ τῶν πολεμίων ὀλίγον ὄντων. κατ' ἀρχὰς μὲν γὰρ εὐχ ἦσσαν ἢ πειτακίσοι καὶ χίλιοι ἦσαν, πρὸς Ῥωμαίων δὲ καὶ Λαζῶν ἐν χρόνῳ πολλῶν τειχομαχούντων βαλλόμενοι τε καὶ ἀρετὴν ἐπιδεικνύμενοι μάλιστα πάντων ὧν ἡμεῖς ἴσμεν, ὠνήραυσι τε πολλοὶ καὶ σφίσι ἐς ὀλίγους κομιδῆ ἀποκεκρίσθαι ξυνέπεσε. Πέρσαι μὲν οὖν ἐς ἀπόγνωσίν τε καὶ ἀπαρίαν ἐμπεπτωκότες ἦσαν ἡμεῖσιν, Ῥωμαῖοι δὲ ἀμφὶ τὸ πείχος διωρυχὰ ἐν χώρῳ ὀλίγῳ πεποιήνται, ὁ τε ταύτη περιβόλος εὐλύς ἔπασεν. ἀλλὰ ξυνέβη τοῦτου δὴ τοῦ χώρου ἐντὸς ἰκνημα εἶναι εὐδὲν τοῦ περιβόλου διεστραχὸς, ὁ δὲ ἐξικνεῖτο ἐς τὸ πεπτωκὸς ἐρεξῆς ὄλον καὶ ἀπὶ τοῦ πείχους πλειοκνημένοι γενόμενον ἐν τῷ ἀσφαλεῖ εὐδὲν τῆσσαν αὐτοὺς καθίστη, ὅπερ Ῥωμαῖοις ξυνταράξαι οὐδὲν ἔσχεν. εὐ γὰρ εἰδότες ὡς εὐτὸ δὴ ταῦτο ἐτέρωθεν ἐργαζόμενοι τὴν πόλιν ῥᾶστα αἰρήσουσιν, εὐέλπιτες πολλῶν ἔτι μάλλον ἐγένοντο. οὐδὲ δὴ ὁ Δακτυλοῦχος βασιλεὺς μὲν τὰ ξυνεχθέντα ἐδήλου, ἀπὸ δὲ ἐξεί τῆς νίκης ἐν πικρασκευῇ εἶναι προὔτειντο, σημήνας ἑσοῖς δὴ αὐτόν τε καὶ τὸν ἀδελφὸν τὸν αὐτοῦ χρῆν βασιλέα θωρήσασθαι. Πέτρων γὰρ αἰρή εἰν οὐ πολλῶν ὕστερ. ν. Πέρσαι μὲν οὖν Ῥω-

ქოს მეორეხარისხოვან რამესთან ჰქონოდას საქმე; ხოლო თვითონ მთელი ჯარით პეტრასათვის ალყა შემოერტყა, მაგრამ არაფერი გამოუდიოდა, თუმცა მტერი იქ მცირერიცხოვანი იყო. თავში ხომ ისინი იყვნენ არა ნაკლებ ათას ხუთასისა, ხოლო ბევრნი დაიხოცნენ, როდესაც მათზე იერიშები მოჰქონდათ რომაელებსა და ლაზებს, რომლებიც დიდხანს გარსერტყნენ ქალაქს, და დიდი სიყოჩად გამოიჩინეს, ყველა იმათზე მეტი, ვისაც ჩვენ ვიცნობთ, და მოხდა ისე, რომ მათი რიცხვი ძალზე მეტად შემცირდა. სასოწარკვეთილებაში და გაჭირებაში ჩავარდნილი სპარსელები გაუნძრევლად იდგნენ, რომაელებმა კი კედელთან თხრილი გააკეთეს მცირეოდენ მანძილზე და ამ თხრილთან ზღუდე მაშინვე ძირს დაეცა. მაგრამ იმ ადგილის შიგნით ერთი სახლი ყოფილა, რომელიც ზღუდისაგან სრულებით არ იყო დაშორებული: ეს სახლი მოხვდა მთელი იმ ჩამონგრეული ნაწილის ადგილას და ის აღმოჩნდა გარემოცულთათვის კედლის მაგიერი და არა ნაკლებ დაიცვა ისინი. ამ გარემოებას რომაელები სრულიადაც არ შეუშფოთებია, რადგან იმათ კარგად იცოდნენ, რომ თუ ამგვარსავე გვირახს სხვაგან გათხრიდნენ, ქალაქს ადვილად აიღებდნენ, და უფრო მე-

¹) τῷ (ἄλλῳ) στρατῷ Herwerden: *Mnemosyne* (Haury III, 392).

μαίους τε και Τζάνους καρτερώ-
 τατα τειχομαχοῦντας παρὰ δόξαν
 ὑφίσταντο, καιπερ ὀλίγοι ἀπολε-
 λειμμένοι ἐς ἄγαν. ἐπεὶ δὲ Ῥω-
 μαῖοι τειχομαχοῦντες οὐδὲν ἦγυον,
 ἐπὶ τὸ διορῶσαι αὐτοὺς ἐτρέπον-
 το. ἐς τόσον τε τοῦ ἔργου τούτου
 ἀφίκοντο, ὡς μηκέτι ἐπ’ ἐδάφους
 τὰ τοῦ περιβόλου θεμέλια εἶναι,
 ἀλλ’ ἐπὶ κενὸν ἐκ τοῦ ἐπὶ πλεί-
 στον ἐστάναι, πεσοῦμενα, ὡς τὸ
 εἰκόσ, αὐτίκα δὴ μάλα. καὶ εἰ
 μὲν Δαγισθαῖος εἰς τὸν ἦμελε πῦρ
 τοῖς θεμελίαις ἐνάψαι, οἷμαι εὖ-
 ψαρὸν σφίσι τὴν πόλιν ἄλῶναι·
 γυν δὲ τὰς ἐκ βασιλέως καρὰδ-
 κῶν ἐλπιδῶς μέλλων τε ἀεὶ καὶ
 τριβῶν τὸν χρόνον ἡσυχῇ ἔμενε.
 ταῦτα μὲν οὖν ἐν τῷ Ῥωμαίων
 στρατοπέδῳ ἐπράσσετο τῆδε.

ტად დაიმედებული იყვნენ. ამი-
 ტომ დაგისტემ აცნობა მეფეს, რაც
 მოხდა, და წინადადებას აძლევდა
 მას მზად ჰქონოდა საგამარჯვებო სა-
 ჩუქრები; ამასთანავე მიუთითებდა,
 თუ რით უნდა დაესაჩუქრებია
 მეფეს ის და მისი ძმა: პეტრას
 ხომ მალე ავიღებო¹ – უთვლიდა ის,
 სპარსელბიკი ძლიერად მოწოლილ
 რომაელებსა და ჭანებს ყოველი
 მოლოდინის გარეშე უწევდენ
 წინააღმდეგობას, თუმცა ძალიან
 ცოტანი-ლა იყვნენ გადარჩენილი.
 რადგან გარემომცველ რომაელებს
 არაფერი გამოუდიოდათ, ისინი
 კვლავ შეუდგენ თხრას. ამ მუშაობა-
 ში იქამდე მივიდენ, რომ ზღუდის
 საფუძველი უკვე მიწაზე კი აღარ
 იყო, არამედ უკვე მეტწილად ცა-
 ლიერ სივრცეში ეკიდა და, რასა-

¹) ზემოთ (გვ. 58 – 60) განვიხილეთ პეტრას საკითხი და მივედით იმ დასკვ-
 ნამდე, რომ პეტრა ახლანდელი ბათომის მახლობლად არის საძიებელი, და თან
 დავუმატეთ, რომ Πετραი რომელიღაც ადგილობრივი სახელის თარგმანს უნდა წარ-
 მოადგენდეს მსგავსად: ჰიპპოს-ცხენისწყლისა, არქეოპოლის-ნოქალაქევისა, როდო-
 პოლის-ვარდციხისა. ამასთანავე ეს ისეთი პუნქტი უნდა ყოფილიყო, რომელიც
 ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა ვაჭრობისათვის და სავაჭრო მიმოსვლისათვის და აგ-
 რეთვე სამხედრო საქმიანობისთვის, ე. ი. კარგი საზღვაო ნავთსადგურის პირობებს
 აკმაყოფილებდა. საკითხის დამატებითმა შესწავლამ მიგვიყვანა ამ დასკვნამდე,
 რომ პეტრა ახლანდელი ბათომი უნდა იყო. ბათომის შემდეგდროინდელი ეკონო-
 მიური და სამხედრო მნიშვნელობა გვაფიქრებინებს, რომ მას ანალოგიური მნიშ-
 ვნელობა შეიძლებოდა ჰქონოდა წინათაც, როდესაც ბიზანტია ვაჭრობის მონო-
 პოლიის ცენტრს ირჩევდა ლაზიკეში და როდესაც სპარსეთი ზღვაზე გასავალს
 ეძებდა. ასეთი პუნქტი შეიძლებოდა ყოფილიყო ახლანდელი ბათომი, მით უმე-
 ტეს რომ, როგორც ზემოთ იყო ნაჩვენები (გვ. 59), მასალების განხილვამ მიგვი-
 ყვანა იმ დასკვნამდე, რომ ეს პუნქტი უთუოდ ბათომის მახლობლად არის საძიე-
 ბელი. გარდა ამისა თვით სახელწოდების განხილვა იძლევა შემდეგ სურათს: ბა-
 თომი ისევე ნაწარმოები სახელია, როგორც ბორჯომი, წრომი, თორთომი და სხვა,
 ე. ი. -ომ- სუფიქსით ნაწარმოები სახელია; ხოლო ძირი „ბათ“ უნდა ენათესავებოდეს
 სვანურ სიტყვას „ბაჩ“, რომელიც ქვას ნიშნავს (შდ. Πετρα – ქვა). (-ომ-სუფიქსის
 გარკვევისათვის შეადარე -ამ- და -ონ- სუფიქსები მეგრულსა და ჭანურში: H. M a p p,
 Гр. чанск. яз. გვ. 73; И. К и п ш и д з е, Гр. мингрю яз. გვ. 0125 – 0126;
 ა. ჩ ი ქ ბ ა ვ ა, ონ სუფიქსი მეგრულში: ტფ. უნ. მოამბე 305 – 311).

საქართველოს მუზეუმის მოამბე, VII.

კვირველია, სულ მალე ჩამოინგროდა. და დაგისტეს რომ მაშინვე მიეცა ცეცხლი საძირკველისათვის, მე ვფიქრობ ქალაქი უმაღლვე იქნებოდა მათ მიერ აღებული. მაგრამ ახლა, რადგან ის მეფისაგან რაღაც წყალობას მოელოდა, სულ აყოვნებდა და უსაქმურად ატარებდა დროს. აი ასეთი იყო მდგომარეობა რომაელთა ბანაკში.

Μερμερόης δέ, ἐπεὶ τοὺς Ἰβηρίας ἰρσὺς παντὶ τῷ Μήδων στρατῷ ἤμειψε, πρὸς αὐτὸν ἐχώρει, ποταμὸν Φᾶσιν ἐν δεξιᾷ ἔχων· διὰ γὰρ τῶν ἐπὶ Ἀαζιῆς χαρίων ἴεναι οὐδὲ μὴ φελε, τοῦ μὴ τί οἱ τὰς-τη ἔμπόδισμα ὑπεντιάζσαι. Πέτρῳ¹ γὰρ πόλιν καὶ Πέρσας τοὺς ἐν-ταῦθα διασώσασθαι ἐν σπυρῶν εἶχε, αἱ τοὶ καὶ μοῖρά τις τοῦ περιβόλου καταπεπτῶκει ἔξαρπιναι². ἦρρητο γὰρ, ὥσπερ μοι εἴρηται· ἄνδρες τε τοῦ Ῥωμαίων στρατοῦ ἐξ πεντήκοντα ἐμειλῶσιν ἐν τῇ πόλει γενόμενοι βραχίλια Ἰουστινιανὸν ἀνεβῶν καλλυκον. ἦγειτο δὲ αὐτῶν νεανίας τις Ἀρμένιος³ γένος³, Ἰωάννης ὄνομα,

II 30. ხოლო მერმეროემ, როდესაც მან მიდთა მთელი ჯარით განვლო იბერიის საზღვრები, წინ გასწია, ისე რომ მდინარე ფასისი მარჯვნივ ჰქონდა⁴: იმან არ მოინდომა ლაზიკის სოფლებზე გაეარა სადმე, რომ იქ მას რაიმე დაბრკოლება არ შეხვედროდა. ის ეშურებოდა გადაერჩინა ქალაქი პეტრა და იქ მყოფი სპარსელები, თუმცა კედლის ერთი ნაწილი უკვე ჩამონგრეულიყო უცებ. ის ხომ ჰაერში იყო დაკიდებული, როგორც ეს ჩემ მიერ უკვე იყო ნათქვამი; ორმოცდაათიოდე მოხალისე რომაელთა ჯარიდან ქალაქში შევიდა და გაიძახოდა: იუსტინიანე მეფე გამარჯვებულიო. მათ წინამძღო-

¹) Πέτρῳ – ეξαპინაიად გამოტოვებულია VG-ში. – ²) ἡαρμειος G. – ³) γενομενος VG.

⁴) მსვლელობა სპარსელთა ჯარისა, რომელსაც გამყოლებად ლაზები მიუძღვებიან და რომელიც პეტრასკენ მიეშურება, აღწერილია პროკოპის მიერ მდინარე ზოასისა და ფასისის აღწერასთან დაკავშირებით: „როდესაც ლაზები წინ მიუძღვებოდნენ ხოსროს, მათ გადავლეს მდინარე ზოასი და ისე მივიდნენ პეტრაში, რომ ფასისი მარჯვნივ ჰქონდათ (ზემოთ გვ. 73); „მერმეროემ, როდესაც განვლო იბერიის საზღვრები, წინ გასწია ისე, რომ მდინარე ფასისი მარჯვნივ ჰქონდა“. ვინაიდან ჯარის სვლა ზოას-ფასისს უკავშირდება, პროკოპიმ მოისურვა ამ მდინარეების აღწერა, რომელიც მოცემულია ზემოთ 71 – 73 გვერდებზე. ეს აღწერა არ არის ნათელი. პირიქით, ზოასი ისეა აღწერილი, რომ მკითხველს ექმნება შთაბეჭდილება, რომ აქ ლაპარაკია არა ერთზე, არამედ ორს სხვადასხვა მდინარეზე. მართლაც:

ა) „მდინარე ზოასი გამოდის ჭანეთის საზღვრების მახლობლად, არმენიელთა ადგილებში“ და ერთვის შავ ზღვას. ამის მიხედვით ზოასი მართლაც ახლანდელ ჭოროხს უდრის, როგორც ფიქრობენ მკვლევარნი (T o m a s c h e k: RE,

Θωμᾶ σὸς, ἔνπερ Γουζῆτην ἐπίκλη-
σιν ἐχάλοισιν. εὖτος ὁ Θωμᾶς πολλὰ
τῶν ἀμφὶ τὴν Δαζικὴν ὀχραμαμάτων
ἐδδείματο, βχσιλέως οἱ ἐπαγγείλαν-
τος, καὶ τῶν ἐκείνη στρατιωτῶν
ἦρξεν, ἔμφρων τε βχσιλεῖ ἐδοξεν
εἶναι. ὁ μὲν οὖν Ἰωάννης, Περσῶν
σφίσις ἐξ χεῖρας ἐλθόντων πλη-

ლობდა ერთი ახალგაზრდა წარ-
მოშობით სომეხი, სახელად იოან-
ნე, თომას ძე, რომელსაც მეტსახე-
ლად გუზის ეძახდენ. ეს ის თო-
მას, რომელმაც, მისდამი მეფის
მიერ გაცემული ბრძანებით, ააგო
მრავალი სიმაგრე, ლაზიკის გარ-
შემო რომ არის, და ის სარდლობ-

III 575; H ü b s c h m a n n, Die altarmenischen Ortsnamen: *Indogerm. For-
schung*. 16,358).

ბ) „მის შემდეგ, რაც ეს მდინარე მიაღწევს იმ ადგილს, სადაც კავკასიისა და იბერიის საზღვრებია, აქ... ნაცვლად ბოასისა ამიერიდან ფ ა ს ი ს ა დ წოდებული, განაგრძობს მდინარეობას, ნაონსობისათვის გამოსადეგი ვიდრე ევქსინად წოდებულ ზღვამდე“ (ზემოთ გვ. 72); ხოლო ქვემოთ «იხ, გვ. 93) პროკოპი ამბობს: „ჭანეთის მთებიდან ჩამოდის მდინარე, სახელად ბოასი, რომელიც, მის შემდეგ რაც გამოივლის მრავალ ჭალას და შემოუვლის მთაგორიან ადგილებს, ლაზების სოფლების მახლობლად გასწევს და ერთვის ეგრეთწოდებულ ევქსინის პონტს, მაგრამ უკვე აღარ ეწოდება ბოასი... მას, სხვათა შორის, ადგილობრივი მცხოვრებლები ა კ ა მ ფ ს ი ს ს უწოდებენ“. აქ პროკოპი ბოასის გაგრძელებად ერთ შემთხვევაში ფ ა ს ი ს ს თვლის, ხოლო მეორე შემთხვევაში ა კ ა მ ფ ს ი ს ს. ამ წინააღმდეგობას ჰ ი უ ფ შ მ ა ნ ი (I. c.) იმით ხსნის, თითქოს პროკოპის აქ შეცდომა მოსვლოდეს: ვინაიდან ჭანეთის მთებიდან გამომდინარე წყალს (ჭოროხს) ა რ რ ი ა ნ ე (PeriP. 7, 4-5) Ἀκαμψις უწოდებს, პროკოპის პირველ ადგილას ფ ა ს ი ს ი ს ნაცვლად ა კ ა მ ფ ს ი ს ი უნდა ეწეროსო. მაგრამ მხედველობაშია მისაღები, რომ პროკოპის იმ ცნობაში, სადაც ბოასის გაგრძელებას ფასისი ეწოდება, იქვე ნათქვამია, რომ ეს სახელი ეწოდება მას იმ ადგილიდან, სადაც კ ა ვ კ ა ს ი ს ა და ი ბ ე რ ი ს საზღვრებიაო. ასეთი საზღვრები კი, ყოველ შემთხვევაში, ჭოროხის ხეობაში საძიებელი არ არის.

გ) ამ მდინარის ორივე მხრით ლაზიკე არის. მარჯვნივ, ვიჯრე იბერიის საზღვრებამდე, დასახლებულია ადგილობრივი მცხოვრებლებით, რომელთაც აქ გაუშენებიათ ქალაქები: არქეოპოლისი, სევასტოპოლისი, პიტეუნტი, სკანდე, სარაპანი, როდოპოლისი, მოხირისი; ხოლო მარცხნივ თხლად არის დასახლებული და არავითარი ქალაქი არ მოიპოვება, გარდა პეტრას ციხისა (ზემოთ გვ. 72 – 73). როდესაც ხოსრო, ლაზების წინამძღოლობით, პეტრაში მიდის, მას ბოასის გადალახვის შემდეგ ფასისზე გადასვლა არ სჭირდება; თვით ლაზებმა გაატარეს სპარსელები ისე, რომ თავიანთი დასახლებული ადგილები (ე. ი. ბოასის გაგრძელების – ფასისის – მარჯვნივ მდებარე ქალაქები) არ აჩვენეს. რომ ამ აღწერილობაში ბოასი ყველგან ჭოროხს უდრიდეს, იბერიიდან მომავალი ჯარი მდინარეზე გადაუსვლელად და მის მარცხენა ნაპირას სვლით პეტრაში (ბათომში) ვერ მივა.

ჩვენის აზრით საქმის ვითარება ასეთია. Βοαξ-ი პროკოპის ნახმარი აქვს სხვადასხვა მნიშვნელობით იმისდა მიხედვით, თუ რა წყაროთი სარგებლობს. პროკოპი იცნობდა იმ წყაროებს, რომლებიც ბერძნულ-რომაულ ლიტერატურაში არსებობდა. და ამ ლიტერატურული წყაროებიდან უნდა მომდინარეობდეს ჭოროხის

γείς αὐτίκα ἕν τῷ ἐπομένῳ ἐς
τὸ στρατόπεδον ἀνεχώρησεν, ἐπει
ὅτι οὐδεὶς εἶ τῶν ἐκ τοῦ Ῥωμαίων
στρατοῦ ἕτερος ἀμύνων ἦλθε· Πέρ-
σης δὲ ἀνὴρ, Μιρράνης ὄνομα, ὅσπερ
τοῦ ἐν Πέτρᾳ φυλακτείου ἦρχεν,
ἀμφὶ τῇ πόλει δείσας, Πέρσις
μὲν πᾶσιν ἐπέστελλε τῆς φυλακῆς

და იქ მყოფ ჯარს; მეფე მას გო-
ნიერ კაცად თვლიდა, იოანე
სპარსელებთან ხელჩართულ ბრძო-
ლის დროს დაჭრილ იქმნა და მა-
შინვე უკან გამობრუნდა ბანაკში
თავისი ჯარითურთ, რადგან რო-
მაელთა ჯარიდან არავინ მივიდა
მის დასახმარებლად; ერთმა სპარ-

აღწერა, როდესაც ლაპარაკია იმის შესახებ, რომ ზოასი იწყება არმენიის მოსაზ-
ღვრე მთებიდან, ზღვასთან მიახლოებისას ის სახელს იცვლის, მას ეწოდება
Ακαμυς. ასეთი ცნობა აკამფსისის შესახებ მიეპოვება პლინიუსს, არრიანეს და
სხვებს, მაგრამ ბიზანტია-სპარსეთის სამხედრო ოპერაციების აღწერის დროს
პროკოპის ძირითადი წყარო იყო ის მოხსენებები, რომლებიც შტაბს მოსდიოდა
ფრონტიდან, იმ შტაბს, რომელშიაც თვით პროკოპიც იჯდა, როგორც მრჩეველი.
ამ მოხსენებებში, რასაკვირველია, იქნებოდა ცნობები იმის შესახებ, თუ რა გზით
მოდოდენ სპარსელები, რა მდინარეები გადმოლახეს და რა დასახლებული პუნქ-
ტები გამოიარეს. და ამ, შტაბში მოწოდებულ, ცნობებს რომ იყენებდა პროკოპი
თავისი ნაშრომისათვის, ის მათ ავსებდა იმ ლიტერატურული მასალით, რომელიც
მის ხელთ იყო.

ვინაიდან 1) სპარსელთა ბაზა ამ ოპერაციების დროს იბერიაში იყო; 2) ერ-
თი რომელიღაც მდინარის (Βοαξ) გადმოლახვით და წინ წასვლით მისი სანაპი-
როებით ისინი მოექცნენ ფასისის მარცხნივ და ისე მივიდნენ პეტრაში (ბათომში),
რომ ფასისი ხელმარჯვნივ ჰქონდათ; 3) ამ ფასისის მარჯვნივ არის ქალაქები
არქეოპოლისი, პიტიუნტი, სკანდე, სარაპანი, როდოპოლისი, მოხირისი, – ჩვენ
ვფიქრობთ, რომ ეს Βοαξ არის ყვირილა, რომელიც გადმოლახეს სპარსელებმა
იბერიიდან გადმოსვლისას; ხოლო ამ Βοαξ ყვირილას იმ ადგილიდან, სადაც მდინარე
ნაოსნობისათვის გამოსადეგი ხდება თვით შავ ზღვამდე, ეწოდება Φασიც-რიონი,
რომლის მარჯვნივ მდებარეობს ყველა ზემოჩამოთვლილი პუნქტი, გარდა როდოპო-
ლისისა, რომელიც – თუ ის ახლანდელ ვარდციხეს უდრის – რიონის მარჯვნივ
კი არ მდებარეობს, არამედ თვით რიონზე. რიონის მარცხნივ, მართლაც, არც ერ-
თი იმ პუნქტთაგანი არ მდებარეობს, გარდა პეტრასი (ბათომისა), რასაც პროკო-
პიც აღნიშნავს. ასეთი იყო ის ცნობები, რომლებიც შტაბში მოვიდა ბრძოლის ვე-
ლიდან. ხოლო ვინაიდან Βοαξ-Ακαμυς შესახებ არსებობდა ლიტერატურული ცნო-
ბები, ესენი შეერია სამხედრო ოპერაციების ტერიტორიიდან მიწოდებულ ცნობებს
Βοαξ-Φασიც ის შესახებ. ეს შერევა ტექსტიდანაც ჩანს; თუ დავუკვირდებით 123
გვერდზე მოცემულ ტექსტს, დავინახავთ, როგორ მოულოდნელად წყდება სიტყვა
და ზოასის შესახებ იწყება ლაპარაკი.

ამგვარად აღწერილობა სამხედრო ოპერაციებისა და ჯარის მიერ განვლი-
ლი ტერიტორიისა ეთანხმება იმას, რომ ზოასი გავიგოთ როგორც ყ ვ ი რ ი ლ ა,
ხოლო ფასისი როგორც რ ი ო ნ ი. აქ ჩვენ გვაქვს კიდევ ერთი მაგალითი ადგი-
ლობრივი სახელის გადათარგმნისა. როგორც ცხენისწყალი, ნოქალაქევი, ვარდციხე
და სხვა გადათარგმნეს ბერძნებმა, ისე ყვირილა გადაუთარგმნიათ Βοαξ-ად (ზმნი-
საგან Βοαα = ვყვირი).

ἐς τὸ ἀκριβὲς μάλιστα ἔχεσθαι, αὐ-
τὸς δὲ παρὰ Δαχισθαίων σταλείς
ἠνώπιας τε καὶ ἀπατηλοῦς προὔτει-
νετο λόγους, οὐδενὶ πόνῳ ὁμοιο-
γῶν οὐ πολλῶ ἕστερον ἐγδῶσειν
τὴν πόλιν. ταύτῃ τε παρακρούσα-
σθαι ἴσχυσεν, ὥς μὴ ἐς τὴν πό-
λιν ἀντίκα τῷ Ῥωμαίων στρατῷ
ἔσειητά εἶναι¹.

Οἱ δ' ἀμφὶ Μερμερόην ἐπειδὴ
ἀφίκοντο ἐς τὸν στενωπὸν, ἐνταῦ-
θα σφίσι τὸ Ῥωμαίων φυλακτι-
ριον ὑπηγνιάζον ἐς ἑκατὸν ὄντες,
κρύτερως τε ἡμύνοντο, καὶ τοὺς
τῆς εἰσόδου ἀπυπειρωμένους ἀνέσ-
τελλον. Πέρσαι δὲ οὐδαμοῦ ὑπε-
χώρουν, ἀλλὰ τοὺς κτεινομένους
αἰεὶ ἕτεροι ἐκδεχόμενοι πρόσω
ἔχώρουν, παντὶ σθένει τὴν εἰσο-
δὸν βιάζόμενοι. ἠγνήσκουσι μὲν
Πέρσαι πλέον ἢ χίλιοι, κτείνον-
τες δὲ Ῥωμαῖοι ἀπέπειον, τῶν τε
ἑμίλιον σφᾶς βιάζομένου ὑπεχώρη-
σάν τε καὶ ἐς τῶν ἐκείνῃ ὄρων
τάς ὑπερβλάς ἀναδραμόντες ἐσώ-
θησαν. ταῦτα Δαχισθαίως μαθὼν
ἀντίκα τὴν προσεδρείαν διέλυσεν,
οὐδὲν τῷ στρατῷ ἐπιστείλας, ἐπὶ
Φᾶσιν τε ποταμὸν ἦλκον· καὶ οἱ
Ῥωμαῖοι ξύμπαντες εἶποντο, τὰ
σφέτερα αὐτῶν ἐν τῷ στρατοπέδῳ

სელმა, სახელად მირრანმა, რომე-
ლიც პეტრაში მცველ რაზმს წი-
ნამდლოლობდა და რომელსაც ქა-
ლაქის დაცემის შიში ჰქონდა, უბრ-
ძანა ყველა სპარსელებს ძალიან
ფრთხილად ყოფილიყვნენ დაცვის
დროს, თვითონ კი წავიდა დაგის-
თესთან და პირფერი და ცბიერი
სიტყვებით ალუთქვამდა, რომ სულ
მალე დაუბრკოლებლად ჩააბარებ-
და ქალაქს. ასეთი მოტყუებით
მან შესძლო ის, რომ რომაელთა
ჯარს მაშინვე აღარ უცდია ქა-
ლაქში შესვლა.

როდესაც მერმეროეს ჯარი მო-
ვიდა ვიწრობში, იქ რომაელთა
მცველი რაზმი დახვდა, ასი კაცისა-
გან შემდგარი, რომელიც ძლიერ
იკავდა თავს და ვიწრობში შე-
სვლის მცდელებს იგერიებდა. სპარ-
სელები კი არ იხევდენ, არამედ
მოკლულებს მუდამ სხვები ცვლი-
დენ და წინ მიიწევდენ და მთელი
ძალღონით შესავალს არღვევდენ.
სპარსელებიდან ათასზე მეტი კაცი
დაიხოცა; ხოლო რომაელები ჟლე-
ტისაგან მოიღალნენ და, როდესაც
დიდი ზრბო მოაწვა მათ, უკან
დაიხიეს და თავს უშველეს იქაურთა
მთების მწვერვალებზე გაქცევით.
როდესაც ეს დაგისთემ გაიგო, მა-
შინვე მოხსნა ალყა და ისე გას-
წია მდინარე ფასისისაკენ, რომ
არაფერი უბრძანებია ჯარისათვის.
რომაელებიც ყველანი გაყვნენ და
თავიანთი ქონება ბანაკში და-

¹) იენაი ხელნაწერები.

ἀπολιπόντες. Πέρσαι δὲ τὰ ποιούμενα κατιδόντες τὰς τε πύλας ἀνέψυχον καὶ ἐπεξελθόντες ἀμφὶ τὰς καλύβας τῶν πολεμίων ἤλθον, ὡς τὸ στρατόπεδον ἐξαιρήσαντες. Τζάνοι¹⁾ δὲ (οὐ γὰρ Δαγισθαῖοι ἐπισπόμενοι ἔτυχον) ἐβόηθον ἐνταῦθα δρόμῳ, τρεψάμενοί τε πόνῳ οὐδενὶ τοῦς πολεμίους πηλὸς ἐκτειναν. Πέρσαι μὲν οὖν φεύγοντες ἐντὸς τοῦ περιβόλου ἐγένοντο, Τζάνοι¹⁾ δὲ ληισάμενοι τὸ Ῥωμαίων στρατόπεδον εὐθὺς τοῦ Ῥιζαίου ἐχώρησαν. ἔνθεν δὲ ἐς Ἀθήνας ἐλθόντες διὰ Τραπεζουσίων ἐπ' οἴκου ἀπεκρίσθησαν.

Μερμερόης δὲ καὶ ὁ Μήδων στρατὸς ἐνταῦθα ἤλθον ἡμέρα μετὰ τὴν Δαγισθαίου ὑπαιχώγη ἑνάτη· οὐδὲ ἀπολελειμμένους ἐκ τοῦ Περσῶν φυλακτηρίου τραυματίας μὲν καὶ ἀπομάχους γεγεννημένους πεντήκοντα καὶ τριακοσίους εὖρον, ἀκραιφνεῖς δὲ πεντήκοντα καὶ ἑκατὸν μόνους· εἰ γὰρ ἄλλοι ἀπαντες ἐτεθνήκεισαν. ὧν περ τὰ σώματα οἱ περιόντες τὸν περιβόλου ἐκτὸς οὐδεμίᾳ ἔρριψαν, ἀλλὰ τῷ τῆς θάλασσης δυσώδει ἀποπνιγόμενοι παρὰ θόξαν ἀντείχον, ὡς μὴ τινα ἐς τὸ πολιορκεῖν προθυμίαν τοῖς πολεμίσι, ἅτε τῶν πλείστων ἀπυλωδῶν σφίσι παρέχονται· ὁ τε Μερμερόης ἐπιτιμῶν δακρύων τε καὶ θρήνων ἄξιον Ῥωμαίων

სტოვეს. ხოლო სპარსელებმა რომეს დაინახეს, გააღეს კარები, გამოვიდნენ და მტრის კარვებთან მივიდნენ, რათა ბანაკი დაერბიათ. ჭანებმა კი (ისინი ხომ დაგისტეს არ გაჰყოლიან) იქ მიაშურეს საშველად, ადვილად აოტეს მტერი და ბევრი მოკლეს. სპარსელები გაიქცენ კედლის შიგნით, ხოლო ჭანებმა დაარბიეს რომაელთა ბანაკი და დაიხიეს რიზესკენ, იქიდან კი ათინაში მივიდნენ და ტრაპეზუნტით შინ დაბრუნდნენ.

მერმეროე და მიდთა ჯარი მივიდნენ იქ მეცხრე დღეს დაგისტეს დახვევის შემდეგ. სპარსელთა მცველ რაზმიდან იქ მან იპოვა გადარჩენილი დაჭრილი და ომისათვის გამოუსადეგარი სამასორმოცდაათი, ხოლო უვნებლად გადარჩენილი მხოლოდ ასორმოცდაათი: დანარჩენნი ყველანი დახოცილიყვნენ. ამათი გვამები გადარჩენილებს კედლის იქით კი არ გადაეყარათ, არამედ, თუმცა მათ ახრჩობდა მყრალი სუნი, მაგრამ იტანდნენ ამას ყოველგვარი მოლოდინის გარეშე, რათა, რადგან მეტი წილი სპარსელი დაღუპული იყო, არ შეემეტებიათ გარემოცვის სიმხნევე. მერმეროეს ეს ამბავი სასაცილოდ არ ეყო. და ამბობდა რომაელთა სახელ-

¹⁾ Τζάνοι G.

τὴν πολιτείαν ἔφρασκεν εἶναι, οἷς γε δὴ ἐς τοῦτο ἀσθενείας περιεστῆκει τὰ πράγματα, ὡς πενήτωντά τε καὶ ἕκατὸν ἀτειχίστους¹ Πέρσας μηδεμιᾶ ἐξελεῖν δεδουγησῆσθαι. καὶ τοῦ μὲν περιβόλου ἀνοικοδομήσασθαι ὅσα καταπεπτώκει ἐν σπουδῇ ἐποιεῖτο· ἐπεὶ δὲ οὔτε τίτανον ἐν τῷ περαυτίκῳ οὔτε τι ἄλλο τῶν ἐς τὴν οἰκοδομίαν ἐπιτηδείων ἐν παρασκευῇ εἶχεν, ἐπενόει τάδε. Φυλάκους λινοῦς, οἷς δὴ Πέρσαι τὰ ἐπιτηδεια σφίσιν ἐσεκρίσαντο ἐς γῆν τὴν Κολχίδα², ψάμμου ἐμπλησάμενος ἐς τῶν λίθων τὴν χώραν ἐτίθετο, οἱ δὲ ἐντοῦθα βαλλόμενοι ἀντὶ τοῦ τοίχου ἐγίνοντο. καὶ τρισχιλίους μὲν τῶν μαχίμων ἀπολεξάμενος αὐτοῦ εἶχσεν, οἷσπερ τὰ ἐδώδρια οὐκ ἐς χρόνον κατέθετο μήκας, ἐπιστείλας τοῦ περιβόλου τῆς οἰκοδομίας ἐπιμελεῖσθαι· αὐτὸς δὲ παντὶ τῷ ἄλλῳ στρατῷ ὀπίσω ἀπήλαυεν. ἐπεὶ³ τὲ οἱ ὀδοῦ τῇ αὐτῇ ἐνθιένθε ἰόντι οὐδεὶς τῶν ἀναγκαίων ἐγίνετο· πόρος, ἅπαντα ἐν Πέτρῳ λιπόντι, ἅπερ ἐπιφερόμενος ἐξ Ἰβηρίας ὁ στρατὸς ἔτυχεν, ἄλλην τινὰ πορείαν ἰέναι διὰ τῶν ταύτῃ ὁρῶν διεναεῖτο, ἵνα δὲ ἀνθρώπους οἰκεῖν ἔμαθεν, ὅπως ληϊζόμενοι ἐποζῆν δύνωνται. ἐν ταύτῃ τῇ πορείᾳ τῶν τις ἐν Λαζοῖς λογίμων, Φούβελις ὄνομα, Πέρσας αὐ-

მწიფო ცრემლებისა და ტირილის ღირსია; მათი საქმეები ისეთ უძლურებაში ჩავარდნილიყო, რომ ვერავითარი ხერხით ვერ შესძლებიათ ასორმოცდაათი გაუმაგრებელი სპარსელის დაპყრობა, და ის ეშურებოდა კვლავ აეშენებია კედლის ის ნაწილი, რომელიც ჩამონგრეული იყო, ხოლო, რადგანაც მას არც კირი ჰქონდა მზად იმ წუთს, არც სხვა რამ, აღშენებისათვის საჭირო მასალა, შემდეგი მოისაზრა. ქვების ადგილას მან დაალაგა ტილოს ტომრები, რომლებითაც სპარსელებმა თავისათვის საჭირო სურსათი მოიტანეს კოლხიდაში, და აავსო ისინი ქვიშით. ეს ტომრები იქ იქმნა დაყრილი და კედლის მაგიერი გახდენ. სამი ათასი მეზრძოლიც გამოარჩია მან და იქ დასტოვა, რომელთაც სურსათი დაუტოვა, არც თუ დიდი ხნის საყოფი, და უზრძანა ეზრუნათ კედლის აშენებისათვის. თვითონ კი მთელი დანარჩენი ჯარით უკან გაბრუნდა. რადგანაც მას, იმავე გზით იქითკენ მიმავალს, არაფერი საჭირო სახსარი აღარ ხვდებოდა, ყველაფერი კი, რაც ჯარმა იბერიიდან მოიტანა, პეტრაში დასტოვა, გადასწყვიტა წასულიყო სხვა გზით, იქაურ მთებზე, სადაც – გაიგო მან, რომ მცხოვრებლები იყვნენ, რათა ჯარისკაცებს შესძლებოდათ რბე-

1) ათეიხისთუს გამოტოვებულია G-ში – 2) Κολχίδα G. – 3) აქიდან დაწყებული ვიდრე ამ ნაწყვეტის ბოლომდე (იე) გამოტოვებულია: VG-ში

λιζομένους ἐνήδρευσε, Δαχισθαῖον ἄμα Ῥωμαίων διαχιλίοις ἐπαγόμενος, οἱ δὲ τῶν Περσῶν ἐξ ἐπιδρομῆς ἵππους νέμοντάς τινας ἔκτειναν, ἵππους τε ληιστάμενοι δι' ὀλίγου τὴν ἀναχώρησιν ἐποιήσαντο. οὕτω μὲν ὁ Μερμερόης τῆς Μήδων στρατῷ ἐνθένδε ἦει.

Ὁ δὲ Γουβαῖζης, μαθὼν ὅσα δὴ Ῥωμαίοις ἐν τε τῇ Πέτρα καὶ τῷ στενωπῷ ξυνηγέθη γενέσθαι, οὐδ' ἄς ἔδωκεν, οὐδὲ τὴν ἐν τῷ κατ' αὐτὸν στενωπῷ φυλακὴν εἶασεν, ἐνταῦθα σφίσι τὴν κεφαλὴν τῆς ἐλπίδος οἰόμενος εἶναι. ἐξηπίστατο γὰρ ὡς, ἦν καὶ Ῥωμαίους ἐκτὸς Φάσιδος ποταμοῦ βιασάμενοι Πέρσαι τὸν στενωπὸν διαβῆναι καὶ ἐν Πέτρα γενέσθαι δεδῶνγνται, οὐδὲν ἂν ἐνθένδε Λαζῶν τῇ χώρᾳ προστρέψαιτο βλάβος, Φάσιν διαβῆναι οὐδὲ μὴ μηχανῇ ἔχοντες, ἄλλως τε καὶ νηῶν οὐ παρουσῶν σφίσι. ὁ γὰρ ποταμὸς οὗτος βάρσος μὲν εἶπερ τις ἄλλος ἰκανώτατα ἔχει, εὐρύς δὲ ἐπὶ πλείστον διήκει. τῆς μὲν τοι: ῥύμης αὐτῆς τοσούτου περιεστὴν ὥστε δὴ ἐς τὴν θάλασσαν

ვით ერჩინათ თავი. ამ გზაზე ლაზთა ერთი დიდებულთაგანი, სახელად ფუბელი, ჩაუსაფრდა დაბინავებულ სპარსელებს, მას მოჰყავდა დაგისთე ორი ათასი რომაელითურთ, რომელთაც დახოცეს მოულოდნელად რამოდენიმე ცხენის-მწყემსი და, ცხენებიც რომ დაიტაცეს, ცოტა ხნის შემდეგ უკან დაბრუნდენ. ამრიგად მერმეროე წავიდა იქიდან მიდთა ჯარითურთ.

გუბაზმა რომ გაიგო, რაც რომაელებს გადახდათ პეტრაში და ვიწრობშიაც, არც შეშინდა, არც მის მიერ დაჭერილი ვიწრობის დაცვას გაანება თავი, რადგან ვიქრობდა, რომ იქ იყო მათთვის თავიდათავი იმედი. იმან კარგად იცოდა, რომ, თუ სპარსელები დაძლევენ რომაელებს მდინარე ფასისის იქით¹ და ვიწრობის გადასვლას და პეტრაში მისვლას შესძლებდენ, ვერავითარ ზიანს ლაზთა მიწა-წყალს ამით ვერ მიაყენებდენ, რადგან ისინი ვერას გზით ვერ გადალახავდენ ფასისს, განსაკუთრებით იმიტომ, რომ მათ ნაკლები არ ჰქონდათ. ამ მდინარეს ხომ სიღრმე აქვს სხვებზე არა ნაკლები, სიგანითაც დიდ მანძილზეა გადაჭიმული: სისწრაფეც მას ისეთი აქვს, რომ ზღვაში ჩასული

¹) აქ (εκτος Φάσιδος ποταμου) იგულისხმება რიონის მარცხენა ნაპირი (სამხრეთით), ვინაიდან ამ ცნობის მიმწოდებელი რიონის ჩრდილოეთით არის (შდ. ზემოთ გვ. 72, შენ 5.), ისევე როგორც ცოტა ქვევით (გვ 85, ზევიდან 5 სტრ.) „მდინარის აქით“ იგულისხმება რიონის მარჯვენა ნაპირი, სადაც „სიმაგრეებიც გაუკეთებიათ ლაზებს“ (არქეოპოლისი და სხვ.).

ἐκβαλῶν¹ ἐπὶ μακρότατον κατὰ
μόνας χωρεῖ, οὐδαμῆ ταύτῃ ἐπι-
μιγνόμενος. ὕδωρ ἀμέλει πότιμον
τοῖς ἐκείνῃ ναυτιλλομένοις ὑδρέεσ-
θαι πάρεστιν ἐν μέσῳ πελάγει.
καὶ φυλακτήρια μέντοι τοῦ ποτα-
μοῦ ἐντὸς πεποίηται πανταχοθί²
Λαζοί, τοῦ μηδὲ ναυτὶ διαπορ-
ψιμυόμενοις τοῖς πολεμίοις ἀπόβασιν
ἐς τὴν γῆν εἶναι. βασιλεὺς δὲ
Ἰουστινιανὸς Σαβείρων μὲν τῆ
ἔθνη τὰ ξυγκείμενα χρήματα
ἐπεμψε, Γουβάζην³ δὲ καὶ Λαζοὺς
χρήμασιν ἄλλοις δεδώρηται. ἐτύ-
χανε δὲ πᾶσι πρότερον καὶ ἄλλο
στράτευμα λόγου ἄξιον ἐς Λαζικήν
πέμψας, ὃν οὐπω ἀφικόμενοι ἐνταῦ-
θα ἔτυχον. ἦρχε δὲ αὐτῶν Ῥεκί-
θαγος⁴ ἐκ Θράκης, ἀνὴρ ξυνετός
τε καὶ ἀγαθὸς τὰ πολέμια. ταῦτα
μὲν οὖν ταύτῃ πη εἶχε.

Γενόμενος δὲ ὁ Μερμερόης ἐν τοῖς
ὄρεσιν, ὥσπερ μοι εἴρηται, Πέτραν
ἐνθὲνδε τῶν ἐπιτηδείων ἐμπιπλάναι
ἐν σπανῆ εἶχεν. ἐπαρκέσειν γάρ
τῆ ἐνταῦθα φυλακτηρίῳ ἐς τρισ-
χιλίους ἄντι τὰ ἐδώδεια οὐδαμῆ
ἦετο, ἅπερ εἰσκαμισάμενοι ξὺν
αὐτοῖς ἔτυχον. ἀλλ' ἐπεὶ τὰ ἐν ποσὶ
σφίσι γινόμενα μολὶς ἀπέχρη ἐς
τὴν δαπάνην τῆ στρατιᾶς ταύτης,
οὐχ ἴσσαν ἢ τρισμυρίοις ἴσσι, καὶ
ἀπ' αὐτοῦ οὐδὲν ὅ τι καὶ λόγου
ἄξιον πέμπειν ἐς τὴν Πέτραν οἴοι-
τε ἦσαν, λογισάμενος εὕρισκε σφί-

ის კარგა მანძილზე ცალკე მიმდინარეობს, ისე, რომ მას არ უერთდება. ამიტომ იქ მონაოსნეთათვის მოსახერხებელია შუა ზღვაში მიიღონ სასმელი წყალი⁵. და მდინარის აქით ყველგან სიმაგრეებიც გაუკეთებიათ ლაზებს, რათა ნავებით მომავალი მტრისათვის ხმელეთზე გადმოსვლა არ ყოფილიყო შესაძლებელი მეფე იუსტინიანემ საბირთა ტომს გაუგზავნა დაპირებული ფული, ხოლო გუბაზი და ლაზები კიდევ ფულით დაასაჩუქრა. დიდი ხნით ადრე კი გაგზავნა მან ლაზიკეში მრავალრიცხოვანი ჯარი, რომელიც იქ ჯერ კიდევ არ მისულიყო. მათ სათავეში იდგარეკითანგე თრაკიელი, კაცი გონიერი და სამხედრო საქმეების მცოდნე. ასეთი იყო საქმის ვითარება.

მერმეროე რომ მთებში მივიდა, როგორც ჩემ მიერ იყო ნათქვამი, ის ეშურებოდა იქიდან პეტრასთვის სურსათი მიეწოდებია. მისი აზრით, იქაურს, სამი ათას კაცისაგან შემდგარ მცველ რაზმს არ ეყოფოდა სურსათი, რომელიც მას ჰქონდა მარაგად. მაგრამ, რადგან ის, რაც მათ გზაგზა იპოვეს, ძლივს კმაროდა ამ ჯარის გამოსაკვებად, რომელიც სულ ცოტა ოცდაათი ათასი კაცისაგან შედგებოდა, და იქიდან ვერაფერს გაგზავნიდენ პეტრაში, რომ სათქმელად ღირე-

¹) ἐκβαλῶν G. – ²) πανταχοθι VG, πανταχοθεν P. – ³) Γουβάζην – დედარჰთა გამოტოვებულია VG-ში. – ⁴) Ῥεκίθακος G.

⁵) ასევე აქვს აღწერილი შავ ზღვაში შერთული ფასისის სასმელი წყალი არ რ ო ა ნ ე ს (Peripl. 8, ed. H e r c h e r, p. 91; Л а т ы ш е в I, 220.

σιν ἄμεινον εἶναι τὸ μὲν πλεον
 τοῦ στρατοῦ ἀπαλλάσσεσθαι ἐκ
 γῆς τῆς Κολχίδος¹, ὀλίγους δὲ
 τινὰς ἐνταῦθα μείναι, οἳ δὴ ἔμελλ-
 λον τῶν ἐπιτηδείων, οἷς ἂν ἐντύ-
 χοιεν, πολλὰ μὲν ἐς τὸ ἐν Πέτρα
 φυλακτῆριον ἐσκομίζεσθαι, τοῖς δὲ
 ἄλλοις αὐτοὶ διαρκῶς χρῆσθαι·
 ἀνδρας ἔν ἐς πεντακισχιλίους
 ἀπολεξάμενος αὐτῷ εἶπεν, οἷς
 δὴ ἄρχοντας ἄλλους τε τρεῖς καὶ
 Φάβριζον² κατεστήσατο. πλείους
 γὰρ ἐνταῦθα λείπεσθαι οὐ οἱ ἐδο-
 ξεν ἐπάναγκες εἶναι, πολεμίων
 οὐδαμῆ ὄντων. αὐτὸς δὲ τῷ ἄλλῳ
 στρατῷ ἐς τὴν Περσαρμενίαν ἐλ-
 θῶν ἡσάχαζεν ἐν τοῖς ἀμφὶ Δού-
 βρις χωρίαις.

Οἱ δὲ πεντακισχιλιοι, ἐπεὶ ἐγγυ-
 τέρω τῶν Λαζიკῆς ἐσχάτων ἦλ-
 θον, παρὰ ποταμὸν Φάσιν ἐστρα-
 τοπεδεύσαντο ἅπαντες, ἐνθῆεν τε
 κατ' ὀλίγους περιμένοντες ἐληγίζοντο
 τὰ ἐκεῖνη χωρία. ὃν δὲ ὁ Γουβά-
 ζης ἀπισθόμενος τῷ Δαγισθαίῳ
 ἐπέστειλε βοηθεῖν ἐνταῦθα σπουδῆ·
 δράσειν γὰρ σφίσι τοὺς πολεμίους
 κακὸν τι μέγα δυνατὰ εἶσεσθαι.
 ὁ δὲ κατὰ ταῦτα ἐποίησεν, παντὶ τε
 τῷ Ῥωμαίων στρατῷ ἐπίπροσθεν
 ἦει, ἐν ἀριστερᾷ ἔχων ποταμὸν
 Φάσιν, ἕως ἐς χῶρον ἀφίκετο ἵνα
 δὴ οἱ Λαζοὶ ἐστρατοπεδεύοντο ἐν
 τῇ ἐτέρᾳ τοῦ ποταμοῦ ὀχμῇ. ἐτύγ-
 χανε δὲ ταύτῃ ὁ Φάσις διαβητὸς
 ὢν, ὑπερ Ῥωμαῖοι μὲν καὶ Πέρ-

ზოდა, მან. (ე. ი. ხოსრომ) მიზან-
 შეწონილად დაინახა მეტი წილი
 ჯარისა გაეყვანა კოლხიდიდან და
 მცირეოდენნი დაეტოვებია იქ,
 რომლებიც იმ სურსათიდან რო-
 მელსაც იშოვიდენ, მეტნაწილს ჰე-
 ტრას სიმაგრეში მიაწოდებდენ,
 დანარჩენს კი თვითონ მოიხმარ-
 დენ. მან გამოარჩია და დასტოვა
 იქ ხუთი ათასი კაცი, რომელთა
 სათავეშიც დააყენა ფავრიზი და
 სამი სხვა სარდალი. მისი აზრით
 საჭირო არ იყო იქ მეტის დატო-
 ვება, რადგან მტერი არსად არ
 ჩანდა. თვითონ კი დანარჩენი
 ჯარით მივიდა პერსარმენიაში და
 დაისვენა დვინის მახლობელ სოფ-
 ლებში.

როდესაც ეს ხუთიათასი ლაზი-
 კის საზღვრების მახლობლად მივი-
 და, ყველანი დაბანაკდენ მდინარე
 ფასისის გასწვრივ და იქიდან
 ჯგუფჯგუფად უვლიდენ იქაურ
 სოფლებს და არბევდენ. ეს რომ
 გუზაზმა გაიგო, სთხოვა დაგისტეს
 საჩქაროდ მიშველებოდა იქ, ვინაი-
 დან მათთვის შესაძლებელი გახდე-
 ბოდა მტრისათვის დიდი ვნება
 მიეტანათ. ისიც ასე მოიქცა და
 რომაელთა მთელი ჯარით წინ
 გაემართა, ისე რომ მდინარე ფა-
 სისი მარცხნივ ჰქონდა, ვიდრე იმ
 ადგილს მიაღწევდა, სადაც, მდი-
 ნარის მეორე ნაპირას, ლაზები
 იყვნენ დაბანაკებული. ამ ადგი-
 ლას ფასისის ფონს გადასვლა შეი-

¹) Κολχίδος G. – ²) Φαυριζον P.

σαι ἀπειρία τῶν ἐκείνη χωρίων ὡς ἦκιστα ὑπετόπαζον, Λαζοὶ μὲν τοὶ ἐξεπιστάμενοι ἐνταῦθα διέβησαν ἐξαπιναιῶς καὶ ἀνεμίγνυντο τῇ Ῥωμαίων στρατῷ· Πέρσαι δὲ ἀγδραῶς χιλίους τῶν ἐν σφίσι δοκίμων ἀπολεξάμενοι ἔπεμψαν, ὡς μή τις ἐπὶ τὸ στρατόπεδον κακουργήσων ἴσῃ. ὡν περ ὁμο ἐπὶ κατασκευῇ προτερήσαντες· καὶ παρὰ δόξαν ἔς τοὺς πολεμίους ἐμπεπωκότες τὸν πάντα λόγον ἐσήγγειλαν. διο δὲ Ῥωμαῖοὶ τε καὶ Λαζοὶ τοῖς χιλίοις ἐξαπιναιῶς ἐπέστησαν, οὐδεὶς τε αὐτῶν διαφυγεῖν ἔσχεν, ἀλλ' οἱ μὲν πολλοὶ διεφθάρησαν, τινὰς δὲ αὐτῶν καὶ ζωγράφησαν· οἱ τε ἀμφὶ Γουβάζην καὶ Δαγισθαίων τὰ τε μέτρον τοῦ Μήδων στρατοῦ καὶ τὸ τῆς ἄδοῦ μῆκος μαθεῖν ἰσχυσαν, καὶ ῥηπατὲ αὐτοῖς τὰ παρόντα ἔχον. ἄραντες ὅν παντὶ τῇ στρατῷ ἐπ' αὐτοὺς ἦσαν, διαριθμούμενοι ὅπως πόρρω που τῶν νικτῶν ἐπιπέσοιεν σφίσι· τετρακισχίλιοι δὲ καὶ μύριοι ἦσαν. οἱ μὲν ὅν Πέρσαι πολέμιον οὐδὲν ἐν νῆ ἔχοντες μακρὸν τινα ὑπὸν ἐκάθειυον· τὸν τε γὰρ παταλὸν ἀπόρευτον ᾔνοντο εἶναι καὶ τοὺς χιλίους, οὐδενὸς σφίσι ὑπαντίαςαντος, ἐπὶ μακρότατῶν πη ἄδο ἰέναι. Ῥωμαῖοι δὲ αὐτοῖς καὶ Λαζοὶ θρηθροῦ βαθείος ἀπροσδόκητοι ἐπιπεσόντες τοὺς μὲν ἔτι ὑπνον αἴρουμένους εὔρον, τοὺς δὲ ἄρτι ἐξ ὑπνου ἐγχεγερμένους καὶ γυμνοὺς ἐπὶ τῶν στραμάτων

ძლებოდა, რაც რომაელებსა და სპარსელებს იმ ადგილების უცოდნელობის გამო აინუშშიაც არ მოსდიოდათ, ლაზებმა კი ეს იცოდნენ, უეცრად გადავიდნენ იქ და შეუერთდნენ რომაელთა ჯარს. სპარსელებმა გამოარჩიეს და გაგზავნეს ათასი კაცი, მათში ყველაზე უფრო გამოცდილები, რათა არავინ წამოსულიყო და არ აეოხრებია მათი ბანაკი. ამათგან ორნი დაზვერვის მიზნით წინ მიდიოდნენ და მოულოდნელად მტრის ხელში ჩავარდნენ, და მათ უამბეს ყველაფერი მტერს. ამის წყალობით რომაელები და ლაზები უეცრად თავს დაესხენ იმ ათას კაცს და ვერც ერთმა ამათგან ვერ მოახერხა გაქცევა: ბევრი დაიღუპა, ხოლო ზოგიერთი მათგანი ტყვედ წაიყვანეს გუბაზისა და დაგისტეს კაცებმა, რომელთაც მოახერხეს მათგან გაეგოთ მიდთა ჯარის როდენობა და ისიც, თუ რა სიშორეზე რა მდგომარეობაში იყვნენ ისინი. ისინიც გამოემართნენ მთელი ჯარით და წამოვიდნენ მათ წინააღმდეგ იმ გამოანგარიშებით, რომ გვიან ღამით მათ თავს დასხმოდნენ: ისინი თოთხმეტი ათასი იყვნენ. სპარსელები კი მტერს არ მოელოდნენ და ღრმა ძილში იყვნენ, რადგან, იმათი აზრით, მდინარეზე გადმოსვლა შეუძლებელი იყო, და ის ათასი კაცი დიდ მანძილზე წავიდა წინ ისე, რომ მათ ვერავინ შეხვდა მოწინააღმდეგე, ხოლო რომაელები და ლაზები ჯერ

κατεμένους. διὸ δὴ αὐτῶν οὐδενὶ ἐξ
 ἀλλήνῃ ἰδεῖν ξυνηγέθη, ἀλλ' οἱ
 μὲν πλείστοι καταλαμβανόμενοι
 ἔθνησκον, τινὰς δὲ καὶ ἐξώρησαν
 οἱ πολέμοι, ἐν τοῖς καὶ τῶν ἀρ-
 χόντων ἕνα τετύχηκεν εἶναι, ὀλί-
 γοι δὲ τινες ἐν σκότῳ διαφεύγον-
 τες ἐσώθησαν. τό τε στρατόπεδον
 Ῥωμαῖοι καὶ Λαῖοι αἰρέουσι καὶ
 τὰ σημεῖα πάντα, ἔπλα τε πολλὰ
 καὶ γρήματα μεγάλα ἐλήρισαντο,
 καὶ ἵππων τε καὶ ἡμιόνων μέγα
 τι χρήμα. ἐπὶ μακρότατον δὲ τὴν
 δῶξιν ποιησάμενοι καὶ Ἰβηρίας
 πόρρω ἀφίκοντο. ἔνθα δὴ καὶ
 ἄλλοις τισὶ Περσῶν ἐντυχόντες
 πολλοὺς ἔκτειναν. οὕτω μὲν ἐκ
 Λαϊκῆς Πέρσαι ἀπήλλαξαν, Ῥω-
 μαῖοι δὲ καὶ Λαῖοὶ τὰ τε ἄλλα ἐπι-
 τήθεια καὶ ἀλευρα παμπληθῆ ἐν-
 ταῦθα ἐρόντες ἅπαντα ἔκασσαν
 ἅπερ ἐξ Ἰβηρίας¹ οἱ βάρβαροι
 ἐπηγάγοντο, ἐφ' ᾧ ἐς Πέτραν ἐσ-
 κίμῃσαντι. Λαῖων τε πολλοὺς
 ἐλίποντο ἐν τῇ στενωπῷ, ὡς μη-
 κέτι Πέρσαις ἐς Πέτραν τὰ ἐπι-
 τήθεια ἐσκομίζεσθαι δυνατὰ εἶη,
 ξὺν τε τῇ ἄλλῃ λείᾳ καὶ τοῖς
 αἰχμαλώτοις ἀνέστρεφον. καὶ τέ-
 ταρτον ἔτος ἐτελεύτα Ἰωμαίοις
 τῆς ἐς Πέρσας ἐκχειρίας, τρίτον
 καὶ εἰκοστὸν ἔτος Ἰουστινιανου
 βασιλέως τὴν αὐτοκράτορα ἀρχὴν
 ἔχοντος (H a u r y | 289,17-303,12).

¹) ἡβερίας Ὁ.

კიდევ რიჟრაჟზე რომ მოულოდ-
 ნელად თავს დაესხენ, ზოგიერთები
 ძილში იპოვეს, ზოგიერთებს კი ის
 იყო გამოელვითა და ტიტვლები
 ისხდენ ლოგინებზე. ამიტომ არც
 ერთ მათგანს აღარ მოუხდა შებრ-
 ძოლებაზე ფიქრიც: მეტი წილი
 მოკლულ იქმნა ხოლო ზოგიერ-
 თები, რომელთა შორის ერთი სარ-
 დალიც აღმოჩნდა, მტერმა დაატ-
 ყვევა, მცირეოდენი კი სიბნელეში
 გაიქცა და გადარჩა. რომაელებმა
 და ლაზებმა აიღეს ბანაკი და ყვე-
 ლა დროშები, დაიტაცეს ბევრი
 იარაღი და დიდძალი ფული და
 აუარებელი ცხენი და კერძოვირი.
 ისინი დიდ მანძილზე დაედევნენ
 მტერს და მიაღწიეს იბერიის სი-
 ღრმეში. იქაც შეხვდნენ სხვა სპარ-
 სელებს და ბევრი მოკლეს. ამრი-
 გად, სპარსელები გავიდნენ ლაზიკი-
 დან, ხოლო რომაელებმა და ლა-
 ზებმა სხვა სურსათიც და აუარე-
 ბელი ფქვილიც იპოვეს იქ და ყვე-
 ლაფერი დასწვეს, რაც კი ბარბა-
 როსებს იბერიიდან წამოელოთ,
 რათა პეტრაში შემოეტანათ. მათ
 მრავალი ლაზი დასტოვეს ვიწრობ-
 ში, რომ სპარსელებს აღარ შეს-
 ძლებოდათ პეტრაში სურსათის
 შეტანა, და დანარჩენი ნადავლითა
 და ტყვეებით უკან დაბრუნდნენ.
 რომაელებს გაუთავდათ მეოთხე
 წელი სპარსელებთან დროებითი
 ზავისა, ოცდამესამე წელი იუსტი-
 ნიანე მეფის თვითმპყრობელობისა.

DE BELLO GOTHICO.

ჭანეთისა და ლაზეთის აღწერა.

‘Όσα μὲν ἄχρι τούδε μοι δεδιή-
γηται, τῆδε ξυγγέγραπται ὑπερ-
δυνατὰ ἐγεγονει ἐπὶ χωρίων ἐφ’
ἧν δὴ ἔργα τὰ πολέμια ξυνηχῆθη
γενέσθαι διελόντι τε καὶ ἀρμολα-
μένῳ τοὺς λόγους, ὅπερ ἰδὴ ἐξε-
νεχθίντες πανταχόθι δεδήλωνται
τῆς Ῥωμαίων ἀρχῆς. τὸ δὲ ἐν-
θένδε οὐκέτι μοι τρόπιον τῆ εἰρη-
μένῳ ξυγκείσεται. γράμματα: γάρ
τοῖς ἐς τὸ πᾶν δεδηλωμένοις οὐ-
κέτι εἶχον τὰ ἐπιγιγνώμενα ἐναρ-
μόζεσθαι, ἀλλ’ ὅσα κατὰ τοὺς
πολέμους τούσδε γεγονέναι ξυνέβη,
ἔτι μέντοι καὶ ἐς τὸ Μηδῶν γέ-
νος, ἐπειδὴ τοῖς ἔμπροσθεν λό-
γους ἐξήνεγκα, ἐν τῆδε μοι τῶ
λόγῳ πάντα γεγράφεται, ἱστορίαν
τε αὐτῶν ἐπάναγκες ποικίλην
ξυγκείσθαι. ἦδη μὲν οὖν ὅσα
ξυνέβη ἄχρι ἐς τὸ τέταρτον ἔτος
τῆς πενταετηρίδος ἐκεχειρίας, ἣ
Ῥωμαίοις ἐγεγονει καὶ Πέρσαις,
ἐν τοῖς ἔμπροσθέν μοι δεδιήγηται
λόγοις: τῆ δὲ ἐπιγιγνομένην ἐναισθη-
Μηδικῆς στρατίας πολὺς ὁμιλος ἐς
γῆν τὴν Κολχίδα. ἐσέβαλον οἷσπερ
ἐφειστήκει Πέρσης ἀνήρ, Χοριά-
νης¹ ὄνομα, πολέμων ἐσάγαν πολ-
λῶν ἔμπειρος. καὶ αὐτῶν ξύμμαχοι
βάρβαροι τοῦ Ἀλανῶν γένους
πολλοὶ εἶποντο. οὗτος ὁ στρατὸς

VIII 1. რაც ჩემ მიერ აქამდეა მოთხრობილი, დაიწერა ისე, როგორც ეს შესაძლებელი იყო იმ ადგილების მიხედვით, სადაც საომარი ამბები დატრიალდა; ასე დავანაწილე და ავკინძე მე ის წიგნები, რომლებიც გამოქვეყნდა და გაიცნეს ყველგან, რომაელთა მთელ სამყაროში. აქიდან კი მე უკვე აღარ შემიძლია ზემოხსენებულ ი წესით ვწერო. ვინაიდან საყოველთაოდ გამოქვეყნებულ ნაწერებს მე უკვე ვეღარ მივაკერებ იმ ამბებს, რაც შემდეგ მოხდა. მე ამ წიგნში აღვწერ ყველაფერს, რაც ამ ომების დროს მოხდა, იმასაც, რაც მიდთა ტომთან დატრიალდა, – მის შემდეგ რაც მე უკვე გამოვეცი ჩემი წიგნები – ასე რომ ამათი ისტორია აუცილებელია ჭრელი გამოვიდეს. ჩემ მიერ ხომ წინა წიგნებშია მოთხრობილი ის, რაც იმ ორმოცდაათწლიანი ზავის მეოთხე წლამდე მოხდა, რომელიც რომაელებსა და სპარსელებს შორის დაიდვა. ხოლო შემდეგ წელს მიდთა ჯარის დიდი სიმრავლე შეიჭრა კოლხეთის ქვეყანაში. მათ სათავეში ედგა ერთი სპარსელი, სახელად ხორიანე, ომებში ძალიან გამოცდილი; მას მოკავშირეებად მისდევდა მრავალი ბარბაროსი

¹) Χορσανης L.

ἐπειδὴ ἀφίκοντο ἐς χώραν τῆς
 Λαζικῆς, ἣ ἐπικαλεῖται Μοχῆρησις¹,
 ἐν ἐπιτηδεῖω στρατοπεδευσάμενοι
 ἔμενον. ῥεῖ δὲ π ἐνταῦθα πα-
 ταμὸς Ἴππης,² οὐ μέγας οὐδὲ ναυ-
 σίπορος, ἀλλὰ καὶ ἵππευσι καὶ
 ἀνδράσι πεζοῖς ἐσβατός, οὐ δὲ ἐν
 δεξιᾷ τὸν χάρακα ἐποίησαντο, οὐ
 παρὰ τὴν ὄχθην, ἀλλὰ κατὰ πο-
 λὺ ἀπὸ τῆς, ἕπως δὲ τῆς τάδε ἀν-
 λεγομένοις ἔκδηλα τὰ ἐπὶ Λαζι-
 κῆς χωρία ἔσται ἕσα τε γένη ἀν-
 θρώπων ἀμφ' αὐτὴν ἱδρύνται, καὶ
 μὴ ὑπὲρ τῶν ἀφανῶν σφίσις ὡσπερ
 οἱ σκιαμαχοῦντες διαλέγεσθαι
 ἀναγκάζονται, οὐ μοι ἀπὸ καιροῦ
 ἔδειξεν εἶναι ἀναγράφασθαι ἐνταῦ-
 θα τοῦ λόγου ὄντινα δὴ τρόπον
 ἀνθρώποι οἰκοῦσι τὸν Εὐξείνιον
 καλούμενον Πόντον, οὐκ ἀγνοοῦντι
 μὲν ὡς καὶ τῶν παλαιότερων τι-
 γέγραπται ταῦτα, οἰσμένοι δὲ οὐκ
 ἐς τὸ ἀκριβὲς αὐτοῖς πάντῃ εἰρησ-
 θαι ὡν γέ τιγες Τραπεζουσιῶν
 ὁμόρους ἢ Σάνους³ ἔφρασαν, οἱ
 τανῶν Τζάνοι ἐπικαλοῦνται, ἢ
 Κόλχους⁴ εἶναι, Λαζοὺς ἑτέρους
 καλέσαντες, οἱ καὶ νῦν ἐπὶ τούτου
 προσαγορεύονται τῶν ὀνόματός.
 καίτοι ἔστι τούτων οὐδέτερον.
 Τζάνοι μὲν γάρ τῆς πικρίας
 ὡς ἀπωτάτω ὄντες προσκοῦσι
 τοὺς Ἀρμενίους⁵ ἐν τῇ μεσογείᾳ
 καὶ ὄρη πολλὰ μεταξὺ ἀποκρέ-
 μαται, λίαν τε ἄβατα καὶ ὀλως

ალანთა ტომიდან. როდესაც ეს
 ჯარი ლაზიკის იმ ადგილში მი-
 ვიდა, რომელსაც მოხირისი ეწო-
 დება, დასაზნაკებლად დადგა მო-
 ხერხებულ ადგილას. იქ ჩამოდის
 მდინარე იპპის, არც დიდი და არც
 ნავთსავალი, რომლის გადასვლა
 შეუძლიათ ცხენოსანთ და ფეხდა-
 ფეხ მავალთაც; ამის მარჯვენა ნა-
 პირას გაიკეთეს თხრილსიმაგრე,
 მაგრამ ნაპირას კი არა, არამედ
 კარგა მოშორებით იქიდან. რომ
 ამის წამკითხველთათვის ნათლად
 წარმოსადგენი იყოს ლაზიკის ქვე-
 ყნები და ისიც, თუ რა ტომები
 მკვიდრობენ მის გარშემო, და რომ
 ისინი იძულებული არ იყვნენ ილა-
 პარაკონ მათთვის უცნობ მოვლე-
 ნებზე, მსგავსად აჩრდილის მეგრ-
 ძოლთა, მე ვფიქრობ უდროო არ
 იქნება აღწერო ამ წიგნში, თუ
 როგორ არიან ხალხები დასახლე-
 ბული ეგრეთწოდებულ ექსინის
 პონტზე; მე კარგად ვიცი, რომ
 ზოგიერთს ძველ ძწერალთაგან ეს
 აღწერილი აქვს, მაგრამ ვფიქრობ,
 რომ მათ ზედმიწევნით არა აქვთ
 ყველაფერი განხილული: ზოგიერ-
 თი მათგანი ამბობს, რომ ტრაპე-
 ზუნტიელთა მოსაზღვრენი არიან
 ან სანები, რომელთაც ახლა ჭანე-
 ბი ეწოდებათ, ან კოლხები, სხვანაი-
 რად ლაზებს რომ ეძახდენ, რომე-
 ლნიც ახლაც იმავე სახელს ატა-
 რებენ. თუმცა არც ერთი ამათგან

1) Μοχρησις K, Μουχειρησις L. – 2) ἵππης K, ἰασπις L, ἵππις Dind.

3) τρακεζων ἰομορρους ἦσαν ἡους K, ἰομορους λαζων τζανούς L. – 4) Κολχούς. –

5) ἡαρμενιους K.

ἰακρημῶνδῃ, χώρα τε πολλή ἐρη-
 μος ἀνθρώπων ἐς αἶψα οὐσα καὶ
 χαράδραι ἀνέχβατοι καὶ λόφοι
 ἰσώδεις καὶ σήραγγες ἀδιέξοδοι,
 οἷς δὴ ἅπασιν μὴ ἐπιθάλασσιν
 εἶναι διείργονται Ἰζάνοι. Κόλ-
 χους δὲ <οὐχ> οἷόν τε ἔστι μὴ
 τοὺς Λαζῶν εἶναι, ἐπεὶ παρὰ Φά-
 σιν ποταμὸν ᾠκηται· τὸ δὲ ὄνομα
 μόνον οἱ Κόλχοι, ὡσπερ ἀνθρώ-
 πων ἔθνη καὶ πλῆθ ἕτερα, τανῦν
 ἐς τὸ Λαζῶν μεταβέβηται. χωρὶς δὲ
 τούτων καὶ μέγας αἰὼν μετὰ τοὺς
 ἐκεῖνα ἀναγραφόμενους ἐπιγενό-
 μενος αἶψα τε συννωτερίζων τοῖς
 πράγμασι τὰ πολλὰ τῶν καθεσ-
 τῶτων τὰ πρότερα νεοχρῶναι ἰσχυ-
 σεν ἔθνων τε μεταστάσσει καὶ ἀρ-
 χόντων καὶ ὀνομάτων διαδοχαῖς.
 ἅπερ μοι διαμετρήσασθαι ἀναγ-
 καιότατον ἔδοξεν εἶναι, οὐ τὰ
 μύθων περὶ αὐτῶν ἀπαγγέλλοντι
 ἢ ἄλλως ἀρχαῖα, ἐνδὲ οἷα ποτὲ
 Πόντου τοῦ Εὐξείνου δεσθῆναι τὸν
 Προμηθεῖα ποιηταὶ λέγουσι· μύθου
 γὰρ ἱστορίαν παρὰ πλὴν κεχωρισ-
 θῆαι οἴμαι· ἀλλ' ἐς τὸ ἀκριβὲς
 διεξιόντι τὰ τε ὀνόματα καὶ τὰ
 πράγματα, ὅσα δὲ τανῦν ἐπιχω-
 ριάζει τῶν τόπων ἐκείνων ἑκάστῳ.

სიმართლეს არ შეეფერება. ჭანები ხომ ზღვის ნაპირს ძალიან არიან დაშორებული და არმენიელების გვერდით ცხოვრობენ შუახმელეთზე და შუაში აღმართულია მრავალი, მეტად მიუვალი და სრულიად ციცაბო, უზარმაზარი ქვეყანა, სრულიად უკაცური, გადაუვალი თხრილები, ტყიანი მწვერვალები და უზო-უკვლო ნაპრალეები; ყველა ამით ჭანები გამოირჩევიან, როგორც არაზღვისპირა მცხოვრებლები, კოლხები კი შეუძლებელია არ იყვნენ იგივე ლაზები, ვინაიდან ფასისის მდინარეზე მოსახლეობენ. ხოლო სახელი „კოლხები“, როგორც სხვა მრავალი ტომებისა, ამჟამად „ლაზთა“ სახელად შეიცვალა. გარდა ამისა ამ ამბების დამწერთა შემდეგ მრავალი საუკუნე გავიდა, რომელმაც ბევრი ცვლილება შეიტანა არსებულ მდგომარეობაში. მომხდარ ამბებთან დაკავშირებით, როგორც მაგალითად, ხალხთა გადასახლებასთან და მმართველთა და სახელწოდებათა შეცვლასთან დაკავშირებით. მე აუცილებლად დავინახე ყველაფერი ეს გაკვლეული ყოფილიყო; ამათ შესახებ მე არ ვაქვე-

ყნებ მითიურს ან უაღრესად ძველ ცნობებს, არც იმას, რომ პრომეთე ევქსინის პონტთან სადღაც მიჯაჭვული იყო, როგორც პოეტები ამბობენ (მე ვფიქრობ, რომ დიდი განსხვავებაა მითსა და ისტორიას შორის), – არამედ ზედმიწევნით მოვიყვან იმ სახელებს და მოვლენებს, რომლებიც ამჟამად თითოეულ ამ ადგილს შეეფერება.

Οὗτος τοῖσιν ὁ Πόντος ἀρχεται
 μὲν ἐκ Πυζαντίου καὶ Καλχη-

VIII 2. ამრიგად, ეს პონტო იწყება ბიზანტიდან და კალქედონი-

ὄνομα, τελευτα δὲ ἐς Κόλχων τήν
 γήν. καὶ αὐτὸν ἐν δεξιᾷ ἐσπλέοντι
 Βιθυνοὶ τε καὶ οἱ αὐτῶν ἐχόμενοι
 Ὀνωριάται καὶ Παφλαγονεῖς ᾤκη-
 νται, οἱ δὲ ἄλλα τε χωρία καὶ
 Ἡράκλειάν τε καὶ Ἄμιστρον ἐπι-
 θαλασσίας πόλεις ἔχουσι, καὶ μετ'
 αὐτοὺς οἱ Ποντικοὶ ἐπικαλούμενοι
 μέχρι ἐς Τραπεζοῦντα πόλιν καὶ
 τὰ ταύτης ὄρια. ἐνταῦθα πολις-
 ματὰ τε ἄλλα ἐπιθαλασσίδια καὶ
 Σιγώπη τε καὶ Ἄμισος οἰκεῖται,
 Ἄμισος δὲ ἀγχιστα τό τε Θειμί-
 σκουρον¹ καλούμενον καὶ Θερμώ-
 δων ποταμὸς ἐστίν, ὃν δὲ τὸ τῶν
 Ἄμαζόνων, στρατόπεδον γεγενῆ-
 σθαί φασιν. ἀλλὰ περὶ μὲν Ἄμα-
 ζόνων γεγράφεται μοι οὐ πολλῇ
 ἔπισθεν. Τραπεζοῦντων² δὲ τὰ
 ὄρια διήκει ἐξ τε κώμην Σουσορ-
 μενα καὶ τὸ Ῥιζαῖον³ καλούμενον
 χωρίον, ἔπερ Τραπεζοῦντων διέχει
 δυοῖν ἡμέραιν ὄδον διὰ τῆς παρα-
 λίας ἐς Λαζικήν ἴοντι. Τραπεζοῦν-
 τος δὲ μοι ἐπιμνησθέντι ὃν παρι-
 τέον τὸ πλείω παραλόγῳ τῆδε
 ξυμβαῖνον. τὸ γὰρ μέλι ἐν ἀπχσι-
 τοῖς περὶ Τραπεζοῦντα⁴ χωρίοις
 πικρὸν γίνεται, ἐνταῦθα μόνον στα-
 σιαζομένης τῆς ἀμφ' αὐτὸ δόξης
 τούτων δὲ δὴ τῶν χωρίων ἐν δεξιᾷ
 τὰ Τζανική⁵ ὄρη πάντα ἀνέχει,
 ἐπέκεινά τε αὐτῶν Ἀρμένιοι Ῥω-
 μαίων κατήκοοι ᾤκηγται. ἐκ τού-
 των δὲ τῶν Τζανικῶν ὄρων κάτεισι
 ποταμὸς Βόας ὄνομα, ὃς δὲ ἐξ τε

დან, ხოლო თავდება კოლხების
 ქვეყანასთან. პონტოში რომ შედი-
 ხარ, მარჯვნივ ცხოვრობენ ბით-
 ვინიელები და მათი მეზობლები
 ონორიატები და პაფლაგონელები,
 რომელთაც უჭირავთ ზღვისპირა
 ქალაქები ჰერაკლია და ამასტრისი
 და სხვა ადგილებიც, ამათ შემდეგ
 ცხოვრობენ ეგრეთწოდებული პონ-
 ტოელები ვიდრე ტრაპეზუნტის
 ქალაქამდე და მის საზღვრებამდე.
 აქ სხვა ზღვისპირა ქალაქებს შო-
 რის არის სინოპი და ამისე, ხოლო
 ამისის მახლობლად არის ეგრეთ-
 წოდებული თემისკურე და მდინა-
 რე თერმოდონი, სადაც, როგორც
 ამბობენ, ამაზონთა ბანაკი იყო,
 მაგრამ ამაზონებს მე ცოტა ქვევით
 შევხები. ტრაპეზუნტიელთა საზ-
 ღვრები ვრცელდება დაბა სუსურ-
 მენემდე და ეგრეთწოდებულ რი-
 ზემდე, რომელიც ლაზიკეში ზღვით
 მიმავალისათვის ორი დღის სავა-
 ლი გზით არის დაშორებული ტრა-
 პეზუნტს. რადგან ტრაპეზუნტი ვა-
 ხსენე, არ შეიძლება გვერდი აუა-
 რო ერთ მოვლენას, რომელსაც იქ
 სრულიად მოულოდნელად ვხე-
 დავთ; სახელოდობრ, თავლი ტრა-
 პეზუნტის გარშემო მდებარე ყველა
 ადგილას მწარეა, და, ამრიგად,
 მხოლოდ აქ საწინაღმდეგო წარმო-
 დგენა არსებობს თავლის შესახებ.
 ამ ადგილების მარჯვნივ აღმარ-
 თულია ჭანეთის მთები, რომელთა
 გადაღმა რომაელთა ქვეშევრდომი

¹) Θειμισκουριον K, Θειμισκυρον L. – ²) ἡαμαζονων K. – ³) τραπεζουντων L. –
⁴) ριζεων || ριζεον L. – ⁵) περι τραπεζουντα] τραπεζουντος L. – ⁶) τζακης K.

λόχμας περιερχόμενος φέρεται μὲν ἄγχιστα τῶν Δαζικῆς χωρίων, ποιεῖται δὲ τὰς ἐκβολὰς ἐς τὸν Ἐὑξείνου καλούμενον Πόντον, οὐ μέντοι Ἰόας καλούμενος. ἐπειδὴν γὰρ τῆς θαλάσσης ἐγγὺς ἴκηται, τὸ μὲν ὄνομα μετέθηκε τοῦτο, ἑτέρας δὲ τὸ ἐνθίνδε προσηγορίας μεταλαγχάνει, ἐκ τῶν οἱ ἐπιγινόμενων ὄνομα κτώμενος. Ἄκαυψιν γὰρ αὐτὸν τὸ λοιπὸν καλοῦσιν οἱ ἐπιχώριοι, τοῦτου δὲ ἕνεκα, ὅτι δὴ κάψαι αὐτὸν τῆς θαλάσσης ἀναμιχθέντα ἀμύχανά ἐστιν, ἐπεὶ ξὺν ῥύμη τοσαύτη καὶ ὀξύτητι τοῦ ῥοῦ τὰς ἐκβολὰς ποιεῖται, ταραχὴν τοῦ ῥοῦ πολλὴν ἐπιπροσθεν ἐργαζόμενος, ὥστε ὡς πορρωτάτω τῆς θαλάσσης ἰὼν ἀπὸρον ποιεῖται τὸν ταύτη διάπλουν· οἱ τε ναυτιλλόμενοι ἐνταῦθα τοῦ Πόντου, εἴτε Δαζικῆς εὐθὺς πλέοντες εἴτε καὶ ἐνθίνδε ἀπάραντες, οὐκέτι ἐξῆς διαπλεῖν θύγανται. κάψαι¹ γὰρ τοῦ ποταμοῦ τὸν ῥοῦν ὑδάμην ἔχουσιν, ἀλλὰ πορρωτάτω μὲν ἀναγόμενοι τοῦ ἐκείνη πελάγους, ἐπὶ μέσον δὲ πρὸς τὸν Πόντον ἰόντες, οὕτω δὲ ἀπαλλάσσονται τῆς τοῦ ποταμοῦ ἐκβολῆς θύγανται. τὰ μὲν οὖν ἀμφὶ ποταμὸν Βόαν² τοιαῦτά ἐστι.

Μετά δὲ τὸ Ῥιζαίων³ αὐτογόμενων ἀνθρώπων ὄροι⁴ ἐκδέχονται, οἱ δὲ Ῥωμαίων τε καὶ Δαζῶν

არმენიელები ცხოვრობენ. ამ ჭანეთის მთებიდან ჩამოდის მდინარე, სახელად ბოასი, რომელიც მის შემდეგ, რაც გამოივლის მრავალ ჭალას და შემოუვლის მთაგორიან ადგილებს, ლაზიკის სოფლების მახლობლად გასწევს და ერთვის ეგრეთწოდებულ ევექსინის პონტს, მაგრამ უკვე აღარ ეწოდება ბოასი. ვინაიდან, როდესაც ის ზღვის მახლობლად მიდის, იცვლის ამ სახელს და იქიდან სხვა სახელწოდებას მიირქმევს: სახელს ის თავის მიმდევართაგან იძენს. მას, სხვათა შორის, ადგილობრივი მცხოვრებლები აკამფსის უწოდებენ იმის გამო, რომ მისი დამორჩილება ზღვასთან შეერთების ადგილას, შეუძლებელი ხდება, ვინაიდან ისეთი სისწრაფითა და სიმწვავეთა უერთდება და ისეთი დიდი ხმაურობით მიიწევს წინ, რომ ზღვის კარგა მოშორებით მომდინარეც შეუძლებელს ჰქმნის ზღვაში შეცურვას: ასე რომ პონტოს იმ ადგილას მცურავნი ვერც შიგ ლაზიკეში ახერხებენ შენავებას, ვერც იქიდან გამოსვლას და ვერც ახლოს გაცურვას, ვინაიდან არსად არ შეუძლიათ დაიმორჩილონ წყლის მდინარება, არამედ შორს უნდა ავიდნენ ზღვაში, სადმე შუა პონტოში მივიდნენ და ასე აიცდინონ მდინარის შესართავი. აი ის, რაც მინდოდა მეტექვა მდინარე ბოასის შესახებ.

1) Καυψαι K. – 2) ποταμου βοα K. – 3) ριζεον L, ριζαιον K. – 4) ορη L.
საქართველოს მუზეუმის მოამბე, VII.

μεταξὺ ὄκηται. καὶ κώμη τις, Ἀθήναι ὄνομα, ἐνταῦθα οἰκεῖται, οὐχ ὅτι Ἀθηναίων ἀπικαι, ὡσπερ τινὲς οἴονται, τῆδε ἵδρυσαντο, ἀλλὰ γυνή τις Ἀθηναία ὄνομα ἐν τοῖς ἄνω χρόνοις κυρία ἐγεγόνει τῆς χώρας, ἥσπερ ὁ τάφος ἐνταῦθα καὶ εἰς ἐμὲ ἐστί. μετὰ δὲ Ἀθήνας Ἀρχαβίς¹⁾ τε οἰκεῖται καὶ Ἀφαρδῆς, πόλις ἀρχαία, ἣ τοῦ Πύλαιου διέχει ὁδῶν ἡμερῶν τριῶν μάλιστα. αὕτη Ἀφурτος τὸ παλαιὸν ὀνομαζέτο, ὁμώνυμος τῷ ἀνθρώπῳ διὰ τὸ πάθος γεγενημένη. ἐνταῦθα γάρ φασιν, οἱ ἐπιχώριοι ἐξ ἐπιβουλῆς Μηδείας τε καὶ Ἰάσονος τὸν Ἀφурτον ἐξ ἀνθρώπων ἀφενισθῆναι, καὶ δι' αὐτὸ τὴν ἐπωνυμίαν τὸ χωρίον λαβεῖν ὁ μὲν γὰρ ἐν ἐκείνῳ ἀπέθνησκε, τὸ δὲ ἀπ' αὐτοῦ ὀνομαζέτο. ἀλλὰ πολλὲς ἄγαν μετὰ ταῦτα ἐπιρρῆσας ὁ χρόνος καὶ ἀνθρώπων ἀναρίθμους διαδοχαῖς ἐνακμάσας αὐτὸς διαφθεῖραι μὲν τὴν τῶν πραγμάτων ἐπιβλήν ἴσχυσεν ἐξ ὧν τὸ ὄνομα ἔγκλειται τοῦτο, ἐς δὲ τὸν γῦν φαινόμενον τρόπον μεταρρῆσθαι τὴν προσήγορίαν τῷ τῆπι. τοῦτου δὲ τοῦ Ἀφурτου καὶ τάφος ἐς τῆς πόλεως τὰ πρὸς ἀνίσχοντα ἕλκιν ἐστί. αὕτη πόλις ἦν τὸ παλαιὸν πολυάνθρωπος, καὶ τείχος μὲν αὐτὴν περιέβαλε μέγα τι χρῆμα, θεάτρῳ δὲ καὶ ἵπποδρόμῳ ἐκαλλωπιζέτο καὶ τοῖς ἄλλοις ἀπασιν,

რიზეს მოსდევს მიწაწყალი ერთი ხალხისა, რომელიც რომაელებსა და ლაზებს შორის მოსახლეობს. იქ მდებარეობს ერთი სოფელი, სახელად ათენი. ეს ჰქვია მას არა იმიტომ, რომ ის ათინელთა ახალშენი იყოს, როგორც ზოგიერთები ფიქრობენ, არამედ ერთი ქალი ყოფილა, სახელად ათინურ, წინა ხანებში ამ ქვეყნის ბატონი, რომლის საფლავს იქ ახლაც აჩვენებენ. ათენის შემდეგ მდებარეობს არქაბე და აფსარუც, რომელიც კაი სამი დღის სავალი გზით არის რიზეს მოშორებული. ის ძველად აფსურტად იწოდებოდა, მას კაცის სახელი დაერქვა ერთი შემთხვევის გამო: ამბობენ, რომ აფსურტე მოკლულ იქმნა მედეას და იასონის ვერაგობის წყალობით და ამის გამო ამ ადგილმა მიირქვა მისი სახელი. ის ხომ ამ ადგილას მოკვდა და მისგან იწოდა ასე. მაგრამ ძალიან დიდი ხანი გავიდა მის შემდეგ და ადამიანთა ურიცხვ ცვლასთან დაკავშირებით შეირყვნა იმ გარემოებათა ვითარება, რომელთაგან ეს სახელი მომდინარეობს, და ახლა ამნაირად გადასხვაფერდა ამ ადგილის სახელიც. ამ აფსურტეს საფლავი ქალაქის აღმოსავლეთით არის. ეს ქალაქი ძველად მრავალმცხოვრებიანი ყოფილა. მას გარშემო უვლიდა მრავალი კედელი და შემკული იყო თეატრითა და იპპო-

¹⁾ αρχαβες L, αρχαβις K. –

οἷσπαρ πόλεως μέγιστος δείκνυσθαι
 εἶσθε. νῦν δὲ δὴ αὐτῶν ἄλλο σὺ-
 δὲν ἀπελείπεται, ὅτι μὴ τῆς κη-
 τακουῆς τὰ ἐδάφη.

“Ὡστε εἰκότως θαυμάσειεν ἄν-
 τις τῶν Κέλκους φαμένων Τραπε-
 ζουνοῦ¹ ἑμόρους² εἶναι, τὰς τε
 μὲν γὰρ καὶ τὰ δέρας ξὺν τῇ Μη-
 δεῖα συλήσας Ἰάτων οὐκ ἐπὶ τὴν
 Ἑλλάδα καὶ τὰ πάτρια ἦδη φυγῶν
 φαίνονται, ἀλλ’ ἔμπαλιν ἐπὶ Φᾶσιν
 τε ποταμὸν καὶ τοὺς ἐνδοτάτω
 βερβάρους, λέγουσι μὲν οὖν ὡς
 κατὰ τοὺς Τραϊανοῦ τοῦ Ῥωμαίων
 αὐτοκράτορος χρόνους κατάλογοι
 Ῥωμαίων στρατιωτῶν ἐνταυθὰ τε
 καὶ μέχρι ἐς Λαζῶν καὶ Σαγίνας³
 ἴδρουντο, τὰ δὲ νῦν ἄνθρωποι ἐν-
 ταυθὰ οἰκοῦσιν οὕτε τοῦ Ῥωμαίων
 οὕτε τοῦ Λαζῶν βασιλέως κατή-
 κισαι ὄντες, πλὴν γε δὴ ὅτι Χρι-
 στιανῶς οὖσιν οἱ Λαζῶν ἐπίσκο-
 ποι τοὺς ἱερεῖς⁴ καθίστανται σφίσι.
 καὶ αὐτοὶ ἐνοσιγδοὶ τε καὶ φίλοι
 ἀμφοτέρους ἐθέλοντες εἶναι, τὴν
 εἰς ἑκατέρων παρὰ τοὺς ἑτέρους
 ἀεὶ στελλομένους παραπέμφειν
 διηγεκῶς ἠμολόγησαν. ὃ δὲ φαί-
 νονται καὶ εἰς ἑμὲ ὄρωντες, ἀκά-
 τως γὰρ ἰδίαις τὴν παρὰ θιατέ-
 ρου βασιλέως εἰς τὸν ἕτερον στελ-
 λομένους ἀγγέλους ναυτιλλόμενοι
 παραπέμπουσι, φόρου μέντοι ὑπο-

დრომით და მას მრავალი სხვა რა-
 მაც ჰქონდა, რაც ჩვეულებრივ ქა-
 ლაქის სიდიდის მომასწავებელია.
 ამჟამად აქიდან სხვა არაფერია
 დარჩენილი, გარდა ნაშენობათა
 საძირკვლებისა ⁴.

ასე რომ გაკვირვების ღირსია ის,
 ვინც ამბობს, რომ კოლხები ტრაპე-
 ზუნტელების მოსაზღვრე არიანო.
 იქ რომ იასონმა მედიასთან ერთად
 ვერძი გააძრო, ელადაში და სა-
 მშობლო ქვეყანაში კი არ უნდა
 გამოქცეულიყო, არამედ უნდა მო-
 ბრუნებულიყო ბარბაროსებისაკენ.
 ამბობენ აგრეთვე, რომ რომაელთა
 თვითმპყრობელ ტრაიანეს დროს
 იქ ვიდრე ლაზების და საგინების
 ქვეყანამდე დაფუძნებულ იქმნა რო-
 მაელ ჯარისკაცთა რაზმები. ამჟა-
 მად კი იქაური მცხოვრებლები
 არც რომაელთა და არც ლაზთა
 მეფის ქვეშევრდომები არ არიან
 გარდა იმისა, რომ, რადგან ისინი
 ქრისტიანები არიან, ლაზთა ეპის-
 კოპოზები უწესებენ მათ მღვდელ-
 მსახურებს. ისინი ისწრაფვიან ორი-
 ვესთან მშვიდობიან და მეგობრულ
 ურთიერთობაში იყვნენ და ყოველ-
 თვის თანხმდებიან ხოლმე მიაცი-
 ლონ ერთი მხრიდან მეორესთან
 მიმავალი მოციქულები. ასე იქცე-
 ვიან ისინი ჩვენ დრომდე: ისინი
 თავიანთი მსუბუქი ხომალდებით
 მიაცილებენ ხოლმე ერთი მეფის
 გზირებს, რომელნიც მეორე მეფე-

1) Τραπεζουνοτιων ισομορους L. – 2) σαγιδας K, σαυνιτας L. – 3) εις ιιεροις L.
 4) აფსარუს – აფსირტეს შესახებ ლიტერატურა იხ. RE II 266 და 284.

τελεῖς οὐδεαμὴ γεγένηται ἐς τότε
 τοῦ χρόνου. τούτων δὲ τῶν χωρίων
 ἐν δεξιᾷ ὄρη τε λίαν ἀπότομα
 ἀπικρέμαται καὶ χώρα ἔρημος
 ἐπὶ πλείστον διήκει. καὶ αὐτῆς
 ὑπερθεὶν οἱ Περσαρμένοι καλοῦ-
 μένοι φηγεται, καὶ Ἀρμένιοι¹ οἱ
 Ῥωμαίων κατήκοοι εἰσι μέχρι ἐς
 τοὺς Ἰβηρίας ὄρους διήκοντες.

Ἐκ δὲ Ἀφροῦντος πόλεως ἐς
 Πέτραν τε πόλιν καὶ τοὺς Λαζῶν
 ὄρους, οἱ δὲ τελευτᾷ ὁ Εὐξείνιος
 Πόντος, μίση ἐστὶν ἡμέρας ἑδός.
 ἀπολήγων δὲ ὁ Πόντος ἐνταῦθα
 μηχανεῖται τὴν ἀκτὴν. καὶ ὁ
 μὲν τοῦ μηχανεῖσθαι τούτου διάπλους
 ἐς πεντήκοντά τε καὶ πεντακοσίους
 μάλιστα σταδίους διήκει, τὰ δὲ
 αὐτῶν ὀπισθεν ξύμπαντα Λαζική
 τέ ἐστι καὶ ὠνόμασται. μετὰ δὲ
 αὐτοὺς κατὰ τὴν μεσογαίαν Σκυ-
 μιά² τε καὶ Σουαγία ἐστί. ταῦτα

 „παίδων καὶ γῆς πατρῴας καὶ
 „ἀπλῶς εἰπεῖν ὑπὲρ τῶν ὅλων ὁ
 „κίνδυνός ἐστιν. ὑπὲρ ὧν ἡμῖν
 „ἐπίσται Πέρσαι. τοῖς δὲ τι ἀφαι-
 „ρεῖσθαι τῶν ὑπαρχόντων βιαῶ-
 „μὲν ἰς οὐδεὶς τῶν πάντων παρα-

რადგანაც გაიმარჯვა იმათმა აზრმა,
 რომელნიც მტრის წინააღმდეგ გა-
 ლაშქრებას მოითხოვდენ, ყველანი
 გაემართნენ მაშინვე მათ წინააღმ-
 დეგ. აქ ლაზები ვერ თვლიდენ შე-
 საძლებლად რომაელებთან ერთად
 შერაზმულიყვნენ, ისინი აყენებდენ
 დებულებას, რომ რომაელები ბრძო-
 ლაში წასვლით არც სამშობლოს-
 თვის იგდებენ თავს საფრთხეში,
 არც ნათესავებისათვის, მათ კი,
 საფრთხე მოვლით შვილებისთვის,
 ცოლებისთვის და სამშობლო ქვე-
 ყნისთვის. ასე რომ იმათ თავიან-
 თი ცოლებისა უნდა შერცხვესთ,
 თუ მოწინააღმდეგეებისაგან დამარ-
 ცხებული იქნებიან. ამიტომ ისინი
 აუცილებლად თვლიდენ მოეპოვათ
 ვაჟკაცობა, რომელიც მათ აკლდათ.
 იმათ ძალიან უნდოდათ, რომ პირვე-
 ლნი სძგერებოდენ მარტონი მტერს,
 რათა მათთვის საქმეში ხელი არ
 შეეშალათ რომაელებს, რომელ-
 ნიც მათსავით არ იყვნენ აღფრ-
 თოვანებულნი სახიფათო ბრძოლა-
 ში. ლაზები რომ ასე აღფრთოვა-
 ნებით ლაპარაკობდენ, გუბაზს ძა-
 ლიან გაეხარდა, მოუხმო მათ რომ-
 მაელებისაგან ცოტა მოშორებით
 და ასე მიმართა: „მე არ ვიცი, ვაჟ-
 კაცებო, საჭიროა თუ არა კიდევ
 რჩევა-დარიგებით მომართვა თქვე-
 ნდამი თქვენ აღსაფრთოვანებლად.
 ვინაიდან მე ვფიქრობ, რომ არა-
 ვითარი მოწოდება აღარ ესაჭი-
 როება იმათ, ვინც გარემოებათა
 საჭიროებითაა უკვე აღფრთოვანე-
 ბული, რასაც ჩვენთან ამჟამად

„χωρεῖ, ὑπερμάχεσθαι τῶν προση-
 „κόντων ἀναγκαζούσης τῆς φύσεως.
 „οὐκ ἀγνοεῖτε δὲ ὡς Πέρσαις τὴν
 „πλευρῆξαν οὐδὲν ἵσθησιν, ἐν ἔξου-
 „σία γεγονόσι τοῦ θύνασθαι, οὐδὲ
 „ἄρξουσιν μόνον ἡμῶν ἢ τάξουσιν
 „φόρους ἢ τὰ ἄλλα κατηκόουσιν
 „ποιήσονται, εἴ τι μὴ ἐπιλελήσ-
 „μεθα ὧν Χασρόης ἐγκεχεῖρκεν
 „ἐφ' ἡμῖν οὐ πολλῶ πρότερον, ἢ γν-
 „ῶν περιέσσονται ἡμῶν τῷ πολέμῳ.
 „ἀλλὰ μὴδὲ ἄχρι τοῦ λόγου προῖέ-
 „τω μοι τὰ τῆς Περσῶν πείρας,
 „μηδὲ διαλιπέτω τὸ Λαζῶν ὄνο-
 „μα. οὐ χαλεπὸς δέ, ὧ ἄνδρες,
 „ἡμῖν ὁ πρὸς Μιθρῶν ἀγὼν, πηλ-
 „λάκις αὐτοῖς καὶ ἐς χεῖρας ἐλ-
 „θῆσιν καὶ ὑπερβαλλομένοις τῆ
 „μάχῃ. τῆ γάρ ξυνειθισμένῳ τῷ
 „δύσκαλον οὐδαμῆ πάρεστι, προ-
 „δαπανηθείσης τῆς τοῦ ἔργου
 „ταλαιπωρίας μελέτῃ καὶ πείρῃ.
 „ᾧστε δια τούτων καὶ καταφρονεῖν
 „τῶν πλεμίων ἄτε νενικημένων
 „ἐν ξυμβολαῖς καὶ οὐχ ὁμοίως
 „ἕθραυστομένῳ ἡμᾶς δεήσει. φρό-
 „νημα γάρ δυνατὸν ἄπαξ παλιν-
 „δρομεῖν ἦκιστα εἴωθε. ταῦτα
 „τοῖσιν ἐκλογιζόμενοι μετὰ τῆς
 „ἀγαθῆς ἐλπίδος τοῖς ἐναντίοις
 „ἐμίση χωρεῖτ' ὦ.

აქვს ადგილი. საფრთხე არსებობს
 ხომ ცოლებისთვის, შვილებისთვის,
 სამშობლო ქვეყნისთვის და, ერთი
 სიტყვით ყველაფრისთვის, რის
 გამოც სპარსელებმა ჩვენზე იერიში
 მოიტანეს. არავინ არ დაუთბობს
 იმათ, ვინც რასმე ართმევს მას ძა-
 ლით მისი ქონებიდან, ვინაიდან
 ბუნება აიძულებს მას იბრძოლოს
 თავისი საკუთრებისთვის. თქვენ
 კარგად იცით, რომ წინ აღარა-
 ფერი უდგება სპარსელების ანგა-
 რებას, როდესაც მათ ეს შეუძ-
 ლიათ; თუ ისინი ამ ომში გაი-
 მარჯვებენ, არც თუ მხოლოდ და-
 გვიმორჩილებენ ან ხარკს დაგვადე-
 ბენ ან სხვა რამესაც დაისაკუთრე-
 ბენ – ნუ დავივიწყებთ იმასაც, რაც
 ამას წინათ ხოსრომ ჩაიდინა ჩვენ
 მიმართ – მაგრამ დე სიტყვის ფარ-
 გლებში ნუ დაგვირჩება სპარსთა
 საქმეები, დე ნუ აღიგვება სახელი
 ლაზთა. ძნელი არ არის, ვაჟკაცებო,
 მიდთა წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენ-
 თვის, რომელთაც ხშირად გაგვიმარ-
 ჯვნია მათზე ხელ-ჩართულ ბრძო-
 ლაში. მიჩვეულისათვის არ არსე-
 ბობს არავითარი სიძნელე, ვინაიდან
 საქმის სიდუხჭირე წინდაწინვე ქრე-
 ბა მეცადინეობისა და გამოცდი-
 ლების წყალობით. ასე რომ შესა-
 ფერისი იქნება გძულდესთ მტრე-
 ბი, როგორც ბრძოლაში დამარც-
 ხებულნი და არა თქვენსავით აღ-
 ფრთოვანებულნი. ერთხელ დამორ-
 ჩილებული სიამაყე, ჩვეულებრივ,
 ვედარ აღორძინდება. მაშ, იქო-
 ნიეთ ეს მხედველობაში და შეებრ-

Τοσαῦτα Γουβάζης εἰπὼν ἐξήγε
τὸ Λαζῶν στρατεύμα, καὶ ἐτάξαν-
το ὡς. πρῶτοι μὲν οἱ Λαζῶν
ἵπποις τεταγμένοι ἀπ' ἐναντίας
ἦσαν, ὀπισθεν δὲ οὐκ ἀγγιστά-
πη, ἀλλ' ὡς ἀπωτάτω, ἢ Ῥω-
μαίων ἵππος αὐτοῖς εἶπετο. τού-
των δὲ δὴ τῶν Ῥωμαίων ἦγού-
ντα Φιλήγαγός τε, Γήπαις γένος,
δοαστήριος ἀνὴρ, καὶ Ἰωάννης
Ἀρμένιος. διαφερόντως ἀγαθὸς
τὰ πλέμια, Θωμᾶ υἱός, ὄνπερ
ἐπὶ κλησιν ἐκάλουν Γουβάζην, οὗ δὴ
καὶ τοῖς ἔμπροσθεν λόγοις ἐμνήσ-
θη. ἐν ὑστέρω δὲ Γουβάζης τε
ὁ Λαζῶν βασιλεὺς καὶ Δαγισθαῖος
ὁ Ῥωμαίων στρατηγὸς ξὺν τοῖς
ἀμφοτέρων πεζοῖς εἶποντο, λογι-
σάμενοι ὡς, εἰ τοῖς ἵππεσι τρα-
πήναι ξυμβίη, ἐς αὐτοὺς ῥᾶστυ
σωθήσονται. Ῥωμαῖοι μὲν οὖν
καὶ Λαζοὶ τῇ τρόπῳ τούτῃ ἐτά-
ξαντο, Χοριάνης δὲ ἄνδρας μὲν
χιλίους τῶν οἱ ἐπομένων ἀπολε-
ξάμενος τεθωρακισμένους τε
καὶ τὰ ἄλλα ἐξωπλισμέ-
νους ὡς ἄριστα, πρόσω ἐπὶ
κατασκοπῇ ἐπεμψεν, αὐτὸς δὲ
παντὶ τῇ ἄλλῃ στρατῷ ὀπισθεν-
ει, φυλακτῆριον ὀλίγων τινῶν ἐν
τῷ στρατοπέδῳ ἀπολιπών. προτε-
ρήσασα δὲ ἡ Λαζῶν ἵππος ἀτι-
μάζει τὰς ἐπαγγελίας οἷς ἔδρα-
σεν, ἐπὶ τῶν ἔργων διαβαλῆσασα
τὰς πρόσθεν ἐλπίδας. τίς γάρ

ძოლეთ მოწინააღმდეგეს აღვსილნი
კეთილი იმედებით“.

ეს რომ თქვა გუბაზმა, გამოი-
ყვანა ლაზთა ჯარი და ისინიც
შემდეგნაირად განეწყვნენ. პირ-
ველ რიგში ლაზთა (ცხენოსნები
დაირაზმნენ მტრის პირისპირ, უკან,
არა ახლოს, არამედ კარგა მოშო-
რებით, მისდევდა მათ რომაელთა
ცხენოსანი ჯარი. ამ რომაელებს
წინამძღოლობდნენ ფილეგაგე, ტო-
მით გეპედი, ნიჭიერი კაცი, და
იოანე არმენიელი, მშვენიერი მცო-
დნე სამხედრო საქმეებისა, თომას
შვილი, რომელსაც მეტსახელად
გუზს – ეძახდნენ, ამის შესახებ მე წინა
წიგნებში მქონდა მოხსენებული).
ბოლოს მიყვებოდნენ ლაზთა მეფე
გუბაზი და რომაელთა სარდალი
დაგისტე თავთავისი ქვეითა ჯა-
რით, იმ ანგარიშით, რომ თუ ვინი-
ცობაა ცხენოსნები უკუიქცეოდნენ,
ისინი ადვილად გადარჩენილიყ-
ვნენ მათი საშუალებით. ამნაირად
განეწყვნენ რომაელები და ლაზე-
ბი, ხორიანემ კი გამოარჩია თავისი
მხლებლებიდან ათასი კაცი, შე-
ჭურვილი აბჯრით და სხვა რამითაც
საუკეთესოდ შეიარაღებული, და
წინასწარ გაგზავნა დასაზვერავად,
ხოლო თვითონ მთელი დანარჩენი
ჯარით უკან მიდიოდა, ბანაკში კი
დასტოვა მცირერიცხოვანი რაზმი.
ლაზების ცხენოსანი ჯარი რომ
წინ მიიწევდა, მან თავისი მოქმე-
დებით დაარღვია დაპირებები და
წინდაწინ მოცემული იმედები სა-

1) იხ. ზემოთ გვ. 79.

τῶν πολεμίων προδρόμοις ἐντε-
 τυχηκίτες ἐξαπιναιῶς οὐκ ἐνεγ-
 κόντες· τε τὴν αὐτῶν ὄψιν, τρέψαν-
 τες ἀντίκ' αὐτοῖς ἵππους, κίσμαρ
 οὐδενὶ ὀπίσω ἀνέστρεφον, τοῖς
 τε Ῥωμαίοις ἐπειγόμενοι ἀνεμί-
 γωντο, ἐς αὐτοῖς οὐκ ἀπαξισύ-
 ντες καταφυγεῖν, εἰς δὲ ξυγτάσσεσ-
 θαι τὰ πρότερα ὄκνουσιν. ἐπειδὴ
 δὲ ἀμφοτέρω ἀλλήλων ἀγγιστα
 ἴκοντο, χειρῶν μὲν τὰ πρότερα
 οὐδέτεροι ἦρχον οὐδὲ ξυγέμισγον,
 ἀλλὰ τῶν ἐναντίων ἐκάτεροι
 ἐπιόντων μὲν ἀνεπὸδιζον, ὑπο-
 χωροῦντων δὲ ἐπεβάτευον, ἐς τε
 ὑπαγωγὰς καὶ παλευδιῶν καὶ
 ἀγγιστροφῶς μεταβολὰς πολὺν
 τινα κατέτριψαν χρόνον.

Ἦν δὲ τις Ἀρταβάνης ὄνομ' αὖ
 ἐν τούτῳ τῇ Ῥωμαίων στρατῷ, Περ-
 σαρμένιος γένος, ὅσπερ ἐξ Ἀρμε-
 νίας τοῖς Ῥωμαίων κατηγόρος
 πολλῶν πρότερον ἀπιστομοληκῶς
 ἔτυχεν, οὐχ ἄπλῶς, ἀλλὰ φονῆ
 Περσῶν εἴκοσι καὶ ἑκατὸν ἀνδ-
 ρῶν μαχίμων, Ῥωμαίοις τὴν ἐς
 αὐτοῖς πίστιν πεποιημένος ἐχέγ-
 γουσιν. Βαλερικῆν γὰρ τίτε στρα-
 τηροῦντι ἐν Ἀρμενίῳς ἐς ὄψιν ἑλ-
 θῶν ἀνδρας πενήκοντα Ῥωμαίους
 οἱ αὐτῷ διδόναι ἐλεῖτο. ταχὺν τε
 ὄνπερ ἐβόλευε, ἐς φρουρίον ἐν
 Περσαρμενίῳς κείμενον ἦε. οὐ
 δὲ ἑκατὸν τε καὶ εἴκοσι Περσῶν
 φυλακτῆριον ὑπὸ τῇ φρουρίῳ αὐ-
 τῶν ἔξιν τῶς ἐπιμένει· ἐδέξαντο,

ქმით ვერ გაამართლა. როდესაც
 ისინი უცებ მტრის წინა რაზმებს
 შეხვდნენ, ვერ შესძლეს მათ პირის-
 პირ ყოფნა, მაშინვე მოაბრუნეს
 ცხენები, უმწყობროდ გამობრუნდნენ
 უკან და მიაშურეს რომაელებთან
 შესაერთებლად; არ ითაკილეს
 იმათთან თავის შეფარება, ვისთან-
 ნაც წინათ ერთად დარაზმვას
 აყოვნებდნენ. როდესაც ორივე ერთ-
 მანეთის ახლოს მივიდოდა, არც
 ერთი არ იწყებდა ბრძოლას, არა-
 მედ თითოეული მათგანი ხან უკან
 იხევდა, როდესაც მოწინააღმდე-
 გეებს იერიში მოჰქონდათ, ხან თვი-
 თონ შეუტევდა ხოლმე თუ ისინი
 უკან იხევდნენ, და ამ დახევასა და
 კვლავ-შეტევში და ხშირხშირ
 ცვლილებებში მათ კარგა დიდი
 დრო დახარჯეს.

რომაელთა ჯარში იყო ერთი
 კაცი, სახელად არტაბანი, ტომით
 პერსარმენიელი, რომელიც კარგა
 ხნის წინათ გადავიდა რომაელთა
 ქვეშევრდომ არმენიელების მხარე-
 ზე, – უბრალოდ კი არა, არამედ
 ას ოცი კარგი მეზრძოლი სპარსე-
 ლის მოკვლით რომაელებს მათდა-
 მი დიდი ერთგულება დაუმტკიცა.
 ის ხომ გამოცხადდა არმენიელთა
 მაშინდელ სარდალთან, ვალერიო-
 ნესთან, და მოსთხოვა მიეცა მისთვის
 ორმოცდაათი რომაელი; რომ აუსრუ-
 ლეს, რასაც ითხოვდა, ის წავიდა
 პერსარმენიელების ქვეყანაში მდე-
 ბარე სიმაგრისაკენ. აქ ის მისი
 მხლებლებითურთ მიიღეს სიმაგრის
 მცველმა სპარსელებმა, ასოცმა

οὕτω ἐγδῆλιν ὄντα ἐτι δὴ μεταπορευθεὶς τὴν πολιτείαν νεωτερίζει. ὁ δὲ τοῦς τε εἰκοσι καὶ ἑκατὸν κτείνας καὶ ξύμπαντα ληϊσάμενος τὰ ἐν τῷ φρουρίῳ χρήματα, μεγάλα ὑπερφυῶς ὄντα, παρὰ Βαλεριανὸν καὶ τὸ Ῥωμαίων στρατεία ἦλθε, πιστὸς τε σφίσι ἀπ' αὐτοῦ φανείς Ῥωμαίοις τὸ λοιπὸν ξυνοστράτευεν. οὗτος Ἀρταβάνης ἐν ταύτῃ τῇ μάχῃ δύο ξὺν αὐτῷ τῶν Ῥωμαίων στρατιωτῶν ἐπαγόμενος ἐν μεταίχμιῳ ἐγένετο, οὗ δὴ ἀφίκοντο καὶ τῶν πολεμίων τινές. ἐφ' οὗς Ἀρταβάνης ὀρμήσας, τῶν Περσῶν ἕνα, ψυχῆς τε ἀρετῆ καὶ σώματος ἀλλῆ ἐπιεικῶς μέγαν, τῷ δόρατι ἐὼς ἔκτεινεν, ἔκ τε τοῦ ἵππου ῥίψας προσουδίξει χαμαί. τῶν δὲ τις βαρβάρων παρὰ τῷ πεπτωκότι ἔστῶς ἕψει κατὰ κόρρης τὸν Ἀρταβάνην ἐπάταξεν, οὗ καιρίαν πληγὴν. ἀπερὸς τε τῶν τῆρ Ἀρταβάνη ἐπισπομένων, Γότθος γένος, τοῦτον δὴ τὸν ἄνδρα, τὴν χεῖρα ἔτι ἐν τῇ τοῦ Ἀρταβάνου κεφαλῇ ἔχοντα, κατὰ λαγόνᾳ ἐπιτυχῶν τὴν εὐώνυμον διεχρήσατο. καὶ οἱ χίλιοι τοῖς ξυμπεπτωκόσιν ἐκπεπληγμένοι ὀπίσω ἐχώρουν, τὸν τε Χοριάνην σὺν τῷ ἄλλῳ Περσῶν τε καὶ Ἀλαβῶν στρατῷ ἔμενον καὶ οὐκ ἐς μακρὰν ἀνεμίγυστο σφίσι.

Ἦδη δὲ καὶ οἱ ἀμφὶ Γαυβάζην καὶ Δαγισθαῖον πεζοὶ ἐς ἵππεις τοῦς σφετέρους ἀφίκοντο καὶ ἡ

კაცმა, რომელთაც არ იცოდენ, რომ ის გადაუდგა თავის ქვიყანას და გულში სხვა ზრახვები აქვს. იმან კი დახოცა ეს ას ოცი კაცი, გამარცხა სიმაგრის მთელი ქონება, რომელიც ძალიან დიდი იყო, და მოვიდა ვალერიანესთან და რომაელთა ჯართან და, რადგან ის ამიერიდან მათთვის სანდოდ ჩნდა, რომაელებთან ერთადაც ლაშქრობდა ხოლმე. ამ ბრძოლის დროს ეს არტაზანი ორი რომაელი ჯარისკაცის თანხლებით ორივე ჯარის შუა შევიდა, სადაც მოწინააღმდეგეებიდანაც მოსულიყვნენ ზოგიერთები, არტაზანი გაემართა მათ წინააღმდეგ და უმაღვე მოკლა ჰოროლით ერთი სპარსელთაგანი, კაცი თვალსაჩინო როგორც სულიერი სივაჟაკით ისე სხეულის სიმტკიცით, მოსხლიტა ის ცხენიდან და მიწაზე დაანარცხა. ხოლო ერთმა ბარბაროსთაგანმა, რომელიც მოკლულის გვერდით იდგა, მახვილით დაჭრა არტაზანი თავში, მაგრამ არა სასიკვდილოდ. მეორე ჯარისკაცმა არტაზანის მხლებლებიდან, ტომით გუთმა, მარცხენა გვერდში ჩასცა ამ კაცს, რომელსაც არტაზანის თავზე ჰქონდა ხელი შემოქნეული, და მოკლა იგი. და ის ათასი კაცი გაბრუნდა უკან, მომხდარი ამბებით თავზარდაცემული, და ელოდენ ხორიანეს სპარსელთა და ალანთა დანარჩენი ჯართურთ და მალე შეუერთდენ მათ.

ხოლო გუბაზისა და დაგისთვის

μάχη ἐν χερσίν ἀμφοτέρωθεν ἦν. τότε δὴ Φιλίππου ἄρχου, ἑλπίσας εἶναι ἢ ἐνεγκεῖν ἐπιούσαν τὴν τῶν βαρβάρων ἵππον οἰόμενοι μάλιστα ἐπεὶ ἀπέγνωσαν τὴν Λαζῶν δύναμιν, ἀπὸ τῶν ἵππων ἀποθορόντες ταῦτά ποιεῖν ἀναγκάζουσι. Ῥωμαῖους τε καὶ Λαζοὺς ἅπαντας, ἐς φάλαγγά τε ὡς βέλτεράτην ταξάμενοι πεζοὶ μετωπηδὸν ἀντίοι τοῖς πολεμίοις ἕστησαν ἅπαντες, τὰ δόρατα ἐπανατεινόμενοι σφίσι. οἱ δὲ βάρβαροι οὐκ ἔχοντες, ὅ τι γένωνται (οὔτε γὰρ ἐπιδραμεῖν πεζοῖς γε οὔσι τοῖς ἐναντίοις ἐδύναντο οὔτε αὐτῶν ξυγταράξαι τὴν φάλαγγα οἱοί τε ἦσαν) ἐπεὶ αὐτοῖς οἱ ἵπποι ταῖς τε τῶν δοράτων αἰχμαῖς καὶ τῆ τῶν ἀσπίδων πιττάγῃ ἀχθόμενοι ἀνεχαίτιζον, ἐπὶ τὰ τόξα ἔβλεπον ἅπαντες, ἐλπίδι θαρσύνοντες ὡς πλῆθει βελῶν ῥᾶσιν τοῖς πολεμίοις ἐς φυγὴν τρέφονται. καὶ Ῥωμαῖοι ξὺν Λαζοῖς ἅπανσι ταῦτά τούτοις ἐποιούον. ἑκατέρωθεν τε συχνά ἐς ἀλλήλους τοξεύματα ἔει, ἐκ τε ἀμφοτέρων πολλοὶ ἐπιπτόν. Πέρσαι μὲν εἰν καὶ Ἄλαν, ἰ μάλιστα συνεχῆ τὰ βέλη πολλὰ ἔτι μᾶλλον ἢ οἱ ἐναντίοι ἀφίσταν, ἀλλ' αὐτῶν τὰ πολλὰ [ἐς] τὰς ἀσπίδας ξυμβάινεν ἀπορούεσθαι. ἐν τούτῳ δὲ τῆ πολεμῆ Κοριάνῃ τῆ Περσῶν ἀρχόντι βεβλήσθαι ξυμβῆν. ὑφ' αὐτοῦ μέντοι οὕτως ἀνὴρ βληθείη, φανερόν οὐδενὶ γέγονε· τὰχὲν γὰρ

ქვევითა ჯარები მივიდენ თავიანთ ცხენოსნებთან და ორივე მხრით დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. მაშინ ფილეგაგემ და იოანემ, რომელნიც ფიქრობდენ, რომ უძლურნი იყვნენ და ბარბაროსთა ცხენოსანი ჯარის შემოტევას ვერ გაუძლებდენ, რადგან საკმაოდ გაიცნეს ლაზთა ძალა და მისი იმედი არ ჰქონდათ, ჩამოხდენ ცხენებიდან და აიძულეს რომაელები და ლაზები ასევე მოქცეულიყვნენ ყველანი. ღრმა ფალანგით დარაზმული ქვევითა ჯარები მტრის პირისპირ დადგენ და დაუმინხეს მათ ჰოროლები. ბარბაროსებმა არ იცოდენ რა ექნათ (რადგან ქვევითად მყოფი მოწინააღმდეგისთვის არც შეტევა შეეძლოთ არც მათი ფალანგის დაშლა), ვინაიდან ჰოროლთა წვერებით და ფარების ხმაურით შეწყუხებული ცხენები ყალბზე დგებოდენ, და ყველამ მიხედა მშვილდს და აღინათო იმედით, რომ ისრების სიმრავლით მალე აოტებდენ მტერს. რომაელებიცა და ლაზებიც, ყველანი, ასევე მოიქცნენ. ორივე მხრიდან ხშირ-ხშირად მოდიოდა ისრები, ორივე მხრით ბევრი ეცემოდა. სპარსელები და ალანები, რასაკვირველია, გაცილებით უფრო მეტ ისრებს უშვებდენ, ვიდრე მოწინააღმდეგეები. მაგრამ მრავალი ისარი ფარს ხვდებოდა და უკუვარდებოდა. ამ ომში სპარსთა მთავარი ხორიანეც დაიჭრა, ხოლო გამოურკვეველი იყო, თუ ვინ და-

τινι ἐκ τῶν ἑμῶν ἰὼν ὁ ἀτρακτος
 ἐς τε τῶν ἀνθρώπων τὸν ἀρχένο
 παγεῖς εὐθαρῶν αὐτὸν διεχρή-
 σατο, ἐνὸς τε θανάτῳ ἀνδρὸς ἢ
 τε μάχῃ ἐκλίθη καὶ πρὸς τοὺς
 Ῥωμαίους ἡ νίκη ἐχώρει. ὁ μὲν
 γὰρ ἐκ τοῦ ἵππου ἐς τὸ ἔδαφος
 ἐπὶ στόμα πεσὼν ἔκειτο, θρόνον
 δὲ πολλὴν ἐπὶ τὸ χάρακμα οἱ
 βάρβαροι ἤθεσαν, οἱ τε Ῥωμαῖοι
 εὖν τοῖς Λαζοῖς ἐπισπόμενοι πολ-
 λούς ἔκτεινον, ἐλπίδα ἔχοντες
 αἰρήσειν αὐτοβλαί τὸ τῶν ἐναν-
 τίων στρατόπεδον. ἀλλὰ τῶν
 Ἀλανῶν [ἐς] εὐψυχίας πέρι καὶ
 σώματος ἰσχύος <εὐ> ἦκων, το-
 ξεῦειν τε συχνὰ ἐφ' ἑκάτερα δια-
 φερόντως ἐξεπιστάμενος, ἐς τῶν
 χάρακος τῆν εἰσοδὸν στενοτάτην
 οὖσαν εἰστέκει, ἐμπόδιός τε τῶν
 ἐπιούσιν παρὰ διέξεν ἐπὶ πλείστον
 ἐγένετο. Ἰωάννης δὲ, ὁ τῶν Θω-
 μά παις, μόνος ὡς ἀγχοτάτω παρ'
 αὐτὸν ἦκων ἐξαιπινάτως τὸν ἀν-
 θρωπον θόρατι ἐκτεινεν, οὕτω τε
 Ῥωμαῖοι καὶ Λαζοὶ τοῦ στρατο-
 πέδου ἐκράτησαν. καὶ τῶν βαρ-
 βάρων πλείστοι μὲν αὐτῶν διεφ-
 θάρησαν, οἱ δὲ λοιποὶ ἀπεκομίσ-
 θησαν ἐς τὰ πατρία ἦθη, ὧς ἐκά-
 στω δυνατὰ γέγονεν. αὕτη μὲν
 οὖν ἡ Περσῶν ἐσβολή ἐς γῆν
 τὴν Καλιδα γενομένη ἐς ταῦτα
 ἐτελεύτα. καὶ ἄλλη δὲ Περσῶν
 στρατιὰ τοὺς ἐν Πέτρῳ φραυρούς
 ὣς τε τῶν ἐπιτηδείων πλήθει
 καὶ πᾶσι τοῖς ἄλλοις ἐπιπρώσαντες
 ἐνεχώρησαν (Hauriy II, 518-525).

ჭრა ეს კაცი. მოხდა ისე, რომ ისა-
 რი, ვისლაც მიმართულებით რომ
 მოდიოდა, ჩაერჭო მას პირდაპირ
 კისერში და მოკლა იგი; ერთი კა-
 ცის სიკვდილმა ბრძოლის ბედი
 გადასწყვიტა და გამარჯვება რო-
 მაელების მხარეს დარჩა. ცხენიდან
 მიწაზე პირქვე დაცემული იდვა ის
 და ბარბაროსები დიდის სირბი-
 ლით გაემართნენ თავის ბანაკისა-
 კენ; რომაელებმა ლაზებთან ერ-
 თად ბევრი ამოჟლიტეს და იმედი
 ჰქონდათ, რომ პირველი იერიშის-
 თანავე გაანადგურებდნენ მოწინა-
 აღმდეგეთა ბანაკს. მაგრამ ერთი
 ალანთაგანი ვაჟკაცობით და სხეუ-
 ლის ძალით გამოჩენილი, რომელ-
 საც იშვიათად კარგად ეხერხებო-
 და სხვადასავა მხრით ისრების
 ხშირი სროლა, დადგა ბანაკის მე-
 ტად ვიწრო შესავალში და, ყო-
 ველგვარი მოლოდინის გარეშე, შეა-
 ბრკოლა შემომსვენნი. იოანე, თო-
 მას შვილი, მარტო მიუახლოვდა
 მას მოულოდნელად და ჰოროლით
 მოკლა ის, და ამრიგად რომაელებმა
 და ლაზებმა ხელთ იგდეს ბანაკი.
 ძალიან ბევრი ბარბაროსი იქვე
 იქმნა მოკლული, ხოლო დანარჩე-
 ნებმა თავს უშველეს სამშობლო
 ქვეყანაში, რამდენადაც ეს თი-
 თოეულისათვის შესაძლებელი იყო.
 ასე დამთავრდა სპარსელების ეს
 შემოსევა კოლხეთის ქვეყანაში, და
 სპარსელთა დანარჩენი ჯარიც გა-
 ბრუნდა უკან, მის შემდეგ რაც
 მან გაამაგრა პეტრაში მყოფი
 მცველთა რაზმები დედძალი სანო-
 ვაგით და ყველა საჭირო საგნით.

აფხაზთა განდგომა.

Ἐν τούτῳ δὲ τὰδε ξυνηγέθη γενέσθαι. Ἀσὶν Δαγισθαῖον ἐς βασιλέα διέβαλλον, ἐς Βυζάντιον ἵκοντες, προδοσίαν τε καὶ μηδισμὸν ἐπιφέροντες. Πέρσαις γὰρ αὐτὸν ἰσχυρίζοντο ἀναπεισθέντα εὐβεβουλῆσθαι, καταπεπτωκότας τοῦ Πέτρας περιβόλου ἐπιβατῆσαι, τοὺς τε πολεμίους ἠσλάκους μεταξὺ ψάμμου ἐμπλησάμενους καὶ αὐτῶν τὰς ἐπιβλάδας ἀντὶ λείψαν ποιησάμενους τοῦ περιβόλου ὅσα καταπεπτώκει ταύτῃ κρατυνασθῆναι. ἐλεγόν τε ὡς Δαγισθαῖος, εἴτε χρήμασιν εἴτε ὀλιγωρίᾳ ἐς τοῦτο ἡγμένους, τὴν ἐπίθεσιν ἐς ἕτερόν τινα χρόνον ἀπέθετο, καὶ τοῦ καιροῦ τὴν ἀκμήν ἐν τῷ παραυτίκα μεθύκειν, ἧς γε οὐκέτι ἀντιλαβέσθαι οἶός τε ἐγεγόνει. αὐτὸν οὖν βασιλεὺς ἐν τῷ οἰκῆματι καθείρξας ἐτήρει. Βασσαν δὲ, ἐξ Ἰταλίας εὐ πολλῶ ἐμπροσθεν ἵκοντα, στρατηγὸν Ἀρμενίων καταστησάμενος ἐς Ἀζιῆν πέμπει, ἀρχεῖν ἐπαγγείλας τοῦ ἐνταῦθα Ῥωμαίων στρατοῦ, εὐ δὲ καὶ Βενίλος, ὁ Βούζου ἀδελφός, ξὺν στρατῷ ἦδη σταλείς ἐτυχε καὶ Ὀδόναχος τε καὶ ὁ Βάβας ἐκ Θράκης καὶ Ὀβλίγαγος Ἐρουλας γένος. Ὅτε Ναβέ-

VIII 9. აი, ასე მოხდა ეს. ლაზები მოვიდნენ ბიზანტიონში და დააბეზლეს მეფესთან დაგისტე: მას ისინი გამცემლობას და მედიზმს¹ აბრალეზდენ. ისინი ამტკიცებდენ, რომ მან, სპარსელების მიერ ჩაგონებულმა, არ მოინდომა შეტევა, მიუხედავად იმისა რომ პეტრას გალავანი დაეცა და მტრებმა ქვიშით აავსეს ტომრები, ჩაალაგეს ისინი ქვების მაგიერ და ასე გაამაგრეს გალავანი იმ ადგილას, სადაც ის დანგრეული იყო. თქვეს მათ ისიც, რომ დაგისტემ – მოსყიდვით თუ დაუდევრობით ჩაიღინა ეს – გადადვა შეტევა სხვა დროისთვის და ხელიდან გაუშვა მაშინდელი მოხერხებული დრო, რომლის დაბრუნება უკვე შეუძლებელი შეიქმნა. მეფემაც ის სატუსალოში ჩაამწყვდია და მცველები მიუჩინა; ხოლო ბესსა, რომელიც ცოტა ხნის წინათ იტალიიდან დაბრუნებულიყო, არმენიელთა სტრატეგოსად დაადგინა და ლაზიკეში გააგზავნა: მას დაავალა იქ მყოფი რომელიც ჯარის სარდლობა. იქვე გაგზავნილ იქმნა ჯართურთ ბუზეს ძმა ვენილე, ოდონაქე, ბაბა თრაკელი და ულიგაგე, ტომით ერული². ნაბედე კი ჯარით შეიჭრა ლაზიკეში და სხვა ისეთი

¹) მედიზმი (μηδισμος) – მიდთა ე. ი. მიდიელთა მომხრეობა.

²) „ბუზეს ძმა ვენილე, ოდონაქე, ბაბა თრაკელი და ულიგაგე, ტომით ერული“: აქ მოხსენებული პირები არიან ცნობილი ბიზანტიელი სამხედრო მოღვაწეები: ბუზე (Βουζης) თრაკიელი 528 წელს ველიზარის-

θης ἐσβαλὼν ἐς Λαζικήν στρατῶ
 ἄλλο μὲν τι λόγου ἄξιον οὐδὲν
 ἔδρασεν, Ἀβασγοῖς δὲ ἀποστασίῳ
 ἀπὸ τε Ῥωμαίων καὶ Λαζῶν ἐπι-
 χωριάσας τῇ στρατιᾷ ταύτῃ, παί-
 δας τῶν ἐν σφίσι λογίμων ἐξή-
 κοντα ἐν ἐμήρων λόγῳ πρὸς ἀν-
 τῶν ἔλαβε. τότε δὲ ποιούμενος
 ὁ Ναβέδης ὄρθῳ πάρεργον, καὶ
 Θεοδώραν Ὀψίτην ἕξοικήσασαν

ღირსშესანიშნავი არაფერი მოუ-
 მოქმედია, ხოლო ამ ჯარითურთ
 ჩადგა რომაელებისა და ლაზები-
 საგან განდგომილ აფხაზთა ქვეყა-
 ნაში¹ და ხელთ იგდო მათგან მძევ-
 ლებად სამოცი ბავშვი, წარჩინე-
 ბულთა გვარებიდან. მაშინ ნაბედ-
 მა სხვათაშორის აფსილეთში ჰპო-
 ვა და ხელთ იგდო თეოდორა, თა-
 ნამეცხედრე ოფსიტესი (რომე-

თან ერთად იბრძოდა სპარსელების წინააღმდეგ მინდუოსში, (Μινδοσιος), ნიზიბინის მახლობლად (BP I, 13; ბიზანტიელები ამ ბრძოლაში დამარცხდნენ); 529 წელს მონაწილეობა მიიღო ველიზარის სარდლობით წარმატებით წარმოებულ ომში დარასთან (BP I, 13 – 14). სიტტას გარდაცვალების შემდეგ (539 წ.) ბუზე გაიგ-
 ზავნა არმენიაში და სპარსელებთან ომის განახლებისას (540 წ.) დანიშნულ იქმნა აღმოსავლეთის სტრატეგოსად (magister milirum per Orientem). ამ ომის დროს 542 წელს, ის შეუერთდა ბიზანტიელთა მთავარ სამხედრო ძალას, ველიზარის სარდლობით (BP II, 20). – უკანასკნელად ბუზეს ვხვდებით 554 წელს კოლხიდაში, სადაც ის ბესასთან და მარტინესთან ერთად საომარ ოპერაციებს ხელმძღვანელობს («სარდლობენ ბესსა, მარტინე და ბ უ ზ ე, კაცნი წარჩინებულნი და მრავალი ბრძოლის გადამხდელნი»: Agathias II, 18; Dindorf HGM II, 210, 30 – 32; იხ. აგ-
 რეთვე Agathias III, 6; HGM II, 244 შდდ). – ბუზეს ძმა ვენილე (Βενιλος), რომელიც ჩვენს ნაწყვეტში იხსენიება, ბიზანტიელების მიერ პეტრას აღების შემდეგ (551 წელს) ხელმძღვანელობს ულიგაგეზთან ერთადერთ ნაწილს ბიზინტიელთა 12-ათა-
 სიანი, მაგრამ ორ ნაწილად გაყოფილი, ჯარისა, რომელიც არქეოპოლისის მახლო-
 ბლად («მდინარე ფაზისის შესართავთა აქეთ») იბრძვის (იხ. ქვემოთ BG III, 13).
 – ოღონაქე 551 წელს ბაზა თრაკელთან ერთად მეთაურობს არქეოპოლისის ციხე-
 ში დაბანაკებულ სამათას ბიზანტიელს (BG VIII 13) და დიდის წარმატებით დაიცავს ამ ციხეს. – ბ ა ზ ა თ რ ა კ ე ლ ი ამის გარდა 555 წელსაც მეთაურობს ბიზანტიელთა ჯარს კოლხიდაში (Agathias III, 19; HGM II, 270). – ულიგაგე, ტომით ერული, იგზავნება განდგომილი აზაზგების წინააღმდეგ ოპერაციების სა-
 წარმოებლად (ამის შესახებ იხ. წინამდებარე თავში). გარდა ამისა ულიგაგე ვენი-
 ლესთან ერთად, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, არქეოპოლისის მახლობლად არის დაბანაკებული. – იგივე ულიგაგე (Ουλιγαγιος) 554 წელს კოლხიდაშია (A g a t h I a s III, 6; HGM II, 245..

¹) ნაბედეს წარსული მოღვაწეობიდან პროკოპისავე საშუალებით ვიცით შემდეგი: 541 წელს ის ხოსროს მიერ დანიშნულ იქნა ნიზიბინის მცველი რაზმის უფროსად და, ბიზანტიელების (თვით ველიზარის) აზრით, სპარსელებს შორის წარჩინებით და სახელგანთქმულობით ხოსროს შემდეგ პირველი კაცი იყო (BP II, 18). 543 წელს პერსარმენიაში მთავარსარდლის თანამდებობა უჭი-
 რავს (BP II, 24) და სოფელ ანგლონთან (დუბიოს – დვინის მახლობლად) დაამარ-
 ცხებს ბიზანტიელებს (BP II, 25).

საქართველოს მუზეუმის მოამბე, VII.

(ὅς ἐγεγόνει Γουβάζου μὲν θείος, Λαζῶν δὲ βασιλεὺς) εὐρών ἐν Ἀφίλει εἶλεν, ἕς τε τὰ Περσῶν ἦθη ἀπήνεγκε. Ῥωμαία δὲ γένος ἡ γυνὴ ἐτύγγανευσσασα, ἐπει ἐκ παλαιῶ οἱ Λαζῶν βασιλεῖς ἐς Βυζάντιον πέμποντες βασιλεῶς τε γυνῆμιν ξυιόντες ἐς ἀγῶς τισι τῶν ἀπὸ τῆς συγκλήτου βουλής γυναικὸς ἐνθίνδε γαμετάς ἐκομίζοντο. καὶ Γουβάζης ἀμίλει Ῥωμαίας γυναικὸς ἐγεγόνει γένος. ὅτοι δὲ ἐνεκα οἱ Ἀβασγοὶ αὐταὶ ἐς ἀπὸστασιν εἶδον, ἐγὼ δηλώσω. Ἐπειδὴ βασιλεῖς τοὺς σφετέρους καθείλεν, ἡπὲρ μοι ἐναγχος δεδιήγηται, στρατιῶται Ῥωμαίων πρὸς βασιλεῶς σιελλόμενοι ἐπεχωρίαζόν τε αὐτοῖς ἐκ τοῦ ἐπὶ πλείστον καὶ προσπεισθεῖσαι τῇ Ῥωμαίων ἀρχῇ τὴν χώραν ἤξουσιν, κινά τε αὐτοῖς ὅσα ἐπέταττον. εἰσπερ Ἀβασγοὶ βιασιτέροις οὖσιν ἀτεχνῶς ἤχθηοντο. δείσαντες οὖν μὴ Ῥωμαίων δὲ οὖλοι τὸ λοιπὸν εἶδονται, τοὺς ἀρχοντας ἀπὸς κατεστήσαντο σφίσι. Ὀψίτην μὲν ὄνομα ἐς τῆς χώρας τὰ πρὸς ἀνίσχιντε ἦλιν, Σκεπαρῶν δὲ ἐς τὰ πρὸς ἑσπέραν. ἐς ἀγαθῶν γὰρ ἐκπεπτωκότες ἀπ' ἡγῶσιν τὰ πρότερον δόξαντα σφίσι μαχθηρὰ εἶναι τῶν ἐπιγενομένων ὅτε πανηγυριτέριον ὄντων, ὡς τὸ εἰκότως

ლიც გუბაზის ბიძა იყო, ლაზთა მეფე ¹⁾, და სპარსთა ქვეყანაში წაიყვანა. ეს ქალი ტომით რომელი იყო, რადგან ძველითგანვე ლაზთა მეფეები ბიზანტიონში გზავნიდენ ელჩებს და მეფის თანხმობით უნათესავდებოდენ დარბაზისაგანთ, და მოჰყავდათ იქედან ქალები ცოლებად. ასე რომ, ცხადია, გუბაზი შთამომავლობით რომელი ქალისაგან იყო. თუ რის გამო განდგენ ეს აბაზგები, ახლავე ნათელვყოფ.

როდესაც მათ თავიანთი მეფეები მოსპეს, როგორც ეს ჩემ მიერ ახლახან იყო მოთხრობილი, რომელთა ჯარისკაცები, კეისრის მიერ წარგზავნილები, მათ ქვეყანაში იდგენ ხოლმე ძალიან ხშირად და მათ უნდოდათ ეს ქვეყანა დაემორჩილებიათ რომელთა ძალაუფლებისათვის, და მათ ახალ-ახალ რაღაც წესებს უმყარებდენ. ამ ძალადობის გამო აბაზგები პირდაპირ აუტანელ მდგომარეობაში ჩავარდნენ. იმის შიშით, რომ ამიერიდან რომელთა მონებად არ გამხდარიყვნენ, მათ კვლავ დაიყენეს თავისთვის მთავრები, აღმოსავლეთის ნაწილისათვის ოფსიტე სახელად, ხოლო დასავლეთისათვის სკეპარნა. ისინი რომ სასოწარკვეთილებაში ჩავარდნენ, ის, რაც წინათ ეგონათ რომ საზარელი იყო, გასცვალეს მომავალზე

¹⁾ ოფსიტე (Οψιτης) – ლაზთა მეფე, წათე I-ის ძმა და გუბაზის ბიძა (მდ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი მ ვ ი ლ ი, ქართული სამართლის ისტორია I, 182). სხვა პირია ქვემოთ, ამავე თავში, მოხსენებული აფხაზთა მთავარი ოფსიტე.

³⁾ BG VIII, 3 (იხ. ზემოთ გვ. 105).

ἀντηλλάσσοντο, δύναμίν τε ἀπ' αὐτοῦ τῆν Ῥωμαίων δειμαίνοντες Πέρσαις ὡς λαθραιότατα πρὸς σὲ χάριον. ἄπειρ ἐπεὶ βασιλεὺς Ἰουστινιανὸς ἤκουσε, Βέσσαν ἐκέλευε στρατεύματα λόγου ἄξιον ἐπ' αὐτὸν στείλαι. ὁ δὲ πλοῦτος ἀπολεξάμενος τοῦ Ῥωμαίων στρατοῦ, καὶ ἄρχοντας ἐπιστήσας αὐτοῖς Οὐλίγαγον τε καὶ Ἰωάννην τὸν Θαμὰ υἱόν, αὐτίκα ἐπὶ τοὺς Ἄβασγούς ναυσὶν ἐπεμψεν. ἐτόγγχανε δὲ ἄτερος μὲν τῶν ἐν Ἄβασγῶν ἡγουμένων, Σκαπαρῆς ὄνομα, ἐν Πέρσαις τινὰ διατροβίην ἔχων. μετὰπεμπτος γὰρ ὀλίγω πρότερον παρὰ Χοσρόην ἀφίκετο. ὁ δὲ δὴ ἕτερος, τῆν Ῥωμαίων μακρῶν ἔφοδον, τοὺς τε Ἄβασγούς ἀπαντας ἤγειρε καὶ ὑπαντιάζειν διὰ σπυιδῆς εἶλεν.

Ἔστι δὲ χώρος μετὰ τοὺς Ἀφίλις ἕρους ἐν τῇ εἰς τὴν Ἄβασγίαν εἰσοδῶ τοῖσδε ἕρους ἡψιλὸν ἐκ τῶν Καυκασίων ἀρχόμενον καὶ κατὰ βραχὺ ἐλασσόμενον τε καὶ ὑπολήγον ὡσπερ τῆς κλιμαξ καταταίνει καὶ τελευτᾷ ἐς τὸν Εὐξείνιον Πόντον. καὶ φρούριον μὲν ἐχρῶτατόν τε καὶ μεγέθους περίαξι λόγιότατον ἐκ πλακίον Ἄβασγοὶ ἐν τῇ ὑπωρεῖα τοῦ ἕρου τούτου ἐδείμαντο. οὗ δὴ καταφείγοντες ἐκκροῦσθαι αἰεὶ τὰς τῶν πολεμίων ἐφ' ὧς, σὺδαμῆ ἐχότων τῆν δυσχωρίαν βιάζεσθαι. μία δὲ εἰσοδος εἰσαγυσά ἐστιν εἰς τε τὸ φρούριον τοῦτο καὶ εἰς τὴν ἄλλην

მაგრამ ცხადია უფრო საზარელზე, ამის გამო რომელთა შიშით სპარსელებს მიეკედლნენ სრულიად ფარულად. როდესაც ეს იუსტინიანე მეფემ გაიგო, უბრძანა ბესსას დიდძალი ჯარი გაეგზავნა მათ წინააღმდეგ. ხოლო ამან რომელთა ჯარიდან გამოარჩია მრავალი, სარდლებად დაუდგინა მათ ულიგაგე და იოანე, თომას ძე, და მაშინვე ნავებით გაგზავნა ისინი აბაზგების წინააღმდეგ. აბაზგთა ერთი წინამძღოლთაგანი, სახელად სკეპარნა, სპარსეთში იმყოფებოდა: ცოტა ხნის წინათ ის ხოსროსთან დაებარებიათ და იქ წასულიყო, ხოლო მეორემ რომ შეიტყო რომელითა შემოტევის შესახებ, შეკრიბა ყველა აბაზგები და გადაწყვიტა შეხვედროდა მტერს.

აფსილიის საზღვრების შემდეგ აბაზგიის შესავალში ასეთი ადგილია: მაღალი მთაა გადაჭიმული, რომელიც კავკასიის მთებიდან იწყება და თანდათან ეშვება, როგორც კიბე, და ევქსინის პონტოსთან თავდება. ამ მთის ძირში აბაზგებს ძველადვე აუშენებიათ უმტკიცესი სიმაგრე ღირსშესანიშნავი სიდიდის. აქ შეხიზნულები მუდამ იგერიებენ მტრის შემოტევას, რომელსაც არსად არ შეუძლია ამ ძნელი ადგილის გადალახვა. ერთი შესავალი გზა მიდიოდა ამ ციხეშიც და აბაზგების დანარჩენ მიწაწყალზეც და იგი წყვილ წყვილად მიმავალთათვის ძნელად გასავლე-

Ἰβασίων χώραν, ἥπερ ἀνδράσι
 σύνδσο ἐρχομένοις ἀπόρευτος τυ-
 χάνει οὐσα. μηχανή γάρ οὐδεμία
 ἐστὶν ὅτι μὴ κατ' ἀνδρα καὶ μύ-
 λισ πεζούοντα ἐνθίνδε λέγουσι. τῆς
 τε ἀτραποῦ ταύτης ὑπέγκειται
 φάραγξ ἐσάγαν σιληρὰ ἐκ τοῦ
 φρουρίου διήκουσα μέχρι ἐς τὴν
 θάλασσαν. φέρεται δὲ καὶ προ-
 σηγούριαν τῆς φάραγγος ἀξίαν ὁ
 χώρος, ἐπεὶ αὐτὸν ἐλληνίζοντες οἱ
 τῆδε ἄνθρωποι τὰ Τραχέα κλοῦ-
 σιν. ὁ μὲν οὖν Ῥωμαίων στόλος
 μεταξὺ ὀρίων τῶν τε Ἰβασίων
 καὶ τε Ἀψιδίων κατέπλευσεν,
 Ἰωάννης δὲ καὶ Οὐλίγαγος ἐς
 τὴν γῆν τοὺς στρατιώτας ἀπει-
 βάσαντες πεζῆ ἐχώρουν, οἳ τε ναῦ-
 ταις ἀκάτοις ἀπάσαις παρὰ
 τὴν ἡῖνα τῆ στρατῆ εἶποντο.
 ἐπειδὴ δὲ τῶν Τραχέων ὡς ἀγγε-
 τάτω ἐγένοντο, ἐξωπισμένους τε
 ὄρωσαν Ἰβασίους ἀπαντας καὶ
 τῆς ἀτραποῦ ὑπερθεν, ἥς ἄρτι
 ἐμνήσθη, κατὰ τὴν φάραγγα ὄλην
 ἐν τάξει ἐστῶτας, ἀμηχανία τε
 πολλή εἶχοντο θέσθαι τὰ σφίσι
 παρόντα σὺδᾶμη ἔχοντες ἕως ἐν
 αὐτῆ πολλὰ λογισάμενος Ἰωάννης
 ἄκεσιν τινα τῶν κακοῦ εὔρει. τὸν
 γάρ Οὐλίγαγον ἔξω τῆ ἡμίσει τοῦ
 στρατοῦ ἐντάθη. ἐσῶας αὐτὸς
 τοὺς ἄλλους ἐπαχόμενος τὰς ἀκά-
 τοὺς ἐπλήρω. ἐρέσσοντές τε χῶ-
 ρον τὸν τῶν Τραχέων περιήλθον τε
 καὶ διέβησαν ὄλην καὶ κατὰ νῶ-
 του τῶν πολεμίων ταύτη ἐγένοντο.
 ἄρηντες οὖν τὰ σιμεία ἐς αὐτοὺς

ლი იყო, არავითარი შესამლებ-
 ლობა არ არის იქ გასვლისა, თუ
 არა კაცად-კაცადად და ისიც ფე-
 ხით. ამ გზას ზედ ადგას ნაპრალო
 მეტად სახარი, რომელიც ციხი-
 დან ზღვამდეა გადაჭიმული. თვით
 ადგილიც ამ ნაპრალის შესაფერ
 სახელწოდებასაც ატარებს: იქაუ-
 რი მცხოვრებლები ელინურად
 მას „ტრაქეას“ უწოდებენ. რო-
 მაელთა სტოლი აბაზგებისა და
 აფსილელთ საზღვრებს შუა ჩავიდა,
 ხოლო იოანემ და ულიგაგემ გა-
 დმოსხეს ჯარები ხმელეთზე და
 ფეხით გასწიეს, მეზღვაურები-კი
 მთელი თავისი ხომალდებით ნაპირ-
 ნაპირ მისდევდენ ჯარს. როდესაც
 ისინი ტრაქეს მიუახლოვდენ,
 დაინახეს აბაზგები, ყველანი შე-
 იარაღენულნი, რომელნიც იმ გზის
 ზემოთ, რომელიც ახლახან მოვი-
 ხსენიე, მთელი ნაპრალის გასწვრივ
 იდგენ დარაზმულნი, და დიდ გა-
 ჭირებაში ჩავარდენ, რადგან ვერ
 გარკვეულიყვნენ შექმნილ მდგომა-
 რეობაში, ვიდრე იოანემ დიდი ჩაფი-
 ქრების შემდეგ არ გამოძებნა ერთი
 საშუალება ამ უბედურების წინა-
 აღმდეგ. ულიგაგე ნახევარი ჯარი-
 თურთ იქ დასტოვა და თვითონ
 წაიყვანა დანარჩენები ხომალდებ-
 ზე. მათ გასცურეს, მოუარეს, და
 გაიარეს მთელი ადგილი ტრაქეისა
 და მოექცნენ მტერს ზურგით. მაშინ
 ამართეს მათ დროშები და გას-
 წიეს მტრის წინააღმდეგ. აბაზგებ-
 მა რომ დაინახეს, რომ მტერი
 მათ ორივე მხრით მოაწვა, ვეღარ

ἦσαν. Ἄβασγῶν δὲ τὸς πηλε-
 ρμοῖς σφίσιν ἑκατέρωθεν ἐγκειμέ-
 νους ἰδόντες ἐς ἀλλήν μὲν οὐ-
 κέτι ἐβλεπον, οὐδὲ τὴν τάξιν ἐφύ-
 λασσόν, ἐς ὑπαγωγὴν δὲ ξὺν πολ-
 λῆ ἀκοσμίᾳ τραπόμενοι πρόσω-
 ἐχώρου, οὕτω τῷ ὄρει καὶ τῆ
 ἀπ' αὐτῶν ἀμηχανίᾳ συμπεδιῶ-
 μενοι ὥστε οὔτε τὴν πατρίαν
 σφίσι θυσχωρίαν ἔτι διαγινώσκειν
 ἐδύναντο οὔτε πη εὐπατῶς ἐνθύν-
 θε ἰέναι. Ῥωμαῖοι δὲ αὐτοῖς ἑκα-
 τέρωθεν ἐπιστόμενοι! τε καὶ κα-
 ταλαβόντες πολλοὺς ἐκτειναν. ὄρ-
 μη τε ξὺν τοῖς φεύγουσιν ἐς τὸ
 φρούριον ἀφικόμενοι ἀνακεκλιμένης
 ἔτι ἐπιτυχάνουσι τῆς ταύτης πη-
 λιδος. οἱ γὰρ φύλακας ἐπιθεῖναι
 τὰς θύρας οὐδ' αὖτις εἶχον, ἀλλὰ
 τοὺς φεύγοντας ἔτι ἐδέχοντο. τῶν
 τε φυγόντων τοῖς θυάκουσιν ἀνα-
 μνησθέντων ἐπὶ τῆς πύλας ἰένται
 ἅπαντες, οἱ μὲν ἐπιθυμίᾳ τοῦ σώ-
 ζεσθαι οἱ δὲ τοῦ τὸ φρού-
 ριον ἐξελεῖν. ἀνακεκλιμένας οὖν
 τὰς πύλας ἐνόησαν συνεισέβαλον
 ἐς ταύτας ἀλλήλους. οἱ γὰρ πη-
 λιῶν οὔτε διακρίνειν ἀπὸ τῶν πη-
 λερίων τοὺς Ἄβασγῶν εἶχον οὔτε
 τὰς πύλας ὑπερβιάζομένου τοῦ ὀμί-
 λου ἐπιτιθέναι. καὶ οἱ μὲν Ἄβασ-
 γῶι ἄσμενοι ἐντὸς τοῦ περιβόλου
 γενόμενοι ξὺν τῷ φρουρίῳ ἤλίσκον-
 το, Ῥωμαῖοι δὲ τῶν ἐναντίων κε-
 κρατηκέναι οἰόμενοι πόνῳ θυσχο-
 λωτέρω ἐνταῦθα ὤμιλουν. τῶν γὰρ
 οἰκίων σχυῶν τε οὐσῶν καὶ οὐ
 λῖαν διεχουσῶν ἀλλήλων, ἀλλὰ

შესძლეს წინააღმდეგობის გაწევა,
 ვერც სიმწყობრე შეინარჩუნეს და
 დიდის უთავბოლოობით უკან დაი-
 ხიეს დიდ მანძილზე; ისე დაუბნია
 თავგზა შიშმა და ამით გამოწვე-
 ულმა უმწეობამ, რომ ვერც თა-
 ვიანთი მშობლიური ადგილის
 გარჩევა შესძლეს და ვერც იქიდან
 როგორმე ადვილად გამოსვლა.
 ხოლო რომაელები მათ ორივე
 მხრით დაედევნენ, შეიპყრეს და
 ბევრიც მოკლეს. ოტებულებთან
 ერთად სირბილით რომ მივიდნენ
 ციხეში, იქაური კარიბჭე ღია და-
 ხვდათ. მცველებს თურმე ვერ
 მოეხერხებიათ კარების დახშვა,
 არამედ გამოქცეულებს ხვდებოდნენ.
 ოტებულნი და მათებულნი ერთ-
 მანეთში იყვნენ არეული და ყვე-
 ლანი კარებისაკენ მისწრაფოდნენ:
 ერთნი გადარჩენის სურვილით,
 ხოლო მეორენი ციხის ასაღებად.
 კარები გაღებული რომ იპოვეს,
 შიგ შეცვივდნენ ერთიერთმანეთზე.
 მეკარენი ხომ ვერ ახერხებდნენ
 ვერც აბაზგების გარჩევას მტრი-
 საგან ვერც კარების დახშვას
 ბრბოს მოწოლის გამო. და გახა-
 რებული აბაზგები გალავნის შიგ-
 ნით რომ აღმოჩნდნენ, ციხესთან ერ-
 თად იქმნენ ხელში ჩაგდებული,
 ხოლო რომაელებს ეგონათ, რომ
 უკვე სძლიეს მოწინააღმდეგე, მაგ-
 რამ იქ უფრო მძიმე გასაჭირში
 აღმოჩნდნენ. ეს იმიტომ, რომ რა-
 დგან სახლები ხშირ-ხშირი იყო
 და ერთიმეორეს დიდი მანძილით
 კი არ იყო დაშორებული, არამედ

καὶ τρόπον τείχους πανταχόθεν
 συμπεφραγμένων, Ἄβασγ· ἰ ἐξ αὐτὰς
 ἀναβάντες καὶ σθένει παντὶ ἀμυ-
 νόμενοι, τοὺς πελεμίσους κατὰ κερυ-
 φήν ἔβαλλον, πόνῃ καὶ φόβῳ καὶ
 τῷ ἐξ παιδᾶς τε καὶ γυναῖκας ἔλεψ
 καὶ τῇ ἐνθένδε ἀπορίᾳ ἐχόμενοι,
 ἕως Ῥωμαίοις ἐμπρῆσαι τὰς οἰκίας
 ἐς ἔννοιαν ἦλθε. πῦρ τοῖσιν αὐταῖς
 πανταχόθεν ἀνάφαντες τοῦ ἀγῶ-
 νος παντάπασι τούτου ἐκράτησαν.
 Ὁφίτης μὲν οὖν, ὁ τῶν Ἄβασγῶν
 ἄρχων, ἦν ὀλίγοις τισὶ φυγεῖν
 ἴσχυσεν, ἕς τε Οὐννοὺς τὴν πλη-
 σιοχώρους καὶ ὄρος τὸ Καυκά-
 σιον ἀνεχώρησε. ταῖς δὲ ἄλ-
 λοις ἢ ἦν ταῖς οἰκίαις ἐξηγηρα-
 κωμένοις τετεφρωθῆαι ἤξυβῆ, ἢ
 ὑπὸ ταῖς τῶν πελεμίων γεγαμέναι
 χερσίν. ἐζώργισαν τὲ Ῥωμαῖοι
 καὶ τὰς τῶν ἀρχόντων γυναῖκας
 ἕν γόνῃ παντὶ, τῶν τε φρουρίων
 τὸν περίβολον ἐς ἔδαφος καθεῖλον
 καὶ τὴν χώραν ἔρημον κατεστή-
 σαντο ἐκ τοῦ ἐπὶ πλείστον. Ἄβα-
 σγοῖς μὲν οὖν τὰ τῆς ἀποστάσεως
 ἐς τοῦτο ἐτελεύτη, ἐν δὲ Ἀφι-
 λίοις ἐγένετο τὰδε (Haury II,
 525—530).

კედლის მსგავსად ყოველმხრივ შე-
 მოზღუდული, აბაზგები ზედ ავი-
 დენ და მთელი ძალღონით იცავ-
 დენ თავს და დაუშინეს მტერს
 ზევიდან როგორც გაჭირებისა
 და შიშის გამო, ისე ბავშვებისა და
 ცოლების შებრალებისა და აუტა-
 ნელ მდგომარეობაში ჩავარდნის
 გამო. ბოლოს რომაელებს აზ-
 რად მოუვიდათ ამ სახლებისა-
 თვის ცეცხლი წაეკიდათ. მართ-
 ლაც ყოველმხრივ ცეცხლი მოსდეს
 სახლებს და სრული გამარჯვებულ-
 ნიც გამოვიდენ ამ ბრძოლაში.
 ოფსიტემ, აბაზგთა მთავარმა, რამ-
 დენიმე კაცით მოახერმა გაქცევა
 და გაემართა მეზობელ ჰუნებში და
 კავკასიის მთებში. ხოლო დანარ-
 ჩენები ან ფერფლად იქცნენ გადამ-
 წვარ სახლებთან ერთად, ან
 მტრის ხელში ჩავარდენ. რომაე-
 ლებმა დაატყვევეს მთავართა ცო-
 ლები მთელი მათი შთამომავლო-
 ბითურთ, ციხის გალავანი კი მი-
 წასთან გაასწორეს და მთელი მი-
 წაწყალი უდაბნოდ აქციეს. ასე
 დაბოლოვდა აბაზგების განდგომა,
 ხოლო აფსილების ქვეყანაში შემ-
 დეგი მოხდა.

¹⁾ შევსებულ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილია შიო მღვიმელის „ცხო-
 რებიდან“ ამოღებული (ს ა ბ ი ნ ი ნ ი, ს.ა.ქ. სამოთხე, გვ. 236) ერთი ცნობა, რო-
 მელიც ეხება ბიზანტიელთა ლაშქრობას აფხაზეთის საზღვარზე განდგომილ ერ-
 თერთი ტომის წინააღმდეგ. ამ ცნობაში ვკითხულობთ: «ჟამსა მას ოდეს თჳთ-
 მჳყრობელი იუსტინიანოს, მეფე, ბერძენთა, ჰბრძოდა კერძოთა ოვსეთისათა, საზ-
 ღვაოს ავაზგთასსა, ნათესავსა ტასკუნთასა (ქ. ცხ. აქაც და ქვევითაც „ხასკუნთა“),
 რამეთუ ექმნა მათ განდგომილება, მაშინ მოძღუანა (ს ა ბ.: მოუძღუანა) ნიჭი
 დიდი იუსტინიანოს ფარსმანს, ქართულთა მეფესა, და ევედრა რათა შეეწიოს
 მჳედრობასა მისსა, ყოვლითა ძალითა თჳსითა, და ბრძოლა უყოს ტასკუნთა. ის-
 მინა უკუე ფარსმან ვედრება ბერძენთა მეფისა და დაუტევა ევაგრე, მცველ სამე-

აფსილების განდგომა.

Ἄψιλοι μὲν ἐκ παλαιοῦ κα-
τήκοι Λαζῶν τυγχάνουσιν ὄντες.
ἔστι δὲ τι φρούριον ἐν ταύτῃ τῇ
χώρῃ ἐχυρὸν μάλιτσα, Τζιβίλην
ἀπὸ καλοῦσιν οἱ ἐπιχώριοι. τῶν
δὲ τις ἐν Λαζαῖς λογίμων, Τερ-
δέτης ὄνομα, ὥσπερ εἶχε τὴν τοῦ
καλασμένου μαγίστρου ἀρχὴν ἐν
τοῦτῃ τῷ ἔθνει, Πουβᾶζην τῷ τῶν
Λαζῶν βασιλεῖ προσκεκρυμμένως τε
καὶ χαλεπῶς ἔχων, Πέρσαις ἄμο-
λόγησε λάθρα τοῦτο δὴ ἐνδῶσειν

VIII 10. აფსილები ძველითგანვე
ლაზთა ქვეშევრდომები არიან. ამ
ქვეყანაში არის ერთი ციხე, მე-
ტად მტკიცე, ადგილობრივი მცხო-
ვრებლები მას წიბილეს უწოდებ-
ენ. ლაზთა შორის ერთმა წარჩი-
ნებულთაგანმა, სახელად ტერდეტ-
მა, რომელსაც ეგრეთწოდებული
მაგისტროსის ძალაუფლება ეპყრა
ამ ხალხში და რომელიც ლაზთა მე-
ფე გუბაზთან წაჩხუბებული იყო
და მასთან უკმაყოფილება ჰქონდა

ფოსა (ქ. ცხ.: „სამეფოსა“) თვსსა. ხოლო თვთ უკუე წარვიდა, და შეწევნითა
ლუთისათა დაიმორჩილა ნათესავი იგი ტასკუნთა. და მთავარნი მათნი ყოველნი
შეპყრობილნი წარავლინნა წინაშე იუსტინიანესსა. მერმე (ქ. ცხ.: მერე) მოიქცა
თვსსავე (ქ. ცხ.: თვსადვე) სამეფოდ (ქ. ცხ. ჭ ი ჭ ი ნ ა ძ ი ს გამ. I, 227: ს ა ბ ი -
ნ ი ნ ი 236), შიოს ბიოგრაფიაში შეტანილი ეს ცნობა საჭიროებს ზოგიერთ გან-
მარტებას. იქ მოხსენებული «კერძოთა ოვსეთისადათა, საზღვარსა ავაზგიასსა, ნა-
თესავსა ტასკუნთასა» მეტად ბუნდოვან გამოთქმას წარმოადგენს; ტასკუნთა ტომი
უცნობია (ბ რ ო ს ე ს შესაძლებლად მიაჩნია მისი დაკავშირება კონსტანტინე პორ -
ფიროგენეტის მიერ De adm. Imp. 42 თავში მოხსენებულ Καζαχια სთან: H. de
La G. I 212); «კერძონი ოვსეთისანი» (თუ აქ „ალანეთი“ არაა) არ შეიძლება
ყოფილიყო «საზღვარსა ავაზგიასსა» და ამიტომ საფიქრებელია, რომ აქ ტექსტი
იყოს დამახინჯებული. მეორე მხრით, ამ ცნობის ისტორიული ხასიათის უარყო-
ფა და მისი ლეგენდარულად ჩათვლა თუნდაც იმ მოსაზრებით, რომ ამ დროს
ივერიას მეფეები აღარ ჰყავს (532 წლიდან იქ სპარსელები ბატონობენ) და, მაშა-
სადამე, იუსტინიანე «ფარსმანს, ქართულთა მეფეს», დახმარებისათვის ვერ მი-
მართავდა, ჩვენ შეუძლებლად მიგვაჩნია. ვინაიდან იუსტინიანეს (527 – 565 წწ.)
ერთერთ ლაშქრობაზე შემცველი ცნობა. ასურელ მამათა – და კერძოდ შიოს – სა-
ქართველოში მოღვაწეობის დროს (VI საუკუნის შუა წლებს) კარგად ევარდება
(შდ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია I³, 342) და გარდა ამისა
აფხაზთა საზღვრებში 550 წელს, პროკოპის ზემოთ მოყვანილი ცნობით, მეტად
მძლავრ შეტაკებას ჰქონია ადგილი ლაზ-ბიზანტიელებსა და მათგან განდგომილ
აფხაზებს შორის, საფიქრებელია, რომ, როდესაც სიტყვამ მოიტანა, შიოს „ცხო-
რების“ აღმწერელმა იუსტინიანეს (ე. ი. შიოს თანამედროვის) დროინდელი ეს
ამბავიც მოიხსენია. ძნელი საფიქრებელია, რომ ქართულ ცნობაში მოხსენებული
ლაშქრობა, რომლის დროს იუსტინიანეს იბერიისათვის მიუმართავს დახმარების
გამოსათხოვად, ისეთ ეპიზოდს ეხებოდეს, რომელიც იუსტინიანეს დროინდელ
ლაშქრობათა აღმწერს, პროკოპი კესარიელს, გამორჩა. მაშასადამე, ჩვენ
ცნობა აფხაზეთში მომხდარ ამბებს ეხება და, რამდენადაც «ავაზგია» (Αβαγία)

τὸ φρουρίον, στρατεύμα τε
 Περσῶν ἐπαγόμενος ἐπὶ ταύτῃ τῇ
 πράξει ἐξ Ἀψιλίαν¹ ἦει. καὶ ἐπει
 ἄγχιστα τῶν φρουρίου ἐγένοντο,
 προτερήσῃ· αὐτὸς ἦν τοῖς ἐπομέ-
 νοις οἱ Λαζοὶς ἐντὸς τοῦ περιβόλου
 ἐγένετο, ἐπεὶ οἱ τὸ φυλακτήριον
 ταύτῃ ἔχοντες ἀπιστεῖν τῷ Λαζῶν
 ἄρχοντι οὐδαμῆ εἶχον, οὐδαμῆ ἐξ
 αὐτὸν ὑποψία ἔχόμενοι. εὐπω τε
 ἀφικόμενον τὸ Περσῶν στρατεῦμα
 τῷ φρουρίῳ ὁ Τερθέτης² ἐδέξαστο.
 καὶ ἀπ' αὐτοῦ Μῆδοι οὐ Λαζι-
 κῆν μόνον, ἀλλὰ καὶ Ἀψιλίαν¹

ფარულად აღუთქვა სპარსელებს, რომ ამ ციხეს გადასცემდა; ის კიდევ წამოუძღვა სპარსთა ჯარს და აფსილიაში გაემართა ამ საქმის შესასრულებლად. როდესაც ისინი ციხეს მიუახლოვდნენ, თვითონ მისი მხლებელი ლაზებითურთ დაწინაურდა და გალავნის შიგნით შევიდა, რადგან ამ ციხის მცველ რაზმს არ შეეძლო არ ნდობოდა ლაზთა მთავარს, და როდესაც სპარსთა ჯარი ციხესთან მივიდა, ტერდეტმა ის შეუშვა. ამიტომ მიდებს ეგონათ, რომ მათ არა მხოლოდ

ბერძნული ფორმაა, ის ბერძნული წყაროდან მომდინარეობს, და, როგორც პროკოპი კესარიელის მოთხრობაში აფხაზთა წინააღმდეგ ლაშქრობის აღწერა მოცემულია მათი მოსაზღვრე აფსილების ტერიტორიის მდებარეობის აღწერასთან დაკავშირებით, ისე იმ ბერძნულ წყაროში, საიდანაც ქართული ცნობა მომდინარეობს, მოსალოდნელია ყოფილიყო ისეთი გამოთქმა, საიდანაც ქართველს გაეკეთებია «კერძოთა აფსილიეთისათა, საზღვარსა აფაზიასსა», რაც შემდეგ დამახინჯდა გამოთქმად «კერძოთა ოვსეთისათა».

გამოთქმა «ოვსეთისათა» აქ გამართლებული იქნებოდა იმ შემთხვევაში, რომ აქ „ოვსეთად“ ალანთა ქვეყანა იგულისხმებოდა. მაგრამ, ვინაიდან, ჩვენის აზრით, ქართველი ბიოგრაფოსის ცნობა ბერძნულიდან მომდინარეობს, მნელი საფიქრებელია, რომ იმ მწერალს, რომელმაც ბერძნული ფორმა Αβασυα დასტოვა, „ალანთა ქვეყანა“ «ოვსეთად» შეეცვალა: აქაც ის «ალანეთს» დასტოვებდა.

რაც შევხება იმის შესაძლებლობას, რომ «ქართუელთა მეფეს» (ან „მთავარს“) დახმარება აღმოეჩინა ბიზანტიელებისათვის, იმ დროს როდესაც ქართლში სპარსელები ბატონობდნენ და ბიზანტიასა და სპარსეთს შორის საომარი ოპერაციები იყო გაშლილი (პეტრა სპარსელებს უჭირავთ და რომაელ სტრატეგოსს ბესსას ალყა აქვს მისთვის შემორტყმული), ამის შესახებ შემდეგს მივუთითებთ. ქართველი ისტორიკოსის ცნობით სპარსელთა ბატონობა ქართლში (ფართო გაგებით) VI საუკუნის შუა წლებში არ ვრცელდება მთელს აღმოსავლეთ საქართველოზე: «ფარსმან დაუწერა მას (ე. ი. სპარსთა მეფეს) მორჩილება და მსახურება, და წარვიდა სპარსთა მეფე. მიერთგან განიყუნეს ნათესავნი ვახტანგ მეფისანი, რამეთუ შვილნი დაჩისანი ჰმსახურებდეს სპარსთა, შვილნი მირდატისნი დაადგრეს მორჩილებასა ბერძენთასა» (მ~მ დდგ. ქ. ცხ. გვ. 187), ხოლო რამდენიმე წლის შემდეგ «შვილნი ბაკურისნი დარჩეს მთიულეთს კახეთისასა და ნათესავნი მირდატისნი, ვახტანგის ძისანი, რომელნი მთავრობდეს კლარჯეთს და ჯავახეთს, იგინი დარჩეს კლდეთა შინა კლარჯეთისათა. სხუა ყოველი ქართლი, სომხითი და ასფურაგანი დაიპყრეს სპარსთა და ჰბრძოდეს ბერძენთა» (იქვე გვ. 190).

¹) Αψιλιους L. – ²) Τερδατης K.

ἔχεσθαι τότε πρὸς αὐτῶν ὄντο.
 οὐτε δὲ Ῥωμαῖοι οὔτε Λαῖοι ἀσ-
 χελίᾳ τῇ ἀμφὶ Πέτραν τε καὶ τῷ
 Μήδων στρατῷ πιεζόμενοι Ἄψι-
 λίδας ἐπαρμένειν ἔσχον. ἦν δὲ τις
 γυνή, τῷ ἄρχοντι τοῦ ἐνταῦθα φυ-
 λακτηρίου, Ἄψιλίᾳ γένος, τῆν
 θῖν ἐμπρεπῆς μάστιγα. ταύτης
 δὲ τῆς γυναικὸς ἐκτόπως ἐρασ-
 θείς ἐξῆπιναίως ὁ τῷ Περσῶν
 στρατεύματος ἄρχων τὰ μὲν πρῶ-
 τα πειρᾶν ἤρξατο, ἔπειτα δὲ, ἐπεὶ
 οἱ πρὸς τῆς γυναικὸς οὐδὲν προε-
 χῶρει, βιάζεσθαι μελλήσει αὐ-
 τήν οὐδὲμιᾶ ἐνεχείρησεν. οἷς δὲ
 ὄξυ θυμωθεὶς ὁ τῆς γυναικὸς
 ἀνήρ, αὐτὸν τε νύκτωρ καὶ τοὺς
 ἕξ ἄντῳ ἐξ τὸ φρουρίον εἰσελη-
 λυθόταξ ἀπαντας ἔκτεινε παρανό-
 λωμα τῆς τοῦ ἄρχοντος ἐπιθυμίας
 πρᾶξιμῆνός, καὶ τὸ φρουρίον, ἔσ-
 χεν αὐτόξ. Ἄβιλιοὶ τε Κόλχων
 διὰ τοῦτο ἀπέστησαν, ἐπικαλοῦν-
 τες ὅτι δὴ σφᾶς πρὸς Περσῶν
 κακοκείμενους προσπεισέσθαι οὐ-
 θαμῆ ἤθελον. ἀλλὰ Γουβζήξ Ῥω-
 μαίων χεῖρος καὶ Ἰωάννην τὸν
 Ἰωμά υἱόν, οὐπερ ἕναγχος ἐπεμ-
 νήσθη, ἐπ' αὐτοὺς ἐπεμψεν. οὐ-
 περ αὐτοὺς πολλὰ τιθασσένων
 ἐπαγαγέσθαι ἀμαχητὶ ἔσχε καὶ
 Λαῖων κατηχόους κατεστήσατο
 βένιξ. τὰ μὲν οὖν ἀμφὶ τε Ἄψι-
 λίδας καὶ Τζιβιλῆ¹ τῷ φρουρίῳ τῆδε
 ἐχώρησεν (H a u g y II, 530 — 532).

ლაზიკე, არამედ აფსილიაც თავის ხელში იგდეს. არც რომაელებს და არც ლაზებს არ შეეძლოთ დახმარება გაეწიათ აფსილებისათვის, ვინაიდან ისინი პეტრასთან ძალიან შევიწროებული იყვნენ მიდთა ჯარის მიერ. იმ მცველი რაზმის უფროსს ცოლი ჰყავდა, ტომით აფსილი, გარეგნობით მერად მშვენიერი. სპარსთა ჯარის მთავარი მყისვე სიყვარულით აღიგზნა ამ ქალისადმი და ჯერ იწყო ცდამით დაეთანხმებია იგი, ხოლო შემდეგ, როდესაც ამ ქალთან ვერაფერს გახდა, გადაწყვიტა დაუყოვნებლივ ძალა ეხმარა მასზე. ამით მეტად აღშფოთებულმა ქალის ქმარმა ის და მასთან ერთად ციხეში შემოსულები ყველანი მოკლა დამით, რომელნიც, ამრიგად, მთავრის ვნებიანობის მსხვერპლნი შეიქმნენ, და ციხე თვითონ იგდო ხელთ. აფსილები ამიტომ კოლხებს გადაუდგენ და ამბობდენ, რომ კოლხებმა არ ისურვეს დახმარება აღმოეჩინათ მათთვის, როდესაც ისინი სპარსელების მხრით განსაცდელში იყვნენ ჩაყენებული. მაგრავ გუბაზმა გაგზავნა მათ წინააღმდეგ ათასი რომაელი და იოანე, თომას ძე, რომელიც ახლახან მოვიხსენიე: იმან თავი მოუქონა მათ და უბრძოლველად შესძლო დამორჩილება და ისინი კვლავ ლაზთა ქვეშევრდომები გახდნენ. აი,

ასე წარიმართა აფსილებისა და წიბილის შესახები საქმეები.

¹) ტჯიბლა L. – ზემოთაც 131,5; ტჯიბილი L, ტჯიბილი K. ა გ ა თ ი ა (IV, 15)
 ამ ციხეს უწოდებს το φρουριον το Τιβελεος (HGM II 315. 32).

ბრძოლა პეტრასთან 550 წელს.

[თავში მოთხრობილია, 550 წელს რომ იუსტინიანემ პეტრე პატრიკიოსი გააგზავნა ხოსროსთან საზავო მოლაპარაკებისათვის და კონსტანტინეპოლში რომ ხოსროს ელჩად იზდიგუსნა ჩამოვიდა თავისი ამალითურთ და იუსტინიანესთან მოლაპარაკება გამართა].

Ἐν μὲν οὖν Βυζαντίῳ ταῦτα ἐπράσσετο. Βέσπας δὲ παντὶ τῷ Ῥωμαίων στρατῷ Πέτρας ἐς πλειορκίαν καθίστατο. Ῥωμαῖοι μὲν οὖν ἀμφὶ τὸ τεῖχος διώρυσσον, ἵνα δὴ καὶ Δαχισθαῖος τὰ πρότερα τὴν διώρυχα πεποιγημένος τὸν περιβόλον ταύτην καθείλεν. οὗτοι δὲ δὴ ἕνεκα ἐς τὸν αὐτὸν χρόνον ὤρυσσον, ἐγὼ δὲ θελήσω. οἱ τὴν πόλιν τὸ ἐξ ἀρχῆς ταύτην δευμάμενοι, ἐπὶ πέτρας μὲν ἔθεντο ἐκ τοῦ ἐπὶ πλειστον τὰ τοῦ περιβόλου θεμέλια, ἐνιαχῆ δὲ καὶ ὑπὲρ χώματος αὐτὰ ξυμβαιναι καῖσθαι. ἦν δὲ τις τοῦ τεύχους μοῖρα ἐς τῆς πόλεως τὰ πρὸς ἐσπέραν οὖν λίαν εὐρεῖα, ἧς δὴ ἕκατέρωθεν ἐπὶ πέτρας τινὸς σιληρᾶς τε καὶ ἀμυγχανοῦ τοῦ περιβόλου τὰ θεμέλια ἐτεκτήναντο. ταύτην τοίνυν τὴν μοῖραν Δαχισθαῖος τε τὰ πρότερα καὶ τανῶν Βέσπας διώρυσσον ἐμύως οὐκ ἐφείσθη τῆς τοῦ χάριος φύσεως σφίσι περαιτέρω ἵεναι, ἀλλὰ τὸ τῆς διώρυχος μήκος συμμετρούσης τε αὐτοῖς καὶ πρυτανευούσης εἰκότως. ἦνίκα οὖν Πέρσαι μετὰ τὴν Δαχισθαίου ὑπαγωγὴν τὸ καταπεπτωκὸς τοῦτο τοῦ τεύχους ανοικοδομήσασθαι ἤθελον, οὐ κατὰ τὰ πρότερα τὴν οἰκοδομίαν πεποι-

VIII 11. ასე მიმდინარეობდა საქმეები ბიზანტიონში. ბესსას კი რომაელთა მთელი ჯარით პეტრასთვის ჰქონდა ალყა შემორტყმული. რომაელებმა გამოთხარეს კედელთან, იქ, სადაც დაგისტემაც წინათ თხრილი გაკეთა და გალავნის ის ნაწილი აიღო. თუ რატომ გამოთხარეს იმავე ადგილას, ახლავე განვმარტავ. ეს ქალაქი რომ თავდაპირველად აუშენებიათ, გალავნის სამირკველი მეტწილად კლდეზე დაუფუძნებიათ, ხოლო ზოგან სამირკველი ტაგრუცზე დებულა. იყო ერთი ნაწილი კედლისა, ქალაქის დასავლეთით, არც თუ ძალიან ფართო, რომლის ორივე მხრით ერთ ოღრო-ჩოდრო, და მოუხერხებელ კლდეზე გალავნის სამირკველი იყო აგებული. სწორედ ეს ნაწილი გამოთხარა წინათ დაგისტემ და აგრეთვე ბესსამაც ახლა, ვინაიდან ადგილის ბუნება ფართო გასაქანს კი არ აძლევდა ამათ, არამედ თხრილის სიგრძეს უზომავდა მათ და ბუნებრივად განსაზღვრავდა. როდესაც დაგისტეს გაბრუნების შემდეგ სპარსელებმა გადაწყვიტეს კედლის ამ დანგრეული ნაწილის კვლავ აგება, იმათ, წინანდებურად კი არ ააგეს, არამედ შემდეგნაირად: და-

ηται, ἀλλὰ τρόπον τοιῦδε. καὶ χλη-
 κος τὸν κενωθέντα ἐμπλησάμενοι
 χῶρον δοκοῦς παχείας αὐτοῦ ὑπερ-
 φεν ἔθεντο, ἄσπερ ἐνδελεχέστατα
 ἔρισαντες ὁμαλάς τε παντάπασι κα-
 ταστησάμενοι ἔξευξαν μὲν ἐς ἀλ-
 λήλας ἐς μέγα τι εὐρος, κρηπίδα
 δὲ αὐτάς ἀντὶ θεμελίων ποιησά-
 μενοι τοῦ περιβόλου καθυπερθέεν
 αὐτῶν ἐτεκτίησαν τὴν οἰκοδομίαν
 ἐμπείρωσ. ἄσπερ οὖν ξυνέντες Ῥω-
 μαῖοι ἐνερθέεν τῶν θεμελίων
 πεισθῆναι τὴν διῶρυχα ᾤοντο.
 καὶ τὸν χῶρον κενώσαντες ἔλον
 ἐκ τῶν δοκῶν, ὧν ἄσπερ ἐπεμνήσθη
 ἀρτίως, ἐπὶ πλείστον τῆς γῆς
 τὸν μὲν περιβόλον κατασεισαι
 κατὰ πολὺν ἰσχυσαν, μοῖρά τε
 αὐτοῦ δὲ ἀπιναιῶς κατεπεπτῶ-
 κει, οὐ μόντοι οὕτε πη ἐπὶ θά-
 τερα τὸ πεπτωκὸς τοῦτο ἐκλίθη
 οὕτε τις αὐτῶν τῶν λίθων ἐπι-
 βολῆ ξυνεπαράχθη, ἀλλ' ἀκραί-
 φνές ἔλον εὐθείᾳ τινὶ καταβάσει.
 ἄσπερ ἐκ μηχανῆς, ἐς τὸν κενω-
 θέντα χῶρον καταβάν ἔστη, καὶ
 τὴν οἰκίαν ἐφύλασσε χῶρον, οὐκ
 ἐς ὕψος ὅσον τὰ πρότερα, ἀλλ' ἕς
 τι ἦσον. κενωθέντος οὖν πικτός
 τοῦ τῶν δοκῶν ἐνερθέεν χῶρου
 ὑφιζάνειν αὐτάς ἐνταῦθα. ὅν τῆ
 ὑπὲρ αὐτάς οἰκοδομίᾳ πάσῃ ξυ-
 νέβη. τοῖς δὲ Ῥωμαῖοις αὐτῶν ὡς
 ἐσβατὸν ἐγεγόνει τὸ τεῖχος. ὁ
 γὰρ τῶν Ἡερσῶν ἔμιλος, ἦν ἰκκ
 πολὺς ἔξεν ἑὸν Μερμερόν ἐνταῦθα
 ἦλθε, μέγα τι χρέμα τῆ πρόσθεν
 οἰκοδομίᾳ ἐνθένενοι ἰψήλων ἐσά-

ცალიერებული ადგილი აავსეს ქვიშით, მის ზემოთ დაალაგეს მსხვილი ბოძები, რომლებიც ზედმიწევნით გაამალიშინეს და სრულიად სწორად დადგენილი ეკვრის ერთად სიფართოეზე და, ამრიგად რომ გამოიყენეს ეს ბოძები ბალავერად ნაცვლად გალავნის საძირკვლისა, მათ ზემოთ ააშენეს ნაგები. რომაელებმა ეს არ იცოდენ და ეგონათ, რომ საძირკვლის ქვემოთ გაჰყავდათ თხრილი, და, მთელი ადგილი რომ დააცალიერეს იმ ბოძების ქვევით, რომლებიც ახლახან მოვიხსენიე, შესძლეს ძალიან შეერყიათ თითქმის მთელი ზღუდე, მისი ნაწილი კი ერთბაშად ძირს დაეცა, მაგრამ ისე, რომ დაცემული ნაწილი არც მეორე მხარეს მიაწვა, არც ქვათა წყობა შეირყა მის გამო, არამედ ის დაცალიერებულ ადგილში დაეცა მთლიანად და შეურევნელად ერთგვარი პირდაპირი დაშვებით, თითქოს მანქანის საშუალებითო, და დაიჭირა თავისივე საკუთარი ადგილი, მართალია არა ისეთ სიმაღლეზე, როგორც წინათ, არამედ უფრო ნაკლებზე. მოხდა ისე, რომ როდესაც მთელი ადგილი ბოძების ქვეშ დაცარიელდა, ეს ბოძები მთელი მათზე აგებული შენობითურთ იქვე დაეშვა. ხოლო რომაელებისთვის კედელი შეუვალი შეიქმნა, ვინაიდან სპარსელთა დიდმა ბრბომ, – მერმეროესთან ერთად იქ ხომ დიდძალი სპარსელობა მისულიყო, – წინანდელ ნაგებობას

γαν τὸν περίβολον ἐσεκτῆγαντο. Ῥωμαῖοι μὲν οὖν, ἐπειδὴ τοῦ περιβόλου τὸ κατασεισθῆν αὐθις ἐσηκῶς εἶδον, διηποροῦντό τε καὶ ἀμηχανία πολλή εἶχοντο. οὔτε γὰρ διορύσσειν ἔτι ἠδύναντο, ἐς τοῦτο ἀποκεκριμένης τῆς κατώρυχος σφίσι, κριθ̄ τε χρῆσθαι οὐδ' ἀμὴ εἶχον, ἐπεὶ ἐν μὲν τῷ ἀνάγνυται ἐπιχομάχου, ἡ δὲ μηχανὴ αὐτῆ ἐφέλκεσθαι οὐχ οἷα τὲ ἔστιν ὅτι μὴ ἐν χωρίῳ ὀμαλῆ τε καὶ λίαν ὑπίῳ.

Τύχη δὲ τιμὴ ξυνεκώρησεν ἐν τούτῳ τῇ Ῥωμαίων στρατῷ εἶναι βαρβάρων τῶν Σαβείρων¹⁾ ὀλίγους τινὰς ἐξ αἰτίας τοιαύτης. οἱ Σάβειροι ἔθνος μὲν ἔστιν Ὀβνικόν, ἴσχυται δὲ ἀμφὶ τὰ Καυκάσια ὄρη, πάμπλου πλῆθος μὲν ἐσάγγαν ὄντες, ἐς ἀρχὰς δὲ πολλὰς ἐπεικῶς διηρημένοι. τούτων δὲ τῶν ἀρχόντων οἱ μὲν τινὲς εἰσι τῇ Ῥωμαίων ἀποκράτει, οἱ δὲ τῷ Περσῶν βασιλεῖ ἐκ παλαιῶν γνῶριμοι. τοῖν τε βασιλείῳ ἑκάτερος χρυσίον εἰσάγει τακτὸν τοῖς αὐτοῦ ἐνσπόνθοις προΐεσθαι, οὐκ ἐπέτειον μέντοι, ἀλλ' ἡνίκα ἂν ἐς τοῦτο αὐτὸν ἡ χρεία ἐνάγοι. τότε οὖν Ἰουστινιανὸς βασιλεὺς τῶν Σαβείρων τοὺς οἱ ἐπιτηδείους εἰς τὴν ὀμαλῆν παρακαλῶν ἐστειλέ τινα τὸν τὰ χρήματα παρ' αὐτοὺς κομιθῆναι. ὁ δὲ (πολεμίων γὰρ μεταξὺ ὄντων

¹⁾ σαβηρων K აჟაც და ქვევითაც.

ბევრი მიაშენა და ძალიან მაღალი ზღუდე ააგო. რომაელებმა რომ დაინახეს, რომ ზღუდის შენმრეული ნაწილი კვლავ გაიმართა, ვედარაფერი გააწყვეს და სასოწარკვეთილებას მიეცნენ, რადგან მათ არც გამოთხრა შეეძლოთ უკვე, ვინაიდან გვირაბი ეგრე ჩამოეზვრათ, და არც კედლის მანქანის გამოყენება, ვინაიდან ისინი დაქანებულ ფერდობზე უკედლავდნენ, მანქანა კი შეიძლება მითრეულ იქნეს დავაკებულსა და სრულიად სწორად გილას.

რაცაღ შემთხვევით რომაელთა ამ ჯარში მოხვედრილა რამდენიმე ბარბაროზი საბირი შემდეგი მიზეზის გამო. საბირები ჰუნთა ტომია, ისინი ცხოვრობენ კავკასიის მთების მახლობლად და მეტად მრავალრიცხოვანნი არიან და გაყოფილი არიან საკმაოდ ბევრ სამთავროდ. ზოგიერთი ამ მთავართაგან რომაელთა თვითმპყრობელს დაახლოვებია ძველთაგანვე, ზოგი კიდევ სპარსთა მეფესა. თითოეულ ამ მეფეთაგანს ჩვეულებად ჰქონდა თავისი მოკავშირეებისათვის განსაზღვრულ ოქროს ბოძება, მაგრამ არა ყოველწლიურად, არამედ როდესაც ამას საჭიროება მოითხოვდა. მაშინ იუსტინიანე კეისარმა თხოვნით მიმართა საბირებს, რომლებიც მას მოკავშირეებად ესაჭიროებოდა, და გაუგზავნა მათ ერთი კაცის ხელით ფული. ამ კაცმა კი ვერ შესძლო თავისუფლად მისულიყო კავკასიის მთებში

ἐς ὄρη τὰ Καυκάσια ἵεναι ξὺν
 τῷ ἀσφαλεῖ· ἄλλως τε καὶ χρή-
 ματα ἐπαγόμενος σὺδαμῇ εἶχεν)
 ἀφικνεῖται μὲν παρὰ τε τὸν Βέσ-
 σαν καὶ τὸ Ῥωμαίων στρατόπε-
 δον, ὅπερ ἐς τὴν Πέτρας πολιο-
 ρίαν καθίστατο, παρὰ δὲ τοὺς
 Σαβείρους πέμψας ἐκέλευσεν αὐ-
 τῶν τινας ὅτι τάχιστα τοὺς τὰ
 χρήματα ληψομένους παρ' αὐτὸν
 ἴκειν, οἳ τε βάρβαροι τρεῖς ἀπο-
 λεξάμενοι τῶν ἐν σφίσιν ἀρχόν-
 των, ξὺν ὀλίγοις τισὶν ἐς Λαζι-
 κὴν εὐθὺς ἔπεμψαν· οἳ δὲ ἐν-
 ταῦθα γενόμενοι ξὺν τῷ Ῥωμαί-
 ων στρατῷ ἐς τήνδε τὴν τειχο-
 μαχίαν κατέστησαν. οὗτοι ἔπεδῃ
 Ῥωμαίους εἶδον ἀπογόντας τε
 καὶ ἀπορουμένους τὸ παρὸν θέσ-
 θαι, μηχανὴν τινα ἐπετεχνήσαν-
 το, οἷα οὔτε Ῥωμαίων οὔτε Περ-
 σῶν τι, ἐξ οὗ γέγονασιν ἀνθι-
 ρωποι, ἐς ἔννοιαν ἦλθε, καίτοι τεχ-
 νῶν μὲν πολὺς ὄμιλος ἐν ἑκατέρῃ
 πολιτείᾳ γέγονέ τε αἰεὶ καὶ τα-
 νῶν ἔστιν. ἐς χρείαν δὲ πολλάκις ἐς
 τὸν πάντα αἰῶνα κατέστησαν τῆς
 μηχανῆς ἑκάτεροι ταύτης, ἐς ἔρυ-
 ματά [τε] τειχομαχοῦντες ἐν χω-
 ρίοις σκληροῖς καὶ δυσβάτοις τισὶ
 κείμενα· ἀλλ' αὐτῶν οὐδενὶ τὸ
 ἐνθύμημα τοῦτο γεγένηται, ὅπερ
 ταῦτοις δὲ τοῖς βαρβάροις τανῶν
 γέγονεν· οὕτως αἰεὶ προϊόντι τῷ
 χρόνῳ συννεωτερίζειν τῶν πραγ-
 μάτων τὰς ἐπινοίας φιλεῖ· τῶν
 ἀνθρώπων ἢ φύσις. κριτὸν γὰρ αὐ-
 τοσχεδιάζουσιν οἱ Σαβείροι οὗτοι,

და ფულიც მიეტანა, ვინაიდან
 შუაში მტრები იყვნენ გაბატონე-
 ბულნი, და მოვიდა ბესსასთან და
 რომელთა ჯართან, რომელიც პეტ-
 რა გარემოცვას აწარმოებდა,
 მიუგზავნა საბირებს და სთხოვა
 ზოგიერთ მათგანს, რომ მალე მი-
 სულიყვნენ მასთან და მიეღოთ
 ფული; ბარბაროზებმაც გამოარ-
 ჩიეს თავიანთ მთავრებს შორის
 სამი და რამდენიმე მხლებელი-
 თურთ პირდაპირ ლაზიკეში გამო-
 გზავნეს. ესენი რომ მივიდნენ იქ,
 რომელთა ჯართან ერთად ზღუდის
 მზრძოლობაში ჩაებნენ. როდესაც
 ამათ დაინახეს, რომ რომაელები
 გაჭირვებაში არიან და არ იციან,
 როგორ უშველონ შექმნილ მდგო-
 მარეობას, გამოიგონეს რაღაც მან-
 ქანა, რის მსგავსიც არც რომაელ-
 თაგან და არც სპარსელთაგანს
 ვისმე – მას აქეთ, რაც ადამიანები
 არსებობენ, – აზრად არ მოსვლია,
 თუმცა ორივე სახელმწიფოში ყო-
 ველთვის დიდი ყოფილა რიცხვი
 ოსტატებისა და ახლაც არის.
 თითოეულ ამ ქვეყანას ხშირად გა-
 მოუყენებია ყოველ ჟამს მანქანა,
 მკაცრ და ძნელმისავალ ადგილებ-
 ში მდებარე სიმაგრეთა ზღუდეებს
 მზრძოლებიან; მაგრამ არც ერთს
 მათგანს აზრად არ მოსვლია ის,
 რაც მაშინ ამ ბარბაროზებმა ქმნეს:
 ჟამთა მსვლელობაში მუდამ ასე
 სჩვევია ადამიანთა ბუნებას ახალ
 გამოგონებათა მოპოვება. ეს საბი-
 რები იყენებენ ზღუდის მანქანას
 არა ისე, როგორც, ამას ჩვეულებ-

οὐχ ἤπερ εἰδῆται, ἀλλὰ καινουρ-
 γήσαντες ἐτέρω τῷ τρόπῳ. οὐ γάρ
 δοκοῦς ἐς τὴν μηχανὴν ταυτην, οὐκ
 ὀρθῶς, οὐκ ἐγκαρσῶς ἐμβέβλη-
 νται, ἀλλὰ ῥάβδους παχεῶς τινὰς
 ἐς ἀλλήλας ξυμβέοντες, καὶ αὐτὰς
 ἀντὶ τῶν δοκῶν πανταχόθι ἐναρ-
 μοσάμενοι, βύρσαις τε τὴν μηχαν-
 ῆν καλύψαντες ἕλην τὸ τοῦ κρισῶ
 διεσώσαντο σχῆμα, μίαν δοκὸν
 μόνην, ἤπερ εἴθισται, κατὰ μέσην
 τὴν μηχανὴν ἀναρτήσαντες χαλα-
 ραῖς τισιν, ἥσπερ τὸ ἄκρον εἴς
 γεγεννημένον καὶ σιδήρῳ περικα-
 λυφθὲν ὡσπερ βέλους ἀκτὴς ἐμελλε
 συχᾶ κατὰ τοῦ περιβόλου ἐμ-
 βάλλεσθαι. οὕτω δὲ κοφῆν τὴν
 μηχανὴν ἀπειργάσαντο, ὥστε οὐ-
 κέτι αὐτὴν πρὸς ἀνδρῶν τῶν ἐνδον
 ὄντων ἐφέλκεσθαι ἢ διασπείσθαι
 ἀναγκαιὸν ἐγένετο, ἀλλ' ἀνδρες
 τεσσαράκοντα, εἴ καὶ τὴν δοκὸν
 ἀνασπυροῦν τε καὶ κατὰ τοῦ περι-
 βόλου ἐμβάλλεσθαι ἐμελλον, ἐνδον
 τῆς μηχανῆς ὄντες καὶ ὑπὸ τῶν
 βύρσων καλυπτομένοι. ἔφερον
 τὸν κρισὸν ἐπὶ τῶν ὤμων
 οὐδενὶ π.ν.φ. τρεῖς μὲν οὐ-
 τοι οἱ βέρβαροι μηχανὰς τοιαύ-
 τας ἐργάσαντο, τὰς δοκοῦς ξὺν
გან საშუალება არ ჰქონდა დაე-
ძლია მოპირდაპირე, უკან წაიყვა-
ნა ჯარი და მაშინვე გაემართა
არქეოპოლისის წინააღმდეგ იმ
განზრახვით, რომ ალყა შემოერ-
ტყა მისთვის. ზღუდე რომ მოსინ-
ჯა და ვერაფერს გახდა, კვლავ
გამობრუნდა. რომაელები კი გა-
ბრუნებულ მტერს დაედევნენ და
ერთ ძნელსავალ ადგილას მრავალი
ამოჟლიტეს; მათ შორის საბირთა
მთავარიც აღმოჩნდა მოკლული,
და გვამის გარშემო რომ ცხარე
ბრძოლა გაიმართა, ბოლოს სპარ-
სელებმა, შეზინდებისას, სძლიეს

¹) ამით თავდება პროკოპის საისტორიო თხზულებაში მოთხრობა ბიზანტიე-
ლებსა და სპარსელებს შორის წარმოებული ომის შესახებ. პროკოპის მიერ აქ
შეწყვეტილ მოთხრობას განაგრძობს ისტორიკოსი აგათიას თავისი „ისტორი-
ბის“ II, 19-დან: «ხოლო სპარსელთა სარდალი მერმეროე, მის შემდეგ რაც მან
ორჯერ მიიტანა იერიში არქეოპოლისზე და უკუქცეულ იქმნა და სხვა რამეც
მოიმოქმედა, რასაც მე უკვე აღარ შევხები, ვინაიდან პროკოპი რიტორის მიერ
აქამდე საკმაოდ სრულად არის აღწერილი, – კვლავ მოვიდა მუხირისსა და ქო-
თაისის ციხეში: მიზანშეწონილად დავინახე აქიდან დამეწყო ჩემი მოთხრობა»
(D i n d o r f HGM II, 211). – ²) κοταῖς K, κουταῖς L. – ³) μουχειρησιον L.

პაკური, პერანის¹ ძე.

[VIII 26. 552 წლის ზამთარში სამხრეთ იტალიაში ქალ. კროტონის მცხოვრებლები მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნენ გუთების შემოტევის გამო, რომელთაც ქალაქს ალყა შემოარტყეს. იუსტინიანე მეფემ რომ ეს გაიგო, თერმოპილეში მდგარ რაზმებს უბრძანა იტალიისაკენ გაეცურათ. გუთებმა რომ ბერძნეთ მომდგარი ფლოტი დაინახეს, შეეშინდათ, ალყა მოხსნეს და გაიქცენ, და საერთოდაც სულით დაეცენ.]

¹⁾ პერანი (ფირანი), გურგენ მეფის უფროსი ძე, წავიდა იბერიიდან მასთან და დიდებულებთან ერთად 523 წელს, როდესაც იბერია სპარსელებმა დაიჭირეს, ჯერ ლაზიკეში და შემდეგ ბიზანტიაში (BP I 12, იხ. ზემოთ გვ. 23) და ამის შემდეგ ის იბერიაში არ დაბრუნებულა: ბიზანტიის სამხედრო სამსახურში შევიდა და საპასუხისმგებლო თანამდებობებსა და დავალებებს ასრულებდა. პროკოპი კესარიელი მის შესახებ შემდეგ ცნობებს გვაწვდის:

535 წელს გუთების წინააღმდეგ გაგზავნილ სამხედრო ძალებში ყველაზე უფრო «წარჩინებული მეთაურები იყვნენ კონსტანტინე და ბესსა, თრაკიელები, პერანი იბერიიდან – მიდიელთა მახლობლად რომ არის, – იბერიელთა სამეფო გვარის წევრი, რომელიც სპარსელებისადმი მტრობის გამო ამასწინათ (πρωτερον) რომაელების მხარეზე გადმოვიდა...» (BG V, 5: Haury II 25);

537 წელს «ბესსა და პერანი მეტად შეავიწროვა ვიტიგისმა ვივარიონთან და იმათ დახმარება სთხოვეს ველიზარის (BG V, 23: Haury II 114);

537 წელსვე «პერანიმ რამდენიმე რომაელით იერიში მიიტანა მტერზე სალარიის კარიდან და გუთები გააქცია» (BG VI, 1: Haury II 51);

539 წელს «ველიზარიმ ურბიზენტუსისკენ გააგზავნა პერანი ჯიბდალი ჯარით, ალყის შემოსარტყმელად. თვითონ კი ურბინუსის წინააღმდეგ წაიყვანა ჯარი» (BG VI, 19: Haury II, 232). მალე თვით ველიზარიც გაჩნდა ურბიზენტუსთან თავისი ჯარით, «ვინაიდან პერანი თხოვდა ამას; პერანის გაეგო მტრის ბანაკიდან გამოქცეულთა საშუალებით, ალყაშემორტყმულ გუთებს სურსათი შემოაკლდათო, და იმედი ჰქონდა, რომ თუ სურსათის ნაკლებობას ისიც დაემატებოდა, რომ ველიზარის და მთელ მის ჯარს თვალწინ დაინახავდენ, უფრო ადვილად დანებდებოდენ. და მართლაც ასე მოხდა» (BG VI, 20: Haury I 236);

543 წელს პერანი უკვე აღმოსავლეთის ფრონტზეა. მარტიროპოლის რაიონ-I ში, ფისონის სიმაგრის მახლობლად მდგომ რომაულ ჯარში იყვნენ «იუსტე, მეფის ძმისწული, და პერანი» და სხვები; «იუსტეს და პერანის რაზმები შეიჭრენ ტარავნონთან მდებარე სოფლებში და ზოგიერთი მათგანის დარბევის შემდეგ მაშინვე უკან გამობრუნდენ» (BP II, 24 და 25; იხ. ზემოთ გვ.61);

544 წელს პერანი ბიზანტიელთა ჯარში იმყოფებოდა ქალ. ედესაში, რომლისთვისაც სპარსელებს ალყა ჰქონდათ შემორტყმული. როდესაც ბიზანტიელებმა ხოსროსთან მოსალაპარაკებლად დესპანი გააგზავნეს, «ხოსრო არ დათანხმდა იქიდან წასულიყო მანამდე, სანამ რომაელები მას არ გადასცემდენ პეტრესა და პერანის, რომლებიც – ამბობდა ის – მისი მამაკაპული მონები იყვნენ და გაბედეს

Καὶ ἀπ' αὐτῶν Ῥάγναρις τε, Γότθος ἀνὴρ δόκιμος μάλιστα, οὗτος ἐν Ταρραντηνοῖς φυλακτηρίου ἦρχε, καὶ Μόρας, ὅσπερ ἐφειστήκει τοῖς ἐν Ἀχεροντίᾳ φρουροῖς, Πακουρίῳ τῷ Περανίου τῶν ἐν Δρουσινι Ῥωμαίων ἄρχοντι, γνάμῃ τῶν σφίσιν ἐπομένων,

ამის გამო რაგნარიმ, ფრიად წარჩინებულმა გუთმა, რომელიც ტარენტოში მდგომ მეციხოვნეთ მეთაურობდა, და მორამ, რომელიც აქერონტიის მცველ რაზმს ხელმძღვანელობდა, თავიანთი ჯარისკაცების სურვილისამებრ, მოლაპარაკება გამართეს პაკურისთან ¹,

მის წინააღმდეგ მოქმედება» (BP II, 26; იხ. ზემოთ გვ. 62).

544 წელსვე «პერანი მრავალი ჯარისკაცითურთ და ზოგიერთი ედესელითურთ გამოვიდა ბრძოლით, გამარჯვა კიდევაც და განდევნა მტერი» (BP II, 27). რამდენიმე ხნის შემდეგ, იმავე 544 წელს, «გარდაიცვალა რომაელთა ორი სტრატეგოსი: იუსტე, მეფის ძმისწული, და პერანი იბერიელი; იუსტე გარდაიცვალა ავადმყოფობისაგან, ხოლო პერანი ნადირობის დროს ცხენიდან გადმოვარდა და სული აღარ აჰყოლია» (BP II, 28; იხ. ზემოთ გვ. 63).

პერანის ნათესავთაგან, გარდა მისი ძის პაკურისა, რომლის შესახებ იხ. ორი მომდევნო შენიშვნა, პროკოპი იხსენიებს კიდევ მის ძმისწულს ფაზას (Φαζα). ასე, 542 წელს იუსტინიანემ იტალიის პრეტორთ-ეპარქოზად (praefectus praetorio) დანიშნა მაქსიმინე. «თან მისცა მას ფლოტი, რომელიც შეიცავდა თრაკიელებისა და არმენიელებისაგან შემდგარ ჯარს: თრაკიელებს მეთაურობდა ჰეროდიანე, ხოლო არმენიელებს ფაზა იბერიელი, პერანის ძმისწული» (BG VII, 6: H a u r y II, 322). ეს ფაზა სხვებთან ერთად გააგზავნა მაქსიმინემ იმავე წელს ნეაპოლის დასახმარებლად. აქ მათ ცუდი ამიდი შეხვდათ, ზღვაზე ამოვარდნილმა ქარიშხალმა მთლად დაქსაქსა რომაელთა ხომალდები, ისე რომ გუთებმა (ტოტილას მეთაურობით) ბევრი მათგანი ხელთ იგდო. ჰეროდიანემ და ფაზამ ნაპირზე გამოსვლა მოასწრეს და ტყვეობას გადარჩენ (BG VII, 7: H a u r y II 326). – 547 წელს, როდესაც ველიზარი ტარენტოს წინააღმდეგ გაემართა, ფაზა (ველიზარის მეშუბე ბარბატიონთან ერთად) ცხენოსანთა რაზმს სარდლობდა, ველიზარის ჯარმა ამ ბრძოლაში გამარჯვა გუთებზე. გამარჯვებით გათამამებულმა ბიზანტიელებმა აღარ იფიქრეს თავიანთ მომავალზე და უწესრიგოდ დაიწყეს ხეტიალი ადგილობრივ მიდამოებში სურსათის საძებრად. ამასობაში კი ტოტილამ ახალი ძალები მიაშველა დამარცხებულ გუთებს, რომლებმაც იერიში მიიტანეს დაქსაქსულ და მიმოფანტულ ბიზანტიელებზე. «ფაზამ დროს კარავში იყო მახლობლად და იშვიათი სიმამაცით დაუხვდა მტრებს, ისე რომ ბევრი მათგანი კიდევ აოტა. მაგრამ თვითონ მთელი თავისი რაზმით ამ შეტაკების დროს დაიღუპა; ძალიან სამწუხარო იყო ეს რომაელებისათვის, რადგან მთელი მათი იმედები ამათზე, როგორც საუკეთესო მებრძოლებზე, იყო დამყარებული» (BG VII, 28: H a u r y II 422).

¹) ეს პაკური, პერანის ძე, იხსენიება ჯერ კიდევ 547 წელს, როდესაც «იუსტინიანე მეფემ მიზანშეწონილად დაინახა ახალი ჯარი გაეგზავნა გუთებისა და ტუტილას წინააღმდეგ... სახელდობრ, პირველ რიგში გააგზავნა მან მცირეოდენი ჯარით პაკური, პერანის ძე, და სერგი, სოლომონის ძმისწული» (BG VII 27: H a u r y II, 417).

ἐς λόγους ἦλθον, ἐφ' ἧ δὴ ἀμφὶ
 τῆς σωτηρίας τὰ πιστὰ πρὸς Ἰου-
 στιανοῦ βασιλέως λαβόντες Ἑω-
 μίαις σφᾶς αὐτοὺς ἐγχειρίσουσι
 ξὺν τοῖς ἐπιμένοις καὶ τὰ ἔχυ-
 ρώματα, ὅνπερ ἐπὶ τῆς φυλακῆς
 καταστάντες ἐτύγγανον. ἐπὶ ταύ-
 τη μὲν οὖν τῆς ἔμολογίας Πακοῦ-
 ριος ἐπὶ Βυζαντίου κηρύσσεται
 (Haury II 629, 17—630, 3).

პერანის ძესთან, რომელიც დრიუნ-
 ტში მდგომ რომაელებს მეთაუ-
 რობდა, და აღუთქვამდენ, თუ იუს-
 ტინიანე მეფისაგან ხელუხლებლო-
 ბის პირობას მივიღებთ, დავნებ-
 დებით ჩვენი ჯარისკაცებითურთ
 და იმ ციხეებსაც გადავსცემთ, რო-
 მელთაც ჩვენ ვიცავთო. და, აი, ამ
 პირობის დასადასტურებლად გაემ-
 გზავრა პაკური ბიზანტიონში ¹.

DE AEDIFICHS.

ჭანეთი.

Τὰ δὲ δῆ, κατὰ τὰ Τζάνων
 ἔμνη ἀναγράφασθαι μετ' ἐνταῦθα
 τῆς λόγου οὗ τι ἀπὸ τρόπου
 ἔδοξεν εἶναι, ἐπεὶ καὶ πρόσκαιροι
 Ἀρμενίοις εἰσίν. ἀυτόνομοι μὲν
 Τζάνοι ἐκ παλαιῶν καὶ ἀναρχοὶ
 ὄντες, φηράσθη τινὰ βιοτικὴν ἔχον-
 τες, θεοὺς μὲν τὰ τε ἄλση καὶ

III 6. მგონია, უადგილო არ იქ-
 ნებოდა აღმეწერა აქ ჭანთა ტო-
 მები, ვინაიდან ისინიც არმენიელ-
 თა მეზობლები არიან. ჭანები ძვე-
 ლითგანვე თვითთავადნი იყვნენ
 და არავის არ ემორჩილებოდენ
 და რაღაც ველურ ცხოვრებას ეწე-
 ოდენ; ღმერთებად ჭალებს, ფრინ-

¹) რაგნარიმ კიდევაც მიაღწია მიზანს: «მეფის დასტურით მან მიიღო პა-
 კურისაგან ხელუხლებლობის რწმუნება და შეჰპირდა რომაელთა მხარეს გადმო-
 ვალო და ამ თანხმობის ნიშნად ექვსი გუთი გაუგზავნა მძევლებად. მაგრამ რო-
 დესაც გაიგო გუთებს მეფედ ტეია დაუყენებიათ და მას დასახმარებლად ფრანგე-
 ბი მოჰყავს და მთელი ჯარით მტრის წინააღმდეგ გამოლაშქრებას აპირებსო,
 შეიცვალა გეგმა და დაპირების შესრულება აღარ მოისურვა. ხოლო სწადა
 მძევლები უკან მიეღო და შემდეგი ხერხი იხმარა. პაკურის შეუთვალა რამდენიმე
 რომაელი ჯარისკაცი გამომიგზავნე, რომ იმათი დახმარებით შესაძლებელი გახ-
 დეს დრიუნტში მივიდეთ და იქიდან იონიის ზღვით ბიზანტიონისკენ გავემგზავ-
 როთო. პაკურიმ, რომელიც სრულიად ვერ მიმხვდარიყო ამ კაცის ზრახვებს, გაუ-
 გზავნა მას ორმოცდაათი კაცი. რაგნარიმ ისინი მაშინვე დაატყვევა, პაკურის კი
 შეუთვალა, თუ გსურს შენი ჯარისკაცები ცოცხლები გაადარჩინო, გუთთა მძევ-
 ლები უნდა დამიბრუნო უკანო. ეს რომ მოისმინა პაკურიმ, დრიუნტის დასაცავად
 მცირეოდენი ჯარი დასტოვა და მთელი დანარჩენი ჯარით მაშინვე გაემართა
 მტრის წინააღმდეგ. რაგნარიმ უყოყმანოდ მაშინვე მოკლა ის ორმოცდაათი რო-
 მაელი და მტრის დასახვედრად გაიყვანა ტარანტოდან გუთები. როდესაც ისინი
 ერთმანეთს შეებნენ, გუთები დამარცხდენ» (BG VIII,34: H a u r y II, 668).

ὄρνις καὶ ἄλλα ἅττα ζῶα ἡγορούμενοί τε καὶ σέβοντες, ἐν ὄρεσι δὲ οὐρανομήκεσιν τε καὶ ἀμφιλαφῆσιν τὸν πάντα αἰῶνα διαίτην ἔχοντες, γῆν δὲ οὐδαμῆ γεωργοῦντες, ἀλλὰ ληστεύοντές τε καὶ τοῖς φωρίοις δει ἀποζῶντες. αὐτοί τε γὰρ ἀμελέτητοί εἰσιν ἐργάζεσθαι γῆν καὶ ἡ χώρα σφίσι, ἐνθα δὲ μὴ ὄρη τὰ γε ἀποτομώτατα περιβέβληται, λοφώδης ἐστίν. οὐ γήλοφοι δὲ εἰσι τὰ ἐπανεστηκότα τῆς γῆς οὐδὲ γεώδη οὐδὲ οὐλα καρποὺς ἀφεῖναι, εἴ τις αὐτῶν ἐπιμελίτο, ἀλλὰ τραχέα τε ὑπερβαλλόντως καὶ σκληρὰ ὑπεράγαν καὶ καρπῶν ἀπάντων δεινῶς ἀφορα. καὶ οὕτε ἀρόται τὴν γῆν οὕτε ἀμήσασθαι λήσιον οὕτε λειμῶνι ἐντοχεῖν ἐνταυθὰ πη δυνατὰ γίνεται, ἀλλὰ καὶ τῶν δένδρων, οἷσπερ ἡ Τζανική τέθηλεν, ἀκάρποις τε οὖσιν καὶ ἑλῶς ἀγονοῖς, ἐπεὶ οὐδὲ ἀλλήλους ἐκδέχονται καιροὶ ἐκ τοῦ ἐπιπλεῖστον, οὐδὲ νῦν μὲν ἡ γῆ τῆς ἄρας ἕγρη τε καὶ ψυχρῶ βάλλεται, νῦν δὲ ὁ δὲ αὐτὴν ἡ τοῦ ἡλίου φέρμη ὀνίγησιν, ἀλλὰ χειμῶνι τε ἀπεράντω ξυνόπισται ἡ χώρα καὶ χιόσιν αὐδῆσις κατάρρυστος ἐστίν. διὰ ταῦτα μὲν αὐτόνομοι τὸ παλαιὸν οἱ Τζάνοι ἐβίουσαν, ἐπὶ τοῦτου δὲ Ἰουστινιανοῦ βασιλεύοντος ἡττηθῆσαν τε Ῥωμαίων τῆ μάχῃ, Τζῆττα στρατηγούσης Ῥωμαίων, καὶ τὴν ἀγώνισιν ἀπογόντες ἐνθὺς προσεχώρησαν αὐτῶ

ველებსა და სხვა რაღაც ცხოველებს ისახავდენ და თაყვანს სცემდენ, ყოველთვის ცათმზჯენსა და უზარმაზარ მთებში ცხოვრობდენ, მიწას კი არასდროს არ ამუშავებდენ, არამედ მუდამ ყაჩაღობითა და ქურდობით გაჰქონდათ თავი. თვითონ ხომ არ ზრუნავენ იმაზე, რომ მიწა დაამუშავონ, და მიწაც მათ იქ, სადაც დაქანებული მთები არაა ჩამოშვებული, ხნარცვიანი აქვთ. ბორცვები კი არაა, მიწაზე აღმართული, არც მიწისებური, არც ნაყოფის მოცემა შეუძლია მას, კიდევაც რომ იზრუნონ ამაზე მცხოვრებლებმა, არამედ უმეტესწილ ხრიოკი და სრულიად მწირი და ყოველგვარ ნაყოფიერებას მოკლებული ადგილებია ეს. აქ არც მიწის მოხვნაა რამენაირად შესაძლებელი, არც ნათესის მოშვება და არც თიბვა; ხეებზედაც კი, რომლებიც ჭანეთში ჭარბადა, ყვავილი არ გამოდის (ისინი სრულიად უნაყოფონი არიან), ვინაიდან იმთავითვე არც წელიწადის დროები ენაცვლებიან ერთმანეთს; ამჟამადაც მიწას წელიწადის დროის შესაფერისი ტენიანობა და სიცივე არ ხვდება, არც მზის სითბო ესაღმუნება: მთელი ქვეყანა დაუბოლოვებელი ზამთრის ხვედრი გამხდარა და მუდმივი თოვლით მოფენილა. ამის გამო ჭანები ძველად თვითთავადად ცხოვრობდენ. იუსტინიანეს მეფობის დროს კი ისინი დამარცხდენ რომაელებთან ბრძოლაში – რომაელებს ჭიტტა

ἀπαντες, πρὸ τῆς ἐπιχειρήσεως
ἐλευθερίας τὴν ἀπονοὴν δουλείαν
ἐλόμενοι σφίσι. καὶ τὴν τε ὁδὸν
ἐπὶ τὸ εὐσεβὲς ἀντίκα μετέθεντο
ἀπαντες Χριστιανοὶ, γεγεννημένοι
τὴν τε διαίταν ἐπὶ τὸ ἡμε-
ρωπτερον μεθηρμόσαντες, ληστειᾶς
μὲν ἀφέμενοι πάσης, τοῖς δὲ
Ῥωμαίοις σαστρατεύοντες, ἐπὶ
πλησίον αἰ τοὺς σφετέρους
ἰοῦσι. θεῖσας δὲ Ἰουστινιανὸς βα-
σιλεὺς μὴ ποτε Τζάνοι μεταπα-
ρευσάμενοι τὴν διαίταν αὐτοῖς τὰ
σφέτερα ἦδη ἐπὶ τὸ ἀγρωπτερον
μεταστρέψωνται ἐπεινεῖ τοιαῦτα.

Δύσσοδος ἦν ἡ Τζανική λίαν
καὶ ἀφιππις ὁλως, κρημνοῖς τε
πανταχόθεν καὶ χώροις περιέκ-
λεισμένη ἐκ τῶν ἐπὶ πλείστον
βλάσθεσιν, ἡπὲρ μ.μ. εἴρηται. καὶ
ἀπὸ αὐτοῦ Τζάνοις ἐπιμύγνυσθαι
τοῖς πλησιοχώροις ἀμηχα-
νον ἦν, ἀλλὰ κατὰ μόνως
ἐν σφίσι αὐτοῖς ἀπηγριωμένοι
μηνρίων τρόπον τὴν διαίταν εἶχον.
τὰ τοῖσιν δένδρα ἐκτεμῶν ἀπαν-
τα, οἷσπερ τὰς ὁδοὺς ξυμβαινε
ξυμποδίζεσθαι, καὶ τὰς ἐκείνη
δυναχωρίας μεθαρμύσασμενος, ἐμπε-
τεῖς τε αὐτὰς καὶ ἰππασίμοις κα-
ταστρεφάμενος, ἐπιμύγνυσθαι αὐ-

სარდლობდა, – დაჰყარეს იარაღი
და ყველანი პირდაპირ მიეკედ-
ლნენ მას: ნაცვლად სახიფათო
თავისუფლებისა იოლი მონობა
აირჩიეს. თავის სარწმუნოებაც
გადასცვალეს მაშინვე სათნო სარ-
წმუნოებაზე და ყველანი ქრისტიან-
ები გახდნენ, თავისი მკაცრი ცხოვ-
რებაც უფრო ფაქიზად აქციეს,
თავი გაანებეს ყოველგვარ ყაჩა-
ლობას და რომაელებთან ერთად
ლაშქრობენ ხოლმე მუდამ თავიან-
თი მტრის წინააღმდეგ ¹. მაგრამ
რადგან იუსტინიანეს ეშინოდა,
რომ ჭანებს არ გადაეხვიათ ოდეს-
მე ამ წესიერი ცხოვრების გზისათ-
ვის და კვლავ არ დაბრუნებოდნენ
თავიანთ ველურ ცხოვრებას, მან
მოისაზრა შემდეგი.

ძნელსავალია ჭანეთი ფრიად,
ცხენოსანი სრულიად ვერ გაივ-
ლის იქ, ვინაიდან ყოველგნით
მორკალულია უმეტესწილ კლდიანი
და ტყიანი ადგილებით, როგორც
უკვე ვთქვი. ამის გამო ჭანებს არ
ეხერხებათ ურთიერთობა იქონიონ
მეზობლებთან და კარჩაკეტილად
გაველურებულნი ცხოვრობენ მსგავ-
სად მხეცებისა. ამიტომ იუსტინიან-
ემ გააჩეხინა მთლიანად ხეები,
რომლებიც გზაზე ელობებოდა
ადამიანს, შეაკეთა იქაური ძნელ-
სავალი ადგილები და ისინი ად-
ვილსავალ და საცხენო გზებად
აქცია, და ამრიგად შესაძლებელი

¹) ჭანების საბინადრო ადგილების, მათი ყოფა-ცხოვრებისა და ბიზანტიელ-
თა მიერ მათი დამორჩილების შესახებ პროკოპის მოთხრობილი აქვს აგრეთვე
დაწვრილებით BP I, 15 (იხ, ზემოთ გვ. 95 შდ.).

τούς κατὰ ταῦτά τῆς ἄλλοις ἀνθρώποις καὶ προσχωρεῖν τῇ ὁμιλίᾳ τῶν πλησιοχώρων πεποιήκειν. ἔπειτα δὲ αὐτοῖς ἐκκλησίαν ἐν χωρίῳ Σκαμαλινίων¹ καλουμένῳ δειμάμενος, ἰερασθῆναι τε διεπράξατό καὶ μυστηρίων μεταλαμβάνειν λιταῖς τε τὸν θεὸν προσεῖναι, καὶ τὰ ἄλλα ἐξοσιῶσθαι, συνιέντες ὡς ἄνθρωποι εἶεν. καὶ φρούρια δὲ οἰκοδομησάμενος πανταχόθεν τῆς χώρας φρούριός τε ἐνταῦθα Ῥωμαίων στρατιωτῶν ἰδρυσάμενος βεβαίωτατα, Τζάνους ἐς τοὺς ἄλλους ἀνθρώπους τὰς ἐπιμιξίας ἀκωλύτους πεποιήκειν. ἔπει ποτὲ δὲ Τζανικῆς τὰ φρούρια ταῦτα ἐδείματο, ἐρῶν ἐρχομαι.

Χώραν ἐνταῦθά τινα ἐς τρῶδον ἀποκεκριμένην ἔπιβαίνει εἶναι. Ῥωμαίων τε γὰρ καὶ Περσαρμενίων τὰ ἔρια καὶ Τζάνων αὐτῶν τῆδε ἀρχαῖα ἐνιένδε βιασχεδάννυται. ἐνταῦθα φρούριον ἐχρῶντατον, οὐ πρότερον ἢ ὄνομα Ὀρονῶν, ἐξείργασται, κωλύειν αὐτὸ τῆς εἰρήνης πεποιημένος. ἐνθεν γὰρ τὰ πρῶτα Ῥωμαίοις ἢ Τζανικῆ ἐσβατὴ γέγονεν. οὐ δὲ καὶ ἀρχοντα στρατιωτῶν κατεστήσατο, ὃν δεῦκα καλοῦσιν, ἐν χωρίῳ δὲ ὁδῷ ἡμέραιν δυατῶν Ὀρονῶν διέχοντι, οὐ δὲ Τζάνων τῶν Ὀκενιτῶν καλουμένων τὰ

გახადა ჭანების დაახლოვება დანარჩენებთან და ურთიერთობის დაჭერა მეზობელ მცხოვრებლებთან. შემდეგ კი აუშენა მათ ეგრეწოდებულ სქამალინიქონში ეკლესია და ბრძანება გასცა ეკურთხათ იგი, მიეყოთ ხელი მღვდელმსახურებისათვის, ედიდებინათ ღმერთი ლოცვებით და სხვა ყოვილგვარი საღმრთო ვალი გადაეხადათ და, ერთი სიტყვით, ეცხოვრათ, როგორც გონიერ ადამიანებს, გარდა ამისა მთელ ამ ქვეყანაში ციხე-სიმაგრეები ააგო და მუდმივ მცველებად ჩააყენა იქ რომელიმე ჯარისკაცები და, ამრიგად, შესაძლებელი გახადა ჭანებისათვის დანარჩენ მცხოვრებლებთან დაუბრკოლებელი კავშირი ჰქონოდათ. თუ სად ააშენა მან ჭანეთის ციხე-სიმაგრეები ოდესღაც, ახლავე ვიტყვი.

აქ ქვეყანა სამ ჯვარედინ გზად არის გასერილი. აქიდან იწყებენ ხომ გაყრას რომელთა, პერსარმენიელთა და თვით ჭანთა საზღვრები. აქ იუსტინიანემ ძალიან მტკიცე ციხე ააგო, რომელიც წინათ არ ყოფილა, სახელად ჰორონონი, და ამით საფუძველი ჩაუყარა ზავის საქმეს. პირველად ხომ აქიდან გახდა შესაძლებელი ჭანეთში შესვლა; აქვე ჩააყენა ჯარის მთავარი, რომელსაც დუკს ეძახიან. ერთს სოფელში, რომელიც ჰორონონისაგან ორი დღის სავალი გზით არის დაშორებული და სადაც საზღვრებია ეგრეთწოდებული

¹) σκαμαλινίων Α.

ὄριά ἐστιν (ἐπεὶ ἐξ ἕθνη πολλὰ
 δικέκρινται Ἰζάνοι), ἐνταῦθα τι
 ὄχρωμα πεποιημένον ἦν τοῖς
 πάλοι ἀνθρώποις, ἐρείπιον ἴδη
 πολλῶ πρότερον τῷ ἀπημελήσθαι
 γεγενημένον, Χαρτῶν ὄνομα. ὑπερ
 ἀνανεωσάμενος Ἰουστινιανὸς βα-
 σιλεύς ἐνοικεῖν τε ἀνθρώπων ἐν-
 ταῦθα διεπράξατο μέγα τι χρέμα
 καὶ τὰ ἐς τὴν εὐκωσίαν τῆ χάρις
 φρουρεῖν. τῷ δὲ ἐνθίνδε ἰόντι
 πρὸς ἀνίσχοντα ἦλσον φάραγξ ἐστὶ
 κρημνῶδης, κατατείνουσα μέχρι
 ἐς τὰ πρὸς βορρᾶν ἀνεμον ὡς δὴ
 φρουρεῖν, Ἰαρχῶν ὄνομα, ἐδεί-
 ματο νέον. ἐπέκεινα δὲ κατὰ τοῦ
 ὄρους τὴν ὑπώρειαν ἐπαύλει εἰ-
 σιν, ἵνα δὴ οἱ Ἰζάνων τῶν Ὠκε-
 νιτῶν καλυσμένων βίβας ἀνλιζονται,
 ὡςπερ ἐκτρέφουσιν οὐ τοῦ ἀροῦν
 τὴν γῆν ἔνεκα, ἐπεὶ ἀργοί τε τὸ
 παράπαν οἱ Ἰζάνοι εἰσὶ καὶ γεωρ-
 γικῶν ἀλλότριον πόνων, ἤπερ μοι
 εἶρηται, καὶ οὐτε ἀρόματα ἐστὶν
 αὐτοῖς οὐτε ἄλλα τῆς γεωργίας
 διακονήματα, ἀλλὰ τοῦ γε γάλα
 ἐξ ἀεὶ βδᾶλλειν καὶ σιτίζεσθαι
 τῆς αὐτῶν κρέασι. μετὰ δὲ τοῦ
 ὄρους τὸν πρόπονδα, ὡς Κενὰ τὸ
 χάρις ἐν τῷ ὀμαλῶ ξυμβαίνει
 εἶναι, ἐνθίνδε τὶ ἰόντι ἐπὶ δόκοντα

ოკენიტის ჭანებისა (ჭანები ხომ
 მრავალ ტომებად განიყოფებიან),
 რაღაც სიმაგრე იყო, ძველად
 მცხოვრებთა მიერ აშენებული,
 რომელიც უკვე კარგა ხანია ნან-
 გრევებად ქცეულა მოუვლელობის
 გამო; მისი სახელია ქ ა რ ტ ო ნ ი.
 იუსტინიანე მეფემ ის განაახლა,
 ჩაასახლა იქ ხალხი კარგა ბლო-
 მად და დაავალა ამ ადგილის და-
 ცვა და მოვლა¹. იქიდან რომ მი-
 დიხარ აღმოსავლეთის მიმართუ-
 ლებით, ერთი კლდიანი ნაპრაღია,
 გადაჭიმული ჩრდილოეთისაკენ; აქ
 იუსტინიანემ ციხე ააგო, სახელად
 ბ ა რ ხ ო ნ ი². გადაღმა მთის ძირ-
 ში ბოსლებია, სადაც ეგრეთწო-
 დებული ოკენიტის ჭანების საქონე-
 ლია მოთავსებული, რომელსაც ჭა-
 ნები ინახავენ არა მიწის ხვნის
 დროს გამოსაყენებლად, ვინაიდან
 ჭანები სრულიად უქნარნი არიან
 და მათთვის მიწათმოქმედების სა-
 მუშაოები უცხოა, როგორც უკვე
 ვთქვი, და მათ არც ხვნა იციან
 და არც მიწათმოქმედების სხვა სა-
 ქმიანობა; საქონელს ისინი ინახავენ
 იმისთვის, რომ წველონ ხოლმე და
 მისი ხორციტ გამოიკვებონ თავი-
 შემდეგ მთის ძირისა, სადაც დავა-
 კებულ ადგილას სოფელი კ ე ნ ა

¹) ქარტონი (ხ ა რ ტ ო ნ ი) ბიზანტიისა და ჭანეთის საზღვარს დაშორებუ-
 ლია ორი დღის სავალ გზაზე. ეს კი ზედმიწევნით უდგება ბაიბურთის ჩრდილო-
 დასავლეთით მდებარე ხ ა რ ტ-ს (ქართულად „ღართი“; შდ. ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი-
 შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია I² გვ. 46), რომელიც ჭოროხის სათავეებთან
 დარაჯობს ჭანეთში მიმავალ გზას (Н. А д о н и, Армения в эпоху Юстиниа-
 на 62)ю

²) დ ა რ თ ი ს ჩრდილო-აღმოსავლეთით მართლაც გადაჭიმულია პარხალის
 მთები, რომლებიც უნდა იგულისხმებოდეს აქ ბარხონ-ის სახელწოდებით.

που τὸν ἦλιον, τὸ Σισιλιισῶν¹ ὄνομα φρούριον ἔστιν, ὅπερ ἐκ παλαιῶν μὲν πεποικημένον, ἔρημον δὲ διὰ χρόνου μῆκος γεγενημένον ἀνανεωσάμενος Ἰουστινιανὸς βασιλεὺς διαρχὴς Ῥωμαίων στρατιωτῶν, ὥσπερ καὶ τοῖς ἄλλοις ἀπασιν, φυλακτῆριον κατεστήσατο. ἔνθεν δὲ ἰόντι ἐν ἀριστερᾷ πρὸς βόρρᾶν ἀνεμον χῶρὸς τίς ἔστιν, ὅπερ καλεῖσιν οἱ ἐπιχώριοι Λογγίνου φοσσαῖον, ἐπεὶ Λογγίνος ἐν τοῖς ἀνω χρόνοις Ῥωμαίων στρατηγός, Ἰσαυρός γένος, στρατεύσας ἐπὶ Τζάνους ποτὲ τῆδε πεποίηται τὸ στρατόπεδον. ἐνταῦθα φρούριον ὁ βασιλεὺς οὗτος ὄνομα Βούργουσνόης² δεδημιούργηκεν, ἡμέρας ὀδὴ Σισιλιισῶν³ διέχον. ὅπερ Σισιλιισῶν³ φρούριον ἔστι καὶ αὐτὸ ἢ π' αὐτοῦ τοῦ βασιλέως, ὡς μικρὸν ἐρρήθη ἔμπροσθεν, ἐξείργασμένον βεβαίωςτατα. ἐνταῦθεν ὄρια τῶν Τζάνων τῶν

არის, დასავლეთის მიმართულებით რომ იარო, არის ერთი ციხე – სახელი მისი სისილისსონი⁴ – რომელიც ძველადვე აუშენებიათ, ხოლო დროთა ვითარებაში გაუკაცრიელებულა; იუსტინიანე მეფემ ის განაახლა და, როგორც სხვა დანარჩენ ციხეებშიაც, აქაც რომაელ ჯარისკაცთაგან შემდგარი საკმაროცხოვანი მცველი რაზმი ჩააყენა. აქიდან რომ მიდიხარ მარცხნივ ჩრდილოეთის მიმართულებით, არის ერთი ადგილი, რომელსაც ადგილობრივი მცხოვრებლები ლონგინეს თხრილს ეძახიან, რადგან წინა ხანებში რომაელთა სტრატეგოსი ლონგინე, ტომით ისავრიელი, ერთხელ ჭანების წინააღმდეგ რომ ულაშქრია, აქ დაბანაკებულა⁵. ამ ჩვენმა მეფემ აქ ააშენა ციხე, სახელად ბურგუსნოსი⁶, რომელიც სისილისსონიდან ერთი დღის სავალზეა. სისილისსონის ეს ციხე, როგორც

1) სისილიის V. – 2) ბურგუსნოის V, ბურგუსნოიკე A, Βουργουσνοβιας Haury. – 3) სისილიის V, სისილიის A.

4) სისილისსონის ციხე, როგორც პროკოპის სიტყვებიდან ჩანს, იუსტინიანეს განუახლებია; იქ ძველადვე ყოფილა ციხე, მაგრამ დროთა ვითარებაში გაუკაცრიელებულა. მართლაც Notitia dignitatum -ის მიხედვით არმენიის დუკის საგამგებლოში მოხსენებულია: Cohors miliaria germanorum, S i s i l i a (შდ. RE III A, 366).

5) ლონგინეს თხრილს ეწოდა ისავრიელი ლონგინეს სახელი, რომელიც ველიზარის დროს იბრძოდა ჭანების წინააღმდეგ. ეს იგივე ლონგინე უნდა იყოს რომელიც 530 წელს დარასთან იბრძოდა (შდ. RE XIII, 1494).

6) ბურგუსნოსი ანუ ჰაურის კონიექტურით ბურგუსნოვასი ლათინური სახელწოდება (burgus novus „ახალი ციხე“ „ახალი სიმაგრე“) უნდა იყოს და მოგვაგონებს Not dign.-ში არმენიის დუკის გამგებლობაში მოხენებულ Caene-preamble-ს; Cohors prima Lepidiana, Caene-Preamble (S e c k 85). ეს სახელწოდება ბერძნულია, καινη παρεμβολη რაც „ახალ ბანაკს“ ნიშნავს (შდ. RE III A, 366 და H. A. H. d. o. n. c. Армения в эпоху Юстиниана: 100).

Καξιλίων καλουμένων ἐσὶν· οὐ
 δὴ φρούρια νῦν πεποιήται δύο,
 τὸ τε Σχισμαλινίχων¹ καλούμενον
 καὶ ἑπερ Τζανζάκων ἐπονομά-
 ζουσιν· ἐνθα δὴ καὶ ἄλλον ἄρχον-
 τα στρατιωτῶν κατεστήσατο.
 (Haury III.2, 95—99).

ცოტა ზემოთ ვთქვი, ამავე მეფის მიერ არის მტკიცედ აშენებული. აქიდან ეგრეთწოდებულ კოქსილი-ნის ჭანთა საზღვრები იწყება. ამაჟამად იქ აგებულია ორი ციხე ერთი – ეგრეთწოდებული სქამალი-ნიქონი და მეორე – ის, რომელ-

საც ჯანზაკონს უწოდებენ. აქ იუსტინიანემ ჯარის მეორე მთავარიც ჩააყენა².

ლაზიკე.

Ταῦτα μὲν οὖν ἐν Τζάνοις
 Ἰουστινιανῷ βασιλεῖ εἴργασται.
 ἐν δὲ δὴ τῇ μετ’ αὐτοὺς χώρᾳ,
 ἢ παρὰ τὸν Εὐξείνον οἰκείται
 Πόντος, πόλις ἐστὶ που, Τραπε-
 ζοῦς ὄνομα· οὐ δὴ ἀπορίας ἕδᾶ-
 των οὐσῆς, ὄχετόν ἐτεκτῆγατο
 Ἰουστινιανὸς βασιλεὺς ἔνπερ
 Εὐγενίῳ καλοῦσι μάρτυρος, τας-

III 7. აი, ეს გააკეთა იუსტინიანე მეფემ ჭანეთში. მის შემდეგ, მდებარე მიწაწყალზე, რომელიც ევქსინის პონტოს გასწვრივაა, ქალაქია ერთ ადგილას, სახელად ტრაპეზუნტი. რადგან იქ წყლის ნაკლებობა იყო, იუსტინიანე მეფემ არხი გაიყვანა, რომელსაც ევგენი მოწამის სახელს ემახიან

1) σχισμαλινιχων V.

2) ამ თავში, რომელიც პროკოპიმ ჭანეთის აღწერას უძღვნა, დასახელებულია ჭანეთის რამდენიმე პუნქტი, სადაც ბიზანტიელებს, ჭანეთის დამორჩილების შემდეგ, ძველი ციხეები განუახლებიათ ან ახლები აუგიათ. ეს პუნქტებია: ჰორონონი, ქარტონი, სისილისონი (ან სისილიშონი), ბურგუსნოსი, სქამალინიქონი (ან სკამალინიხონი), ჯანზაკონი (ან ჭანჯაკონი), საგულისხმოა ის გარემოება, რომ ბურგუსნოსის გარდა, რომელიც ლათინურ სახელწოდებას (burgus novus) ატარებს, ყველა პუნქტი -ონ- სუფიქსიან სახელწოდებას წარმოგიდგენს; -ონიკი ჭანურში ზედსართავი სახელების ჩვეულებრივი სუფიქსია (იხ. H. M a p p, Γp. чан. яз. 73). მაშასადამე, საფიქრებელია, რომ ეს სახელწოდებანი ადგილობრივი წარმოშობისაა. რაც შეეხება ამ პუნქტების ლოკალიზაციას, ქ ა რ ტ ო ნ-ლართისა და ბ ა რ ხ ო ნ-პარხალის იგივეობა თითქოს უდავო უნდა იყოს, ხოლო დანარჩენების მოძებნა იქნებ შესაძლებელი გახდეს უფრო ზედმიწევნით, ვიდრე ეს ნ. ა დ ო ნ ც ს აქვს, როდესაც თავის ადგილას გავარჩევთ Notitia dignitatum-ში მოყვანილ პონტო-არმენიის დუკის საგამგებლო ტერიტორიას, სადაც ზოგიერთი ჩვენი პუნქტია (Sisila, Caene-Preamble) მოხსენებული. ვამბობ უფრო ზედმიწევნით, ვინაიდან ნ. ა დ ო ნ ც ი ს მიერ ზოგიერთი პუნქტისათვის მიცემული განმარტება აშკარა შეცდომას შეიცავს. ასე, მაგ., Not dign.-ში მოხსენებულ Ziggane-ს ნ. ადონცი ეძებს ჭანეთში, იმ დროს როდესაც კონტექსტი მიუთითებს გაცილებით უფრო ჩრდილო ტერიტორიას (შდ. H. A д о н ц, Армения в эпоху Юстиниана 60 – 65; ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქ. ერის ისტ, I², 47 – 48).

τη τε τήν ἀπορίαν τοῖς τῆδε
 φηκμένοις διέλυσεν. ἐνταῦθα δὲ καὶ
 τῆ Ἀμασειᾶ τὰ πλείστα τῶν ἱερῶν
 ἀνεγεώσατο, χρόνῳ πεπονηκότα πολ-
 λῶ. μετὰ δὲ τοὺς Τραπεζუნτίων
 ἔρους χωρίον ἐστὶ Ῥιζαίων ὄνο-
 μα, ὃ δὴ καινοῦργήσας αὐτὸς
 ὀχύρωμα περιβέβληκε λόγῳ τε
 καὶ ἀκοῆς κρείσσειν.

Καὶ φρούριον δὲ ἄκοδομήσατο
 ἐπὶ Ἀαζιῶν Λοσορίον ὄνομα, καὶ
 τοὺς ἐν τῇ χώρᾳ στεγαποὺς ἐτεί-
 χίσασατο, ὅσπερ Κλεισοῦρας καλεῖν
 νενομίχασιν, ὅπως δὴ ἀποκεκλει-
 σμένοι τῆς ἐπὶ Ἀαζιῶν εἰσόδου
 οἱ πολέμισι εἶεν. ἀλλὰ καὶ τῆν
 ἐν Ἀαζῶς τῶν Χριστιανῶν ἐκκλη-
 σίαν, ἀρχαίαν τε ὅσάν καὶ σα-
 φιστὴν τῇ οἰκοδομίᾳ γεγενημένην.

და ამით მან იქაური მცხოვრებ-
 ლების გაჭირებას ბოლო მოუღო.
 აქ და ამასიაშიაც განაახლა მან მე-
 ტი წილი საკურთხეველთა, რომ-
 ლებიც კარგა ხანია რაც დაზიანე-
 ბულა. ტრაპეზუნტელთა საზღვრე-
 ბის იქით ერთი სოფელია, სახე-
 ლად რიზე, რომელიც მან განაახ-
 ლა და ზღუდე-სიმაგრე შემოავლო,
 ისეთი ზღუდე, რომ ღირს მისი
 ხსენებაც და გაგონებაც.

ლაზიკეს მიწაწყალზეც ააგო ერ-
 თი ციხე, სახელად ლ ო ს ო რ ი ო -
 ნ ო ², და ამ ქვეყანაში ვიწრობე-
 ბიც გაამაგრა, რომელთაც, ჩვეუ-
 ლებრივ, კლისურებს ეძახიან, რა-
 თა მოწინააღმდეგენი ლაზიკეს შე-
 სავალში[ვე] ჩაეკეტათ. გარდა
 ამისა ქრისტიანეთა ეკლესიაც გა-
 ნაახლა ლაზიკეში, – ძველიც იყო
 და ნაგებობაც დაზიანებულიყო ³.

¹) რიζეον V.

²) თ. უსკენსკის აზრით აქ ხელნაწერი უნდა იყოს დამახინჯებული და
 Λοσοριον-ის ნაცვლად უნდა წავიკითხოთ Αψαριον რაც შემდეგდროინდელ გ ო -
 ნ ო ს ციხეს უდრისო (Ф. У с п е н с к и й, Старинная крепость на устье Чороха
 ИАН 1917, 163 – 169). მაგრამ ძნელი საფიქრებელია, რომ აქ ხელნაწერის შეც-
 დომა იყოს: იუსტინიანეს XXXI ნოველაში (იხილე ქვემოთ) მოხსენებულია ციხე,
 რომლის სახელწოდება Λυσυρις (Λυσιερας, Λουρισεας) ძალიან მოგვაგონებს პრო-
 კოპი ლოსორიონს. თუ ეს პუნქტები ერთი და იგივეა, მაშინ შეუძლებელია
 ორსავე შემთხვევაში ხელნაწერის შეცდომა ვიგულისხმოთ. გარდა ამისა იუსტინიანეს
 ნოველაში ლაპარაკია ისეთ პუნქტზე, რომელიც სკანდესა და სარაპანისთან ერთად
 სპარსელებს სჭერიათ და ბიზანტიელებს უკან დაუბრუნებიათ: ასეთი პუნქტი კი
 საგულისხმებელია ან სკანდე-სარაპანისის სასაზღვრო ხაზზე ან შიგნით ლაზიკეში,
 იქ, სადაც სპარსელ-ბიზანტიელთა საომარი ოპერაციები ხდებოდა (ამ რაიონში
 არის, მაგალითად, ნ ო ს ო რ ი, აბაშასა და ტეხურს შუა, რომლის მახლობლად
 მდებარეობენ საომარი ოპერაციებით საკმაოდ ცნობილი პუნქტები: სამხრეთით
 Νησοც-ი სულეთი, ხოლო ჩრდილოეთით Αρχαιοπολις-ნოქალაქევი; აქვე, სახარაის,
 გვიან საუკუნეებში იყო ციხე და სასახლე დადიანისა: ვ ა ხ უ შ ტ ი, გეოგრა-
 ფია 394 ბროს. გამ.).

³) დ ი უ ბ უ ა ს აზრით (Voyage, III 57, I 405) აქ უნდა იგულისხმებო-
 დეს არქეოპოლის-ნოქალაქევი დღემდე დაცული ეკლესია („ორმოცი მოწამის“).

საქართველოს მუზეუმის მოამბე, VIII.

ἀνεγενέσασα. οὕτω καὶ Πέτρων ἐν
 Λαζοῖς πόλιν ἀξιοθέατον κατεστή-
 σατο, ἥνπερ Λαζοὶ μὲν ἀβυσλί-
 τῆ ὀφετέρᾳ παρέδεισαν Πέρσαις,
 Χοσρόην ἐνταῦθα στρατῶν με-
 γάλῳ ἐπαγαγόμενοι, Ῥωμαῖοι δὲ
 Περσῶν καμυτέρτεροι τῷ πολέμῳ
 γενόμενοι καὶ τοὺς μὲν κτείναντες
 τοὺς δὲ δορυαλίτους πεποιημένοι,
 ἐς τὸ ἔδραρος τὴν πόλιν καθεῖλον,
 ὧς μὴ ἀσπίς οἱ βάρβαροι κακυσ-
 ργεῖν ἔχοιεν ἐνταῦθα ἴοντες,
 ἥπερ μοι ἅπαντα ἐν τοῖς ὑπὲρ
 τῶν πολέμων δεδηλωται λόγοις·
 ἵνα δὴ καὶ τοῦτό μοι δεδιήγηται,

აგრეთვე ღირსშესანიშნავი ქალა-
 ქი პეტრა დააფუძნა ლაზიკეში,
 რომელიც ლაზებმა თავიანთი უფუ-
 ნურებით სპარსელებს ჩაუდგეს
 ხელში და ხოსრო მისი დიდძალი
 ჯარითურთ შეიყვანეს იქ; ხოლო
 რომაელებმა სძლიეს სპარსელები
 ომში – ზოგნი დახოცეს, ზოგიერ-
 თები კი დაატყვევეს, – და ქალაქი
 მიწასთან გაასწორეს, რათა ბარ-
 ბაროსები იქ არ მისულიყვნენ და
 კვლავ არ მოეოხრებინათ იქაურო-
 ბა; ყველაფერი ეს ჩემ მიერ გან-
 მარტებულია ომების შესახებ
 დაწერილ წიგნებში; იქვე ისიცაა

პროფ. გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევით კი („К вопросу о Нокалакеви“:
 ტფ. უნივ. მოამბე, ტ. XI, 118 – 138) აქ ნოქალაქევი არ შეიძლება იგულის-
 ხმებოდეს, ვინაიდან ნოქალაქევის ეკლესია V საუკუნის შენობაა: არქიტექტურული
 რეალიები ამას ამტკიცებენო. მაგრამ გ. ჩუბინაშვილი არ არის მართალი, როდე-
 საც სწერს: Впрочем уже по контексту у П р о к о п и я следовало бы ис-
 кать какой-либо расположенный на черноморском побережье пункт, а не
 лежащее в глубине страны Николаеви – Археополис (I. с. 134). კონტექ-
 სტიდან ეს სრულიად არ გამომდინარეობს: მართალია, ამ მეშვიდე თავში მოხსენ-
 ნებული გეოგრაფიული პუნქტების უმრავლესობა შავი ზღვის ნაპირას მდებარეობს
 ტრაპიზონი, რიზი, პეტრა, სემასტოპოლი, ბიჭვინტა), მაგრამ აქვეა მოხსენებული
 ამასია და ლოსორიონი, რომლებიც შიდა ხმელეთში მდებარეობდნენ. არც ის შე-
 ნიშვნაა სამართლიანი, რომელშიაც გ. ჩუბინაშვილი (I. с. 134, შენ. 5) შესაძლებ-
 ლად თვლის, რომ აქ იგივე პუნქტი იგულისხმებოდეს, სადაც პროკოპის მიხედვით
 (BG VII, 3; იხ ზემოთ გვ. 105) იუსტინიანემ ღვთისმშობლის ტაძარი ააშენა
 ვინაიდან იქ გარკვევით აზაზგების ქვეყანაა დასახელებული, აქ კი ლაზიკე (პროფ.
 იულ. კულაკოვსკიც ფიქრობდა, რომ აქ მოხსენებული განახლება ეხება აფ-
 ხაზეთში არსებულ ტაძარს, მაგრამ იმასაც გამოეპარა ის გარემოება, რომ აქ, de
 aed. III 7, ლაზიკეზეა ლაპარაკია; მხოლოდ ლაზიკეს შენობათა აღწერის შემდეგ
 გადადის პროკოპი აფხაზეთში ჩატარებულ სააღმშენებლო სამუშაოებზე: «ლაზი-
 კიდან მეოტის ტბის მიმართულებით რომ მიდიხარ, ორი ციხე, სემასტოპოლი
 და პიტინტი...» Юл. Кулаковск и й, Где был построен имп. Юстиниа-
 ном храм для Авазгов? *Арх. изв. И заметки V* [1897] 33 – 37).

გ. ჩუბინაშვილის გამოკვლევით ნოქალაქევის პირველადი ბაზილიკა V საუ-
 კუნეშია აგებული; პროკოპიც აღნიშნავს, რომ აქ ძველი ეკლესია ყოფილა, ხოლო
 მისი ნაგებობა დაზიანებულა და იუსტინინეს იგი განუახლებია. და ვინაიდან
 ჩვენ ვიცით, რომ ნოქალაქევი ისეთ მწვავე ბრძოლებს ჰქონდა ადგილი, რომ სა-
 კვირველიც იქნებოდა ნოქალაქევის ციხის ძირში მდებარე შენობა არ დაზიანებუ-
 ლიყო, ამიტომ ბუნებრივია ვიფიქროთ, რომ V საუკუნეში აგებული ბაზილიკა

ὡς ἐν τῇ ἀντιπέρας ἡπίρειῳ ἐκ
 Λαζικῆς ἐπὶ τὴν Μαιώτιν ἰόντι
 λίμνην φρούρια δύο, Σεβαστοπό-
 λιν τε καὶ Πιτυοῦντα, καθεῖλον
 Ῥωμαῖοι, Χερσόην ἀκούσαντες
 στρατεύμα στέλλειν ἐνταῦθα διὰ
 σπουδῆς ἔχειν τοὺς <τε> τὰ
 φρούρια ταῦτα κατέξοντας, ἀλλὰ
 νῦν Ἰουστινιανὸς βασιλεὺς ταύτην
 δὴ τὴν Σεβαστοπόλιν ² ἀναγεω-
 σάμενος ξύμπασαν, καὶ τῶν μὲν πε-
 ριβέλω τοῖς τε ἄλλοις ὀχυρώμασι
 πεποιτημένους ἀνάλωτον, ταῖς δὲ
 ἀγυαῖς καὶ ταῖς ἄλλαις οἰκοδομίαις
 διακοσμήσας, τῶν τε κάλλει καὶ τῶν
 μεγέθει πόλιν τανῦν ἀξιολογώτατην
 ἐν τοῖς μάλιστα κατεστήσατο.

Καὶ μὴν καὶ Βοσπόρου καὶ
 Χερσῶν:ς πόλειων, ἀίπερ κατὰ
 τὴν ἐκείνη ἀκτὴν ἐπιθαλασσίδιαι
 μετὰ λίμνην τε τὴν Μαιώτιδα καὶ
 τοὺς Ταύρους καὶ Ταυροσκύθας
 ἐν ἐσχάτῳ οἰκοῦνται τῆς Ῥω-
 μαίων ἀρχῆς, πεπονηκότα παν-
 τάπασι τὰ τεῖχη εὐρών ἐς μέγα
 τι κάλλους τε καὶ ἀσφαλείας
 κατεστήσατο χρέμα.

τὰ μὲν οὖν γῆς τῆς ἐφ᾽ ἧς, ἐπι-
 μέντοι καὶ Ἀρμενίας καὶ Γζα-
 νικῆς ὀχυρώματα καὶ τὰ γε ἀμ-

მოთხრობილი, რომ გადაღმა ხმე-
 ლეთზე, ლაზიკიდან მეოტის-ტბის
 მიმართულებით რომ მიდიხარ,
 ორი ციხე, სებასტოპოლი და პი-
 ტიუნტი, დანაგრეს რომაელებმა,
 როდესაც გაიგეს, რომ ხოსროს იქ
 ჯარის გაგზავნა განეზრახა ამ
 ციხეების ასაღებად ¹. ახლა კი იუ-
 სტინიანე მეფემ მთელი ეს სება-
 სტოპოლი განაახლა, ზღუდისა და
 სხვა სასიმაგრო შენობათა წყალო-
 ბით უძლეველი გახადა ის და
 გაამშვენიერა ის გზებითა და სხვა
 ნაგებობებით, რის გამოც ის სი-
 ლამაზითა და სიდიდით ყველაზე
 უფრო ღორსშესანიშნავ ქალაქად
 იქცა.

ზღვის იმ ნაპირას, მეოტის-ტბის,
 ტავრების და ტავროსკვითების
 შემდეგ რომაელთა სახელმწიფოს
 უკანასკნელ ზღვრებში მდებარე
 ბოსფორისა და ქერსონის ქალაქე-
 ბის კედლებიც დაზიანებული იპო-
 ვა იუსტინიანემ და ბევრი რამ
 ააშენა იქ სილამაზისა და დაცვი-
 სათვის...

აი, ეს ნაგებობები იმუშავა იუ-
 სტინიანე მეფემ აღმოსავლეთში,
 ესე იგი არმენიაში, ჭანეთში და

VI საუკუნეში, მის მიდამოებში წარმოებული ომების დროს, დაზიანდა და ბრძო-
 ლის შეწყვეტის შემდეგ ის განაახლეს (მოვიგონოთ, რომ პროკოპის ეს თხზულება
 De aedificiis დაწერილია 560 წელს, როდესაც უკვე დამთავრებულია არა თუ
 პროკოპის მიერ BP-ში და BG-ში აღწერილი ბრძოლები არქეოპოლისთან,
 არამედ ა გ ა თ ი ა ს მიერ აღწერილი შემდგომი 552 – 556 წლების ბრძოლებიც,
 რომელთა შემდეგაც იუსტინიანეს დროს არქეოპოლისთან მომხდარი რაიმე ბრძო-
 ლის შესახებ ჩვენი წყაროები არაფერს იხსენიებენ).

¹) ამის შესახებ დაწვრილებითაა მოთხრობილი BG VIII, 4 (იხ. ზემოთ
 გვ. 105 – 107). –2) უმატებს φρουριον ουσαν το προτερον.

φι τὸν Εὐξείνιον πόντον, τῆδε
 Ἰουστινιανῷ βασιλεῖ εἰργασται.
 ევექსინის პონტოს ირგვლივ. [აქი-
 დან გადავალ იმ შენობებზე, რომ-
 ლებიც მან დანარჩენ ევროპაში ააგო] (H a u r y III. 2 P. 99 – 102).

იბერთა და ლაზთა მონასტრები.

Μοναστήρια μὲν οὖν ἐν Ἱερο-
 σολύμοις ἀνεγέσαστο τάδε. τὸ τοῦ
 ἁγίου Θαλαλαίου.
 τὸ τοῦ ἁγίου Γρηγορίου...
 τὸ τῶν Ἰβήρων ἐν Ἱεροσολύ-
 μοις.
 τὸ τῶν Λαζῶν ἐν τῇ ἐρήμῳ Ἱε-
 ροσολύμων... (Haury III.2, p. 169).

V 9. იერუსალემში იუსტინია-
 ნემ შემდეგი მონასტრები განაახ-
 ლა: წმინდა თალელესი.

წმინდა გრიგოლისა...

ი ბ ე რ თ ა მონასტერი იერუსა-
 ლემში ¹.

ლ ა ზ თ ა მონასტერი იერუსა-
 ლემის უდაბნოში...

მდინარე ფაზისი

Νεῖλος μὲν ὁ ποταμὸς ἐξ Ἰν-
 δῶν ἐπ' Αἰγύπτου φερόμενος δίχρα
 τέμνει τὴν ἐκείνην γῆν ἄχρι ἐς
 θάλασσαν. ἡ δὲ σχιζομένη τῷ
 ῥε.θρῳ καὶ ὀνόμασι διακέκριται τὸ
 ἐνθὲνδε δυοῖν. τὰ μὲν γὰρ ἐν
 δεξιᾷ τοῦ ποταμοῦ Ἀσία ὀνόμα-
 σται μέχρι που ἐς Φᾶσιν τὸν
 Κόλχον, ὅσπερ Ἀσίαν τε διορί-
 ζει καὶ γῆν τὴν Εὐρώπην, ἡ
 μέχρι ἐς πορθμεία τὰ Κυμμέρια
 καὶ ποταμὸν Τάναϊν. τούτων γὰρ
 ὅθ' ἔνεκα διαμάχονται πρὸς ἀλ-
 λήλους οἱ ταῦτα σοφοί, ἥπερ ἐν
 λόγῳις μοι τοῖς ὑπὲρ τῶν πολέ-
 μων δεδήλωται περιηγουμένῳ τὸν
 Εὐξείνιον καλούμενον πόντον
 (Haury III.2, p. 172).

VI 1. მდინარე ნილოსი ინდე-
 ბის ქვეყნიდან ეგვიპტეზე მომდი-
 ნარეობს და ორად ჰყოფს იმ ქვე-
 ყანას ვიდრე ზღვამდე. მდინარით
 გაყოფილი მიწა ორივე ნაწილში
 თავთავის სახელს ატარებს. მდი-
 ნარის მარჯინივ აზიად იწოდება
 ვიდრე კოლხეთის ფაზისამდე, რო-
 მელიც საზღვრავს აზიასა და ევ-
 როპის მიწას, ან ვიდრე კიმერიულ
 სრუტემდე და მდინარე ტანაიამ-
 დე. ამის შესახებ ერთმანეთს ეკა-
 მათებიან ამ საკითხის მცოდნენი,
 როგორც ეს ჩემ მიერ, ეგრეთწო-
 დებული ევექსინის პონტოს მიმო-
 ხილვისას, განმარტებულია ომების
 შესახებს შიგნებში ².

¹) პროფ. ვ. კეკელიძის აზრით (ქართ. ლიტ. ისტორია I, 91) შესა-
 ძლებელია ეს ის მონასტერი იყოს, რომელიც პეტრე მაიუმელის ცხოვრებაში
 მოხსენებული.

²) შდ. ზემოთ გვ. 108 – 112.

ΑΝΕΚΔΟΤΑ
სპარსელები ლაზიკეში.

[**თ. 2.** ამ თავში პროკოპი მოგვითხრობს იმის შესახებ, რომ სარდალი ველიზარი დიდ შეცდომებს უშვებდა ხოლმე თავისი საომარი მოქმედების დროს; და ეს იყო გამოწვეული იმით, რომ «სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ინტერესებს უფრო უკან აყენებდა, ვიდრე თავის ოჯახურ საქმეებს»].

ἔπειτα δὲ καὶ Χοσρόης αἰτιώ-
τατος γέγονεν ἀδεέστερον ἐπ' οὐ-
κου ἀποκομίζεσθαι ἐκ τῆς Κολ-
χίδος¹. οὐτινα δὲ τρόπον τετύχηκε
τοῦτο αὐτίκα δηλώσω.

Ἦνίκα Χοσρόης ὁ Καβάδου
εἰς γῆν ἐμβαλὼν τὴν Κολχίδα² τή-
τε ἄλλα διεπράξατο, ἅπερ μοι
ἔμπροσθεν δεδιίγηται, καὶ Πέ-
τραν εἶλε, πολλοὺς τοῦ Μίθων
στρατοῦ διεφθάρθαι ξυνέβη τῷ τε
πολέμῳ καὶ ταῖς δυσχωρίαις. δύ-
σοδός τε γάρ, ὥσπερ μοι εἴρηται, ἡ
Λαζική ἐστὶ καὶ ὁλοῦς κρημνῶδης.
καὶ μὴν καὶ λοιμοῦ³ ἐπιπεσόντας
σφίσι τὸ πλείστον τοῦ στρατοῦ
ἀπελωλέναι ξυνέπεσε, πολλοὺς
δὲ αὐτῶν καὶ τῶν ἀναγκαίων
τῆ ἀπορίας διεφθάρθαι ξυνέβη.
ἐν τούτῳ δὲ καὶ τινες ἐκ γῆς τῆς
Περσίδος ἐνταυθα ἐπιχωριάζοντες
ἠγγέλλον ὡς Ναβίδην μὲν Βελι-
σχίριος ἀμφὶ πῖλιν Νίσιβιν μάχῃ
νικήσας πρὶς αὐτὴν χωροῖται, πολιορκία
δὲ τὸ Σισαυράνων ἑλῶν φρού-
ριον Βλησγάμην τε καὶ Περσῶν
ἰπτεῖς ἄκτακ' αἰεὶς δορυαλώτους
πεποιήται, στρατεύμα δὲ ἄλλο
Ῥωμαίων ξὺν γε Ἀρέθῳ τῷ Σα-
ρακηνῶν ἀρχοντι πέμψειεν, ὅπερ

მას (ე. ი. ველიმარის უდიდესი დანაშაული მიუძღვის იმაში, რომ ხოსრომ ასე ადვილად შესძლო კოლხიდიდან შინ დაბრუნება. თუ როგორ მოხდა ეს, ამას ახლავე ნათელვყოფ.

როდესაც ხოსრო, კავადის ძე, კოლხიდის ქვეყანაში შეიჭრა, ბევრი რამ მოიმოქმედა იქ, რაც მე ზემოთ მაქვს მოთხრობილი, და პეტრაც აიღო: მოხდა ისე, რომ მიდიელთა ჯარში ბევრი დაიღუპა, როგორც ომში ისე ძნელსავალი გზების წყალობით. ლაზიკე ხომ, როგორც ითქვა, ძნელსავალია და მთლად კლდიანი. და როდესაც ჯარში ჭირი გაჩნდა, მეტი წილი ჯარისა მოისრა; ბევრი მათგანი კი დაიღუპა სურსათის ნაკლებობის გამო. ამ დროს იქ მოვიდნენ ზოგიერთები სპარსეთიდან და აუწყეს, ველიზარიმ ქალაქ ნისიბინის მახლობლად ნაბედზე გაიმარჯვა ბრძოლაში და წინ მიიწვესო; ხოლო სისავრანონის სიმაგრეს ალყა შემოარტყა და აიღო, ბლესქამინი და რვაასი სპარსელი ცხენოსანი ტყვედ ჩაიგდო, რომელთა მთელი ჯარი კი გაგზავნა სარკინოზთა მთავრის, არეთას, მეთაურობით, რათა მან

¹) კოლხიდოს G აზიანე, კოხლიდოს G ტექსტში, – ²) კოლხიდა G. – ³) λοιμου G ოი მოს S.

διαβάν ποταμὸν Τύχρον ξήμεπαντα
 λεηλατήσῃε τὰ ἐκείνη χωρία,
 πρότερον ἀδύωτα ὄντα ἐτιγγανε
 δὲ καὶ στρατεύμα Ὀθύνων ἐπὶ
 Ἄρμενίους τοὺς Ῥωμαίων κατη-
 κόους ὁ Χοσρόης σταίλας, ὥπως
 τῇ ἐς αὐτοὺς ἀσχίλιχ μηδεμία
 τοῖς τάτιχ Ῥωμαίοις τῶν ἐν Λα-
 ζική πρασσομένων ἀίσθησις γέ-
 νηται. τοῦτους τε τοὺς βαρβάρους
 ἀπίγγελλον ἕτεροι Βαλεριανῶ καὶ
 Ῥωμαίοις ὑπαντιάσασιν ἐς χεῖ-
 ρας ἐλθόντας παρὰ πολὺν αὐτῶν
 ἦσσηθέντας τῇ μάχῃ ἐκ τῆς ἐπὶ
 πλείστον ἀπολαλένα. ἄπειρ γὰρ
 Πέρσαι ἀκούσαντες καὶ κακωπα-
 θεία μὲν τῇ ἐν Λαζείοις¹ κεκακωμένοι,
 δεδιότες δὲ μή τι τοῖ ἐν τῇ ἀπι-
 πορε α ἐντυχόντες πολεμίων στρα-
 τῶ ἐν κρημοῖς καὶ χωρίοις λι-
 χμῶδεσιν ἄπαντες εὐθενὶ κάσμη
 διαφθαρείεν, περιδεεῖς ἀμφὶ τε
 παισὶ καὶ γυναῖξι καὶ τῇ πατρί-
 δι γεγεννημένοι, εἴ τι καθαρόν ἦν
 ἐν τῇ Μήδων στρατῶ, Χοσρόη
 ἐλοιδοροῦντο ἐπικαλοῦντες ὡς ἐς
 τε τοὺς ὄρκους ἦσεβηκῶς καὶ τὰ
 κοινὰ νόμμη πάντων ἀνθρώπων
 ἐσβάλοι μὲν ἐν σπονδαῖς ἐς Ῥω-
 μαίων τῆν γῆν εὐδὲν προσῆκον,
 ἀδικοίη δὲ πολιτείαν ἀρχαίαν τε
 καὶ ἀξιωτάτην πασῶν μάλιστα, ἦς
 τῷ πολέμῳ περιεῖναι εὐκ ἂν δὲ-
 ναιτο (Haurý III. 1 p. 17—19).

¹) ლაზიკი G, ლაზიკი S.

გადალახოს მდინარე ტიგროსი და
 მოახროს მთელი იქაური ადგი-
 ლები, რომლებიც წინათ განადგუ-
 რებული არ ყოფილაო. ამავე დროს
 იყო, რომ ჰუნნთა ჯარი გაგზავნა
 ხოსრომ არმენიელთა, რომაელების
 ქვეშევრდომთა, წინააღმდეგ იმ მიზ-
 ნით, რომ ჰუნნებს ისინი შეებრკო-
 ლებინათ და იქაურ (ე. ი. არმენიაში
 მყოფ) რომაელებს არაფერი გაე-
 გოთ, რაც ლაზიკეში ხდებოდა. აი,
 ეს ბარბაროსები – იუწყებოდენ
 სხეები – ხელში ჩავარდნით ვალე-
 რიანეს და რომაელებს, რომლებიც
 მათ შეხვედრიან, სასტიკად დამარ-
 ცხებულან ბრძოლაში, სადაც მეტი
 წილი ჰუნნებისა დაღუპულა. ეს
 რომ გაიგეს სპარსელებმა, რომელ-
 ნიც ისეც შემფოთებული იყვნენ
 ლაზიკეში მათ თავზე მოვლენილი
 უბედურებით, მათ შეეშინდათ,
 რომ ამ გაჭირებაში მყოფთ არ
 წაწყდომოდათ მტრის რომელიმე
 რაზმი ამ დაქანებულსა და კლდიან
 ადგილებში და ყველანი არ ამომ-
 წყდარიყვნენ ასე უშნოდ, და, რად-
 გან ეფიქრებოდათ შვილებისა, ცო-
 ლებისა და სამშობლოსი, ისინი,
 ვინც კი მიდიელთა ჯარში წარჩი-
 ხებული იყო, აგინებდენ ხოსროს
 და უსაყვედრებდენ მას, რომ დაარ-
 ღვია ფიცი და ხალხთა საზოგადო
 კანონები და, იმ დროს როდესაც
 საზავო ხელშეკრულება იყო დად-
 ბული, შეიჭრა რომაელთა მიწა-
 წყალში: უსამართლოდ მოეპყრა
 ძველსა და ყველაზე უფრო ღირ-
 სეულ სახელმწიფოს, რომლის დაძ-
 ლევა ომში მას არ შეეძლო.

Πέρσαι τε καὶ Χασρόης μὲν τετρακίς ¹ μὲν ἐμβάλλοντες ἐς τὴν ἄλλην Ῥωμαίων ἀρχὴν τὰς τε πόλεις καθείλον καὶ τοὺς ἀνθρώπους οὓς ἂν λάβοιεν ἐν τε πόλεσι ταῖς ἀλίσκοιμέναις καὶ χώρῃ ἐκάστη τοὺς μὲν κτείνοντες, τοὺς δὲ ζῆν αὐτοῖς ἐπαγόμενοι, ἔρημον τὴν γῆν κατεστήσαντο τῶν ἐνοικούντων, ἤπερ αὐτὰς ἐπισκήψαι ζυπέσεν. ἐξ οὗ δὲ καὶ εἰς γῆν τὴν Κολχίδα ἐσῆλασαν, αὐτοῖς τε καὶ Λαζοῖς καὶ Ῥωμαίοις διαφθεῖρεσθαι μέχρι θέρου ξυμβαίνει (Haury III.1, p. 115).

[**თ. 30.** ამ თავში პროკოპი ეხება ჯაშუშობის საქმეს და აღნიშნავს, რომ ბიზანტიის სახელმწიფო ინახავდა მთელი რიგ ჯაშუშებს, რომლებიც სპარსეთის სამეფო კართან ახერხებდენ დაახლოვებას, ან ვაჭრების სახით ან როგორმე სხვანაირად, აგროვებდენ საიდუმლო ცნობებს და აწვდიდენ თავიანთ სარდლებს. ასე რომ სარდლები წინასწარ ტყობილობდენ ყველაფერს და მოულოდნელი არაფერი შეემთხვეოდათ ხოლმე. სპარსელთა შორისაც იმთავითვე იყო გავრცელებული ჯაშუშობა და მათ არაფერი გამოეპარებოდათ ხოლმე ბიზანტიელთა შორის მომხდარი ამბებიდან.]

ὁ δὲ Ἰουστινιανὸς οὕτως ἔπεισεν ἀναλώσας καὶ αὐτὸ τὸ πῶν κατασχόπων ὄνομα ἐξέτριψεν ἐκ Ῥωμαίων τῆς γῆς, ἐξ οὗ δὲ ἄλλα τε πολλὰ ἤμαρτήθη καὶ Λαζικὴ πρὸς τῶν πολεμίων ἐλάω, Ῥωμαίων οὐδαμῇ πεπυσμένων ἔποι ποτὲ γῆς ὁ Περσῶν βασιλεὺς ζῆν τῷ στρατῷ εἶη (Haury III.1, p. 183, 17—22).

თ. 18. სპარსელები და ხოსრო ოთხჯერ შეიჭრნენ რომაელთა სამფლობელოს სხვა ნაწილში და ქალაქებიც გაანადგურეს და მცხოვრებლებიც, რომელნიც დაპყრობილ ქალაქებსა და თითოეულ სოფელში ხელთ იგდეს, ზოგნი ამოჟლიტეს, ხოლო ზოგიერთები თან წაასხეს და ამრიგად მცხოვრებთაგან დააცალიერეს ის მიწაწყალი, რომელიც იმათ დაიპყრეს. მის შემდეგ, რაც ისინი კოლხიდის ქვეყანას შეესივნენ, როგორც მათ ისე ლაზებსა და რომაელებსაც არ გამოლევიათ ზარალი ვიდრე დღეინდელად დღემდე.

მაგრამ იუსტინიანემ სრულიად არ გამოიყენა ეს წესი და ჯაშუშის სახელიც კი მოსპო რომაელთა ქვეყანაში, რის გამოც ბევრი სხვა შეცდომაც ჩაიდინა და ლაზიკეც მტერს დააპყრობინა, ისე რომ რომაელებმა არასდროს არ იცოდნენ, თუ სად იმყოფებოდა სპარსელთა მეფე თავისი ჯარით.

¹) ტრის ხელნაწერები, τετρακίς Haury (ემყარება BP II, 26-ის ცნობას: Haury I 268, 16).

იუსტინიანეს ნოველები

ამ სახელწოდებით ცნობილია 534 – 565 წლებში იუსტინიანეს მიერ კოდექსის გამოქვეყნების (529 წ.) შემდეგ გამოცემული ახალი დადგენილებები (*Novellae constitutiones*). იუსტინიანეს მიერ სულ 154 წოველა იყო გამოცემული, რომელთა პირველი კრებული 555 წლის შემდეგ იქმნა გამოქვეყნებული კონსტანტინეპოლელი იურისტის იულიანეს მიერ.

გ ა მ ც ე მ ა: Imp. Iustiniani Novellae, ed C. E. Zachariae a Lिंगenthal, I – II, Lipsiae 1881.

NOVELLA IX (I).

[ნოველა გაცემულია 535 წლის იანვარში აღმოსავლეთის პრეტორ. პრეფექტის (τῷ ἐπάρχῃ τῆς ἑὸς παραστρωῶν) იო ა ნ ე ს მიმართ და ეხება მემკვიდრეთა და ფალკიდის კანონის საკითხს. ნოველის შესავალში სწერია:]

Ἐνησχολημένοις ἡμῖν περὶ τὰς ἀπάτης τῆς πολιτείας φροντίδας καὶ μικρὸν σὺδὲν αἰρουμένοις ἐνόησεν, ἀλλ' ὅπως ἂν Πέρσαι μὲν ἡρεμοῖεν, Βαγδῖλοι δὲ σὺν Μαυρουσίοις ὑπακοῦσιν, Καρχηδόνιοι δὲ τὴν παλαιὰν ἀπολαβόντες ἔχοιεν ἐλευθερίαν, Τζάνι τε τὸν πρῶτον ὑπὸ τὴν Ῥωμαίων γενόμενον πολιτείαν ἐν ὑπηκόοις τελοῦεν (τὸ αὐτὸ ὑπερ ἑῷπω καὶ τὸν πλὴν ἐπὶ τῆς ἡμετέρας βασιλείας δέδωκε Ῥωμαίοις ὁ θεός), ἐπιβρέουσι καὶ ἰδιωτικαί φροντίδες παρὰ τὸν ἡμετέρων ὑπηκόων ἀεὶ προσαγγελόμεναι. (Z. a Lिंगenthal I 17—18).

ჩვენი ქვეშევრდომებისაგან მუდამ მოგვდის მიმართვები კერძობითი ხასიათის საკითხებზე, თუმცა ჩვენ ძალზე ვართ დატვირთულნი მთელი სახელმწიფოს შესახები საზრუნავებით და მოწოდებულნი ვართ ვიფიქროთ არა უმნიშვნელო საქმეებზე, არამედ იმაზე, მაგალითად, რომ სპარსელებმა სიმშვიდე დაიკვან; ვანდილები და მავრუსიები გვემორჩილებოდენ, კარქედონიებს ჰქონდეთ თავისი ძველებური თავისუფლება, რომელიც დაიბრუნეს, ჭ ა ნ ე ბ ი კი, რომელნიც მხოლოდ ახლა მოექცნენ რომაელთა ძალაუფლების ქვეშ, ქვეშევრდომთა რიცხვში გვეყვანდენ (ასეთი რამ დღემდე არასოდეს არ მოუნიჭებია რომაელებისათვის ღმერთს, – მხოლოდ ჩვენს მეფობაში მოგვენიჭა ეს მადლი).

Dat. Kal. Ian. Bilisario
V[iro] C[larissimo] Cons. Ind.
Y¹ (Z. a Lingenthal I 29).

დაიწერა იანვრის პირველს (კონსტანტინეპოლს), უბრწყინვალესი კაცის (ფლავი) ველიზარის კონსულობაში, ინდიქტიონსა მეცამეტესა (535 წ.).

NOVELLA XXXI (XXVIII).

Περὶ τοῦ μοδερχάτωρος Ἑλενοπόντου.
Ὁ αὐτὸς βασιλεὺς Ἰωάννη ἐπαρχῶν πραιτωρίων.
Τὸ καλῶς τε καὶ ἀνωθὲν ἀρμιοσθέν τε καὶ ἡνωμένον καὶ εἰς τὴν οἰκειαν ἰσχὺν συντεθέν χωρὶς ἐβλόγου τινὸς αἰτίας κινεῖσθαι ἢ διαιρεῖν οὐκ ἂν διοικήσεως ἐβρωμένης· οὐ γὰρ ἐν ὀνομάτων πλήθει φετέον τὴν ἰσχύιν, ἀλλ' ἐν ἀληθείᾳ πραγμάτων ἀποτελέσματι. ὁποῖον δὲ τι γεγονέναι περὶ τοῦτους δὴ τοὺς δύο Πόντους καλουμένους μεμαθήκαμεν, φαμέν δὴ τὸν τε Ἑλενόποντον, τὸν τε Πολεμωνιακὸν Πόντον. ἢ γὰρ πρῶτην ἀρχοντι τεταγμένης τῆς χώρας γεγονός·σι δύο, μήτε δημοσίας ἀνάγκης τοῦτο κατεπειγοῦσης, μήτε ἐτέρας τινὸς προφάσεως ἐβλόγου ἦν ἂν τις καὶ βεδῖως εἴξευροι. καὶ τοσαῦτον μαρτυρεῖται τὸ πρᾶγμα οὕτως ἔχον, ὥς εἰς τὴν παροῦσαν ἡμέραν ἐνὶ τρακτευτῇ τῶν δημοσίων φόρων τε καὶ διατυπώσεων χρῆσθαι τὰς χώρας ἀμφοτέρως. πόλεις τε εἰ τις ἀριθμήσει τὰς καθ' ἑκάτεραν οὐσας, μόλις ἐπαρχίας μίαν ἀνταρχεῖς γένοιτο μέτρον, εἰ γε δὲκτῶ μὲν πόλεις συμπληροῦσι τὸν

ჰელენოპონტოს მოდერატორისთვის.

იგივე მეფე პრეტორიელთა ეპარქოზს იოანეს.

თუ მართველობა ძლიერია, მას არ შეეფერება შესცვალოს ან დააქუცმაცოს, რაიმე საპატიო მიზეზის გარეშე – ის, რაც ძველითგანვე კარგადაა მოწესრიგებული, შეთანხმებული და საკუთარი ძლიერების მიზნით დადგენილი; ძლიერება სახელთა სიმრავლით კი არ დაიდგინება, არამედ საქმის ჭეშმარიტი მიზნულობით. ჩვენ ამაში დავრწმუნდით იმით, რაც ორი, ეგრეთწოდებული პონტის გარშემო მოხდა, – ჩვენ ვგულისხმობთ ერთის მხრით ჰელენოპონტოს, ხოლო მეორე მხრით პოლემონის პონტოს. წინათ რომ ეს ქვეყანა ერთი არქონტის მართველობის ქვეშ იყო, ახლა ის ორად გაიყო, და ეს არ ყოფილა გამოწვეული არც სახელმწიფო საჭიროებით არც სხვა ისეთი საპატიო მიზეზით, რომელიც ყველასათვის ადვილი გასაგები იყოს. და რომ ეს მართლაც ასეა, მტკიცდება იმით, რომ ორივე ქვეყანას დღესაც ერთი ხელმძღვანელი ჰყავს სახელმწიფო გამოსაღებთა და დადგენილებათა. თითოეული ამ ქვეყნის ქალაქები რომ დაითვალო,

Ἐλενόποντον, τούτεστιν Ἀμασειά τε καὶ Ἴβωρα καὶ Εὐχάϊτα καὶ πρὸς γὰρ Ζήλα καὶ Ἄντραπα, καὶ αἱ γὰρ πρὸς τοὺς κλίμασι κείμεναι Σινώπη τε καὶ Ἀμισσός, πόλεις ἀρχαῖαι, καὶ μὴν καὶ Λεοντόπολιν ἤδη κἀκείνην ἀριθμητέον ἐν πόλεσι, πέντε δὲ ἄλλαι τὸν Πολεμωγιακὸν συνέχουσι Πόντον, Νεοκαισάρειά τε καὶ Κώμικα καὶ Τραπεζοῦς καὶ Κερασούς καὶ Πολεμώνιον (Πιτυοῦντα γὰρ δὴ καὶ Σεβαστόπολιν ἐν φρουρίοις μάλλιν ἀριθμητέον ἢ πόλεσιν), ὥστε μέχρι τούτων ἐκάτερον εἶναι τῶν Πόντων. μεθ' οὗς ἢ τε ἡμετέρα καθέστηκε Λαζική, ἐν ἣ καὶ ἡ Πετραίων¹ ἐστὶ πόλις, ἡψ' ἡμῶν τὸ πόλις εἶναι τε καὶ ὀνομάζεσθαι προσλαβοῦσα, καχ' ἡμένη τε τῷ τῆς ἡμετέρας εὐσεβείας ὀνόματι καὶ Ἰουστινιανῇ καλομένη, Ἀρχαῖο-πόλις τε καὶ Ῥοδόπολις, φρούρια τε μέγιστα καὶ ἀρχαῖα ἐν οἷς δὴ καὶ τὰ παρ' ἡμῶν ἐστὶν ἐκ Περσῶν ἀναληφθέντα φρούρια Σκάνδις² τε καὶ Σαραπανίς³, καὶ τὰ Μουρῖσιος⁴ τε καὶ Λούσιρις⁵, καὶ εἴ τι ἕτερον ἡμῖν ἐν Λαζοῖς ἐκπεπνῆγται· εἶτα ἡ Τζίνων διαδέχεται χώρα, νῦν πρῶτον ἐφ' ἡμῶν ὑπὸ Ῥωμαίων κατακτηθεῖσα, καὶ πόλεις τε καὶ αὐτὴ τὰς μὲν ἄρτι γινόμενας, δεχόμενή τὰς

ძლივს ერთი ეპარქიისათვის აღ-
მოჩნდება საკმარისი. მართლაც,
ჰელენოპონტოში სულ რვა ქალაქია,
სახელდობრ: ამასია, იბორა და
ევქაიტა, გარდა ამისა ზელა და
ანტრაპა და სანაპიროზე მდებარე
ძველი ქალაქები სინოპე და ამისე;
რაც შეეხება ლეონტოპილის, ისიც
ქალაქებშია ჩასათვლელი. ხო-
ლო პოლემონის პონტოში შედის
ხუთი სხვა ქალაქი: ნეოკესარია,
კომანა, ტრაპეზუნტი, კერასუნტი
და პოლემონიონი (პიტიუნტი და
სებასტოპოლისი ხომ უფრო ციხე-
სიმაგრეებშია ჩასათვლელი, ვიდრე
ქალაქებში), ასე რომ თითოეული
პონტოს შედგენილობა ასეთია. მათ
შემდეგ მდებარეობს ჩვენი ლაზიკე,
სადაც არის ქალაქი პეტრა, რომელსაც
ჩვენგნით ხვდა წილად ქალაქი
გამხდარიყო და დარქმეოდა და რომელსაც
მიენიჭა ჩვენი უწმინდესობის სახელიც და ეწოდება
იუსტინიანე, შემდეგ არქეოპოლისი და
როდოპოლისი, უდიდესი და ძველი
სიმაგრეები, აქვე შედის აგრეთვე
ჩვენ მიერ სპარსელებისაგან უკან
ჩამორთმეული სიმაგრეები: სკანდისი,
სარაპანისი, მურისი და ლისირი⁶ და
სხვა რამეც, რაც კი ლაზეთში
შევძინეთ. შემდეგ მოდის ჭანთა
ქვეყანა, მხოლოდ ახლა ჩვენი
მეფობის დროს რომაელთა მიერ
დაპყრობილი; მასაც აქვს უკვე
ქალაქად ქცეული ადგილები,

1) πετραίων *Halouder, Basilica. Petraeorum Authenticum.*

2) σκανδιას *Hal.*, σκαδις *Bas.* – 3) σαραπανης *Hal.* – 4) μουρῖσιος *Hal.* –

5) Λουσιερως *Hal.*, Λουσισεως *Bas.*

3) ლ ი ს ი რ ი ს შესახებ იხ. ზემოთ გვ. 189.

δὲ ὅσον οὐπω γενησομένης δεξο-
μένη· ἄλλα τε μετ' ἐκείνην ἐθνή
καθίστασι Σουανοὶ τε καὶ Σκύ-
μνοι καὶ Ἀψίλοι καὶ Ἀβασγοί,
καὶ ἕτερα νῦν φεῖν δόντος φιλία
τε καὶ ἡμέτερα.

α'. Ἄλλ' εἰς ταῦτα μὲν ὁ περὶ
τοὺς τόπους ταύτους ἡμᾶς ἡγε-
κε λόγος. ἐπὶ αὐτοῖς ἐπὶ
τοῖς Πόντους καὶ τὴν ἑνωσιν τὴν
αὐτῶν. τοῦτους γὰρ νῦν ἀμφὶ
τοῖς Πόντους, τοῖς τὰς τρισκαί-
δεκα πόλεσι περιεχόμενους εἰς
μίαν ἐπαρχίαν αὐτοῖς συνάγειν,
καὶ ἀποδίδομεν τῆς μὲν παλαιό-
τητος τὴν ἑνωσιν, τῆς δὲ νεώτε-
τος τὴν ἐπωνυμίαν Ἐλενόποντος
γὰρ ἅπας καλεῖσθαι... (Z. a Lin-
genthal I 191—3).

მომავალშიც ექნება სხვები ¹. ამ ქვეყნის შემდეგ დამკვიდრებული არიან სხვა ტომებიც: სუანები, სკვიმნები, აფსილები, აბაზგები და სხვა, ღვთის შეწევნით, ჩვენი მეგობარი ტომები.

მაგრამ ამ ქვეყნებზე ლაპარაკმა შორს წაგვიყვანა. დავუბრუნდეთ ისევ პონტოებს და მათი გაერთიანების საკითხს. ამგვარად, ორივე ამ პონტოს, რომლებიც ხსენებულ ცამეტ ქალაქს შეიცავენ, კვლავ ერთ ეპარქიად ვაერთიანებთ და ვანიჭებთ მათ ძველს ერთიანობას და ახალს სახელწოდებას: პელენოპონტო ეწოდოს მას მთლიანად.

¹) ჭანეთის დამორჩილებასა და ამის შესახებ ნოველებს იუსტინიანესას იხსენიებს აგათიან (V 2: HGM III 350).

იოანე ლიდე

